დროს შეუძლიათ ოჯახის წევრებთან და ბავშვებთან ერთად გაატარონ დღეები, ხოლო 3%-ს განსაკუთრებულად უყვარს საჩუქრების მიღება და ჩუქება. 86% დაეთანხმა იმ აზრს, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებაში შობამ მეტისმეტად „კომერციული" დღესასწაულის სახე მიიღო.

ამასთან დაკავშირებით, კენტერბერიის ყოფილმა მთავარეპისკოპოსმა ყველა ქრისტიანს მოუწოდა, „ასეთი პოლიტკორექტულობის ეპოქაში არ შერცხვეთ შობის დღესასწაულისა". მისი თქმით, დღეს ბრიტანეთში შობის, როგორც ქრისტიანული დღესასწაულის წინააღმდეგ, ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული. საგანგებოდ უშვებენ საშობაო მისალოცებს მასზე შობის ხსენების გარეშე, სკოლებში აკრძალეს საშობაო შინაარსის სპექტაკლების დადგმა, ოფისებში სულ უფრო ხშირად კრძალავენ საშობაო მოსართავებისა და ნაძვის ხეების დადგმას. ამასთან დაკავშირებით ქრისტიანულმა ორგანიზაცია „Christian Concern"-მა კამპანიაც კი წამოიწყო სახელწოდებით — „ნუ გვრცხვენია", რომლის ფარგლებშიც ისინი ბრიტანელებს მოუწოდებენ, მუდამ ატარონ ჯვრები, სამსახურში კი წაიღონ ემბლემა ან პატარა აბრა წარწერით: „მე არ მრცხვენია ჩემი რელიგიის!"

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი) 1743-1837

საქართველოს კათოლიკოსი ანტონ II (ბაგრატიონი)

მიტროპოლიტი იოანე, ერისკაცობაში — იოანე ომანის ძე მაყაშვილი, 1743 წელს (ბაგრატ ბატონიშვილის წარწერის თანახმად, დაიბადა 1740 წელს) კახეთში, თავადის ოჯახში დაიბადა. მაყაშვილები წარმოშობით სოფელ იყალთოდან იყვნენ, სადაც ახლაც არის შემონახული მათი საგვარეულო ციხე-დარბაზი, კარის ეკლესიითურთ. მშობლებმა იგი სიყრმიდანვე, 1740 წელს აღსაზრდელად მიაბარეს სიწმინდითა და ასკეტური ცხოვრებით განთქმულ რუსთაველ მღვდელმთავარ იოსებს (ჯანდიერი), რომელიც კათოლიკოს ანტონ I-ის განდევნის შემდეგ — 1756-1764 წლებში — მართავდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას. ნეტარმა კათოლიკოსმა იოანე პატარაობიდანვე შეაჩვია მკაცრ და ასკეტურ ცხოვრებას. გარდა ამისა, საფუძვლიანად შეასწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი, საფილოსოფოსო და სამეცნიერო საგნები. წმინდა ადამიანთან თანაცხოვრებამ, ღამისთევის მსახურებებზე ხშირმა დგომამ და ბერულმა ცხოვრებამ ახალგაზრდა მორჩილს ძლიერი და მებრძოლი სული ჩამოუყალიბა. 1764 წელს ანტონ I-ის რუსეთიდან დაბრუნების გამო, კათოლიკოსმა იოსებმა თავისი ნებით დაუტოვა თანამდებობა და ხარჭაშნელის კათედრაზე დაინიშნა. მან თავის კრებულში იახლა იოანეც, მალევე ჩოხაც უკურთხა და დიაკვნად დაასხა ხელი. გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში მოღვაწე ცნობილი ბერი და მწერალი გაბრიელ მცირე (შერაცხულია წმინდათა დასში საქართველოს ეკლესიის მიერ) თავის „ღვთივსულიერნი თხრობანში" გადმოგვცემს:

„ვითარმედ სალმობიერ ვიქმენო ძლიერად სენითა მით მუცლის სიმსივნითა და ესევითარად აშთობდა, რომელ არღარა ძალ-ედვა სულთქმაი. შევიდა არხიერი იგი და იხილა სენი და შეელმა გულსა მისსა ლმობიერსა. ხოლო მდებარემან აღიხილნა თუალნი და შეადგნა საწყალობელად და არღარა ჰქონდა სიტყუაი და რეცა წამისყოფით ლოცვასა ევედრებოდა. მეყსეულად დაუტევა უძლური იგი მღუდელმთავარმან და შევიდა სალოცველსა თვისსა და ილოცა მხურვალედ და მერმე შევიდა მუნვე სნეულისა თანა და ჰრქუა, მასმიესო თხილის ჯოხისა ნახშირი კეთილ არს ეგევითარისა სალმობისათვის. და შედო ცეცხლსა კვერთხი თვისი, რომელიცა იყო თხილისა, და ვითარცა დაიწო და ნახშირ იქმნა, მოიღო ხელითა თვისითა, გალესა წყალსა შინა, ჯვარი დასახა და მიუპყრა პირსა მის მდებარისასა, და ვითარცა შესუა, მეყსეულად სიმსივნე იგი დაცხრა და შემდგომად სამისა დღისა ზე აღსდგა ქვემდებარე იგი და ადიდებდა ღმერთსა და წმიდისა მის ლოცვასა ჰმადლობდა — ეს თვით მან იოანე მომითხრა, რომელ აწ მიტროპოლიტ არსო", — ამთავრებს გაბრიელ მცირე.

1770 წელს გარდაიცვალა მეუფე იოსები და სულიერი მოძღვრის გარეშე დარჩენილი მამა იოანე გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში გადავიდა სამოღვაწეოდ. მთავარდიაკონი იოანე მაყაშვილი იხსენიება 1774 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთ სიგელში. 1776 წელს ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ექვთიმემ (მჭედლიშვილი) იგი ბერად აღკვეცა. მალევე ნინოწმინდელმა

მიტროპოლიტმა საბამ (ტუსიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი. XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კათოლიკოსმა ანტონ I-მა არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1784 წლის 20 მარტს გარდაიცვალა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა. ამავე წელს კათოლიკოსმა ანტონ I-მა არქიმანდრიტ იოანეს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ნინოწმინდის ეპარქია ჩააბარა. 1785 წლის საბუთით ის უკვე იხსენიება ამ კათედრის მღვდელმთავრად. ამ სიგელის მიხედვით — *„არქიმანდრიტები, სამღვდელო და საერო პირები აღთქმას და პირობას სდებენ უქმე დღის გაუტეხაობის შესახებ“.*

მიტროპოლიტ იოანეს ფრესკა ბოდბის მონასტერში

მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი) ქართველ სახელოვან მღვდელმთავართა ტრადიციის გამგრძელებელი იყო; ის გახლდათ ძლიერი პიროვნება, შორსმჭვრეტელი, უხვი და მოწყალე იერარქი. იგი აქტიურ როლს ასრულებდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ცხოვრებაშიც. დიდი მატერიალური და ფინანსური დახმარება გაუწია მეუფე იოანემ გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერს. მან მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა აქ. გაამაგრა და გაამშვენა სავანე, ააგო პალატები, სამრეკლო და კოშკი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 1791 წელს გადაწერილი კრებული, სადაც მოხსენიებულია მეუფე იოანეს სახელი, როგორც ამ მონასტრის მმართველისა. კრებული გადაუწერია მონაზონ ზაქარიას (მაყაშვილი), არქიმანდრიტ გერონტის (სოლოღაშვილი) დაკვეთით: *„მე უღირსმან ხუცეს-მონაზონმან სოლოღაშვილმან გერონტი აღვაწერინე წიგნი ესე ჩემსა სულიერსა ძმასა ახლად მონაზონს ზაქარიას უდაბნოსა გარეჯისასა, ნათლისმცემლის მონასტერსა, სულისა ჩემის საოხად და ძმათა ჩემთა — აღათონისა და იოანესსა. ვინც მიემთხვეოდეთ ამას, ლოცვასა ჰყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის, წმინდანო მამანო. მეფობასა მეორესა ირაკლისსა, პატრიარხობასა ძისა მისისა, მეორისა ანტონისსა, ჟამსა ამას მწყსიდა მონასტერსა ამას ყოვლად სამღვდელო* **ნინოწმინდელი მაყას ძე იოანე,** *მისთვისცა ხსენებასა ყოფდეთ, მამანო. დასაბამითგან წელთა ათშვიდიათას ორას ოთხმეოც და ათცხრამეტსა. ქრისტეს აქათ ჩღჟა, თვესა მაისსა ბ“.*

1794 წელს კათოლიკოსმა ანტონ II-მ ეპისკოპოსი იოანე ბოდბის კათედრაზე გადაიყვანა და მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა. იმჟამად ბოდბის მამათა მონასტერში, რომელიც ასევე მღვდელმთავრის რეზიდენციაც გახლდათ, მოქმედებდა საეკლესიო სასწავლებელი. მეუფე იოანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ სასწავლებელს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება, რომელთაგან ბევრი შემდგომში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახდა. მათ შორის გამოვყოფდით: მღვდელ-მონაზონ ფილადელფოსს (კიკნაძე), რომელიც თვითონვე აკურთხა, შემდეგ კი რუსეთში გაგზავნა კათოლიკოს ანტონ II-თან. მიტროპოლიტ იოანეს რჩევით, მღვდელმა იოანე დოდაშვილმა თავისი ვაჟი — სოლომონი სასწავლებლად რუსეთში გაუშვა. 1831 წელს მან წმინდა ნინოს მონასტერში დიაკვნად ნამყოფ გლეხს, ტალიაშვილს სარეკომენდაციო წერილი გაატანა თბილისში, სოლომონ დოდაშვილთან, რათა იგი პეტერბურგში სასწავლებლად გამგზავრებაში დახმარებოდა. ასე რომ, მეუფე იოანე ბევრს უმართავდა ხელს, რათა ჯეროვანი განათლება მიეღოთ.

ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირი ჩანს. ბატონიშვილი იოანე თავის ნაშრომში მის შესახებ წერდა: *„ბოდბელი მაყაშვილი იოანე აღიზარდა ნათლისმცემლის მონასტერსა შინა და მერე მეფისა ირაკლისაგან დაიდგინა ბოდბელად. ესე გამოცდილია საღმრთოთა წერილთა შინა. ამან იღვაწა კეთილად ეკლესიასა თვისსა ზედა და აღუშენნა კარგნი შენობანი, უმუშაკნა ვენახი და კეთილად ჰმწყსიდა სამწყსოსა თვისსა“.* 1798 წლის 22 თებერვალს ქართლ-კახეთის ახალმა მეფე გიორგი XII-მ თელავში, მამამისის, მეფე ერეკლე II-ის პანაშვიდი სამ მღვდელმთავარს გადაახდევინა — იოანე ბოდბელს, სტეფანე რუსთველს (ჯორჯაძე) და ნინოწმინდელ მიქაელს (ინასარიძე). შემდგომ წლებში მეუფე იოანეს ირანში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან ჰქონდა ურთიერთობა, რისთვისაც გიორგი XII-ს იგი შეურისხავს. ამ ამბავს ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ასე გადმოგვცემს: *„ამასვე დროსა იგდეს ხელსა თადია ჩოლოყაშვილთან მოწერილი წერილი თვით მეფის ძის ალექსანდრესაგან და ესრეთვე იოანე ბოდბელთან, მაყაშვილთან, რომელმანცა მიმალა, თუმცა სცნო მეფემან. იოანე ბოდბელსა მიეწერა საყვედურითი წერილი ესრეთისა სიტყვებითა, რომელ მოიყვანა ძრწოლასა და შიშსა ყოვლადი კახეთი. „ორგული მეფისა და გამტეხი ფიცისა, არლაა მწყემსი ეკლესიისა — მისწერა კათოლიკოსმან ანტონი, სიტყვა და თქმა მეფისა — თვით განიკვეთ ესრეთითა მოქცევითა თავსა შენსა ხარისხიდგან შენისა. ნუ მიმიყვან იქამდინ, აღვასრულო იგივე სასჯელი, რომლითაცა დაისაჯა ორგული მეფისა როსტომისა კათოლიკოსი დიასამიძე“. შეკრთომილი ბოდბელი თვით მოვიდა ქალაქსა, წარდგა მეფესთან და მოითხოვა ბოდიში და მიტევება ბრალისა. მიაწერა ბრალი თვით ძმასა მისსა მეფის ძეს ალექსანდრეს, რომელმანცა მოსწერა წერი-*

ლი უქმად და ყურუგდებელად დარჩენილი. ეს ამბავი მიამბო მეფის ძემან თეიმურაზ". იგივე პლატონ იოსელიანი ხსენებული ნაშრომის ბოლოს დართულ შენიშვნებში ასე ახასიათებს მიტროპოლიტ იოანეს: *„ამას არ უყვარდა მეფე გიორგი და მარადის მოიხსენებოდა არაკეთილად. იყო ორგული მეფისა, თუმცა მიმალული. ძმასა მისსა ალექსანდრესთან აქვნდა იდუმალ მიწერ-მოწერა. ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1837 წელსა. იყო დიდი პურადი, დიდი ეკლესიათა ძველთა განმაახლებელი. დიდად მეცადინეობდა, შემდგომად თვისსა ყოფილიყო ვინმე მღვდელმთავრად ბოდბეს და ვერავის დააჯერა. მრავალი ვიცი მისგან ძველი ამბავი და მრავალი მაქვნდა მასთან ბაასი მრავალთათვის საგანთა".*

გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი

1811 წლის აღწერით აღმოსავლეთ საქართველოში იმჟამად არსებული 13 კათედრიდან ბოდბის ეპარქიას ყველაზე მეტი კომლი ჰყავდა (729). მეუფე იოანემ თავისი მრავალმხრივი საქმიანობით ადრევე მიიპყრო რუსების ყურადღება და 1811 წლის 14 ივლისს წმინდა სინოდმა იგი ალავერდისა და კახეთის ეპარქიის მღვდელმთავრად დანიშნა, რომელსაც 1814 წლის 30 აგვისტომდე მართავდა. ამავე პერიოდში დაჯილდოვდა იგი წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. 1814 წლის 30 აგვისტოდან სიღნაღისა და ქიზიყის ეპარქიის მმართველია. 1818 წლის 28 დეკემბერს გაერთიანდა სიღნაღისა და ქიზიყის, ალავერდისა და თელავის ეპარქიები და მმართველად მიტროპოლიტი იოანე დაადგინეს. 1828 წელს ალავერდისა და თელავის ეპარქია გაუქმდა და მიტროპოლიტი იოანე ისევ

საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე (რუსანოვი)

სიღნაღისა და ქიზიყის ეპარქიის კათედრაზე დაინიშნა. მეუფე იოანე დიდ ყურადღებას უთმობდა საინგილოს ქართველებს. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, ყოველ აღდგომას იგი ინგილოებს 30 სანთელს უგზავნიდა. 1830 წლამდე ინგილოებს ფარულად მიჰყავდათ მღვდლები სიღნაღის მაზრიდან და ჩუმად ინათლებოდნენ ღამე. საინტერესო ფაქტია საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს (რუსანოვი) ვიზიტი ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში და იქ დატრიალებული ამბები. ეგზარქოსის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტა, წერაქვით ჩაენგრია წმინდა ნინოს საფლავის თაღი და მისი წმინდა ნეშტი ენახა. გაოგნებული მეუფე იოანე ემუდარებოდა: **„ნუ ინებებო, ჩვენი წმინდანები არ ყაბულობენო მაგას, უბედურებას ნუ შეიმთხვევო".** არ გაიგონა, ერთსა და იმავეს გაიძახოდა თურმე. ხვეწნა-მუდარით დაქანცულ ბოდბელს უთქვამს: **„მიუშვი ურჩი ნებასა, ის შეეყრება სნებასა; რაც მაგან კარგი ნახოსა, ის მე დამაკვეხეთო"** და თავი დაუნებებია. ილოცეს და დაწვნენ. მეორე დილით ადგა მღვდელმთავარი და დაიწყო მზადება წირვისათვის, დაიწყეს ზარების რეკა, მაგრამ ეგზარქოსი არსად ჩანდა. მაშინ მორჩილი გააგზავნეს მასთან და როდესაც ოთახში შევიდა, მკვდარი ნახეს მიტროპოლიტი თეოფილაქტე. მოახსენეს მეუფე იოანეს მისი სიკვდილი: **„არ გითხარი, შე დალოცვილო, რომ უბედურებას შეეყრები-მეთქი!"** — ჩაილაპარაკა ბოდბელმა. მერე თვითონ სწირა და ის საფლავი ამოავსო, როგორც ადრე იყო.

მიტროპოლიტ იოანეს დიდი ყურადღება მიუქცევია თავის მშობლიურ სოფელში არსებული იყალთოს უძველესი მონასტრისათვის. მას განუახლებია ტაძარი და შეუწირავს საეკლესიო წიგნები, ხატები და ნივთები. მკვლევარი ექვთიმე თაყაიშვილი „არქეოლოგიურ მოგზაურობანში" იხსენიებს ამ ნივთებს": ა) მაცხოვრის ხატი ვერცხლისა — 32/36 სანტიმეტრი, ქვემო არშიაზე მხედრულად აწერია — *„თვით მამულისა არსებისა ხატო უცვალებელო, სიტყვაო ღმერთო, პატივად შენ პირმშოსა სახისა შევამკევ ხატი ესე შენი და მოუძღვანე ტაძარსა ღვთაებისასა წმიდისა მამისა არსენი იყალთოელისასა მშობელთა ჩემთა სასაფლაოსა მონამან შენმან მაყაშვილის ომანის ძემან, ბოდბელ მიტროპოლიტმან იოანნე სალხინებელად ჩემდა და მშობელთა ჩემთა და ძმათა საუკუნოდ სახსენებლად: წელსა ჩღუ (1790)"*; ბ) საცეცხლური ვერცხლის მხედრული წარწერით — შეწირული ჩყლა წელსა (1831); გ) ბარძიმი ვერცხლისა მხედრული წარწერით — შეწირული ჩყკზ (1827) წელსა, აგვისტოსა ა (1); დ) კოვზი ვერცხლისა, მხედრული წარწერით.

განსაკუთრებით უზრუნია მიტროპოლიტ იოანეს ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლები-

სათვის და მისი დაკვეთით მრავალი წიგნი და ნაშრომი გადაუწერიათ: ა) 1811 წელს გადაუწერიათ პეტრე I-ის „რეღლამენტი", ე. ი. „მოძღვრება სულიერისა კოლეღიისა"; ბ) 1820 წელს გადაუწერიათ კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე": „ჩვენ ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე შევწირავთ ამ წიგნსა საუნჯესა ტაძარსა დედისა ჩვენისა ნინასსა, საოხად სულისა ჩემისა, ჩყლე წელსა, ივნისის იზ დღესა"; გ) 1821 წელს გადაუწერიათ კრებული — „ჩვენ ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე შევწირავთ ამ წიგნსა ტაძარსა განმანათლებელისა ჩვენისა ნინა ქართველთ განმანათლებელისასა ღვთივ სულიერსა ამას წიგნსა, წოდებულსა ექვსთა დღეს შესაქმესა, საოხად სულისა ჩვენისა, ჩყლვ წელსა, ივნისის იზ დღესა".

ბოდბის მონასტერი

მიტროპოლიტი იოანე 1837 ნლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდში დაცულია ცნობა მეუფე იოანეს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე, სადაც ვკითხულობთ: *„მდგომარემან სკიტსა შინა ყოვლადუსამღვდელოესის სიღნაღის მიტროპოლიტის ბოდბელისა, იღუმენმან დიონისემან 20 წარსულის სეკდემბრიდგან მოგვახსენა, რომელ მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი, ჰგრძნობს რა დიდსა სისუსტესა სიმრთელესა შინა თვისსა, უსაკუთრესად შემდგომად მისსა, რაც იგი 1 სეკდემბერსა დაეცა პოლსა ზედა და იტკინა მარჯვენა ფეხი და ბარკალი, ჰპოებს თავსა თვისსა უკანასკნელთა მინუტთა შინა ცხოვრებისა, და რომელ ამა შემთხვევამან განაღვიძა იგი იღუმენი დიონისე თხოვად ნებართვისა მის ყოვლადუსამღვდელოესის მიტროპოლიტის იოანესაგან, რათა იმყოფებოდეს მასთანა განუშორებლად ერთბამ სხვათა თანა სასულიერო პირთა. რაიცა შეეხების საკუთარსა მის მიტროპოლიტის ბოდბელის ქონებასა ზედა, ამას ზედა არის ანდერძის წერილი, დაწერილი ნამდვილსა წელიწადსა შინა შემდგომად ამისსა და, სახელდობრ, 20-სა სეკდემბერსა. მიღებულ არს მეორე წერილი ხირსის არხიმანდრიტის ეპიფანესი, იღუმენის დიონისესი და დეკანოზის ნაცვალოვისა 24-სა მასვე სეკდემბრიდგანა, რომელ ყოვლადსამღვდელო იოანნე მიტროპოლიტი სიღნაღისა 24-სა რიცხვსა მასვე სეკდემბერსა მეთერთმეტე საათის გასულს შუაღამის შემდეგ გარდაიცვალა. ხოლო დანაშთენი შემდგომად მისსა ანდერძის წერილი ჯერეთ ჟამსა სიცოცხლისა მისის შემონმებულ არს ჩვენთა მიერ სუდისათა, ხოლო ქონებული სახლსა შინა მისსა ქონება ვითარცა საკუთარი მისი, ეგრეთვე საეკლესიოცა დაბეჭდილ არს".*

1819 წელს ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონის მიერ გადაწერილ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისზე არის მისივე ხელით გაკეთებული მინაწერი: *„წელსა 1837 ნოენბრის 2 მიიცუალა წმიდა იოანე ბოდბელ მიტრაპოლიტი მაყაშვილი კახი, წლისა 97, ამან იმღვდელმთავრა წელი 47, რომელიცა არაოდეს დასცხრებოდა წირვისაგან და ლოცვისაგან, ესე იყო ფრიად მხნე, ვიდრე გარდაცუალებამდე. ამან განაშენა და შეამკო ფრიად წმიდის ნინას მონასტერი, ვითა შენობითა, ეგრეთვე სამკაულითა და კრებულითა".*

ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე დასაფლავებულია ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, სადაც შესრულებულია მისი ფრესკა. ექვთიმე თაყაიშვილს თავის „არქეოლოგიური მოგზაურობანის" I ნაწილში მოყვანილი აქვს მისი საფლავის ეპიტაფია: *„ ...შენი ვარ... მაცხოვნე, რამეთუ მცნებანი შენნი... მრწმენეს მე. დაშრტა ლაპარისა ესე მდებარე სასანთლესა ზედა ჭეშმარიტისა მღვდელთმთავრობისა საჩინო მწყემსი ბოდბელი მიტროპოლიტი სანატრელი იოანე კახთა თავადთაგანი მაყაშვილი, რომელი მწყსიდა სიტყვიერთა სამწყსოთა ქრისტესტა 54 წელ და განამშვენებდა წმინდასა ამას ტაძარსა და ადგილსა ყოვლითა შემკულობითა და წესიერებითა და ან, ჰასაკ სიბერისად მოწევნილმან დაუტევნა, სანუთრო ესე 24 სეკტემბერის თვესა 1837-ისა წლისასა და დასხნა აქა 94 წლისა მონა ზონებით დამაშურალნი სხეულნი თვისნი სახსენებელად საუკუნოდ და თვით წარდგა წინაშე მეუფისა თვისისა".*

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" . კრწანისის მე-2 ფილიალი. ანგარიში № 360851555 მფო. 220 101 406 მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de
მისამართი: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნინა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

რძელა, რაც აზანის ხმა შეწყდა. თურქეთის საინფორმაციო საშუალებებმა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ეს ნაბიჯი დადებითად შეაფასეს და ისლამისადმი „გამოვლენილი პატივისცემა" უწოდეს.

ძველი ტრადიციის თანახმად, ნათლისღების დღესასწაულზე „ოქროს რქის" ყურეში აგდებენ ხის ჯვარს, რის შემდეგაც მორწმუნეები მის დასაჭერად ზღვაში ხტებიან. წელს გამარჯვებული თესალონიკელი ახალგაზრდა ბერძენი გახდა.

იორდანიაში მომლოცველთა რიცხვი გაიზარდა

2010 წელს იორდანიას ორი ათასზე მეტი მომლოცველი ესტუმრა, რათა იმავე ადგილას, მდინარე იორდანეში მონათლულიყო, სადაც იესო ქრისტემ ნათელიღო. მონაცემების თანახმად, ამით აიხსნება ქვეყანაში მომლოცველთა რაოდენობის 20%-ით გაზრდა. მათი უმეტესობა, ძირითადად, აღმოსავლეთ აზიიდან და სამხრეთ ამერიკიდან ჩამოდის. 2011 წელს იორდანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გეგმავს ექსკურსიების ორგანიზებას იორდანიის სხვა ბიბლიურ ადგილებშიც.

ამერიკის ციხეში სასჯელს მართლმადიდებელი ბერები იხდიან

კოლორადოს მკაცრი რეჟიმის კოლონიის მსჯავრდებულთა შორის არიან მართლმადიდებელი ბერები: ანტონი და მათე, მართლმადიდებელი ერისკაცნი: ლუკა, გიორგი, დავითი და სხვა მორწმუნეები. საინტერესოა, რომ ისინი არასდროს ყოფილან მართლმადიდებლურ ტაძარში და არ დასწრებიან ლიტურგიას, არამედ მხოლოდ ვიდეოჩანაწერებს უყურებენ. ყველა მათგანი მას შემდეგ მოექცა, რაც ციხის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მათი გაქრისტიანება მოძღვარ სტეფანე პაულის მისიონერული მოღვაწეობის შედეგია, რომელიც მრავალი წელია ამ ციხეს სულიერად ასაზრდოებს.

როცა რამდენიმე ახალმოქცეულმა ბერობის დიდი სურვილი გამოხატა, მამა სტეფანეს საღვთისმსახურო დაწესებულებამ გადაწყვიტა მათთვის ასეთი საშუალება მიეცათ (მამა სტეფანე ამერიკაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დენვერის ეპარქიის ბერძნულ მართლმადიდებლურ სამთავარეპისკოპოსოში მსახურობს).

ამჟამად ბერი ანტონი ხატებს წერს, დავითი ქსოვს ლამაზ სკვნილებს, რომლებიც უკვე მრავალ მართლმადიდებელ ქრისტიანს გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ციხის მართლმადიდებლები ერთმანეთს არ იცნობენ, რადგან მსჯავრდებულები აბსოლუტურ იზოლაციაში არიან არა მარტო საკნებში, არამედ გასეირნების დროსაც. თუმცა, მათ გარესამყაროსთან მიმოწერის უფლება აქვთ.

ლოცვა უარყოფით ემოციებთან გამკლავებაში გვეხმარება

„ლოცვა რთულ დროს ანუგეშებს და ნამდვილად შეუძლია პერსონალური ფსიქოთერაპია გაუწიოს მორწმუნეებს", — თვლიან მედისონის უნივერსიტეტის (აშშ) სოციოლოგები. ლოცვა გაუცნობიერებელ შვებას ჰგვრის ამერიკელების 75%-ს, რომლებიც ყოველდღიურად ლოცულობენ, ეხმარება მათ, მართონ სხვადასხვა უარყოფითი სიტუაციები და ემოციები, მათ შორის — დარდი, რისხვა და ავადმყოფობა.

მეცნიერთა აზრით, ლოცვა ემოციურ ტკივილსა და მოახლოებულ რისხვასთან გამკლავების საუკეთესო საშუალებაა, რადგანაც მლოცველები ასეთ მდგომარეობას აღიქვამენ, როგორც უფალთან პირად ურთიერთობას, ეს დამოკიდებულება კი, ძირითადად, დადებითია, ხელს უწყობს შინაგანი ღირსებების ამაღლებას, რათა შეეწინააღმდეგოს უარყოფით ემოციებს. ზოგიერთისთვის ლოცვა წარმოადგენს განტვირთვის საუკეთესო საშუალებასაც.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე 1878-1959

საქართველოში მრავალი ცნობილი და განთქმული გვარი არსებობს, რომლებმაც სამღვდელო პირთა საგვარეულო-საოჯახო დინასტიები შექმნეს. მათ შორის გამოირჩევა გორის რაიონის სოფელ დისევში მცხოვრები ოქროპირიძეთა ოჯახი, სადაც არაერთი ღირსეული მამულიშვილი აღიზარდა ქვეყნისა და დედაეკლესიის სასახელოდ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ამ გვარში მოღვაწე უკანასკნელი მღვდელმსახური, ალექსანდრე ოქროპირიძე, რომელიც 1878 წლის 4 სექტემბერს მოევლინა ამ ქვეყანას.

ალექსანდრე ოქროპირიძის წინაპართაგან პირველი სასულიერო პირი, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში დაცული საბუთებიდან, გახლავთ მღვდელი **გიორგი ოქროპირიძე**, რომელიც XVIII ს-ის 90-იანი წლებიდან მოღვაწეობდა სოფელ კულბითის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში. მამა გიორგის შვილებიდან ორი — ზაქარია და გაბრიელი — ასევე სასულიერო პირები იყვნენ. მღვდელი გიორგი 1829 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა. მისი ვაჟი — **დეკანოზი გაბრიელ ოქროპირიძე** — 1824 წლის აპრილში დაიბადა. 1839-1845 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სემინარიის დასრულებისთანავე დაოჯახდა და საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელი გაბრი-

ელი კულბითის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მას ჰყავდა 6 შვილი: 1846 წლის ნოემბერში დაიბადა ეკატერინე, 1848 წლის 23 იანვარს — მღვდელი ბესარიონი, 1853 წლის 23 იანვარს — სალომე, 1855 წელს — მედავითნე დავითი, 1858 წლის 18 მარტს — სოფიო და კიდევ ერთი ვაჟი — მღვდელი იოანე. მამა გაბრიელი გამორჩეული სასულიერო მოღვაწე გახლდათ, იგი ცნობილი იყო თავისი წიგნიერებითა და განათლებით. ეკლესიაში 60 წლის მანძილზე მოღვაწეობის შემდეგ მრავალი ადამიანი მოაქცია და აზიარა ქრისტეს სარწმუნოებას. XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლოს მამა-გაბრიელი ოისევის ძელიცხოველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1884 წელს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელი უბოძა. 1885 წელს სამკერდე ოქრო ჯვარი მიიღო. 1889 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1896 წლის 13 აპრილს ეკლესიაში 50 წლის ერთგული სამსახურისათვის წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1899 წლის 15 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1901 წლის 16 ოქტომბერს დეკანოზი გაბრიელი თავისი შვილის, მღვდელ ბესარიონის თხოვნით, სოფელ ჭარების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადავიდა, ხოლო თავად ბესარიონი კი დისევის ეკლესიაში დაინიშნა. 1903 წლის აგვისტოში, 48 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა სოფელ აწერისხევის ეკლესიის მედავითნე, მამა გაბრიელის უმცროსი ვაჟი — დავით ოქროპირიძე, რამაც ფრიად დაამწუხრა მოხუცი მოძღვარი. 1903 წლის 26 აგვისტოს იგი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პენსიაზე გავიდა.

მარცხნიდან: დეკანოზი გაბრიელი და მისი ძმა მღვდელი ზაქარია

მღვდელი ბესარიონი 1848 წლის 23 იანვარს სოფელ კულბითში დაიბადა. დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა თბილისის სემინარიაში გააგრძელა. 1875 წლის 25 თებერვალს სემინარიის მეოთხე კლასიდან გამოვიდა და ერთაწმინდის წმინდა ევსტათი პლაკიდას სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. ამავე პერიოდში დაქორწინდა მარიამ ზაქარიას ასულზე, რომელთანაც სამი შვილი — მღვდელი ალექსანდრე, გიორგი და ალექსანდრა ეყოლა.

1877 წლის 27 მაისს ბესარიონი დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1879 წლის 24 დეკემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და ხევსურეთში, სოფელ შატილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1880 წელს ბარისახოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. ამავე წლის 27 ოქტომბრიდან დუშეთის მაზრაში სოფელ ხაჩირაანთკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. 1883 წლის 10 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1884 წლის 8 ოქტომბერს მამა ბესარიონი ჭარების ეკლესიაში დაინიშნა. 1890 წლის აპრილში სკუფია უბოძეს. მამა ბესარიონი დაჯილდოებული იყო იმპერატორ ალექსანდრე III-ის სამახსოვრო ვერცხლის მედლით. 1901 წლის 16 ოქტომბერს დისევის ეკლესიაში განამწესეს. 1913 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1917 წლის 21 იანვარს ჭარების ეკლესიაში დაბრუნდა სამოღვაწეოდ.

ასეთ ტრადიციულ სამღვდელო ოჯახში დაიბადა მომავალი მღვდელმსახური **ალექსანდრე ოქროპირიძე** და არცაა გასაკვირი, რომ სამოღვაწეოდ სასულიერო გზა აირჩია. 1888 წელს მამამისმა პატარა ალექსანდრე გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა აღსაზრდელად, რასაც შემდგომში მოძღვარი ასე იხსენებდა: *„შვიდი წლისა რომ შევიქენ, მამაჩემმა შემისვა ცხენს უკან და წამიყვანა ქ. გორში, სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად. ყოველ დილით დაუკლებრივ, ყველას ერთად ეკლესიაში გვალოცებდნენ ნახევარი საათი... შემდეგ ყველას თავთავიანთ კლასებში გვქონდა კატეხიზმო, სლავიანური გრამატიკა და ბერძნული, რომელსაც ძალდატანებით ყველა ჩვენგანი გაუგებრად, კაჭკაჭივით ვზეპირობდით“.*

1892 წელს ალექსანდრემ სწავლა ქ. ელიზავეტოპოლის ექვსწლიან სამოქალაქო სასწავლებელში გაგრძელა, რომელიც 1898 წელს წარჩინებით დაამთავრა. აქ მან მიიღო მასწავლებლის მოწმობა და უფლება, ემუშავა ნებისმიერ ორწლიან ნორმალურ სასწავლებელში პედაგოგად. 1899 წლის 9 თებერვლიდან 1903 წლის 29 აგვისტომდე ალექსანდრე ასწავლიდა საეკლესიო გალობას ჯერ „ზაკავკასკი“ სასწავლო სემინარიაში, შემდეგ კი — საგარეჯოს სამინისტრო სკოლაში, რომელიც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. 1901 წელს ახალგაზრდა ალექსანდრემ ცოლად შეირთო გერმანელი მეწარმის, ჰენრიხ მალკეს (მას ჰქონდა საკუთარი ქარხანა თბილისში) ასული ოლგა (დაბადებული 1882 წელს). მათ ოთხი ასული და ერთი ვაჟი გაუზარდეს სამშობლოს: ალექსანდრა — დაბადებული 1903 წელს, სოფიო (1906), ევგენია (1908) და გაბრიელი (1909).

1903 წლის 29 აგვისტოს ალექსანდრე დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1903 წლის 31 აგვისტოს მღვდლად დაასხეს ხელი და გორის მაზრაში, სოფელ ჭარების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელო-

ბის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მამა ალექსანდრე ღირსეული გამგრძელებელი გახლდათ თავისი წინაპრების საქმისა. მრავალი წარმართი ადამიანი მოაქცია და აზიარა ქრისტეს სარწმუნოებას. იგი მატერიალურადაც ეხმარეობდა ხელმოკლე ოჯახებს, ხელს უმართავდა მათ სწავლა-განათლების მისაღებად. უსასყიდლოდ ურიგებდა სახელმძღვანელოებს. 1908 წლის გორის IX ოლქის სამღვდელოებამ იგი თბილისის საეპარქიო კრებაზე დამსწრე დეპუტატად გამოარჩია. 1910 წლის 18 აპრილს ეკლესიაში თავდადებული მოღვაწეობისათვის საგვერდულით, ხოლო 1916 წლის 15 მაისს სკუფიით დაჯილდოვდა. 1917 წლის 21 იანვარს მამა ალექსანდრე დისევის ძელიცხოველის სახელობის ტაძარში აგრძელებს მოღვაწეობას. ამავე წელს იგი გორის მაზრის IX ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს.

ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ: ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲒᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ. ᲓᲒᲐᲜᲐᲜ: ᲛᲔᲓᲐᲕᲘᲗᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲐ „ᲞᲠᲘᲡᲢᲐᲕᲘ" ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ. ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1899 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ

1917 წლის 12 მარტიდან (ძვ. სტ.), მას შემდეგ, რაც სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ქართულმა სამღვდელოებამ ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა, შეუწყდათ დაფინანსება სახელმწიფო ხაზინიდან, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მათ მრავალრიცხოვან ოჯახებს. შემოსავლის გარეშე დარჩენილი სამღვდელოებას მატერიალურად ძალიან გაუჭირდა. ამასთან დაკავშირებით, მთავარხუცესმა, მღვდელმა ალექსანდრემ სოფელ კარბში მოიწვა საოლქო კრება, რომელზეც განიხილეს რამდენიმე პრობლემატური საკითხი. აირჩიეს საეპარქიო საბჭო, რომლის შემაგენლობაშიც კრების თავმჯდომარის, მამა ალექსანდრეს გარდა, შევიდნენ მღვდელი გიორგი გვიმრაძე და მღვდელი ანდრია ქუჩუკაშვილი, ხოლო მედავითნეებიდან: მელქისედეკ ივანიძე და ვლადიმერ ოქროპირიძე.

„კრებაზე განიხილეს მედავითნეების მოთხოვნა, რათა ეკლესიის საერთო შემოსავლიდან ორი მეხუთედი მათთვის დაეთმოთ. კრებაზე ერთხმად დაადგინდა: ეს საკითხი გაიგზავნოს განსახილველად სრულიად საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო კრებაზე. აგრეთვე იქონიეს მსჯელობა თავიანთი უკიდურესი მდგომარეობის გამო და დაადგინეს: ეთხოვოს სრულიად საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს, მეუფე ლეონიდეს, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დაუბრუნდეს წართმეული ქონება და ამ წყაროდან მიეცეს სამღვდელოებას გადაჭრილი ჯამაგირი, მღვდელსა — არანაკლებ ოცის თუმნისა და მედავითნეს — ათისა თვეში და მოისპოს ყოველი სამარცხვინო აღება და დამამცირებელი ხელის გაშვერა. უკეთუ ყოველი საეკლესიო წყარო მოსპობილია, მაშინ დაინიშნოს, რაც კი შეიძლება მალე, კომისია, რომელიც მოვალე იქნება შეადგინოს მორწმუნეთაგან მრევლი, მოაწესრიგოს და გამოარკვიოს კრებულის მდგომარეობა. მრევლი შესდგებოდეს დაფანტულ ადგილებში არანაკლებ სამასის კომლისაგან, შექუჩებულში კი — ათასისგანაც. დაინიშნოს სასტიკი მეთვალყურე სასულიერო წოდების პირთათვის და შეუფერებელნი დათხოვილ იყვნენ ადგილებიდან და მიენიჭოთ მათ სრული უფლება თავისუფალის მოქალაქისა".

1917 წლის 9-17 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე მოხდა ეპარქიებში ახალი მთავარხუცესების არჩევა. სამღვდელოების გადაწყვეტილებით, მღვდელი ალექსანდრე ურბნისის ეპარქიის მერეთის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1918 წლის 23 ნოემბერს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მამა ალექსანდრე კამილავკით დააჯილდოვა.

როგორც ურბნისის ეპარქიის დელეგატი, მღვდელი ალექსანდრე ესწრებოდა საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის I და II საეკლესიო კრებებს.

1920 წლის 27 ივნისს გაიმართა საქართველოს ეკლესიის მეორე კრება, რომელსაც მოხსენებითი წერილი გაუგზავნა მღვდელმა ალექსანდრე ოქროპირიძემ, სადაც ის დაუფარავად საუბრობს ეკლესიაში არსებულ იმჟამად პრობლემებსა და სიმძიმეებზე. წერილის სათაურია **„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაღუპვა მოელის"**:

„საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის ივერიის ეკლესია ბრნყინავდა, სათავეში მას უდგნენ ღირსნი მამანი, რომლებიც მზად იყვნენ მუდამ ეკლესიის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირათ, წამებით, თავიანთი ხორცი. სარწმუნოება მათში მტკიცე იყო და აი, ამისთვის, ამა სოფლის წუთიერ

ტანჯვას არად აგდებდენ საუკუნო ნეტარებასთან. როდესაც საქართველო შეუერთდა დახავსებულ, ერთმორწმუნე რუსეთს, ეკლესიაც ხარობდა, ეგონა, რომ ერის დასვენება მას მისცემდა დროს მომეტებულ აყვავებისა და განვითარებისათვის, მაგრამ მოსტყუვდა. რუსის შოვინისტებმა უმთავრეს მიზნათ დაისახეს ჩვენი გადაგვარება, ამოგლეჯა ენისა, გულის უმთავრეს სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ძარღვისა. იმ ძარღვისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს ასულდგმულებდა. მან კარგად იცოდა, რომ ყველა ამგვარ მიზანს მიაღწევდა სარწმუნოების წყალობით. მას კარგა ჰყავდა შესწავლული ქართველი ერი, ის ერი, რომელიც ათასი წლობით, ვით კლდე ანდამატისა, მტკიცედ ებრძოდა

მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად

გარშემორტყმულს მტერს, იცავდა ქრისტეს ჯვარს, ენას, სამშობლოს და არ შეაბღალინა მართლმადიდებელი სარწმუნოება მუსულმანობას, ყველა ამისთვის ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა. დაიღვარა ერთმორწმუნე რუსებისგანაც კი. თავიანთი იდეების განხორციელებისათვის აწამეს ანტონ კათოლიკოსი, დოსითეოსი და ბევრი სხვა მამებიც, მაგრამ სისხლით გაუმაძღარ ბუმბერაზ რუსეთს ამგვარი უმანკო სისხლთა მსხვერპლები არ აკმაყოფილებდა და თავისი ტლანქი ხელებით ელამუნებოდა უმთავრესი ძარღვის ამოგლეჯას. მიზანს კიდეც მიაღწია: დაგვიკეტეს ათონის სასულიერო აკადემია, საიდგანაც გამოდიოდნენ ნამდვილი თავდადებული შვილები სამშობლოსი, აგრეთვე ყველა სასწავლებელი მონასტრებისა, სადაც სწავლობდა მთლად საქართველოს მოწინავე ერის ახალთაობა და მათ სანაცვლოდ დაგვიარსეს თავიანთი სემინარიები და სასწავლებლები, რომლებთაც მართლა მიაღწიეს თავიანთ მიზანს, დაამახინჯეს ყოველივე ჩვენგანი იქ მოსწავლე, და აი, სამწუხაროდ, დღეს აღარც ერთ ჩვენგანს აღარ უდუღს სისხლი კათოლიკოზთა ანტონისა, დოსითეოსისა და გოგია დიაკვნისა. ჩვენ, მონობაში აღზრდილებს, არ შეგვწევს ძალა ხმის ამაღლებისთვის და აი, ჩვენმა გაჩუმებამ მიაქანა ჩვენი ეკლესია საუკუნო უფსკრულამდის.

ალექსანდრე ოქროპირიძე 1926 წლის ივლისში

რესპუბლიკანური მმართველობაა დამყარებული განათლებულ საფრანგეთში, მაგრამ მათი ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გამოეყო, ღირსეულად არსებობს ისევ და ერიც ღირსეულ პატივსა სცემს მას, მის წარმომადგენელ რომის პაპს და მის ხელქვეითებს. მათზედ განათლებული გერმანია და ინგლისიც არ შეეხო, რევოლუციის დღეებშიაც კი სიწმინდეს და სარწმუნოებას. ჩვენი სამშობლოს ერი კი, რუსეთისგან გადაგვარებული, დღეს ჭკუას იჩემებს, ამ საკითხში განათლებულ ევროპას წინ უხტება, ყველა საქმეებს გვერდზეც მოუწესრიგებელს სტოვებს, ძარცვა-გლეჯის გაბატონებას თავს ანებებს და ღმერთს და ეკლესიას უცხადებს ცხარე ომს, სამწუხაროდ, ეკლესიის წარმომადგენელნიც, რუსეთის სკოლიდგან გადაგვარებულნი, ღირსეულად ველარ იცავენ თავიანთ პოზიციას და აი, ილუპება ჩვენი ეკლესია და, მასთან, ილუპება ჩვენი ერიც.

დღეს დაიკეტა ყველა სასულიერო სასწავლებლები, გამოდევნილ და გათახსირებულ იქნა, ყველგან მუდამ პირველ ნიადაგზედ დაყენებული საღვთო სჯული, რომელიც აფაქიზებდა და სულიერად ახეირებდა ჩვენს ახალ თაობას.

დღეს ვერაგულად, არა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, არამედ მისი ეკლესიის დაღუპვისათვის, იტაცებენ მისი და ჩვენი ალალი შრომით შეძენილ ქონებასაც კი. და ჩვენ, ყველანი, გულხელდაკრეფილნი, გაჩუმებულნი ვუმზერთ ყველა ამას და თავისუფალი მოქალაქენი, თავისუფალ რესპუბლიკაში, სიტყვის თავისუფლების დროს, ხმას ვერ ვიღებთ.

სირცხვილი ჩვენთვის! ეს სამუდამოდ დაღუპავს ჩვენს ეკლესიას და ერს, იმ ერს, რომელმაც სარწმუნოების წყალობით შეინარჩუნა ის, რითაც დღეს იგი ამაყობს და არსებობს".

1921 წლის 21 თებერვალს რუსეთის ახლად შექმნილმა კომუნისტურმა იმპერიამ მოახდინა საქართველოს ანექსია. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი დაპატიმრება-დახვრეტები. განსაკუთრებით თავადაზნაურობას და სამღვდელობას დაუდგა მძიმე დღეები. გამონაკლისი არც მამა ალექსანდრე ყოფილა; მას კა-

ტეგორიულად მოსთხოვეს, დაეტოვებინა მღვდელმსახურება და გაეხადა ანაფორა. მოძღვარი მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა.

1921-1922 წლებში, ლიახვის ხეობაში მომხდარი კონფლიქტის დროს, როდესაც ოსური ბანდები მშიერი მგლებივით მოედნენ ხეობას და აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს, მამა ალექსანდრემ დიდი წვლილი შეიტანა მათი ალაგმვის საქმეში. მან პირადი ავტორიტეტისა და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით მოახერხა და კომუნისტებთან საერთო ენა გამონახა. პირადად ეახლა საშა (ალექსანდრე) გეგეჭკორს და ხეობის დასაცავად იარაღი სთხოვა. მამა ალექსანდრემ ცხენებით ჩამოიტანა იარაღი და მოსახლეობას თავდასაცავად დაურიგა. მართლაც, იმ პერიოდში ბევრი ქართული სოფელი გადარჩა აწიოკებას და ამაში დიდი ღვაწლი მამა ალექსანდრეს მიუძღვის.

1924 წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს ისედაც გატანჯულ და დადარდიანებულ მოძღვარს. მოულოდნელად გარდაეცვალა ცხოვრების თანამგზავრი და ერთგული მეუღლე. მრავალრიცხოვანი შვილების აღზრდა-პატრონობა მამა ალექსანდრეს დააწვა.

ხელისუფლების წარმომადგენელნი არ ასვენებდნენ მამა ალექსანდრეს. მალე იგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამწყსო და საერო სამსახურში გაეგრძელებინა მოღვაწეობა. იგი სიცოცხლის ბოლომდე სოფელ დისევის სკოლის პედაგოგად მუშაობდა. იმ უღმერთობის ხანაში მრავალი ახალგაზრდა ღირსეულად აღზარდა. მუდმივად სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარულზე ესაუბრებოდა, რადგან ეკლესიასა და ღმერთზე საუბრის უფლება აღარ ჰქონდა.

მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე 1959 წელს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. მისი ცხედარი სოფელ დისევის მიწას მიაბარეს.

ფოტოისტორია

მაკურთხებელი მარჯვენა

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაბადების დღისა და ინტრონიზაციის მოსალოცად საპატრიარქოს მონასტრის მონაზონმა მარიამ ანუამ მოგვაწოდა დაახლოებით 30 წლის წინ გადაღებული ფოტო, რომელიც წმინდა სამების პატარა ტაძარში, ბზობის დღესასწაულის შემდგომაა გადაღებული.

რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ-ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე.
გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი სოლომონ შოშიაშვილი 1851-1928

დეკანოზი სოლომონ ანდრიას ძე შოშიაშვილი 1851 წელს კახეთში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მამამისმა იგი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. 1870 წელს სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა. 1876 წელს ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა მაშინვე ჩაება საეკლესიო ცხოვრების ფერხულში. სამუშაოდ იგი დასავლეთ საქართველოში განამწესეს და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 1879 წლის 29 იანვარს თბილისის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს და ეკონომოსის თანამდებობა ჩააბარეს, სადაც სოლომონმა 1884 წლის 23 სექტემბრამდე იმუშავა. ამავე პერიოდში დაქორწინდა თამარ გიორგის ასულზე. სოლომონმა და თამარმა ოთხი ქალიშვილი აღზარდეს: ნინო, მარინე, ელენე და ქეთევანი.

1880 წლის 2 მარტს სოლომონი დიაკვნად აკურთხეს და თბილისის სასულიერო სემინარიის კარის ეკლესიაში განამწესეს. 1884 წლის 23 სექტემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და ქაშვეთის წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დანიშნეს. ამავე წელს საგვერდულით დააჯილდოვეს. 1885 წელს მამა სოლომონი თბილისის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. თბილისის ოლქის სამღვდელოება სიხარულით შეხვდა ახალგაზრდა და ენერგიული მოძღვრის არჩევას ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია" ამის შესახებ: *„ღვთის მადლით, იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენს ახალგაზრდა სამღვდელო პირებზე, რომელნიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ გაასწორონ და წესიერ და ღირსეულ ნიადაგზე დაამყარონ თვისი მდგომარეობა. ასევე გვჯერა, რომ ისინი სათავეში ჩაუდგებიან ჩვენს სამღვდელოებას, გამოირკვევენ ყველა საყურადღებო საკითხ საგნებს და გონივრულად განსჯიან საზოგადო საბლალოჩინო (იგულისხმება სამთავარხუცესო — რედაქცია) კრებებზე პატივცემულ თბილისის სამღვდელოების მთავარხუცესის, მამა სოლომონ შოშიაშვილის მოთავეობით, რომელიც ფრიად თანაუგრძნობს ყოველ კეთილ აზრს და საქმეს ჩვენის სამღვდელოების ცხოვრების გაუმჯობესებისას".*

1885 წლის სექტემბრიდან მღვდელი სოლომონი ავლაბრის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს და საგვერდულით დააჯილდოვეს. 1886 წლის 3 იანვარს მისი თაოსნობით ავლაბრის ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის მასწავლებლად მან მოიწვია თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული — თომა ასათიანი (შემდგომში — მღვდელი), რომელიც გულმოდგინედ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მამა სოლომონს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ სამრევლო სკოლის პატარა შეგირდებს ასევე ესწავლათ ქართული საეკლესიო გალობა და შემდეგ მათგან შეედგინა „ხორო" (გუნდი), რომელიც ტაძარში წირვა-ლოცვის დროს იგალობებდა. ეს წადილი ორ წელიწადში განხორციელდა, რაც მამა სოლომონისა და სკოლის მასწავლებლის, თომა ასათიანის დიდი დამსახურება იყო. ამასთან დაკავშირებით მღვდელი სოლომონი 1886 წელს სკუფიით დაჯილდოვდა. თომა ასათიანის შემდეგ ამ სკოლაში ასწავლიდნენ: ნიკოლოზ გაგუნაშვილი, პართენ ცაგარელი, ჩიხლაძე და იოანე შუაქრიშვილი. მათი დახმარებით მამა სოლომონმა სკოლის მოსწავლეთაგან საუკეთესო გუნდი ჩამოაყალიბა და შემდგომ წლებში ისე გააუმჯობესეს გალობა, რომ მათ ავლაბრის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის გარდა, თბილისის სხვადასხვა ეკლესიებშიც იწვევდნენ საგალობლად.

1889 წლის 6 მაისს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მამა სოლომონს კამილავკა ეწყალობა, ხოლო 1893 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. მამა სოლომონი წლების განმავლობაში მუშაობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სასულიერო წოდების ღარიბ ოჯახთა სამზრუნველო საბჭოში და იყო სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საძმოს წევრი.

1897 წლის 1 თებერვალს მღვდელი სოლომონი ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1899 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1899 წლის 25 ივლისს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ეკლესიაში პატიოსანი და თავდადებული სამსახურისათვის, გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მამა სოლომონს დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1885-1893 წლებში იგი თბილისის საეპარქიო სანთლის ქარხანაში გამგედ მუშაობდა. 1903 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

დეკანოზ სოლომონს კეთილმოწესეობისას ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვა, რის გამოც ერთი პერიოდი იგი ამ თანამდებობიდან გადაყენეს კიდეც. 1905 წლის 31 მაისს საქართველოს ეგზარქოს ალექსისა (ოპოცკი) და სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ ნიკანდრის ბრძანებით, კაზაკებმა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამართული სამღვდელოების კრება დაარბიეს. ჩაფრებმა და კაზაკებმა კრების მონაწილე მღვდლები მათრახებით უმოწყალოდ სცემეს და აიძულეს, დაშლილიყვნენ. შემდგომში უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში წერდა: *„ავედი დარბაზში, შევამჩნიე, რომ ფოტოსურათებით დაფარულ სამხრეთ კედელს ერთი სურათი აკლდა. გრძელი მერხი გავწიე და მის ქვეშ დავინახე საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის, იმხანად მოსკოვის მიტროპოლიტის — ვლადიმერის მინაში ჩასმული საკაბინეტო სურათი. სურათი თავის ადგილზე დავკიდე და დარბაზიდან რომ გამოვედი, მამა თავჯდომარეს (იგულისხმება მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი) შევხვდი. მან მაცნობა, ახლა კეთილმოწესეთა სხდომა გაიმართება (თვითონაც კეთილმოწესე იყო) და პროტესტის ნიშნად სამსახურს თავს დავანებებო. სხდომის შემდეგ მეფისნაცვალთან წავალ, მოხსენებას წარვუდგენ, თქვენც ხომ არ წამოხვალთო? — მკითხა ბოლოს. ვურჩიე, სჯობს, ერთი მდივანი წაიყვანოთ, ერთიც მღვდელი, რომელსაც ნაცემი ატყვიამეთქი. კეთილმოწესეთა მიერ „გაფიცვის“ გამოცხადების შემდეგ მამა თავმჯდომარე მეფისნაცვალს ეწვია. მეფისნაცვალმა აღუთქვა, საქმეს გამოვიძიებო.*

როგორ შეხვდა ეგზარქოსი „კეთილმოწესეთა გაფიცვას“ ან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღდგენის შესახებ შედგენილი პეტიციის წარდგენის ცნობას? მთავარეპისკოპოსს გაუჭირდა გადაეჭრა საკითხი, თუ ვინ დაენიშნა სოფლის სამღვდელოების კეთილმოწესედ, სამაგიეროდ, მარტივად გადაწყვიტა თბილისის კეთილმოწესის **სოლომონ შოშიაშვილის** *საქმე — მის ადგილას დეკანოზი სერგი გოროდცევი დანიშნა, ის გოროდცევი, ვინც თვენახევრის წინათ თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის კლასების ინსპექტორის თანამდებობაზე უვარგისად სცნო“.*

1912 წლის 24 ნოემბერს დეკანოზი სოლომონი თბილისის მაზრის I ოლქის სამღვდელოებამ ერთხმად აირჩია ამავე ოლქის სულიერ მოძღვრად. 1914 წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. 1914 წლის 13 მარტს ხელმეორედ დაინიშნა თბილისის მაზრის I ოლქის მთავარხუცესის თანამდებობაზე. 1916 წლის 9 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა (როჟდესტვენსკი) ენქარით დააჯილდოვა.

დეკანოზი სოლომონი ესწრებოდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას. საქართველოს გასაბჭოებამ, ეკლესია-მონასტრების დარბევამ და სამღვდელოების დევნამ ძლიერ იმოქმედა მხცოვან მოძღვარზე. ამას დაერთო ავადმყოფობაც და 1922 წელს მან საკათალიკოსო საბჭოს სთხოვა, გაეთავისუფლებინა ეკლესიის წინამძღვრობიდან და მთავარხუცესის თანამდებობებიდან, თუმცა როგორც უშტატო მღვდელმსახური, სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა ტაძარში სამსახურს.

დეკანოზი სოლომონი 1928 წლის 31 მარტს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი 4 აპრილს დიდი პატივით დაკრძალეს კუკიის წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზე.

შემორჩენილია დეკანოზ სოლომონის ერთი ქადაგება, რომელიც მან 1890 წლის 13 თებერვალს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის, **დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის დაკრძალვაზე** წარმოთქვა:

„როდესაც რომელსამე საზოგადოებას მოაკლდება სასარგებლო და პატიოსანი წევრი, მაშინ საზოგადოება იგი მიეცემა საშინელს დარდს, გლოვას და ჰგოდებს მის დაკარგვას. მიზეზი ამ მდგომარეობისა ის არის, რომ საზოგადოება ამნაირის თავისის წევრის მოკლებით ჰკარგავს საუკუნოდ ერთს სასარგებლოს და მოღვაწე კაცს. ბევრი დრო გადის და საზოგადოება ვერ ჰპოულობს იმის ბადალ წევრს და მით უფრო უცხოვლდება გლოვა და ვაება. აი, სწორედ ჩვენც, ძმანო ქრისტიანენო, დღეს დავემსგავსენით ამ საზოგადოებას. გარემოცულნი ვართ რაღაცა გამოურკვეველის დუმილით და მივცემივართ აქ გლოვასა და

გოდებას. დღეს ყველანი ერთად შეგვკრიბა ერთმა მოულოდნელმა, შესაზარელმა უბედურებამ და ყველანი ერთბაშად დაგვაღონა და დაგვაძმარა. რა უბედურებაა ეს იმისთანა, რომელმაც სხვადასხვა წოდებისა, სხვადასხვა საზოგადოებისა და მიმართულების ხალხს დღეს ერთად მოგვიყარა თავი და აღძრა ჩვენ შორის ერთნაირი ფიქრი, გლოვა და გოდება! მინდა დავასახელო მიზეზი ამნაირის ჩვენის მდგომარეობისა, მაგრამ გული ნებას არ მაძლევს და ვერც წარმოუდგენია ჩემს გონებას, რომ ნამდვილ გვეწვია ეს უბედურება, ნამეტნავად იმ მიზეზით, რომ ეს უბედურება ყველასათვის შესაზარია და სამძიმო! დღეს შეუბრალებელმა სიკვდილმა მოუქნია თავისი შეუწყნარებელი ბასრი ხმალი პატიოსანს, გამოჩენილსა და შესანიშნავს კაცს, დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეს, მოუსპო სიცოცხლე და ჩვენ წაგვართვა საუკუნოდ ერთი იშვიათი სწავლული და ყველა ქართველისთვის სასიქადულო გვამი. და აი, ეს უბედურებაა მიზეზი ჩვენის გოდებისა და გლოვისა. რითი დაიმსახურა დიმიტრიმ ამნაირი სახელი წინაშე თვისთა მოძმეთა და, საზოგადოდ, წინაშე სწავლულთა და განათლებულთა ხალხთა? მან დაიმსახურა ესე თვისის მიმართულებით, პატიოსნებით, ღვთის სიყვარულით, ძვირფასის შრომითა და მოღვაწეობით. იგი, როგორც ქრისტიანე და ღვთის მოყვარე, ყოველთვის ჭეშმარიტად ასრულებდა იესო ქრისტეს მცნებას და საუნჯედ მიაჩნდა სახარება მისი. ეს მცნება სიყმაწვილიდგანვე ჰქონდა ჩანერგილი გულში და დღევანდლამდე არ შერყეულა მის პატიოსანს და მრავალ-ნაყოფიერს ნიადაგზედ. ამ მხრივ დიმიტრი იყო ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი კაცი. ერთის სიტყვით, თავის ცხოვრებით, საქმით და სარწმუნოებით იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე და არა მარტო ქრისტიანედ წოდებული.

განსვენებულმა დიმიტრიმ უფრო უმეტეს სხვა ღვაწლითა და შრომით დაიმსახურა სიყვარული და პატივი წინაშე თვისის სამშობლოსი და კაცობრიობისა. იგი იყო კაცი სწავლული, მის სპეციალურ ღვაწლს შეადგენდა სამშობლო ისტორია და არქეოლოგია. აი, ამ მხრით მან დიდი სარგებლობა მოუტანა თავის სამშობლო ქვეყანას და ქართველთა ერს. მან ამნაირის ღვაწლით ცხადად დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ ქართველთა ერი ოდესმე ყოფილა განვითარებული, მას არ გაუტარებია თვისი წარსული უკვალოდ და დაუტოვებია მომავალთათვის სასიქადულო ნაშთნი.

განსვენებულმა დიმიტრიმ მრავალ მოგზაურობის შემდეგ, სხვადასხვა შესანიშნავ ადგილებითა და სხვადასხვა სასიქადულო ნაშთის აღმოჩენით, ცხადად დაუმტკიცა მთელ ევროპას, რომ საქართველოსაც ჰქონია თავისი თვითმყოფი არქიტექტურა, მინანქრიანი ხელსაქმე, ჩუქურთმა და სხვანი. ამ აზრის დასამტკიცებლად განსვენებული არ სჯერდებოდა მარტო ზედა დედამიწის ნაშთებს, არამედ თვით მის გულშიაც კი ეძებდა და ჰპოულობდა კიდეც სხვადასხვა საგანს, რომელნიც ცხადად ამტკიცებდნენ წარმატებას ძველთა ქართველთა ერისას. სურვილი ძველის დიდების გამოკვლევისა იმდენად ღრმად იყო დანერგილი და გაღვიძებული იმის გულში, რომ არავითარს შრომას არა ჰზოგავდა და ყველა ღონისძიებას ხმარობდა, თვითონაც გაეგო და სხვისთვისაც დაემტკიცებინა მნიშვნელობა რომელისამე ძველის ნაპოვნის ნაშთისა. და აი, ეს შეადგენდა იმის დიდებასა და გულითადს სიხარულს.

ამ ღვაწლით განსვენებულმა დიმიტრიმ დიდი სასიქადულო სარგებლობა მოუტანა ჩვენს ეკლესიებს. მან მოგზაურობის დროს შეადგინა სია ძველთა ნაშთთა და ამით დაიცვა იგინი უგუნურთა მძარცველთაგან. ერთის სიტყვით, ძველთა ნაშთთა გამოკვლევა იყო განსვენებულის მოუშორებელი დედააზრი. განსვენებული ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ დაეარსებინა სავანე ამ ძველთა ნაშთთათვის თბილისში. სულითა და გულით შეუდგა ამ სასიქადულო საქმეს და დახმარებითა ზოგიერთ სამღვდელოთა, მან მალე შეასრულა თვისი წადილი და განხორციელდა მისი აზრი. მისის წინადადებით აღშენდა სიონის ეკლესიის ეზოში მუზეუმი ძველთა საეკლესიო ნაშთთა დასაცველად. კურთხევისთანავე ამ სახლისა, განსვენებულმა დიმიტრიმ შესძინა მრავალი ძველი და ძვირფასი ნივთი. იმან ბევრი იშრომა და იშუამდგომლა წინაშე უმაღლეს მთავრობისა, რათა დაებრუნებინათ რუსეთიდგან ის სხვადასხვა საეკლესიო ნივთი და ხელნაწერობა, რომელნიც იყო გადატანილ არქეოლოგიურ საზოგადოებისაგან. ერთის სიტყვით, ეს მუზეუმი განსვენებულს დიმიტრისათვის შვილი იყო სწორედ და თვითონაც ისე სიყვარულითა და სიხარულით შესცქეროდა და ზრუნავდა იმის წარმატებისათვის, როგორადაც ჭეშმარიტი მშობელი თვისთა შვილთათვის.

განსვენებულის დიმიტრის მოღვაწეობას შეადგენს არა მარტო ზემოთ მოხსენებულნი, არამედ სხვა მრავალი. თითქმის ყველა წოდების წინაშე მიუძღოდა იმას შრომა და ყველგან პატიოსნად ასრულებდა თვის მოვალეობას. დიმიტრი ბაქრაძე იშვიათი მოვლენა იყო ჩვენის ერისათვის და აი, ეს იშვიათი მოვლენა — პატიოსანი, დაუღალავი მეცნიერი მუშაკი, რომელიც თვისის ჭკუით, გონებითა და მიმართულებით ყველასათვის იყო სამაგალითო ლამპარი, ეს სა-

ზოგადო მოძღვარი დღეს წინაშე ჩვენსა უძრავად განისვენებს. ის ბაგენი, რომლითაც მოგვითხრობდა და გაგვაცნობდა სხვადასხვა ძველს ნაშთებს, დღეს დადუმებულან გარემოცულნი სიკვდილის ძალით! ის დედამინა, რომელიც მას მეცნიერების საგნად ჰქონდა და რომელშიაც ჰპოულობდა სხვადასხვა ძვირფასს ნივთს, დღეს უქადის იმას შთანთქმას და რამდენსამე წამს შემდეგ საუკუნოდ მოგვაშორებს და დაჰფარავს მეცნიერს კაცს თავისის ცივისა და შეუბრალებელის წიაღით. აი, ძმანო, ცხადი მიზეზი, რისთვისაც დღეს ყველანი ერთბამად ვგლოვობთ და ვგოდებთ!

შენ, პატიოსანო მოძღვარო და მეცნიერო დიმიტრი, დღეს სიკვდილის ძალამ წაგართვა ყოველივე ღვთისაგან მონიჭებული მდიდარი თვისება და შეგქმნა უძრავ, მაგრამ შრომა შენი და პატიოსანი სახელი დარჩება ჩვენ შორის საუკუნოდ და სასიქადულოდ. გაივლის ბევრი დრო და ვეღარ შევხვდებით შენისთანა მოღვაწეს და მეცნიერს კაცს და აი, დღეს უკანასკნელად გხედავ შენ და რამდენისამე წამს შემდეგ უკანასკნელად გამოგესალმებიან შენნი მოძმენი, თანამშრომელნი, შენი პატიოსანი ოჯახი და ნათესავნი. მეც, ცოდვილი მღვდელი, წევრი ღვთისმშობლის სიონის ძმობისა, მისის სახელით გიძღვნი გულითადს მადლობას შენის დაუვიწყარის შრომისა და მოღვაწეობისათვის, რომელიც მიიღე ძმობისათვის და რომელიც შეადგენს შეურყეველს საფუძველს საეკლესიო მუზეუმისას. ამინ".

საქართველოს ეკლესიის პირველი კრება 1917 წელი. მარცხნიდან: კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი და მიტროპოლიტი ანტონი. ცენტრში — მამა სოლომონი

ფოტოგამოფენა „თვალსანიერი"

„ყოველი სული აქებდით უფალსა" ავტორი — მარიამ გაგუა



„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ-ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია) 1852-1923

XIX-XX საუკუნის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მოღვაწე და ასკეტი ბერი ღირსი მამა ალექსი შუშანია 1852 წლის 23 სექტემბერს, სამეგრელოში, სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში, ღვთის მორწმუნე ლევან შუშანიასა და ელენე შავდიას მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. დედამისი ელენე ყოველდღე დილით და დაწოლისას, ლოცულობდა ხატის წინაშე და გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს შემდეგი სიტყვებით: **„ღმერთო, ჩემს შვილებს გარდმოუვლინე შენი მადლი და განამტკიცე შენს სარწმუნოებაზე“**. *თავად ალექსი ბერი საკუთარი ყრმობას ასე იხსენებდა: „წელსა მეშვიდესა შემიყვანეს შკოლაში და ვსწავლობდი შესანიშნავ ნიჭით, ასე რომ, სულ მცირე დრო მჭირდებოდა გაკვეთილისათვინ, ხოლო უმეტესი დრო სულ თავისუფალი ვიყავი და ასე მეორე კლასსში გადავედი პირველ მოსწავლედ და მეორე კლასში გადასვლისთანავე გავხთი მძიმე ავად, რომლითა სრულიად გამოთხოვებულ ვიქმენ სწავლას. ასე რომ, შემდეგ გამორჩენისა, მამამ, რომელიც ზუგდიდში ვაჭრობდა, თავისთან დამაყენა საფართლოში. 1868 წელს გარდაიცვალა მამა ქ. ზუგდიდში, რომელმან სიკვდილის ჟამს მიმიწოდა და კურთხევა გადმომცა და გულითადი დალოცვის შემდეგ ხელი დედისა ჩემისა ჩემს ხელში ჩადვა და ჩამაბარა დედა და დანი. დავრჩით ობლად ორი ძმა და ოთხი დები დედის ხელში. ამ დროს ვიყავი 16 წლის“.*

მამის სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა ალექსი გაემგზავრა ქ. სტამბულში, სადაც იმ დროს ცხოვრობდა და ვაჭრობდა ბიძამისი ისლამ შუშანია. ისლამის ოჯახში ალექსის დახვდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსისა. იგი დაეწაფა ამ წიგნების კითხვას. მან ერთი წელი დაჰყო სტამბულში და აქ მოხდა მკვეთრი გარდატეხა მის მსოფლმხედველობაში. სარწმუნოებრივი განწყობით გაჟღენთილი დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ალექსი ხშირი სტუმარი იყო გელათისა და მარტვილის მონასტრებისა, რომელთა წიგნთსაცავებში გატაცებით ეცნობოდა ძველ ხელნაწერებს. ამ ხანებში მას სანიმუშო კალიგრაფიით გადაწერილი აქვს „ექვსთა დღეთა“ ბასილი დიდისა, წიგნი ისააკ განშორებულისა და მამათა ცხოვრება. ამავე ხანებში მას ხუცურად გადაუწერია გელათის გულანის საგალობლები.

ერთ დღეს ალექსი მივიდა თეკლათის დედათა მონასტერში, სადაც მას დახვდა ათონის წმინდა მთის ქართველთა სავანის წინამძღვარი, ილუმენი ბენედიქტე (ბარკალაია), რომელმან უთხრა: „იესო ქრისტეს სახელით გთხოვ და წამომყევ ძველ ათონში, დროებით, ვინაიდგან მაქვს ბევრი საწერ საქმეებიო“. ქრისტეს სახელით თხოვნის შეუსრულებლობა ძალიან ძნელ იყო ალექსისათვის და მისცა პირობა, რომ გაჰყვებოდა. გამოეთხოვა თავისიანებს და გაჰყვა მამა ბენედიქტეს ათონზე. მათთან ერთად გელათის მონასტრიდან წავიდა მღვდელ-მონაზონი თეოდორე (ერისთავი), ფრიად განათლებული ასკეტი ბერი, რომელიც სამუდამოდ დარჩა ათონზე და იქიდან უწევდა სულიერ ხელმძღვანელობას სამშობლოში დაბრუნებულ ალექსის. ათონის წმინდა მთაზე ალექსიმ დაჰყო ხუთი თვე. სამშობლოში დაბრუნებისას გზად გამოიარა ქ. კიევში, მოილოცა პეჩორის ლავრა და იქიდან საქართველოში ჩამოვიდა. მალევე მამა ალექსის ქადაგებით მისმა ძმამ, ბესარიონმაც, დატოვა საერო ცხოვრება და მანაც მონასტერს მიაშურა.

1880 წელს ალექსიმ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს (ქიქოძე), რომელიც იმჟამად სამეგრელოს ეპარქიასაც განაგებდა, სთხოვა, თეკლათის კუნძულზე განმარტოებით ცხოვრების უფლება მიეცა; მაგრამ მეუფემ არ ურჩია კუნძულზე მარტო მოღვაწეობა და ლოცვა-კურთხევა მისცა, გელათის მონასტერში, თავისი მოძღვრის, მამა თეოდოსის სენაკში დაბინავებულიყო, რაც აღასრულა კიდეც. მომდევნო წელს იგი ხობის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ბენიამენმა (ჭყონიამ) ბერად აღკვეცა. 1886 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ბერი ალექსი დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1888 წელს მღვდლად დაასხა ხელი.

1890 წელს მამა ალექსი, ავადმყოფობის გამო, თეკლათის მონასტერში დაემკვიდრა, თავის მონაზონ დედასთან და დებთან ერთად. საღვთო გამოცხადების შედეგად მან გადაწყვიტა დაბინავებულიყო მენჯში, მთავარანგელოზთა კუნძულზე. როდესაც ამაზე ეპისკოპოს გრიგოლისგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, 1891 წელს სენაკის მშენებლობაც წამოიყო. ღვთისნიერ ადამიანთა დახმარებით ნელ-ნელა გამოიკვეთა ძველი, სანახევროდ დანგრეული მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი. შემოიკრიბა მონაფეები და შეუდგა

ამ სავანეში მოღვაწეობას. მალე მისი ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა და წირვა-ლოცვის აღსრულებაც დაიწყო.

მამა ალექსის სავანეს საეკლესიო მთავრობასთან არავითარი ოფიციალურ-ადმინისტრაციული დამოკიდებულება არ ჰქონია. არავითარი ჯილდო და სიგელი მას არ მიუღია, თუმცა ხშირად სთავაზობდნენ. უბრალო სამკერდე სამღვდელო ჯვარსაც არ ატარებდა. მონასტერი საეკლესიო მთავრობისაგან არავითარ ფულად დახმარებას არ იღებდა. მამა ალექსი, თავის რამდენიმე მონაფესთან ერთად, საკუთარი შრომით ცხოვრობდა.

1898 წელს იგი სრულებით ჩაიკეტა თავის სავანეში და სიკვდილამდე დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდა. გარეშე მნახველებს მხოლოდ შაბათ-კვირაობით იღებდა. დროს ლოცვასა და სულისათვის სასარგებლო შრომების წერაში ატარებდა.

საინტერესოა მისი ცხოვრების რეჟიმი: ჭამდა დღეში ერთხელ, ცხოვრობდა უბრალოდ და სადად, ეცვა ძაძის ანაფორა. თავის ოთახში ლოცულობდა განმარტოებით. მისი საყვარელი ლოცვა იყო: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი". ლოცვის დროს ზოგჯერ მხარზე ზურგით იპყრობდა საგანგებოდ დამზადებულ კაცის სიმაღლის ხის ჯვარს. გოლგოთაზე ამავალ ქრისტეს მაერთებსო, — იტყოდა ხოლმე მახლობლებთან საუბარში. მიუხედავად მკაცრი, ასკეტური ცხოვრებისა, მამა ალექსი მაინც ახლოს იყო ხალხთან. წერდა ლექსებს, სულის მაცხოვნებელი წერილებით ამხნევებდა მრევლს და ამხელდა იმ დროს გავრცელებულ ათეისტურ ცრუმსოფლმხედველობას.

მამა ალექსის მრავალი მტერი და მოშურნე ჰყავდა, რომლებიც არ ერიდებოდნენ არანაირ მეთოდებს მის წინააღმდეგ. ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით აკრიტიკებდნენ მის მოღვაწეობას და ცილისწამებასაც არ იშურებდნენ მისთვის. ერთ-ერთი ასეთი წერილი გამოქვეყნდა 1903 წელს ჟურნალ „კვალის" ფურცლებზე, სადაც ვინმე „ბატონი ოტია" ალექსი ბერის სახელის გასატეხად წერდა, თითქოს წმინდა ბერს ეთქვას ახალი სენაკის რაიონში მცხოვრები გლეხისათვის, შენი მიცვალებული ცოდვების გამო მინამ არ მიიღო (ე. ი. გვამი არ გაიხრწნა) და ისე ძევს საფლავშიო. მიცვალებულის პატრონმა საფლავი გათხარა, მაგრამ ალექსის ნათქვამი არ დადასტურდაო.

მამა ალექსი და მამა გესარიონი

წმინდა ალექსი შუშანიას საფლავზე აშენებული ეკლესია

ტრიფონ კალანდარიშვილმა გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე საკადრისი პასუხი გასცა თავხედ ავტორს. აი, რას წერდა იგი: *„კვალის მე-20 -ში დაბეჭდილია სოფელ სახარბედიოდან ერთი უცნაური და დაუჯერებელი წერილი, რომელიც სავსეა სიცრუითა და ლანძღვა-გინებით. ვინაიდან გულუბრყვილო მკითხველი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ბატონ ოტიას სიტყვებმა, ამიტომ მსურს მკითხველს ვაუწყო შემდეგი: ნამდვილია, რომ ზემოხსენებულ სოფელში არის მონასტერი, სადაც შესდგომია დაყუდებულს ცხოვრებას, ეს ათ წელიწადზედ მეტია, მღვდელ-მონაზონი ალექსი შუშანია, ბატონ ოტიას მიერ აბუჩად აგდებული. ხოლ 30 წელიწადზე მეტი იქნება, რაც ამ პატიოსანმა ადამიანმა დატოვა ყოველივე ამა წუთისოფლისა, თავისს სენაკშია განუშორებლად, არ დადის სოფლად და ქალაქად, ატარებს დროს წირვა-ლოცვაში თვით მონასტრის ეკლესიაში. გამოვა ხოლმე მონასტრიდან მხოლოდ მაშინ, როცა მღვდელმთავარს ჰსურს მისი ნახვა (ასე იყო 1899 წელს, როცა დედათა მონასტერში მობრძანდა ეგზარქოსი ფლაბიანე, 1902 წელს ყოვლადსამღვდელო დიმიტრიმ (აბაშიძე) ინახულა ისევ დედათა მონასტერში და 1903 წელს ეგზარქოსმა ალექსიმ, რომელთაც დაიბარეს ხსენებული მღვდელ-მონაზონი ახლომდებარე დედათა მონასტერში).*

სწორედ სამწუხაროა, როდესაც მართლაც მტკიცე და შეურყეველს თავის სარწმუნოებაში ადამიანს სწამებენ ისეთ ცილს, რომელიც მიუდგომელს და გარემოების მცოდნე ადამიანს ზიზღსა ჰგვრის. გვიბრძანოს ბატონმა ოტიამ, სად, როდის და რომელ ეკლესიაში ამოთხარეს მღვდელ-მონაზონ ალექსის შთაგონებით მიცვალებული? რომელ ეკლესიაში იყო, რომ ხსენებული პირი „აწითლდა" საზოგადოების წინაშე? შეიძლება სხვა ვინმე ბოროტმოქმედებდეს პატივცემულ მღვდელ-მონაზონის უანგარო ცხოვრებით, მაგ-

რამ ამას, ბატონო ოტია, რად უნდა დაუჯეროდ? თუ ბატონი ოტია ოდიშელია და გაუგონია მამა ალექსიზედ რამე, ყოველს შემთხვევაში იმისს მსგავსს, რასაც იგი სწერს, არ გაიგონებდა.

ჩემის აზრით, როდესაც ამისთანა ცილსა სდებენ ადამიანს, როგორც იკადრა ბატონმა ოტიამ, ვერაფერი საქციელია ნიღაბაფარებული ლანძღვა-გინებით გაქელოს ადამიანის ღირსება და მიწასთან გაასწოროს. გვაკვირვებს დიდად, რომ ბატონ ოტიას ვერ გაუგია საქმის გარემოება და ისე ცილს სწამებს ასეთს პირს, რომელიც პატივისცემის ღირსია და რომელსაც სასულიერო მთავრობაც ძლიერ კარგად იცნობს.

რაღა გვეთქმის! ღმერთო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა სწერენ!"

თავად მამა ალექსი დიდად აუღელვებია ამ ჭორს და მიუმართავს მაზრის უფროს როზანოვისათვის კორესპონდენციაში მოყვანილი ცნობის შესამოწმებლად. მაზრის უფროსს დაუკითხავს ამ წერილში მითითებული გლეხი და მისი მეზობლები, მაგრამ ცნობა არ დადასტურებულა.

1918 წლიდან მამა ალექსის ლოცვა-კურთხევით, მისი ბიძაშვილები, მონაზვნები — ფავსტო და აკეფსიმა თეკლათის მონასტრიდან გადავიდნენ მთავარანგელოზთა სავანეში სამოღვაწეოდ. წმინდა მამას ჯანმრთელობა ამ დროისათვის საგრძნობლად შერყეული ჰქონდა. იგი მწვავე ფორმის მალარიამ და გულის დაავადებამ შეიპყრო. ტაძარში გადმოსულ მონაზვნებს უნდა ეზრუნათ ავადმყოფ სულიერ მამაზე და თან გაძღოლოდნენ ტაძარსა და საცხოვრებელ ეზო-მიდამოს.

ხანგრძლივი მოღვაწეობით დამაშვრალი ღირსი მამა ალექსი შუშანია 1923 წლის 18 იანვარს (ახ. სტილით 31 იანვარს) გარდაიცვალა.

ქრისტესმოძულე მთავრობის მიერ სავანის მოსალოდნელი დარბევის შიშით, დებმა, მონაზვნებმა ფავსტომ და აკეფსიმამ, მამა ალექსის ცხედარი თეკლათის მონასტერში დაკრძალეს, თვითონ კი მთავარანგელოზთა სავანეში დარჩნენ სამოღვაწეოდ. 1960 წლის 8 იანვარს ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემის (სიდამონიძე) ლოცვა-კურთხევით, ღირსი მამის უხრწნელი გვამი თეკლათის დედათა მონასტრიდან გადაასვენეს და მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის მახლობლად დიდი პატივით დაკრძალეს.

1995 წელს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია) წმინდანთა დასში შეირაცხა ღირსი მამის სახელწოდებით.

2001 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ალექსი ბერის საფლავზე პატარა ტაძარი ააგეს.

მღვდელ-მონაზონი ალექსი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მწყემსსა" და „შინაურ საქმეებთან", სადაც მრავლად ქვეყნდებოდა მისი სტატიები. დღესდღეობით მისი წერილები და დარიგებანი გამოცემულია რამდენიმე ტომად. ამჟამად გთავაზობთ მამა ალექსის ერთ უცნობ წერილს, რომელიც მან 1917 წლის 1-4 სექტემბერს თბილისში გამართულ ბერმონაზონთა კრებას გაუგზავნა. წერილი საყურადღებოა თავისი ღრმა შინაარსითა და დღევანდელი ბერმონაზვნებისთვისაც ფრიად აქტუალური იქნება:

„არა არს ქვეყანაზედ ისეთი მოვლენები, რომელთა პირველ შობილ იდეალურ სახეს ფერი არ ეცვალოს და არ დამახინჯებულიყოს. სწორედ ასე დაემართა ბერობის იდეასაც. ვისაც ნათელაზროვნებით განუხილავს პირველ ყოფილი ბერობის სული, ღრმად ჩაუხედნია მის გენიურ ლტოლვაში და მისი არსებობის ნამდვილი სახე წარმოუდგენია საღ გონებით, მწამს, რომ გულახდილად აღიარებს, რომ დღევანდელ ბერობას მხოლოდ სახელი და გარეგანი მხარე შერჩენია. დღეს ქვეყნის პირიდან აღიგავა ჭეშმარიტი ბერების სახე და ნაცვლად ამისა მეფობს უნაყოფო, უმადლოდ, ანგარებით, დიდებისმოყვარებით გამოფიტული ცარიელი ფორმა. დღეს მონასტერში მეფობს ბატონყმობა და არა ძმობა. ე. ი. უფროსების ბატონ-ბრძანებლობა, ჯამაგირთა გადიდება და არა ძმურად ჯამაგირ-შემოსავლისა თანასწორ განაწილება. წინამძღვარი იგივე ბერია, ვითარცა თითოეული წევრი კრებულისა და ისეთი ადამიანია, როგორც მორჩილი. ამისთვის ათასი მანეთი და მეორისათვის ასი განა შექმნის ძმობას და ააყვავებს მონასტერს? განა ეს ეკუთვნის ქრისტეს მცნებას: თქვენ ყველანი ერთ ხართ. ავიღოთ ჩვენი სასიქადულო წმინდა ექვთიმე ათონელის კანონი, სადაც წერია: თუ წინამძღვარმა განასხვავოს თავი თვისი საჭმელ-სასმელით, ჩაცმით და ყოველგვარი ნივთიერ მოთხოვნილებით, იგი აღტაცეთ ხელით და გადასვით ბჭის გარეთ. ასეთი თანასწორობა და ძმობა უნდა ედვას ერთა ცხოვრებას მონასტერში კავშირად და არა ბატონობა, კადნიერებად ნუ ჩამომერთმევა თქმა და, რასაც აქ ვლაპარაკობ, ის საქმითაც განხორციელებულია ჩვენს სავანის ძმობაში და მაინც ვერ წარგვიმართია გზა კეთილ ბერობისა, თორემ ერთს ათასი მა-

ნეთი, მეორეს ასი რომ ეძლევა, რას შექმნის, თუ არა იმას, რომ განადიდებს უამისოდაც ჩვენს საცოდავ ბუნებაში ჩაქსოვილ ინტერესს, შურს და სიძულვილს. შეიძლება ვინმემ წინა მიყოს პასუხად მამათა სწავლაში ხსენებული „მორჩილება" უპირატეს ყოველთა სათნოებათა ცნობილად. დიახ, მეც ამისი თანახმა გახლავართ, მაგრამ მიტომ მოგასხენებთ ამ წერილის თავში: არა არს ქვეყანაზედ ისეთი მოვლენა, რომლის პირველ შობილ სახეს ფერი არ ეცვალოს — მეთქი. სწორედ ბერობის იდეალურ სახეს ისე ეცვალა ფერი, რომ მხოლოდ ეს ლექსი — „მორჩილება" — საბატონყმობო იარაღად შერჩენია და მეტი არაფერი. ის მამები, რომლებმაც მორჩილების სათნოებას უპირატესობა მისცეს, მზესავით უნდა უნათებდნენ გულის კარს მორჩილებას, არა ბატონურ მბრძანებლობით, არამედ ნამდვილ მამობრივი სიყვარულის ჩვენებით, თან უპოვარ, უანგარო, უჩინოსნო და ნივთიერად თანასწორი ცხოვრების მაგალითის მიცემით. აი, ასეთი საღმრთო ნდობით აღჭურვილ მამებს შეუორგულებლად ემორჩილებოდნენ მონაფენი. და რომ ასეთი მამები ამხანაგურად ექცეოდნენ მორჩილებს და არა ბატონურ უფლებით, ამას ამტკიცებს მთელი მამათა ცხოვრების სწავლა, რომლის ზღვა მაგალითისაგან ერთს მოვიყვან საბუთად: მორჩილს და მის წინამძღვარს მოუვიდათ უკმაყოფილება, რის გამო სხვა ვინმე რჩეული მამა ჩადგა მათ შორის საქმის მოსაგვარებლად. მონაფეს ეკითხება ურჩობის მიზეზს და იგი მიუგებს: ბრძანებლობით მითხრაო და არა მამობრივი სიყვარულითო, რის გამო შუამავალმა ბერმა წინამძღვარი განაკრძალა.

ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲔᲒᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ

ჭეშმარიტებაა, რომ ყოველმა საბერო პირმა, როცა შედის მონასტერში, უნდა უარყოს თავისი ნება და დაემორჩილოს მონასტრულ მართვა-გამგეობას, რადგან ესრეთი თავისი უარყოფა პირველი მისი უფლებისა, მისივე თავისუფლებით შეწირულ არს ქრისტესადმი, როგორც მისი სულის ხელმძღვანელისადმი, მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღევანდელი მონასტრები ვერ უწევენ ხელმძღვანელობას ახალ შემოსულ საბეროს მამობრივი სიყვარულით და სათნოების ჩვენებით. აგრეთვე არც საბეროების მხრით მართლდება ჭეშმარიტ ბერულ მიზნით გამოსვლა, არამედ მათ ახელმძღვანელებს უფრო საქვეყნო დიდება და ხარისხით ზე აღნევა. და ესე ვითარად ვგონებ სამონასტრო ბერულ ცხოვრების ჩარხი დაჰქანდა დაღმართ და ლამის დაიმსხვრეს. ასე და ამგვარად, ჩვენი მონასტრების დაცემულ მდგომარეობას ვერას უშველის თბილისში, სამ სექტემბერს სამონასტრო კრების ზრუნვა და ვერც ბატონყმობრივი „დისციპლინის" აღდგენა, თვით უფროსების სათაყვანოდ შედგენილი უმცირესობის ზურგზე. აქ მშვენიერად მოეზავების ქრისტეს მიერ ყვედრება სჯულის მეცნიერთა მიმართ: „თქვენდაცა ვაი არს, რამეთუ აღკიდით კაცთა ტვირთ ძნიად სატვირთავი და თქვენ ერთითაცა თითითა არა შეახით ტვირთსა მას" (ლუკ. 11. 46). უკანასკნელი საშვალება, რომ ჩვენს წინაპართა მიერ დიდებული საისტორიო შენობანი მონასტრებისა ეგოს უკუნისამდე დაუქცეველ ძეგლებად, უნდა დაარსდეს და მოთავსებულ იქმნეს ამ შენობებში საშვალო და უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო აწ არსებული თანამედროვე გადაგვარებულ ბერების იმედი აღარას გვარგებს, რადგან გაივლის ხანი და ულმერთო, უიდეო და უშინაარსო ბნელ პირებს სასტიკი მსაჯული გაღვიძებულ დროისა, ექსორია ჰყოფს მათ სულით ამაღლებულ წინაპართა მიერ დაარსებულ წმინდა სავანეთაგან".

„ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲜᲘ" ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ბაზარაძე, სერგო კვერესელიძე, გაერცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

სადღეისოდ დაცულია პეტერბურგის აზიის მუზეუმის ქართულ ფონდში. შესაძლებელია, ასევე ხანძთელი მოღვაწე იყოს გიორგი, რომელსაც XVII საუკუნეში კაცხიდან ალავერდის ოთხთავი ხანძთაში გადაუტანია, შემდეგ კი ხელნაწერი კვლავ გეგუთში დაუბრუნებიათ.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ადიშის სახარების ხელნაწერი IX საუკუნეში სწორედ წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებმა გადაწერეს შატბერდში.

რუბრიკას უძღვება
მარიამ გაგუა

ფოტომატიანე

დეკანოზი პანტელეიმონ გედევანიშვილი 1858-1924

„მოძღვარი, როგორც დღიური მუშა, გვერდში ედგა კალატოზთ და მუშაობდა“

დეკანოზი პანტელეიმონ გედეონის ძე გედევანიშვილი 1858 წელს გორის მაზრის სოფელ კავთისხევში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. მამამისი — მღვდელი გედეონი წლების განმავლობაში საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სოფელ ჩარგალში მსახურობდა. მამამ პატარა პანტელეიმონი სასწავლებლად გორის საქალაქო სასწავლებელში მიაბარა. 1877 წელს მან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1883 წელს მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სემინარიის დასრულებისთანავე პანტელეიმონი დაოჯახდა. მას ორი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა: დიმიტრი (1884 წ.), სერგი(1893 წ.), მაკრინე (1895 წ.); მისმა ვაჟებმა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრეს, ხოლო ასულმა — თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი.

1883 წლის 7 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევი) პანტელეიმონი დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს კი მღვდლად დაასხა ხელი და ქსნის ხეობაში, სოფელ ახალგორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1885 წლის 1 ნოემბერს მღვდელი პანტელეიმონი ახალგორის სახალხო სამინისტრო სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1889 წლის 6 აპრილს კეთილსინდისიერი სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. 1893 წლის 15 მაისს სკუფია უბოძეს. 1899 წლის აღდგომას წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი უწყალობა.

მამა პანტელეიმონმა სამრევლოში ჩასვლისთანავე ახალგორის მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი თავისი უბრალოებითა და თავმდაბლობით მრევლში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. სოფლის გლეხობამ მთელი გულით შეიყვარა ქრისტეს ერთგული მხედარი. 1897 წელი მეტად მოუსავლიანი გამოდგა ქსნის ხეობაში. ხანგრძლივმა გვალვამ გააფუჭა მთელი წლის ნაშრომ-ნაჯაფი და ხალხი მოსავლის გარეშე დარჩა. მამა პანტელეიმონმა დაუყოვნებლივ გაათავისუფლა ახალგორის ტაძრის მრევლი იმ წლის საეკლესიო გადასახადისაგან და, პირიქით, თავად გაუწია მატერიალური დახმარება მრევლის ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს.

დიდი შრომა გასწია მამა პამტელეიმონმა ახალგორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის გამშვენება-გალამაზებისთვის. მრევლის დახმარებით მან ეკლესია საჭირო ნივთებით შეამკო, შეიძინა ახალი საღვთისმსახურო წიგნები, საეკლესიო შესამოსელი, ბარძიმ-ფეშხუმი, ხატები. წამოიწყო ეკლესიის ეზოსა და გალავნის შეკეთება.

აი, რას წერდა მისი მოღვაწეობის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1899 წლის ერთ-ერთ ნომერში, სათაურით „კეთილი მოძღვარი“: „ახლად გასული წელიწადიც მწარე იყო, წინანდელ წარსულ წლებივით, ქსნის ხეობის გლეხებისათვის. თითქმის ერთადერთ კეთილ სახსოვრად დაგვრჩება ახალგორის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლის, მამა პანტელეიმონ გედევანიშვილის შრომა. ამ პატივცემულმა მღვდელმა თავს იდო ზევით ხსენებული ეკლესიის გალავნის გადიდება და კიდეც თითქმის სავსებით ამ მიზანს მიაღწია. განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ამ კეთილმა მწყემსმა თითქმის სრულიად გაანთავისუფლა თავისი სამწყსო გალავნისათვის საჭირო არა მცირედი ხარჯისაგან. მამა პანტელეიმონმა თავის მნათის დახმარებით კერძო პირებს სთხოვა შემწეობა. ცუდად არ ჩაუარა ცდამ და დახმარება აღმოუჩინეს. მოძღვარი, როგორც დღიური მუშა, გვერდში ედგა კალატოზთ და მუშაობდა, მხნეობდა და ამხნევებდა მათ. სამწუხაროდ, ასეთი მეცადინეობის მიუხედავად, გალავანი, რომელსაც არა მცირე სიგრძე-სიგანე აქვს, მაინც ვერ დაამთავრეს, ცოტაოდენი კიდევ დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ თუ

ჩვენი მოძღვარი დღევანდელი გვეყოლა, საქმეს მალე მოეღება დასასრული. ამ საქმეს ბატონმა მნათემ შესწირა ათი თუმანი, ბაქარ მზარეულიშვილმაც კიდევ ხუთი თუმანი და სხვა. ამ პირებთან ერთად გულითადი მადლობის ღირსია თავადი შალვა რევაზის ძე ერისთავი, რომელმაც ფულით შემწეობის გარდა, დაუთმო გალავნისათვის ძველი ნასახლარი ეკლესიის გვერდით".

1899 წლის 27 აგვისტოს მამა პანტელეიმონი ქვემო კავთისხევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს და გორის მაზრის მეორე ოლქის მთავარხუცესად დანიშნეს. იმავე წლის 1 სექტემბერს კავთისხევის სახალხო სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. 1901 წელს 6 მაისს კამილავკა ეწყალობა, 1909 წელს კი სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1913 წლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წელს, თავისი თხოვნის საფუძველზე, უარი თქვა მთავარხუცესის თანამდებობაზე და მხოლოდ მის თანაშემწედ დარჩა.

მამა პანტელეიმონი ესწრებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ და მეორე საეკლესიო კრებებს. 1919 წელს ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მას დეკანოზის წოდება მიანიჭა.

1921 წელს, საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, ეკლესიის მდგომარეობა ფრიად გამძიმდა. ბოლშევიკური ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ეკლესია-მონასტრები დახურეს ან სასტიკად დაარბიეს, სასულიერო პირებს აიძულებდნენ, გაეხადათ ანაფორა, მიეტოვებინათ ეკლესიაში მსახურება და საერო სამსახურში გადასულიყვნენ. ბევრი მართლაც ვერ უძლებდა შექმნილ ვითარებას და საბოლოოდ ტოვებდა სასულიერო ხარისხს. მეტად მძიმე ვითარება იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. გორის მაზრის, მეტეხის ოლქის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამავე ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ფილიპეს ძე ელისაბედაშვილი, რომელიც საკათოლიკოსო საბჭოს ატყობინებს ბოლო პერიოდში დატრიალებულ მოვლენებს: *„1923 წლის 4 მაისს გორის მაზრის სოფელ კავთისხევის რევკომის ბრძანებით, იქაურმა კომსომოლისტებმა წაიღეს მთლიანად ზემო ნიჩბისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია და სახსორის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები, ნივთები, ქონება და დაკეტეს ისინი. ჩემი თანაშემწის, დეკანოზ პანტელეიმონ გედევანიშვილისაგან შევიტყვე, რომ ქვემო კავთისხევის ეკლესია, მასთან ერთად ქვათახევის მამათა მონასტერი, წინარეხის, ზემო კავთისხევის, ქვემო ხანდაკის და ძეგვის ეკლესიებსაც იგივე ბედი ეწიათ, თუმცა მათი წინამძღვრებისაგან არავითარი ცნობა არ მიმიღია".*

დადგა 1924 წელი... მცირე ხნით თავისუფლებანაგემი მოსახლეობა ვეღარ ეგუებოდა კაცთმოძულე წყობილებას და ფარულად შურისძიებისათვის ემზადებოდა, რასაც უცხოეთში გადახვეწილი მთავრობის შემოგზავნილი ემისრებიც ხელს უწყობდნენ.

მოსახლეობის იდუმალი მზადებისა და აგვისტოს აჯანყების შესახებ კარგად იცოდნენ საქართველოს ეკლესიაშიც. სასულიერო პირები თანაუგრძნობდნენ კიდეც მათ. ამხნევებდნენ და სულიერად განამტკიცებდნენ თავისუფლებამოწყურებულ ახალგაზრდებს. კავთისხეველმა დეკანოზმა პანტელეიმონ გედევანიშვილმაც ყოველივე კარგად უწყოდა, თუმცა ფრიად აწუხებდა ის ფაქტი, რომ აქაური ბიჭები ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი და მათი თავგანწირვა ამაო იქნებოდა.

სწორედ ამ დროს მოხუცი მოძღვარი ავად გახდა. ხურვებაატანილი სხეული თანდათან უსუსტდებოდა, მაგრამ შინაგანი ხმა, მოვალეობის გრძნობა, სენზე ძლიერი გამოდგა.

პანტელეიმონი ნათლად ხედავდა, სრულიად საქართველოსათვის რა უბედურება მოჰყვებოდა ნაჩქარევ, მოუმზადებელ გამოსვლებს და ქვათახევის მონასტრის მიდამოებში თავშეფარებულ აჯანყების მესვეურთ ევედრებოდა, ტყუილად ნუ დააღვრევინებთ ქრისტიანების სისხლს ადამიანობადაკარგულ, უღვთო სატანის ნაშიერთ, რომელთაც არ იციან, რა არის შებრალებაო.

მოძღვარი საფრანგეთიდან ჩამოსულ ქართველებსაც ბევრს ემუდარებოდა, როცა ქვეყანას მართავდით, ჯარითა და იარაღით ვერ ივარგეთ და ახლა ფეხშიშველა გულად ბიჭებს ნუ გააჟლეტინებთ მოძალადეებს, მათთან ერთად ნუ დაიდებთ ათასთა ცოდვასო.

მოსახდენი მოხდა... ფილთა თოფებით აღჭურვილ ვაჟკაცებს მტერმა რეგულარული არმიის ნაწილები, არტილერია და ჯავშნოსანი მატარებელი დაუპირისპირა. კიდევ ერთხელ დადგა საქართველოში განუკითხაობის, სისხლიანი წვიმების დრო. აჯანყებულთა მცირე ნაწილმა თავს უშველა, უმრავლესობა კი მტკიცე ლენინელი ჯალათების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც დამნაშავესა და უდანაშაულოს აღარ არჩევდნენ, მათ სისხლიანი გეგმა ჰქონდათ შესასრულებელი.

გამარჯვებულთა მსახვრალმა ხელმა სოფელ კავთისხევსაც უწია. ოქტომბრის ერთ წვიმიან დილას ჩეკისტებით გარშემორტყმული უდანაშაულო ადამიანების ერთი ჯგუფი წინ გაირეკეს. სოფელს გლოვისა და შიშის ზარი აძრწუნებდა.

როდესაც ავადმყოფმა მამა პანტელეიმონმა ეს ამბავი გაიგო, ლოგინიდან წამოდგა, შეიმოსა, ჯვარი

ქართულ-კახეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსთა შეკრება 1916 წელს. ზედა რიგში მარცხნიდან მესამე — დეკანოზი პანტელეიმონი

ინინამძღვრა და განწირულთა კვალს დაადგა. მრევლი ევედრა, მათ ვერას უშველი და ხიფათსაც გადაეყრებიო. მოძღვარმა თავისი არ დაიშალა და შეიარაღებული არაკაცებით გარშემორტყმულ უმწეოთა ჯგუფს მაშინ წამოეწია, როდესაც ის სოფელს კარგა მანძილით იყო გაშორებული.

ანაფორიანი კაცის გამოჩენამ ბადრაგის მეთაურიც გააკვირვა და გაოცებულმა ჰკითხა ბერიკაცს, საით გაგიწევია ასეთ ამინდშიო. მამა პანტელეიმონმა აუხსნა, რისთვისაც დაედევნა: მოძღვარი ჭირშიც და ლხინშიც თავისიანებთან უნდა იყოს, რას გვერჩით, ვის რა დავუშავეთო.

— შენ არას გერჩით, — ცივად მიუგო მეთაურმა, — ესენი მშრომელი ხალხის კლასობრივი მტრები არიან და კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხიო.

— არა, შვილო, არ დაიჯერო, ამ საცოდავებს რა მტრობა შეუძლიათ. მათი საქმე ხვნა-თესვა, მიწის მოვლა-პატრონობაა, — უმტკიცებდა მოძღვარი.

— ამათ გორში ჩავიყვანთ. იქ გაირკვევა მტყუან-მართალი, უდანაშაულოებს ხვალვე დავაბრუნებთო, — დაჰპირდა ხელისუფლების წარმომადგენელი.

მღვდელი მიხვდა, რომ მწარედ ატყუებდნენ, ტალახში დაიჩოქა და შეევედრა მთავარ ჯალათს – ესენი გაუშვი, შვილო, რადგან მართლები არიან ღმერთთანაც და კაცთანაც. თუ ცოდვა რამ აქვთ ჩადენილი, მე მაზღვევინეთ, ჩემი ბრალი ყოფილა და მევე უნდა დავისაჯო, როგორც ამათი მოძღვარი და ჩამგონებელიო.

მონღოლი დამპყრობლები უფრო ადამიანურები აღმოჩდნენ XIII საუკუნეში, ვიდრე ქართველი ლენინელი ჯალათები. ბადრაგის უფროსმა ხელქვეითებს უბრძანა: „რა გააჭირა საქმე, თუ ასე სწადია, შეაგდეთ ესეც მაგ ვირიშვილებთანო“.

ვინ ჩაიყვანა გორამდე პატიმრები?..

კარგად რომ ჩამობნელდა, სოფლიდან მოშორებით, სადღაც უადგილო ადგილას, ორწოხებში გაამწკრივეს და მშრომელი ხალხის სახელით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

გაფითრდა მამა პანტელეიმონი, წინ გამოიჭრა, პატიმრებს ანაფორის კალთა გადააფარა და აყვირდა: „ნუ მაყურებინებთ უდანაშაულო ადამიანთა დახვრეტასო“. რაზმის უფროსმა ორჯონიკიძის ნაჩუქარი მაუზერით პირველად მღვდელი დაცხრილა... ჯალათებმა მოძღვარს თხოვნა აუსრულეს – არ აყურებინეს მოძმეთა ჟლეტას.

იმ დროს ეს ამბავი სოფელში ყველას პირზე ეკერა. ზოგი ამტყუნებდა მოძღვარს, ხომ ვეუბნებოდით, ნუ წახვალო... უფრო მეტი კი გულში იწონებდა, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

ილუმენია ნინო (ვაჩნაძე)

ილუმენია ნინო, ერში — თავადის ქალი ელენე, 1878 წელს, კახეთში, ცნობილი მემამულის. დავით ვაჩნაძის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მან ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან არსებულ ქალთა სასწავლებელში მიიღო, რომელიც 1893 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ იგი მცირე ხნით რუსეთში გაემგზავრა, სადაც პედაგოგიური კურსები გაიარა. სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა და ენერგიულმა მასწავლებელმა ბოდბის მონასტრის სასწავლებელში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. ამასთან, მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-კურთხევით, სხვადასხვა მორჩილებასაც ასრულებდა.

თავისი ალერსიანი და ყურადღებიანი ბუნების წყალობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით ელენე ვაჩნაძე სათაყვანო პიროვნება გახდა მონაფეებისათვის. იგი ცოცხალი მაგალითი იყო მათთვის. გაკვეთილებს მეტად მარტივი და ადვილად გასაგები ენით გადმოსცემდა, რითაც სრულიად გადაახალისა და გამოაცოცხლა მონასტრის სასწავლებელი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მასწავლებელი დასწრებოდა ელენეს ჩატარებულ გაკვეთილს და აღტაცებაში არ მოეყვანა მის პედაგოგიურ გამოცდილებას. მოსწავლეებზე არანაკლებ უყვარდათ და აფასებდნენ მას თავად ბოდბის მონასტრის რუსი მონაზვნებიც. გულნატკენნი, განსაცდელსა და გაჭირვებაში მყოფნი, ხშირად მიაშურებდნენ ხოლმე მის კელიას და გულზე მოწოლილ დარდს მასთან საუბარში იქარვებდნენ. 1899 წლის 14 იანვარს, საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანეს (გოროდეცკი) ლოცვა-კურთხევით, ელენე ვაჩნაძე სამონაზვნედ აკურთხეს.

1902 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) ბოდბის მონასტრის წინამძღვრად მონაზონი იუბენალია (მარჯანიშვილი) დანიშნა, რომელმაც სამონაზვნე ელენე თავის თანაშემწედ აიყვანა. წინამძღვარი და მისი თანაშემწე გაათმაგებული ძალებით შეუდგნენ მონასტერში სწავლა-განათლებისა და საეკლესიო გალობის აღდგენას და უმოკლეს დროში მათმა მცდელობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო.

1910 წლის 27 მაისს სამონაზვნე ელენე სამეგრელოში, თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად გადაიყვანეს და ნინოს სახელით მონაზვნად აღკვეცეს. 1911 წლის 24 ივლისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცა, ილუმენიას წოდება მიანიჭა და კვერთხით დაჯილდოვდა. ილუმენიად დადგინებისას მეუფე ლეონიდემ სიტყვით მიმართა მას:

„სრული სიწრფელით, ჩემი გულის მთელი ძალითა და გრძნობით მოგილოცავ, ახლად დადგინებულო პატიოსანო დედაო ილუმენია ნინო, უმაღლეს ეკლესიურ ხარისხზე აღწევას. საუკეთესო იმედებით აღვსილი და საღმრთო მხიარულებით აღფრთოვანებული გადმოგცემ ამ კვერთხს, რომელიც არის შენი უფროსობის, შენი უფლებამოსილების, შენი ძალისა და უპირატესობის გარეგანი ნიშანი.

ღვთისაგან ნაკურთხსა და ყველაფრით დალოცვილს შენს სათაყვანო სამშობლო — ქიზიყში, რომლის ისედაც გამოუთქმელ სიტურფეს აათკეცებენ მისი ხშირი მთებიდან და მაღლობებიდან ტყესავით ატეხილი, თეთრად გამომზირალი ქვითკირის მოხდენილი ეკლესიები, ეჭვს გარეშეა, ხშირად გენახვება დიდძალი ცხვრების ფარები, რომლებსაც თვალდაუხუჭავად და მუხლჩაუკეცავად სდარაჯობენ და თავს დასტრიალებენ გონება შეკრებილი, ჩაფიქრებული და დინჯად მოუბარი მწყემსები, აუცილებელი თავმოკაუჭებული დიდრონი ჯოხებით ხელში. უსათუოდ შენიშნული გექნება, რომ ამ ყავარჯნებს, ანუ კვერთხებს, მწყემსები მარჯვედ ხმარობენ ხოლმე, როდესაც მათ ძვირფას ცხვრებს ეპარება ქურდი ან მტაცებელი ნადირი. ამ ყავარჯნებს გადუქნევენ ხოლმე თვით ცხვრებს, თუ ისინი ერთმანეთში იბრძვიან და მოსვენებას არ აძლევენ ერთიმეორეს, ამ ყავარჯნებით გამოითრევენ ხოლმე

შამბ-ეკალ-ბარდებში გაბმულ ან წყალში და ღრანტეში გადავარდნილ ცხოველებს, ამ ყავარჯნების საშუალებით ერეკებიან მათ საუკეთესო საძოვრისაკენ, საამო ჩეროში და სამშვიდობო ბინაზე, გარნა ამ ყავარჯნებს პატრონები არასოდეს არ ხმარობენ თავიანთი ცხვრების უბრალოდ და უმიზნოდ გასალახ-სარტყმელად.

ეს შენი უფროსობის სიმბოლო, ახალი, მადლიანი კვერთხიც, ნურც ერთხელ ნუ იქნება შენგან გადაქნეული შენი პატარა სულიერი სამწყსოს რომელიმე წევრისადმი უმიზნოდ და უმიზეზოდ ტკივილის მისაყენებლად. ცხვრებისათვის თავდადებული მწყემსის მსგავსად ნურც შენ მისცემ შენს თვალსა და მუხლებს მოსვენებას, თავდადებით უდარაჯე დღე და ღამ, საწინამძღვრო კვერთხით ხელში, ღვთისაგან მოცემულ შენს სამწყსოს, რომ არსაიდგან შემოიპაროს მგელი და არ წარგიწყმიდოს რომელიმე ყავარი, იფხიზლე და თვალყური ადევნე, რომ დათა შორის არა დაითესოს რა და ფეხი არ მოიკიდოს ისეთმა რამემ, რაც მავნებელია მათი მონაზვნობის წოდებისათვის და, საჭირო შემთხვევაში, იმარჯვე კვერთხი ესე, მოსწვი ამით, როგორც ჯოჯოხეთის ქვით, თესლი ბოროტებისა და სისწრაფით ამოფხვარ იგი ძირიან-ფესვიანათ შენი საგამგებლოდან, ოდნავაც არა მიმხედველმან ვისიმე ხათრისა, ანუ შიშისა, იმხნევე, იზრუნე, იმუშაკე, იღვაწე და იგულსმოდგინე, როგორც ერთგულმა ჭირისუფალმა, რომ შენს ხელქვეითებს არ აკლდეთ არც ხორციელი და არც სულიერი საზრდო-საკვები, რომ შენმა სულიერმა შვილებმა აქაც კეთილად იმოქალაქონ და იქაც ღირსნი აღმოჩნდნენ სასუფეველის დამკვიდრებისა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მძიმე და ძნელი განსახორციელებელია, ნათქვამის შესრულება აღემატება ჩვენს უძლურებას, მაგრამ მაინც ნუ შესწუხდები და ნუ დაეჩაგვრინები ამაო შიშს: გაიხსენე ის გარემოება, რომ თვით საქმით, პირადი გამოცდილებით, საკუთარი ცხოვრებით გაცნობილი, მიჩვეული და რამდენადმე უკვე მომზადებული ხარ ამ სიმძიმის საზიდავად; გაიხსენე რომ მხსნელმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელიც „მონაზონთა დიდება და მოღვაწეთა შემამკობელია", მოგცა უდიდესი ბედნიერება სიყრმიდგან მონასტერში აღზრდისა ისეთი დიდებული სულიერი მნათობის კალთის ქვეშ, როგორიც არის მოციქულთა სწორი წმინდა ნინო. ქართველი ერის სულიერმა საუნჯემ, წმინდა ნინოს მადლით მოსილმა საფლავმა, რომლის მსახურებაშიაც განვლე საუკეთესო ხანა შენი ქვეყნიური ცხოვრებისა, საკმაოდ გაგაცნო სიტკბო ქრისტეს სიყვარულისა, ქრისტეს გამოსახვისა გულსა და გონებაში, ქრისტეზე და მხოლოდ ქრისტეზე სასოების დამყარებისა, და რაღათ უნდა გერიდებოდეს საწინამძღვრო კვერთხისა, როდესაც

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის აღსაყდრება. სვეტიცხოველი 1921 წელი

წმინდა ნინოს ცხოვრებიდან იცი, რომ ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა (მარკ. 9, 23), როდესაც თვითონ იესო ტკბილი გასწავებს, უკეთუ გაქვნდეს სარწმუნოება და არა შეორგულდეთ... ჰრქვათ თუ მთასა ამას: აღიფხვარ ამიერ, და შთავარდი ზღვასა, იყოს ეგრეთ და ყოველსა, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ (მათე 21, 21-22).

მაშ, მოვედ კადნიერებით, ქრისტესაგან გამორჩეულო დედაო ილუმენია და მიიღე ჩემი ულირსებისაგან კვერთხი ესე, „რომლითაც დამტკიცებითა სამწყსო შენი წარმართო, რამეთუ ჯერ გიჩნს სიტყვისა მიცემად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა.

დედის სიხარული და ბედნიერება, უსათუოდ, მისი მოსიყვარულე შვილებისთვინაც სასიამოვნოა, რამდენადაც გასახარელი და სანეტარაა ეს დღე თქვენი სულიერი დედისათვის, იმდენად სანეტარაა და სადღესასწაულოა იგი თქვენთვისაც, პატიოსანნო დედებო და დებო. რა დარიგებით, რა მოძღვრებით და სწავლით გაგიმასპინძლდეთ დღეს, რომ უფრო გაღრმავდეს თქვენი სიხარული, უფრო შეგნებით დასტკბეთ თქვენს ცხოვრებაში შესანიშნავი დღესასწაულით?

ყოველთვის, როდესაც კი შემთხვევა მქონია ამ წმინდა ტაძარში წირვა-ლოცვის მოსმენისა, მადლითა და შეწევნითა ღვთისათა არ დამიტოვებიხართ ისე, რომ არ მომემართნოს თქვენდამი ჩემი სუსტი გონებისაგან შესაძლო სწავლა-დარიგებით. დღეს კი იმაზე უკეთესს, იმაზე შესაფერს და თქვენს მდგომარეობაზე უფრო ზედგამოჭრილს ვერას გეტყვით, რის მოსმენაც ძველ დროთგანვე სავალდებულოდ უცვნია დათა და ძმათათვის წმინდა ეკლესიას წინამძღვრის დადგინების გამო. აი, ეს საგულისხმო მოძღვრება:

„თქვენცა, პატიოსანნო დედანო, თანა გაძსთ წინამძღვრისა ამის თქვენისა პატივისა ღირსისა მიცემად და დამორჩილებად უფლისა მიერ, ვითარცა შვილთა დედისა მიმართ, ვითარცა მოწაფეთა, მოძღვრისა მიმართ, ვითარცა ცხოვართა მწყემსისა მიმართ, თვინიერ ყოვლისავე ურჩებისა და უჯეროებისა, მცნებისამებრ საღმრთოისა მოციქულისა პავლესსა, რომელი იტყვის: ძმანო, დაემორჩილენით წინამძღვართა თქვენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის. და ესეც უწყოდეთ, რამეთუ ყოველნი ხელმწიფენი ღვთისაგან განწესებულ არიან, და რომელნი წინააღუდგებიან ხელმწიფებასა, ღვთისა ბრძანებასა წინააღდგებიან და წინააღმდგომნი იგი ცოდვასა თავისა თვისისათვის შეინწყნარებენ, ხოლო ცოდვა იგი შობს სიკვდილსა სულიერსა. ამისთვისცა, რათა არა მოჰკვდეთ, იყვენით მორჩილნი, გაქვდინ სიყვარული და ამისთვისცა ღმერთი იმყოფებოდეს თქვენს შორის“.

იყავნ, იყავნ. ამინ!“

იღუმენია ნინოს თაოსნობით, 1911 წლის 13 ნოემბერს თეკლათის მონასტერთან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლთან ამოქმედდა ეკლესია, რომელიც ეპისკოპოსმა ლეონიდემ წმინდა ნინოს სახელზე აკურთხა. 1913 წლის 6 მაისს, ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობის გამო, იგი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1917 წლის 12 მარტს (ახალი სტილით: 25 მარტს) სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საკათედრო ტაძარში ჩატარდა საგანგებო ნირვა, სადაც აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. ამ მოვლენის შემდეგ დაიწყო ღია დაპირისპირება ქართველ და რუს სამღვდელოებასა და მრევლს შორის, რადგან რუსეთის წმინდა სინოდი და დროებითი მთავრობა არ სცნობდა ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას და ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ძველი პრივილეგიები ჩვენს ეკლესიაში. დაძაბული მდგომარეობა იყო ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერშიც. აი, რას აქვეყნებდა გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1917 წელს თავის ერთ-ერთ ნომერში: „პეტროგრადის უწყებები“ წერს: ბოდბის მონასტრის იღუმენია ანასტასია რუსმა მონაზვნებმა მონასტრიდან გამოაგდესო. წმინდა ნინოს ბოდბის ქართულ მონასტერში სულ 150 მონაზონი ქალია. აქედან 147 რუსია. მონაზონი ანასტასია ეროვნულ ნიადაგზე შუღლის აღძვრას და რუს-ქართველთა გადაკიდებას აპირებდა. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მონაზონი თვით რუსმა მონაზვნებმა შეიძულეს. ეგზარქოსმა პლატონმა დიდი დახმარება აღმოუჩინა იღუმენ ქალს და ბოდბეში დააბრუნა, მაგრამ იგი ხელმეორედ გამოდევნეს მონასტრის მწყემსებმა. ახლა პროფესორ ბენეშევიჩის და დროებითი მმართველობის განკარგულებით, „შოვინიზმის მთესველი“ ქალი იღუმენია თბილისის ერთ-ერთ მონასტერში მოუთავსებ ათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აწ ანასტასია ბოდბეში ვერ დაბრუნდება, მაგრამ, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა იგი თბილისსაც განშორდეს, რათა უზრუნველჰყონ მცხოვრებნი შუღლისა და მტრობის თესვისაგან“.

1917 წლის 27 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითმა მმართველობამ იღუმენია ნინო ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. მიტროპოლიტმა ლეონიდემ კარგად უწყოდა, რომ იღუმენია კარგად იცნობდა ბოდბის მონასტერს, სადაც მას მრავალი წელი ჰქონდა გატარებული მასწავლებლობასა და მორჩილებაში და იქაურ მონაზვნებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მხოლოდ მას შეეძლო მონასტერში დაძაბული ვითარების განმუხტვა. იღუმენია ნინომ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი სიბრძნე და გამოცდილება. მან მცირე ხანში შეძლო მონაზვნების დაწყნარება და ამ წმინდა სავანეში ისევ სიმშვიდემ დაისადგურა.

იღუმენია ნინო ესწრებოდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს ჩატარებულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას.

1919 წელს საქართველოს სტუმრობდა ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, მთარგმნელი და სახელმწიფო მოღვაწე ოლივერ უორდროპი. მან მოინახულა ბოდბის მონასტერი და ამ ვიზიტის შესახებ აღტაცებული წერდა თავის მეუღლეს: „როცა მონასტერს მივუახლოვდით, ჩვენ წინ აღიმართა ფოთლებითა და მცენარეებით შემკული ტრიუმფალური თაღი.

ჩვენ მიგვიღო ილუმენიამ (თავადის ქალმა ვაჩნაძემ). ყველანი შეკრებილიყვნენ მონასტრის გარშემო. მონაზვნები შავ მანტიებსა და ლამაზ თავსაბურავებში, მონასტრის სკოლის გოგონები, თეთრ კაბებში გამოწყობილნი, და იქვე მცხოვრები ხალხი. მღვდელმა შემიპატიჟა ეკლესიაში, რომელიც პირველად IV საუკუნეში აშენებულა და ჩაატარა რამდენიმეწუთიანი მსახურება, ლოცულობდა და ევედრებოდა უფალს, ამ დროს კი მის გარშემო მყოფნი და მონაზვნები გალობდნენ.

ილუმენიამ დამათვალიერებინა გოგონათა საერთო საცხოვრებელი, საკლასო ოთახები, სამზარეულო და სამუშაო ოთახები, სადაც მზადდება ხალიჩები, საეკლესიო ტანსაცმელი, ხატები და ასევე საქარგავი ოთახი. ჩვენ ასევე მოვინახულეთ ბაღი, რომელიც ამშვენებს მონასტერს. გოგონებმა დაგვასაჩუქრეს ყვავილებით, ხალხმა და ბავშვებმა კი გაგვაცილეს შეძახილებით... ჩვენც გავუყევით გზას სიღნაღისაკენ".

1921 წლის თებერვლის ცნობილმა მოვლენებმა ქვეყანაში ყველაფერი უკუღმა დააყენა. ბოლშევიკებმა ბრძოლა გამოუცხადეს ეკლესიას და სამღვდელოებას. 1923 წლის 12 იანვარს ხელისუფლებამ დააპატიმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) და მთელი საკათოლიკოსო საბჭო. სასამართლო პროცესი 10 მარტს დაიწყო და თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა. ამავე წელს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ბინძური სტატია სათაურით: „სხვები სადღა არიან?", რომელშიც ბოდბის დედათა მონასტერსა და მის წინამძღვარზეა საუბარი:

„დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაასამართლა კათალიკოსი ამბროსი და მისი ახლობელი თანამშრომლები, სად არიან სხვები?

ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ სიღნაღის მაზრაში არსებულ ბოდბის მონასტრის ყოფილ ილუმენიას — ნინო ვაჩნაძეს.

ამ ბნელეთის მოციქულმა გაქურდა და გაძარცვა ბოდბის მონასტერი, რომელიც ერთი მდიდარი „სავანეთაგანი" იყო საქართველოში.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა 1923 წლის მაისში შეადგინა საგანგებო კომისია, რომელიც საჭირო კვლევა-ძიებისა და ჩხრეკის შემდეგ აღმოაჩინა მონასტრის დანგრეულ ეზოში, ბელელის ქვეშ, მიწაში დაფლული ყუთები, რომლებიც სავსე იყო განძეულობით – ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი ქვებით და სხვა ქონებით.

აქვე იყო ჩამარხული ადგილობრივ პანსიონის ტანისამოსი, თეთრეული, ხალიჩები და სხვა, რაც დანესტიანებული და ნახევრად დამპალი აღმოჩნდა.

ილუმენიას მძულვარება იქამდე დიდი და უსაზღვრო იყო მშრომელი ხალხისადმი, რომ საბალხო ქონებას ხალხისათვის არ იმეტებდა და მის მიწაში დალპობას არჩევდა.

ქონება, რასაკვირველია, სრულად არ აღმოჩნდა. ბევრი ძვირფასი განძი დღესაც არ გვიპოვია.

ამით იგი წინ გადაეღობა ჩვენს კულტურულ წინსვლას, მოგვისპო და გაგვინადგურა მრავალი კულტურულ-ისტორიული ნაშთები, მიწას შეაჭამა საუკუნოობით დაგროვილი მშრომელი ხალხის სიმდიდრე და ყოველ ხელსაყრელ მომენტისთვის, ალბათ, იგი მზად იქნებოდა გადამალული ქონება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა.

და თუ ეს არ მოხდა – არ მოხდა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია და მის მიერ დანიშნულმა კომისიამ დროზე აღმოაჩინა ნაპარავი ქონება და ამით ბოროტგანზრახვა ძირშივე ჩაკლა, ჩაახშო.

აქვე მოგვყავს სია იმ ქონებისა, რომელიც იქნა აღმოჩენილი. ეს საგნები შემდეგია:

1. მეფე გიორგის მინიატურული ვერცხლის სახარება ძეწკვით, ვერცხლისავე სკივრაკით, შეწირული 1776 წელს; 2. სამი დიდი სახარება ვერცხლის ყდებში; 3. ვერცხლის კიდობანი ვერცხლისავე სანაწილით; 4. ტრაპეზის ჯვარი ოქროს ჩარჩოში; 5. ორი ვერცხლის ჯვარი; 6. ხუთი ვერცხლის ბარძიმი; 7. ბარძიმი ვერცხლისა 141 მისხალი წონით; 8. ოთხი ვერცხლის ჯვარი; 9. სამი ცალი ვერცხლის სურა; 10. ორი მდუღარების ჭურჭელი ვერცხლისა; 11. ვერცხლის ფეშხუმი — ხუთი; 12.

ილუმენია ნინოს ბოდბის მონასტერში გადასვენება. ჯვრით ხელში კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი

ვერცხლის; 14 თეფში; 13. ვერცხლის ლამპრები, 22 ცალი; 14. ოთხი ვერცხლის საცეცხლური; 15. შვიდი ვერცხლის ვარსკვლავი; 16. ვერცხლის კოვზები — რვა ცალი; 17. რვა ვერცხლის შანდალი; 18. ვერცხლის თასი; 19. ტარიანი საცეცხლური ვერცხლისა; 20. ვერცხლის ქაფჩა; 21. ვერცხლის ჩაქუჩი; 22. ვერცხლის კიდობანი ვერცხლისავე სანაწილით; 23. ვერცხლის ლამპარი; 24. ხუთი ვერცხლის პანაგია; 25. საარქიმანდრიტო გულის ჯვარი; 26. ორი ვერცხლის ჭიქა; 27. ვერცხ-

თეკლათის დედათა მონასტრის კრებული. 1910 წელი. ცენტრში ზის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე

ლის ლახვარი; 28. ოთხი თასი ზიარებისა; 29. ვერცხლის სანაწილე ჩარჩოში; 30. ვერცხლის ნამტვრევები ერთ ხვეულში; 31. ვერცხლის ჯვარი ჯვარცმის გამოხატულებით, ფართო ვერცხლის ძეწკვით; 32. სანაწილე წმინდა სტეფანეს ნაწილებით, ვერცხლის ძეწკვით, 1515 წლის თარიღით; 33. ოქროს გული; 34. ხატის პერანგი ვერცხლისა მარგალიტებით; 35. ორი ვერცხლის ჯვარი; 36. სახარება მოვერცხლილი; 37. ხატი ვერცხლისა – ნინოს ვედრება ღვთისმშობლისადმი; 38. ჯვარცმის პერანგი ვერცხლისა, 1885 წლის; 39. დიდი ჯვრის პერანგი ვერცხლისა; 40. წმინდა ნინოს დიდი ხატის ვერცხლის პერანგი საბინინისეული; 41. წმინდა ნინოს დიდი ხატის ვერცხლის პერანგი (ღვთისმშობელი აძლევს ჯვარს წმინდა ნინოს).

ამათში ბევრია ისტორიული ნაშთი, შეწირული წარსულ საუკუნეებში და ზოგიერთი XV საუკუნეშიც.

ამრიგად, ბოდბის მონასტრის ყოფილმა იღუმენიამ ჩაიდინა ისეთივე დანაშაული, როგორიც ამბროსის სხვა თანამშრომლებმა. ისიც უნდა დაისვას საბრალდებო სკამზე და სასტიკად დაისაჯოს.

საბჭოთა ხელისუფლების მართლმსაჯულებამ რევოლუციონური კანონების მთელი სიმკაცრით უნდა დასაჯოს ყველა ასეთი პირები, როგორც საქართველოს მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრები, ქურდები და ავაზაკები".

1924 წელს კომუნისტებმა დახურეს ბოდბის დედათა მონასტერი. იღუმენია ნინო, მიუხედავად მრავალგზისი მუქარისა, მონასტერს არ შორდებოდა, თუმცა, საბოლოოდ, იძულებული გახდა იქაურობა მიეტოვებინა და თბილისში, ანჩისხატის ტაძართან დასახლებულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდეც. XX საუკუნის 60-იან წლებში კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) ბოდბის მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი, თავისი ანდერძის თანახმად, მშობლიურ ბოდბის მონასტერში გადაასვენა.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დოლონაძეების სასულიერო ოჯახი

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უამრავი სასულიერო გვარი გვხვდება, რომელთა რამდენიმე თაობა გადაბმულად ემსახურებოდა დედაეკლესიას. ერთ-ერთი მათგანია დოლონაძეების სასულიერო ოჯახი, ისინი საუკუნეების მანძილზე ერთგულად და სინდისიერად ემსახურებოდნენ ქვეყანას და ეკლესიას. ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მამა ტარასი დოლონაძე. მამა ტარასის შთამომავლების ოჯახში მრავლად მოიპოვება ამის დამადასტურებელი სხვადასხვა სახის სიგელ-გუჯრები, ჯილდოები, ძველი ფოტოსურათები, რასაც ოჯახის წევრები, როგორც სიწმინდესა და რელიკვიას, ისე უფრთხილდებიან.

დეკანოზი ისიდორე დოლონაძე

სასულიერო წინაპართაგან, რომელნიც მოხსენიებულნი არიან 1773 წლის 18 ოქტომბერს შედგენილ სიგელში, არიან დავით ხუცესი დოლონაძე და მისი ვაჟები, მღვდლები: მათე, გიორგი და იოანე. აი, რას მოგვითხრობს ეს სიგელი: *„ ...პონტო ჩრდილოისა და აფხაზ-იმერთა სავსებისა კათოლიკოს მამათმთავარმან და გენათელმან მეფის ძემან იოსიფ. შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი მოსახლობით დოღვნანაძე დავით ხუცესი და მისი შვილები: მღვდლები მათე, გიორგი და იოანე მათი ყოფით და ცხოვრებით მათ ცოლ-შვილებითურთ და მომავალით. ხახულისა გელათისა და საკურთხეველისა ღვთისმშობელო, ესეც უდრვობით გამოწირული ამ შენი დიდი ეკლესიის გეენათის სამკვიდროდ და საკუთარ მსახურედ შემოგვიწირავს, შეინირე და გვიოხენ წინაშე ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისა"... — ბოლოს წერია — „აღიწერა ქრსიტეს აქეთ ჩლოგ, დღესა ოქტომბერსა 18, ხელითა მღვდელ-მონაზონისა დიონისისათა. მე გენათელ მიტროპოლიტი ეფვთიმი ვამტკიცებ ჩემის გამზრდელი ბატონის წიგნს, ვინც ეს შეშალოს, შეჩვენებულ იყოს წმინდის სამებისაგან".*

როგორც ამ სიგელიდან ირკვევა, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს იოსებს (ბაგრატიონი) მღვდელი დავით დოლონაძე, თავისი შვილებით და მონაგარით, შეუწირავს გელათის მონასტრისათვის. როგორც საბუთში ვკითხულობთ, მამა დავითს ჰყავდა სამი ძე და სამივე სასულიერო პირი. რომელთაც, თავის მხრივ, ჰყავდათ შვილები, ასევე სასულიერო პირები. მათი შთამომავლობითი ხაზი ასე გამოიყურება.

მღვდელ მათე დოლონაძის შთამომავლები იყვნენ:

გელათის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ნიკოლოზი — დაიბადა 1753 წელს, ადრევე დაქვრივდა. ქართულ ენაზე მცირეოდენი წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1799 წელს გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ (შარვაშიძე) მღვდლად დაასხა ხელი და გელათის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში დაადგინა. საეკლესიო საბუთებში უკანასკნელად იხსენიება 1838 წელს.

მღვდელ იოანე დოლონაძის შთამომავლები იყვნენ:

ჭოგნარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ვასილი — დაიბადა 1780 წელს, ადრევე დაქვრივდა. ქართულ ენაზე მცირეოდენი წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1806 წელს გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ (შარვაშიძე) მღვდლად დაასხა ხელი და ჭოგნარის ეკლესიაში დაადგინა. 1812 წელს დაჯილდოვდა ბრინჯაოს ჯვრით. მამა ვასილს ჰყავდა სამი ვაჟი: იოანე — (1813 წ.), გარდაიცვალა ერისკაცი; **მღვდელი ნიკოლოზი** – (1821 წ.), დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. XIX ს-ის 40-იან წლების ბოლოს დიაკვნად აკურთხეს, 1850-იანი წლებში მღვდლად დაასხეს ხელი და ჭოგნარის ეკლესიაში განამწესეს. გარდაიცვალა 1862 წლის 19 ნოემბერს; გრიგოლი — (1825 წ.), დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, გარდაიცვალა ერისკაცი.

მწვანეყვავილას მთავრანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი სპირიდონი — დაიბადა 1784 წელს, ადრევე დაქვრივდა. იყო უშვილო. ქართულ ენაზე მცირეოდენი წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1809 წელს გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ (შარვაშიძე) მღვდლად დაასხა ხელი და მწვანეყვავილას ეკლესიაში დაადგინა.

გოდოგნის მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი დავითი — დაიბადა 1794 წელს. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1812 წელს გაენათელმა მიტროპოლიტმა ექვთიმემ (შარვაშიძე) დიაკვნად აკურთხა და სოფელ გელათის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლე-

სიის ღვთისმსახურად დაინიშნა. პარალელურად მსახურობდა გელათის მონასტერშიც და ირიცხებოდა მონასტრის საძმოში. 1841 წელს იმერეთის მთავარეპისკოპოსმა სოფრონმა (წულუკიძე) მღვდლად დაასხა ხელი და გოდოგნის მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1867 წელს პენსიაზე გავიდა. მღვდელი დავითი 1872 წლის 22 იანვარს გარდაიცვალა. მამა დავითს ჰყავდა სამი ვაჟი: მღვდელი იოანე; მღვდელი მეთოდე; ექვთიმე (1820 წ.) — გარდაიცვალა ერისკაცი; სერაპიონი (1826 წ.) — გარდაიცვალა ერისკაცი.

მღვდელ დავით დოღონაძის შთამომავლები:

გოდოგნის მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი იოანე — დაიბადა 1813 წელს. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. ჰყავდა მეუღლე გულქან კანდელაკი. 1846 წლის 26 თებერვალს ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა და სოფელ გელათის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში განამწესა. 1854 წლის 29 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1860 წელს ნახშირღელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1868 წლიდან მშობლიურ სოფელში გოდოგნის მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1881 წელს პენსიაზე გავიდა. მღვდელი იოანე 1915 წლის 25 იანვარს, 102 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნავენახევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი მეთოდე — დაიბადა 1818 წელს. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. XIX საუკუნის 50-იან წლებში დიაკვნად აკურთხეს. 1867 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი და ნავენახევის ეკლესიაში განამწესა. 1890 წლის 23 ოქტომბერს პენსიაზე გავიდა. მღვდელი მეთოდე 1908 წლის 8 მარტს გარდაიცვალა.

მღვდელ იოანე დოღონაძის შთამომავლები:

ნახშირღელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ისიდორე — დაიბადა 1856 წელს. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1881 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა, ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და ნახშირღელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1889 წელს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1900 წლის აპრილში სკუფია უბოძეს. 1907 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა, ხოლო 1914 წლის 15 მაისს — სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1923 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა და რამდენიმე თვე ციხეში გაატარა, რამაც ძლიერ იმოქმედა მოძღვრის ჯანმრთელობაზე. დეკანოზი ისიდორე 1925 წელს დამბლის დაცემით გარდაიცვალა.

მღვდელ ისიდორე დოღონაძის სიტყვა, წარმოთქმული თავისი სულიერი შვილის, ნიკო კრავიშვილის დასაფლავებაზე, 1911 წელს:

„პატივცემულო საზოგადოებავ!

საჭიროდ მიგვაჩნია, შეძლებისამებრ ჩვენისა, მოკლე სიტყვით აღვნიშნოთ რამდენიმე კეთილი მხარე, ჩვენ წინაშე მდებარე გარდაცვალებულის ნიკო კრავიშვილის ცხოვრებიდან. პირველად სახეში გვაქვს, რომ საზოგადოდ გარდაცვალებულის ცხედრის წინაშე პირფერობა და ფარისევლობა უადგილოა. მე ვხედავ, რომ დღეს აქ უმეტესობა საზოგადოებისა გრძნობს გულის სიღრმიდან მძიმე მწუხარებას. რამ გამოიწვია ეს საერთო მწუხარება? უთუოდ მიცვალებულის ღრმა სიყვარულმა და მისდამი პატივისცემამ. და ღირსიც იყო განსვენებული ამ პატივიცემისა. იგი თუმცა გვარიშვილობით არ ბრწყინავდა, მაგრამ იყო იესო ქრისტეს ღრმად მორწმუნე და მოსახელე, და ბაისელი, მჭევრმეტყველი, საზოგადოებაში თავდაჭერილი, მახვილგონებიანი, წრფელი სინდისის მქონე, სოფელ-ქვეყნის გამოსადეგი, გამოჩენილი პურ-მარილიანი და საჭირო კაცი; ქველმოქმედი, გლახაკთა და უღონოთა მიმღები და მოწყალე, უცხოთ შემწყნარებელი, უმეცართა და უზნეოთა დამრიგებელი და კეთილის გზის მაჩვენებული. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სადაც უნდა ყოფილიყო საშიშ სნეულებით გარდაცვალებული, ის თავს არ დარიდებდა, ის იყო მისი ჭირისუფალი ყოველი მხრით. ამით მოიხვეჭა მან ისეთი ქება და სახელი, რომ დიდიდან პატარამდის ყველას პირზე ეკერა მის ქება და მადლობა, სადაც გამოჩნდებოდა ხალხში, დიდი და პატარა გარს ეხვეოდა; მის დინჯს და ჭკუიან საუბარზე ყველანი სმენად გარდაიქცეოდენ, განსვენებულს სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ წერა-კითხვა მაინც იცოდა, უყვარდა კაი შინაარსიანი წიგნების კითხვა და კიდევაც სარგებლობდა ამით ცხოვრებაში. მეც დიდის სიამოვნებით ვანოდებდი შეძლებისამებრ ამგვარ წიგნებს, სადაც კი მოვიპოვებდი. ხშირად გამიგონია მისგან: კუჭის საზრდო, მადლობა ღმერთს, მომეპოვება, მაგრამ სულის საზრდოზედ დიდი ხელმოკლე ვარო. იხელთებდა თუ არა უცხო წიგნაკს, ისე დაეწაფებოდა და ისე გაიტაცებდა წიგნის კითხვა, რომ მთელ ღამეს გაათენებდა კითხვაში. ამასთანავე, ქველისმოქმედება თვალსაჩინოდ დაგვიმტკიცა. მან შესწირა ჩემს რწმუნებულ სოფელ ნახშირისღელის სამრევლო სკოლას 105 მანეთი, შეძლებისამებრ, სხვა საგანზედაც საჭიროების დროს იგი არ ზოგავდა თავის წვლილს. განსვენებული იყო მხნე და მამაცი მშრომელი, მიწის მუშა, რითაც ერთის დროიდან მას სიღარიბისაგან თავი დაუღწევია და დღეს ნივთიერის ქონებით და შეძლებით, შესანიშნავ და სასურველს ნიადაგზედ დაყენებული დასტოვა ოჯახი. თავგამოდებული მშრომელი, იგი სხვებსაც უკიჟინებდა და აქეზებდა შრომაზე. ასეთი მოქმედება მას წმიდა მოვალეობად მიაჩნდა. ხშირად გამიგონია მისგან: მუშა კაცი, არა თუ მთელი დღე, ერთი საათიც არ უნდა

მოცდეს ცუდად, თუკი ჯან-ღონე ხელს უწყობსო. ჩვენ რომ უნდა ვიშრომოთ და საზრდო ოფლით შევიკრიბოთ, ეს ღმერთმა მცნებად მოგვცაო. ასეთი ადამიანი იყო ჩვენ წინ მდებარე დღეს უსულო გვამი და მეტიც არ მოითხოვებოდა მისგან. მშვიდობით, კეთილ მონაო ღვთისაო, საყვარელო ადამიანო, დაუვიწყარო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო ნიკოლოზ! მშვიდობით, გიხაროდენ რომ შენი სახელი საფლავთან არ განქარდების და შენი ხსენება დიდხანს დარჩება. გიხაროდენ, რომ შენი ამ ქვეყნათ სათნო ცხოვრება წმიდათათანა დაგამკვიდრებს".

ტარასი დოლონაძე და ოლღა გოგოლაშვილი

ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი ტარასი — დაიბადა 1863 წელს. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა სოხუმის საქალაქო სასწავლებელში განაგრძო, სადაც 3 კლასი დაამთავრა. სოფელში დაბრუნებული დაქორწინდა ოლღა გოგოლაშვილზე, რომელთანაც 4 შვილი შეეძინა: მაგნოსი, მარიამი, დავითი და ქეთევანი.

1893 წლის 27 სექტემბერს ტარასი იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) სოფელ ჭოგნარის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დანიშნა. 1895 წლის 28 მარტს კი ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ გადაიყვანა. 1897 წლის 31 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) ტარასი დიაკვნად აკურთხა. 1904 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში გადაიყვანეს. დიაკონი ტარასი, როგორც ქუთაისის ოლქის დელეგატი, ესწრებოდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის I საეკლესიო კრებას. 1918 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) მღვდლად დაასხა ხელი და მთავარანგელოზთა ეკლესიის კრებულში განამწესა.

შემორჩენილია ტარასის მესამე შვილის, დავითის მოგონებები თავის გვარსა და ოჯახზე. აი, რას წერს იგი:

„მე დავიბადე სოფელ გოდოგანში. ეს სოფელი დაშორებულია ქ. ქუთაისზედ 7 ვერსით, რომლის საზღვარია დასავლეთით მდ. წყალწითელა. ჩვენ აქ გადმოვსახლებულვართ სოფელ გელათიდან. გადმოსახლების მიზეზი ყოფილა ბაბუაჩემი, რომელიც მღვდლად დაუნიშნიათ ამ სოფელში. ჩვენი სახლი არის ზემო გოდოგანში, მაღლობზე, ეკლესიის მახლობლად. სახლი გადმოყურებს სოფელს და აქედან ქალაქიც მოსჩანს. მღვდლის ოჯახია და შეძლებულად ვცხოვრობთ. მე დავბადებულვარ ძლიერ სუსტი და ავადმყოფი, იანვარში, და მოუნათლივარ ამავე თვეში. ჩემი ნათლიებია — ბიქტორ კანდელაკი და ტასო ჭიჭინაძე. მონათვლის დროს ცოცხალმკვდარი ვყოფილვარ, ყველანი უიმედოდ შემომყურებდნენ თურმე. ბაბუა-ბებიას, მამას, დედას და ნათლიებს დაუჩოქნიათ და შევედრებიან ღმერთს შემდეგი სიტყვებით: „ძლიერო ღმერთო! დაგვიტოვე და შენვე გამსახურებთ, ბერად ავკვეცავთ, 8 წლამდის თმას არ შევპარსავთ და ამავე წლამდის ღვინოს არ დავალევინებთო" და ამ პირობით შევუწირივარ ბერად. სახელი დამარქვეს დავითი. ეს სახელი რქმევია ბაბუას მამას, რომელიც მღვდელი ყოფილა გელათში. კარგი შეძლებული, ქონებით და ფიზიკურად. მის პატივსაცემად და მოსაგონრად დამარქვეს მისი სახელი. ბაბუას მამის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილ-მამული გაუყვიათ ბაბუას და მის ძმას — მეთეოდეს (ესეც მღვდელია).

ექვს წლამდის ავადმყოფი და სუსტი ვარ. მივლიან და მზრდიან ფუფუნებაში. ყველაზე უფრო მე მიყვარს ბებია გულქან კანდელაკი და ბაბუა იოანე, მიყვარს აგრეთვე ჩვენი მსახური — სევერიანე, რომელიც პირველად ჩემი უფროსი ძმა მეგონა. სევერიანე ჩემი გამრთობი არის, დავყავარ: ტყეში, ველში, ვენახში, წყაროზე, სად და სად...

კვირა უქმე დღეს ეკლესიაზედ დავყავარ, რომელსაც დიდი და კარგად შემოკავებული ლამაზი ცაცხვებიანი ეზო აქვს. ჩემს სოფელში იციან დღეობა „ღვთისმშობლობა". ამ დღეს დიდი მომზადებაა. დაიკვლება მრავალი შინაური ოთხფეხი და ფრინველი. იციან ე. წ. „თემი": ეკლესიის გალავანში იყრის თავს მთელი სოფელი, შორეული ნათესავებიც მოდიან, მოპატიჟებული სტუმრები ქალაქიდან და დაიწყება ქეიფი, გალავანში გაიმართება ცეკვა-თამაში, სიმღერა, ბურთი, ჭიდაობა, დოღი და სხვა...

დედაჩემი, ოლღა გოგოლაშვილი, სუსტი და ავადმყოფი ქალია. ოჯახში ვერ ვხედავ მამაჩემს, რომელიც ქ. ქუთაისშია, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზედ, დიაკვნად. თვეში ერთხელ თუ ამოვა მამა სოფელში, ორი ან სამი დღე დარჩება და უკან, ქალაქში მიდის. დედა ხშირად საყვედურობს მამაზედ, ბაბუა კი იცავს მამაოს. საქმეების გამო არა სცალია და სახლში ამიტომ ვერ ამოდისო. ერთ დღეს მამაჩემი ამოვიდა, მას ახალი ანაფორა აცვია, ყველანი გახარებულნი

არიან და მეც შევიტყვე, რომ მამა უკვე მთავარანგელოზთა სობოროს მთავარდიაკონია. ამ დღიდან იწყება ლაპარაკი ჩვენი ქუთაისში გადასახლების შესახებ და მართლაც, ორი თვის შემდეგ მზად ვართ ქუთაისში წასასვლელად...

ქუთაისში დედაჩემი ხშირად ავადმყოფობს და ბოლოს ლოგინში ჩაწვა. აი, დღეს ახალი წლის წინა ღამე, მე და ქეთოს სიხარულ საზღვარი არა აქვს, ხვალ „შობის ხეს" დავდგამთ, დედას ვუჩიჩინებთ, ვეხვევით, ხვალინდელ დღეზე ვოცნებობთ, დედა გვკოცნის! თითონ სტირის... ვხედავ ცრემლებს... ჩვენ კი მოქანცული ტკბილი ოცნებით დაგვეძინა. ამ დროს სახლში ჩვენ სამი ვიყავით. გათენდა... ახალი წელია... თოვლი... გამომეღვიძა... მე და პატარა ქეთო მეორე ოთახში ვართ... ტირიან... გამოვდივართ დედას ოთახში და დედა სდუმს... დასტირიან... დედა აღარ გვყავს, ცრემლებით მომეხვია ძიძა რიფსიმე. მივხვდი წუხელ — 31/XII დედა გარდაიცვალა... ასე პატარამ დავკარგე დედის ალერსი, უდროოდ. გავიდა 16 დღე და ჩემი საყვარელი ბებია გარდაიცვალა, რომელიც სოფლად დაასაფლავეს. მალე სოფლიდან ჩემი ბაბუა გადმოსახლდა...

მღვდელი იოანე დოლონაძე ოჯახით

რვა წლისას გამპარსეს თავი და ღვინოც დამალევინეს. კიდევ ერთი კვირა და მამაჩემმა მიმაბარა სასულიერო სასწავლებელში. მე მალე შევეჩვიე მოწაფეებს და დავიწყე ცელქობა. სასწავლებლიდან რომ მოვალ სახლში, ქეთოსთან ვერთობი, რომელსაც უკვე დააწყებინეს წერა-კითხვა: „ისწავლეთ, ისწავლეთ ჩვენი მოდგმა ნიჭიერები იყვნენ და არიანო", — ამბობს ბაბუა და დაიწყება ძველებზე მოგონება: „მე მყავდა ბაბუა იოანე, ნასწავლი და ღონიერი კაცი, შემდეგ მამაჩემი დავითი, იგივე, ორივენი მღვდლები, მერმეთ მე თქვენი ბაბუა, მე მყავდა ოთხი ბიჭი და ერთი ქალი — თეკლე, ეხლა გათხოვილია გურიაში, დეკანოზ იოსებ კანდელაკზე...

რევოლუციის შემდეგ ჩვენი ოჯახი გაღატაკდა, თუმცა მამას რელიგიური რწმენა ოდნავადაც არ შერყეულა. ის მღვდელია დღესაც და წმიდად ასრულებს თავის მოვალეობას — დადის მრევლში, ძალიან მცირე ფულს შოულობს და თავს წვალებით ინახავს, რომელიც ეხლა მარტოდ ცხოვრობს. 1930 წელს დავოჯახდი. ჩემი მეუღლე, ქეთო, ჩემსავით ღარიბი, ობოლი და გაჭირვებაშია გაზრდილი. ამ ხანებში მამას ცოტა ავადმყოფობა დასჩემდა, თანდათან ურთულდება და ლოგინში ვარდება. რა თქმა უნდა, ვეხმარებით შეძლებისდაგვარად მე და ქეთო. მამას ავადმყოფობა მძიმეა — გულის მანკი. ვერავითარმა და ვერავინ მასზე გავლენა ვერ მოახდინა... ასე გავიდა ეს წელიც. 1931 წელი, თებერვლის 10 რიცხვი, დღე სამშაბათი, მამამ სწრაფად დაკარგა გრძნობა და გარდაიცვალა კიდეც საღამოს".

ფოტოები და მოგონებები მოგვაწოდა
მამა ტარასის შვილთაშვილმა,
ქალბატონმა დოდო დოლონაძემ

„საპატრიარქოს უნყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

მღვდელმოწამე ეფრემი (ერისკაცობაში — კონსტანტინე) დაიბადა 1384 წელს, ტრიკალაში, მრავალშვილიან ოჯახში. 14 წლისა, დედის ნებით, ოჯახიდან წავიდა, რათა ურჯულოთა ჯარში მსახურება აეცილებინა თავიდან. სულ მალე ბერად აღიკვეცა ხარების სახელობის მონასტერში.

1425 წელს, ჯვრის აღმართვის დღესასწაულზე, თურქები თავს დაესხნენ მონასტერს და ბერები ამოხოცეს. ეფრემი გადარჩა, რადგან იმ დროს სხვაგან იმყოფებოდა. დაბრუნებულმა დაკრძალა დახოცილი ძმები და მონასტერში ცხოვრება განაგრძო. თუმცა, ფაქტობრივად, თურქების ტყვეობაში იყო და სწორედ აქედან დაიწყო მისი მოწამეობრივი ღვაწლი. ცხრა თვის შემდეგ თურქებმა ისიც შეიპყრეს, დამპყრობლები მონასტრის საგანძურის ადგილსამყოფელს ეძებდნენ, თუმცა ვერაფერი შეიტყვეს და გამძვინვარებულებმა სასტიკად აწამეს ნეტარი ბერი. ჯერ სცემეს, შემდეგ მისი ნაწამები სხეული თავდაყირა ჩამოკიდეს ხეზე და მუცელში სარი რამდენჯერმე გაუყარეს. თუმცა მოწამე მაინც არ შედრკა და თავისი მტრებისთვის ლოცვას განაგრძობდა. მაშინ გაბოროტებულმა თურქებმა ჩამოხსნეს ხიდან, ფეხებით შედგნენ და მანამდე ურტყეს, სანამ არ მიიცვალა. ეს მოხდა 1426 წლის 5 მაისს. მამა ეფრემის წამების ხე დღემდე შემონახულია მონასტრის ეზოში.

500 წლის შემდეგ, 1950 წელს, მონასტერში სარემონტო სამუშაოების დროს, მონაზონმა მაკარიამ, უფლის მინიშნებით, მუშებს სთხოვა, მის მიერ მითითებული ადგილი გაეთხარათ, სადაც წმინდა ეფრემის განსასვენებელი აღმოჩნდა. მარტვილის სხეული საოცარ სურნელებას აკმევდა. მას შემდეგ მონასტერს მღვდელმოწამე ეფრემ ახალი სასწაულთმოქმედის სავანეს უწოდებენ და ყოველდღიურად უამრავი მომლოცველი სტუმრობს ამ მხარეს.

აშშ-ის მოსახლეობის 40% ქრისტიანულ საწარმოებს ენდობა

აშშ-ში ჩატარებულმა ახალმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბევრი ამერიკელი მხოლოდ იმ სავაჭრო კომპანიას ენდობა, რომელიც ქრისტიანული ფასეულობების შესაბამისად მოქმედებს. ამერიკელთა 43% მზადაა, დაუფიქრებლად იყიდოს ესა თუ ის პროდუქცია მსგავსი კომპანიისაგან, 51% თვლის, რომ მათთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მხოლოდ 3%-მა ბრძანა, რომ არაფერს შეიძენდა ასეთი კომპანიებისაგან.

გამოკითხულთა მესამედი გამოტყდა, რომ ურჩევნიათ ისეთი კომპანიებისაგან შეიძინონ საქონელი, რომლებიც ავრცელებენ და მისდევენ ქრისტიანულ რწმენას. ასეთი კომპანიების პროდუქციით განსაკუთრებულად დაინტერესებულნი არიან ქალები და ხანში შესული ადამიანები, დაქორწინებული წყვილები პატარა ბავშვებით და აშშ-ში დემოგრაფიული აფეთქების დროს დაბადებულნი (1945-1955 წწ.).

ამასთან, აშშ-ის 45 წლამდე მოსახლეობამ ნაკლები ინტერესი გამოხატა მსგავსი ფირმების არსებობისადმი, გაცილებით გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს 25 წლის ახალგაზრდები.

ეგვიპტეში ქრისტიანი მოსახლეობა სულ უფრო მცირდება

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო საშუალებები ეგვიპტეში ქრისტიანთა საერთო რიცხვს ჩვეულებრივ 10%-ით გამოყოფენ ქვეყნის მთელი მოსახლეობისაგან, ახალი მონაცემების თანახმად, ქრისტეს მიმდევრები მხოლოდ 5%-ს შეადგენენ. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ქრისტიანთა საერთო რაოდენობა აქამდე ან გაზვიადებული იყო, ან მიმდინარე სტატისტიკურ ანგარიშებში საგანგებოდაა შემცირებული. უკანასკნელ პერიოდში გამოკვეთილ მონაცემებს ბოლომდე არ ენდობიან, მით უმეტეს, რომ ბოლო აღწერის ოფიციალური მონაცემები არ ასახავს ქვეყნის მოსახლეობის რელიგიური და კონფესიური ორიენტაციის რეალურ სტატისტიკას. თუმცაღა, ირკვევა, რომ ქრისტიანთა რაოდენობა მაინც მკვეთრად მცირდება. მიზეზად ქვეყანაში ახალგაზრდა თაობის მასობრივი ემიგრაცია სახელდება, რომლებიც უკეთესი ცხოვრების ძიებაში ტოვებენ სამშობლოს და სხვა სახელმწიფოებში გადადიან. ამას გარდა, ქრისტიანთა პროცენტის დაცემაზე ეგვიპტეში შეიძლება არსებითად მოქმედებს მუსლიმთა შორის შობადობის კოეფიციენტის ზრდა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

პროტოპრესვიტერი იოსებ მირიანაშვილი 1868-1937

პროტოპრესვიტერი იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილი 1868 წელს კახეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1883-1889 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1889 წლის სექტემბრიდან 1893 წლის იანვრის ჩათვლით, თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში მასწავლებლად მუშაობდა. ამავე პერიოდში დაქორწინდა მანანა ნადირაშვილზე. მანანას მამა, ალექსანდრე ნადირაშვილი პირველი გილდიის ვაჭარი ყოფილა და ევროპასა და ამერიკაში ხშირად მოგზაურობდა. იოსებსა და მანანას შვიდი შვილი ჰყავდათ: ვლადიმერი, გოგი (გარდაიცვალა ბავშვობაში), ნინო, ელისაბედი, ვერა, ნადია და ელენე.

1893 წლის იანვარში იოსები დიაკვნად აკურთხეს,

ხოლო ამავე წლის 2 თებერვალს ეგზარქოსების წმინდა ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ზემო მაჩხაანის მეორე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. იმავე წლის 25 ივნისს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მღვდელმსახურად გადაიყვანეს და ამავე მონასტერთან არსებულ ქალთა ექვსკლასიანი სასწავლებლის (პანსიონი) გამგედ და მასწავლებლად დანიშნეს. 1894 წლის ივლისში ერთგული სამსახურისათვის საგვერდულით დააჯილდოვეს. ამავე წლის სექტემბრიდან სიღნაღის მაზრაში არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად დაადგინეს. 1897 წლის 21 იანვარს მღვდელი იოსები დაინიშნა სიღნაღის ეპარქიალური სასწავლებელის მუდმივ წარმომადგენლად თბილისში. 1897 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს.

ცნობილი ქართველი პოეტის, ეროდიონ ევდოშვილის უმცროსი და, ბაბილინა, 1897-1903 წლებში ბოდბის ქალთა პანსიონში სწავლობდა. შემდგომში მან დაწერა მოგონებები, სათაურით — „მშობლიურ სოფლიდან დედაქალაქში", სადაც სხვა ამბებთან ერთად აღწერილია ბოდბეში სწავლის პერიოდიც. იგი ასე იხსენიებს მამა იოსებს: *„დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი საღვთო წერილს, ესე იგი, მოსეს სჯულს, ანუ პალესტინელი ებრაელების ისტორიას გვასწავლიდა. ასევე გვავარჯიშებდა „სლოვიანურ" ენაში, იმდენად, რომ უკანასკნელი კლასის მოსწავლეებმა ეკლესიაში, წირვაზე თითოჯერ სამოციქულო წავიკითხეთ. მამა იოსები მეექვსე კლასში გვასწავლიდა ზემოხსენებულ საგნებს და ძალიან იჭვნეულად, უნდოდ გამოგვხედავდა ხოლმე გაკვეთილზე. ძნელად თუ დაგვიწერდა კარგ ნიშანს. მე მაინც ოთხიანზე და ხუთიანზე ნაკლები არ მახსოვს მიმეღოს რომელიმე საგანში, გარდა ანგარიშისა. მამა იოსები გაკვეთილს რომ გამოგვკითხავდა, ვიდრე საკლასო ჟურნალში სულ პანაწად, ნელინელ წერდა ნიშანს, ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალებით რამდენჯერმე იჭვნეულად შეხედავდა მოპასუხე მოსწავლეს. მის ნაყვავილარ, შავგვრემან სახეს გრძლად მოშვებული შავი ხვეული თმა-წვერი ამშვენებდა. ტანადობითაც წარმოსადეგი იყო. ბოლოს ძლივძლივობით დაასრულებდა პატარა ნიშნის ჩაწერას (მოცულობით პატარას), წერტილსაც დაუსვამდა, კალამს დადებდა და ათვალწუნებული კილოთი კბილებში გამოსცრიდა: „საის!" — დაჯექიო".*

1900 წლის 6 მაისს მამა იოსებს კამილავკა ეწყალობა, ხოლო 1903 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1907 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა და ამავე წლის 11 ივლისს თბილისში, ავლაბრის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს. 1911 წლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1912 წლის 20 მაისს დეკანოზი იოსები დიდუბის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს და ამავე წლის 12 სექტემბერს ქ. თბილისის ეკლესიების I ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1915 წლის 6 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენი ეწყალობა.

დეკანოზ იოსების შვილთაშ[illegible]ლი, პროფესორი ავთანდილ კვიტაიშვილი პაპას შესახებ იგონებს: *„ჩვენებურებიდან ვიცოდი, რომ პაპა ქიზიყში გაიზარდა და განათლებული მშობლების შვილი იყო. იგი გახლდათ თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოძღვარი და საინტერესო პიროვნება, ძალზე განსწავლული, უკომპრომისო, პრინციპული, მართალი და პატიოსანი კაცი. ჰქონდა საუკეთესო ბიბლიოთეკა, რომლის უდიდესი ნაწილი, სამწუხაროდ, რეპრესიების დროს განადგურდა. გადარჩენილი წიგნებიდან ოჯახში ინახება რუსულენოვანი „კომუნისტური პარტიის ისტორია", რომელშიც მამა იოსების მიერ ზოგიერთი ადგილია მონიშნული. ეს ამბავი სულ მიკვირდა და ერთხელ დეიდაჩემს ვკითხე: ამ წიგნს პაპა მართლა კითხულობდა-მეთქი? დეიდამ კი მითხრა, მამა ასე გვასწავლიდა: „შვილებო, წაიკითხეთ ყველაფ[illegible]რი, რომ იცოდეთ, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, [illegible] — სწორი და რა — არასწორი".*

დეკანოზი იოსები იყო შესანიშნავი მქადაგებელი და საუკეთესო მცოდნე საეკლესიო წეს-განგებისა. შემორჩენილია მისი ერთ-ერთი ქადაგება, რომელიც მან

ბოდბის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია იუბენალია I და ქალთა სასწავლებლის პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად. მარჯვნივ ზის მონაზონი თამარი (მარჯანიშვილი)

1915 წელს დიდუბის ეკლესიაში, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თედო ჟორდანიას დაკრძალვის დღეს წარმოთქვა:

„ჩვენო კეთილო აღმზრდელო, გონიერო მასწავლებელო, ჩვენო ძვირფასო თედო!

გამოვითხოვ ნებას შენის ცხედარის წინაშე, მოგმართო ამ უბრალო მომართვით ისე, როგორც ჩვენ, შენი მოწაფენი, ჩვეულნი ვიყავით ამ ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში.

როგორი ადამიანი და ვინ იყავი შენ ჩვენთვის, ძვირფასო თედო?

ამ რამდენსამე დღის წინეთ ერთს გაზეთის ფურცლებზედ გამოქვეყნებული იყო საშინელი სურათი გაჭირვებულ და უბედურ ცხოვრებისა სემინარიის მონაფეთა. თუ ამ სიდუხჭირეს განიცდიან მოწაფენი ეხლა, როდესაც ბევრათ შეიცვალა და გაუმჯობესდა მათი ცხოვრება, ადვილი წარმოსადგენია — რას წარმოადგენდა სასულიერო სასწავლებელი და სემინარია იმ ძველ დროს, როდესაც მოქმედებდი, როგორც აღმზრდელი და პედაგოგი, ჩვენო თედო. იქ გამეფებული სულის შემხუთავი რეჟიმი მძიმე ლოდივით გვაწვა ჩვენ და სხივი სინათლისა არსაიდგან სჩანდა ჩვენთვის. ამ სასწავლებელში თავს იყრის ჩვენი სამღვდელოების ეკლესიის დაბალ მოსამსახურეთა და გლეხების შვილები. ესენი, მშობლიურ ნიადაგს და კერას მოშორებულნი, ცვივოდენ ამ გაყინულ სამეფოში... საზოგადოების გავლენას მოკლებულნი, უპატრონონი, ღვთის ამარათა... ამ ჯურღმულში შენ იყავი, ჩვენი მასწავლებელიც, პატრონიც, ნათესავიც და ერთადერთი ჩვენი გზის მაჩვენებელიც!

ყველას იცნობდი, ყოველს ჩვენგან თვალყურს ადევნებდი, ყველას ხელმძღვანელობდი!

მახსოვს პირადად მე, როცა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ვიყავი, როგორის მამობრივის სიყვარულით მექცეოდი. მახსოვს, პირველად როგორ შემიყვანე შენს სამუშაო ოთახში, დიდხანს მესაუბრე ქართული ენისა და მწერლობის შესწავლაზედ და მომეცი თხზულებანი გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა. შენ შეგვაყვარე ჩვენი ენა, მწერლობა, თუმც იმ დროს — ოფიციალურად გეოგრაფიის მასწავლებელი იყავი.

განა ეს ადვილი იყო შენთვის? რამდენი წვალება, რამდენი ტანჯვა, დევნა და დამცირება... დამცირება „შენიანთაგან“ და „დევნა“ უცხოთაგან!.. მაგრამ, ეტყობა, რომ განგებამ გარგუნა ეგ მწარე ბედი — ბევრმა შეურაცხგყო, ბევრმა ტალახში ამოსვარა შენი სახელი და ვინაობა. სიკეთისთვის ბევრი მწარე და შხამი შეგასვეს! და სწორედ ეს მაფიქრებს ეხლა, გულს მიღრღნის...

სამუდამოდ გვშორდები, თედო, მიდიხარ ჩვენგან — ტანჯული და გაუხარელი. შეივედროს შენი სული უფალმა ღმერთმა, მოგმადლოს მაცხოვარმა იესო ქრისტემ სამუდამო მშვიდი ცხოვრება ამ ჩვენ დიდუბის ღვთისმშობლის მფარველობით და შეწევნით. აქ, ამქვეყნად სიამეს და ბედნიერებას მოკლებული, იქ, იმ ქვეყანას გყოს მაცხოვარმა სამუდამოდ ნეტარი და სამარადისოდ ბედნიერი. ამინ!“

დეკანოზი იოსები ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის II და III საეკლესიო კრებებს. 1920 წლიდან იგი საკათოლიკოსო საბჭოსა და წმინდა სინოდის წევრია.

1923 წლის 12 იანვარს უღმერთო ხელისუფლებამ დააპატიმრა თითქმის მთელი საკათოლიკოსო საბჭო. დაპატიმრებულთა შორის დეკანოზი იოსებიც იყო,

პროტოპრესვიტერი იოსები მეუღლესთან და ქალიშვილებთან ერთად

რომელსაც ბრალად წაუყენეს: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთან (ხელაია) ერთად კონტრევოლუციონერული მოწოდების შედგენა და გენუის კონფერენციისადმი გაგზავნა; დიდუბის ეკლესიის წიგნებში აღრიცხვის გარეშე 30 გირვანქა განძეულობის შენახვა; საეკლესიო დავთრების არასწორი წარმოება, რის გამოც გაიფლანგა ხალხის ქონება.

გასაბჭოების შემდეგ დიდუბის ტაძრის საეკლესიო განძეულობა სამალავში გადაუტანიათ, რაც მხოლოდ მამა იოსებმა და ეკლესიის დარაჯმა იცოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა გასცა საიდუმლო და მისი აღიარება გამოიყენეს ბრალდების წაყენების დროს.

სასამართლოზე დეკანოზი იოსები თავს დამნაშავედ არ ცნობდა და ამბობდა: *„მართალია, განძი საკანცელარიო დავთარში მე აღვნუსხე, მაგრამ მისი მოპარვა რომ მდომებოდა, როგორ ფიქრობთ, ჩემივე ხელით დავწერდიო“*. რომ არ ელაპარაკა და სიმართლე ბოლომდე არ გამოაშკარავებულიყო, ამ დროს დარბაზში ხელისუფლების მიერ მოყვანილი აქტივისტები და კომკავშირელები სტვენას და ხმაურს ინყებდნენ და ხელს უშლიდნენ, დაემთავრებინა სათქმელი.

ეს სამარცხვინო და უმსგავსო სასამართლო პროცესი კი იმით დასრულდა, რომ საკათოლიკოსო საბჭოს წევრების უმეტესობა ციხეში აღმოჩნდა, ხოლო დიდ ყუთში მოთავსებული დიდუბის ეკლესიის სიწმინდეები, თავის ნუსხიანად, სადღაც გაქრა.

1925 წლის 10 მარტის საკავშირო ცაკის მესამე სესიის დადგენილებით, დეკანოზი იოსები, საკათოლიკოს საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვადაზე ადრე გათავისუფლდა. ამავე წელს კათოლიკოს-პატრიარქმა

ამბროსიმ (ხელაია) ეკლესიში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის იგი ენქერით დააჯილდოვა. 1935 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) დეკანოზ იოსებს პროტოპრესვიტერის წოდება მიანიჭა.

1937 წლის 25 მაისს შედგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის გაძლიერებული სხდომა: კრების თავჯდომარე იყო კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), ესწრებოდნენ — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხლაძე), ნინოწმიდელი ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი), პროტოპრესვიტერი იოსებ მირიანაშვილი, დეკანოზი იოანე ბობოხიძე, დეკანოზი ბესარიონ ფურცელაძე, დეკანოზი მიხეილ მახათაძე, დეკანოზი ბენიამენ კანდელაკი, დეკანოზი იოანე ლუკაშვილი, დეკანოზი გიორგი ბიბილური, დეკანოზი კონსტანტინე შანიძე, მღვდელი გიორგი ტაბლიაშვილი, კლიმენტი ლორთქიფანიძე და ივანე კვეზერელი-კოპაძე. სხდომაზე განიხილეს საქართველოს ეკლესიაში იმ პერიოდში არსებული სხვადასხვა პრობლემატური საკითხები, ისაუბრეს მომავლის გეგმებსა და ქვეყანაში იმჟამად დაწყებულ რეპრესიებზე, რაც ტაძრის მსახურებზეც მძიმედ აისახა. რას იფიქრებდა მამა იოსები, რომ რამდენიმე თვეში ისიც ამ რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა. 1937 წლის შემოდგომაზე პროტოპრესვიტერი იოსები უსაფუძვლოდ დააპატიმრეს და სამეულის განჩინებით, დახვრიტა მიუსაჯეს.

აი, როგორ იხსენებს მირიანაშვილების ოჯახის ტრაგედიას მისი შვილიშვილი, პროფესორი ავთანდილ კვიტაიშვილი: *„პაპას დახვრეტის შემდეგ დამოუკიდებლად დააპატიმრეს მამაჩემი, რადიოქარხნის მთავარი ინჟინერი, რომელსაც ბრალად გერმანიის ჯაშუშობა წაუყენეს. იგი საშინლად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს. პირველი კი პაპა წაიყვანეს, მხცოვანი მოძღვარი ასევე უწამებიათ, ჩვენები სულ ტიროდნენ და ამბობდნენ, ამ მოხუცებულ კაცს რაღას აწამებდნენო. იგი ციხეში დიდხანს არ მჯდარა, არც გადაუსახლებიათ, როგორც სხვები, ესე იგი, ძალიან დიდი სურვილი იყო მასთან სწრაფი ანგარიშსწორების. პაპას მიაყოლეს მისი ქალიშვილი ელისაბედი, ბიოლოგი, მუშაობდა გენეტიკაში, 25 წლის ახალგაზრდა გოგონა. სანამ დაიჭერდნენ, გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა გენეტიკაში იაპონიასა და იტალიაში ერთდროულად. მეორე დღეს წაიყვანეს და დახვრიტეს. იგი ახალი დაოჯახებული გახლდათ. ჯერ ბავშვიც არ ჰყავდათ. ერთი კვირის შემდეგ მისი მეუღლე, ინჟინერი, ლევან ღამბაშიძეც წაიყვანეს და უთხრეს: შენო, შენი ცოლის იდეებს იზიარებდიო, და ისიც დახვრიტეს, ყოველგვარი გასამართლების გარეშე. შემდეგ მეორე დეიდა, რომელიც ქიმიკოსი იყო. მას სამსახურში, ქიმიის ინსტიტუტში მიაკითხეს. როდესაც მან შეიტყო რომ მის დასაპატიმრებლად იყვნენ მოსულები, ავიდა ზევით სართულზე, კალიუმის ციანიდი დალია და თავი მოიკლა, არ ჩაბარდა ცოცხლად“.*

პროტოპრესვიტერი იოსები მეუღლესთან ერთად

ასე ღირსეულად დაასრულა თავისი სიცოცხლე ქრისტესთვის თავდადებულმა მოძღვარმა, პროტოპრესვიტერმა იოსებ მირიანაშვილმა, ხოლო მისი სახით კიდევ ერთი მოწამე შეემატა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტოალბომი

ღონღაძეების სამღვდელო გვარი

„საპატრიარქოს უწყებანის“ ამა წლის მეშვიდე ნომერში გაგაცანით დოლონაძეების სასულიერო ოჯახის ისტორია. საქართველოში მრავლად გვხვდება სხვა გვართა შთამომავლებიც, რომელთაც ღირსეული თაობები აღუზარდეს ქართულ ეკლესიას. მათ შორისაა ღონღაძეების ოჯახი. ისინი წარმოშობით იმერეთიდან, სოფელ ნებოძირიდან იყვნენ. საყურადღებოა, რომ ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ეკლესიის უმაღლესი იერარქი გახდა. თუმცა, დავიწყოთ თავიდან. აი, რას წერს თავისი წინაპრების შესახებ მოგონებებში ოთარ ირაკლის ძე ღონღაძე: **„როგორც პაპაჩემის, ნესტორის გადმოცემიდან ვიცი, ჩვენი გვარის ერთი შტო ყოფილა ხარაგაულის რაიონის სოფელ ნებოძირიდან. ჩემი დიდი პაპა — გიორგი ღონღაძე, სოფელ ნებოძირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა XIX საუკუნის I ნახევარში. 1818 წლით დათარიღებული მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, იგი უკვე იხსენიება ამ ტაძრის წინამძღვრად. გარდაიცვალა XIX ს-ის 40-იან წლებში. დასაფლავებულია იქვე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში. პაპაჩემი, მღვდელი ნესტორი, ხშირად დადიოდა ნებოძირში, სადაც მისი ბიძაშვილები და მოგვარეები დღესაც სახლობენ. მას არასოდეს გამოუტოვებია მიცვალებულის მოსაგონარი დღეები: მოინახულებდა პაპის საფლავს, პანაშვიდს გადაუხდიდა, პატივს მიაგებდა, თავის ვალდებულებას მოიხდიდა და ყოველგვარ საეკლესიო წესს აღასრულებდა. პაპაჩემი ნესტორის მამაც — სპრიდონი — სოფელ ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. იგი დასაფლავებულია ამავე სოფლის ეკლესიის ეზოში. შემორჩენილია საფლავის ქვაც, შესაბამისი წარწერით“.**

მღვდელი ნესტორ ღონღაძე ოჯახთან ერთად

მღვდელი სპირიდონ გიორგის ძე ღონღაძე XIX საუკუნის I ნახევარში, სოფელ ნებოძირში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. სასულიერო განათლება მონასტერში მიიღო. XIX საუკუნის 40-იან წლებში იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) დიაკვნად აკურთხა. 1854 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) მღვდლად დაასხა ხელი და ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1892 წლის 25 ნოემბერს, მოხუცებულობის გამო, პენსიაზე გავიდა. მღვდელი სპირიდონი 1897 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა. (მეორე ვერსიით 1897 წლის 5 მაისს)

ასევე სასულიერო პირი გახლდათ მისი ვაჟი ნესტორი, რომელიც 1862/63 წელს დაიბადა. იგი თავდაპირველად გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, სადაც მხოლოდ ორი კურსი დაასრულა. 1887 წლის 24 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) შორაპნის მაზრაში, სოფელ ვახანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესა. 1889 წლის 26 ივლისს ჩხერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. ამ პერიოდში ნესტორი დაქორწინდა ევდოკია (ევდუქსი) მოსეს ასულ ცქიტიშვილზე (1875 წ.). მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: გიორგი (1894 წ.), ირაკლი (1895 წ.), თამარი (1898 წ.) და ვლადიმერი (1905 წ.).

1903 წლის 8 თებერვალს იგი ნებოძირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დაადგინეს. 1906 წელს ნესტორმა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ კომისიას ჩააბარა გამოცდები სამღვდელო ხარისხის მისაღებად. 1907 წლის 11 თებერვალს იგი დიაკვნად აკურთხეს და აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო ავჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში, მედავითნის შტატში განამწესეს. 1911 წლის 10 თებერვალს დიაკონ ნესტორს მღვდლად დაასხეს ხელი და საქართველოს მთიანეთში, სოფელ ახიელის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იმ პირობით დაინიშნა, რომ ხუთი წელი არ მოითხოვდა ადგილის გამოცვლას. 1914 წლის 30 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1914 წლის 23 სექტემბერს მამა ნესტორი როშკის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში განამწესეს. 1915 წლის 12 ივლისს სკუფია უბოძეს. 1916 წლის 26 იანვარს ახალშენის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ქუთაის-გაენათის ეპარქიაში გადავიდა და სოფელ ჩრდილის ეკლესიაში დაიწყო მსახურება. მისი შვილიშვილი, ოთარ ღონღაძე მამა ნესტორის შესახებ იხსენებს: **„მამა ნესტორი ემსახურებოდა ხარაგაულის რაიონის ზოგიერთ სოფლებს — ზვარეს, ნუნისს, წიფას, მოლითს, ნებოძირს. მახსოვს, ძალიან უყვარდა ჟურნალ-გაზეთების კითხვა. იყო მოსწრებული ენის პატრონი, სოფელში მას ყველა ნათლიას ეძახდა. უყვარდა ფიზიკური შრომა“.**

მარცხნიდან: კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი (სიდამონიძე), თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაძუგა), დიაკონი ირაკლი ღონღლაძე, იღუმენი პართენი (აფციაური), დეკანოზი გიორგი ღონღლაძე, დეკანოზი ალექსანდრე გაგუნია, მღვდელი საბა დურდიაშვილი. სიონის საპატრიარქო ტაძარი. 1960 წ.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა ფრიად დამძიმდა. კომუნისტებმა სასულიერო პირები კანონგარეშედ გამოაცხადეს. მამა ნესტორსაც აუკრძალეს ღვთისმსახურება და მოსთხოვეს, ანაფორა გაეხადა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადამწყვეტი იერიში მიიტანა ეკლესიასა და მოძღვარზე. ამავე წლის 21 სექტემბერს ჩატარდა სოფელ ჩრდილის მცხოვრებთა საზოგადო კრება. თავჯდომარედ აირჩიეს ამხანაგი ვასილ ფანქველაშვილი, მდივნად — მიხა შათირიშვილი. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) ეკლესიის შენობის კლუბ-სამკითხველოდ გადაკეთება; 2) საკლუბო კომისიის არჩევა; 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ვ. შატბერაშვილმა. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: *„ჩვენ, სოფელ ჩრდილის მცხოვრებმა მუშა-გლეხებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგ ვ. შატბერაშვილისა, ვადგენთ: სოფელ ჩრდილის ეკლესია დაიხუროს და მის შენობაში გაიხსნას კლუბ-სამკითხველო“*. საკლუბო კომისიაში აირჩიეს 6 ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ, დაჩქარებით მოეწყოთ კლუბ-სამკითხველო.

ყოველი მხრიდან შევიწროებული მოძღვარი მაინც შეუპოვრად განაგრძობდა მღვდელმსახურებას. მართალია, ტაძარი დაუკეტეს, მაგრამ იგი ხან თავის სახლში, ხან მორწმუნეთა ოჯახებში აღასრულებდა საეკლესიო წესებს და სულიერად ასაზრდოებდა ჯერ კიდევ საკმაოდ შემორჩენილ მრევლს.

1937 წელს დაწყებულ რეპრესიებს უკვე ვეღარ გადაურჩა მხცოვანი მოძღვარი. მამა ნესტორის ოჯახში ზუსტად იციან, თუ რა გახდა მიზეზი მისი დაპატიმრებისა. აი, რას ჰყვებიან ისინი: **„1937 წელს საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუცია მიიღეს, რომელსაც „სტალინურს“ უწოდებდნენ. ამ ახალ კონსტიტუციაში საუბარი იყო რელიგიის, სიტყვის თავისუფლებაზე. მამა ნესტორმა გაზეთის საშუალებით შეიტყო ამ სიახლის შესახებ და სტუმრად მისულმა თავისი მოსაზრება გაუზიარა ნათლულს, რომელიც მოძღვარს უშლიდა ანაფორით სიარულს და არ იზიარებდა მის მოსაზრებებს. მამა ნესტორმა უთხრა:**

— რახან ქვეყანა უშვებს საეკლესიო წესების შესრულებას, შენ რაღას მედავები მღვდლობასო.

ნათლული გაბრაზებულა და მეორე დღეს ხარაგაულის მილიციაში უჩივლა თავის ნათლიას. მამა ნესტორი დააპატიმრეს და, სამეულის განჩინებით, დახვრეტა მიუსაჯეს“.

მღვდელ ნესტორის შვილებიდან ორმა — გიორგიმ და ირაკლიმ, წინაპრების საქმე გააგრძელეს. ძმებ ღონღაძეებს უმძიმეს პერიოდში მოუწიათ საეკლესიო მსახურება.

მღვდელი ირაკლი ნესტორის ძე ღონღაძე 1895 წლის 4 ოქტომბერს სოფელ ჩრდილში დაიბადა. ჰყავდა მეუღლე, ქეთევან დავითის ასული ნეკაძე (1897-1974). მათ სამი ვაჟი ჰყავდათ: ოთარი, ვახტანგი და შოთა. ირაკლი წლების განმავლობაში საერო სამსახურში იყო, თუმცა ეკლესიასთან ურთიერთობა არასდროს შეუწყვეტია. მისი სასულიერო ხარისხში აყვანა შედარებ[illegible] გვიან მოხდა. XX საუკუნის 50-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის (ფხალაძე) ლოცვა-კურთხევით, იგი გათავისუფლდა საერო სამსახურიდან და სიონის საპატრიარქო ტაძარში დაიწყო მედავითნედ სამსახური. მცირეოდენი მომზადების შემდეგ იგი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და სიონის ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. ბოლოს მსახურობდა კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში. გარდაიცვალა 1965 წლის 19 სექტემბერს და დასაფლავებულია კუკიის ეკლესიის ეზოში, აღმოსავლეთ კედელთან.

მიტროპოლიტი გიორგი, ერისკაცობაში — გიორგი ნესტორის ძე ღონღაძე, 1894 წლის 7 ივლისს, სოფელ ჩრდილში დაიბადა. 1908 წელს მან დაასრულა თბილისის საქალაქო პირველდაწყებითი სასწავლებელი. 1910-1913 წლებში აზერბაიჯანში, დაბა ელიზავეტპოლში ტელეგრაფისტად მუშაობდა. 1913 წელს გიორგი საეკლესიო ცოდნის მისაღებად გელათის მონასტერში მივ[illegible]და, საიდანაც 1914 წელს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. მონასტერში მან მედავითნეობის კურსები გაიარა და გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) 1914 წლის 6 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დანიშნა. 29 ოქტომბერს შტატში დაამტკიცეს. ამავე წელს გიორგიმ იქორწინა გრემისხევის ეკლე-

მღვდელი ირაკლი ღონღლაძე

სიის წინამძღვრის, მღვდელ სამსონ ღარიბაშვილის ასულ ნინოზე (1893-1978წწ.). მათ სამი შვილი ჰყავდათ: სერგო, ნადია და ნორა. 1914 წლის ნოემბერს გიორგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იგი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და ისევ გრემისხევის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1919 წლის 5 აპრილს ატოცის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ ნიკონ მარკოზის ძე სალარიძის თხოვნით, ამავე ეკლესიის მედავითნედ გადაიყვანეს. 1919 წლის 12 სექტემბერს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მედავითნე გიორგი დიაკვნად აკურთხა და ატოცის ეკლესიაში დაადგინა.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიაკონი გიორგი, სხვა სასულიერო პირთა მსგავსად, დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. 1923 წელს იგი იძულებული გახდა, დროებით გაეხადა ანაფორა და რკინიგზაზე მემანქანედ დაეწყო მუშაობა. 1924 წელს გაზეთ „კომუნისტში" ანონიმი ავტორის მიერ გამოქვეყნდა პატარა წერილი, სათაურით „მღვდელი-მემანქანე", სადაც ვკითხულობთ:

„ამას წინედ ვიმგზავრე კახეთში. სადგურ გურჯაანში, იქვე გლეხები ხილს ყიდდენ. ამ დროს მოვიდა მემანქანე, რომლის გვარი, საუბედუროდ, არ დამამახსოვრდა. გლეხებს აუტყდათ ჩუმი სიცილი. მე განვცვიფრდი და ვკითხე, თუ რად იცინოდენ ისინი. მათ მომიგეს, რომ ეს მემანქანე ნამღვდელარიაო. მემანქანეც მიხვდა, რომ მასზე იცინოდნენ და სთქვა განითლებულმა შემდეგი: „ჩემი რა ბრალია, რომ მამაჩემმა მღვდლობა მასწავლაო. აგერ მხედავთ, რომ როდესაც მივხვდი, რომ ჩვენი ხელობა მშრომელ მასას არ გამოადგებოდა, კიდეც თავი გავანებე და პატიოსან შრომას მივყევი ხელიო. ამით დაამთავრა მან თავისი საუბარი. მართლაც, მე შევიტყვე, რომ მას ადრე გაენებებინა მღვდლობისათვის თავი".

ეს მემანქანე დიაკონი გიორგი ღონღაძე გახლდათ. 1929-1936 წლებში იგი თბილისის რკინიგზის სამართველოში რევიზორის თანამდებობაზეა, ხოლო 1936-1948 წლებში სხვადასხვა სადგურში მზიდავად მუშაობს.

1948 წლის ბოლოს გიორგი გათავისუფლდა საერო სამსახურიდან და კვლავ დედაეკლესიას დაუბრუნდა. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) იგი დიაკვნის ხარისხში აღადგინა. 1949 წლის 19 იანვარს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ მღვდლად დაასხა ხელი და ალავერდის ეპარქიაში, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დანიშნა. 1951 წლის 27 ივლისს ალავერდელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) იგი ძველი გავაზის (ახალსოფლის) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. ამავე წლის 22 აგვისტოს ფშაველისა და ნაფარეულის სამრევლოები ჩააბარეს. 1955 წლის დასაწყისში მღვდელი გიორგი თბილისში, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად გადმოიყვანეს. 1958 წელს ამავე ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა, ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1963 წელს ენქერი და გამშვენებული ჯვარი უბოძეს.

1974 წლის 13 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ (დევდარიანი) დეკანოზ გიორგის მანგლელ ეპისკოპოსად დაასხა ხელი, 1976 წლის 11 ივნისს კი ბარტყულაზე თვლებიანი ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვა. 1978 წლის 4 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მიტროპოლიტის წოდება მიანიჭა. 1978 წლის 14 დეკემბერს მეორე პანაღიით დაჯილდოვდა. 1980 წლის 1 ოქტომბერს წილკნის ეპარქიაში გადაიყვანეს. ამავე წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, მიენიჭა უფლება, სკუფიაზე ეტარებინა ბრილიანტის ჯვარი. მეუფე გიორგი ასევე დაჯილდოებული იყო წმინდა ნინოსა და წმინდა გიორგის ორდენებით. 1982 წლის 22 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მიტროპოლიტი გიორგი გარდაიცვალა. 26 ივნისს მისმა უწმინდესობამ ილია II-მ განსვენებულ მიტროპოლიტს წესი აუგო დიდუბის ტაძარში. 27 ივნისს კი, ამავე ტაძარში, საღმრთო ლიტურგიის აღსრულების შემდეგომ, კათოლიკოს-პატრიარქმა ვრცელი სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ მრევლს, განსვენებულის ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს. ისაუბრა მის სულიერ ცხოვრებასა და დედაეკლესიის მიმართ უანგარო სამსახურზე. ცხოვრების გზაზე, რომელიც დიაკვნის ხარისხიდან მიტროპოლიტის წოდებამდე განვლო... მეუფე გიორგი დაკრძალულია დიდუბის ტაძარში, სადაც 27 წლის მანძილზე მსახურობდა.

მიტროპოლიტ გიორგის დასაფლავება დიდუბის ტაძარში

მიტროპოლიტ გიორგის გამოირჩეოდა მშობელი ეკლესიისადმი ერთგულებით, მას უმძიმეს პერიოდში მო-

უხდა მოღვაწეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ღირსეული მოძღვრისა და მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა.

თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის არქიმანდრიტი ანტონი (გულიაშვილი) მეუფე გიორგის შესახებ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას" 1982 წლის პირველ ნომერში წერდა:

„უფალმან ჩვენმან წუთისოფლიდან გაიხმო კეთილმორწმუნე წილკნელი მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გიორგი (ღონღაძე).

ძნელია, წერო ადამიანზე, რომელთანაც ძალიან ახლოს ყოფილხარ, გახსოვს მისი მაღალი ზნეობა და გულისხმიერება. ყოველივე ეს უკვე მოგონებად დარჩა. ცხადია, გაწუხებს, რომ ვეღარ ნახავ მის ღიმილს, ვერ გაიგონებ მის ხმას, დაბოლოს, აღარავინ გაგიჯავრდება ისეთი ალერსიანი ხმით, როგორიც ჰქონდა მხოლოდ მას. ძნელად თუ ვისმეს შეაქებდა, მაგრამ უდიდესი პატივისმცემელი იყო საქმის ერთგული ადამიანებისა. თუ მეუფე გიორგი დარწმუნდებოდა ადამიანის სიკეთესა და რწმენაში, ვერავინ შეაცვლევინებდა აზრს. ყველას შეეძლო მასთან გულახდილი საუბარი.

საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი მისი რისხვაც და სიკეთეც, მისი მამაშვილური დარიგებები.

ადრე მეუფე მანგლელი მიტროპოლიტი გახლდათ. მანგლისის ეკლესიის წინამძღვრად მე ვიყავი დანიშნული და თბილისში ყოველი ჩამოსვლისას წესად მქონდა დიდუბის ეკლესიაში მასთან მისვლა. დაწვრილებით გამომკითხავდა მანგლისის ეკლესიის ამბებს, გულთან მიჰქონდა ყოველი წვრილმანი. ბოლო დროს სურვილი ჰქონდა თავის ეპარქიაში ასვლისა, მაგრამ ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს.

ერთხელ კი, როგორც იქნა, გაბედა, ამობრძანდა და წირვაც ჩაატარა. გახალისდა, ძალა მოეცა, ზეგარდმოშთაგონებით აივსო. წირვის შემდეგ მრევლში ჩადგა და დიდხანს ესაუბრა მორწმუნეებს.

სათუთი მეგობრობა მაკავშირებდა ასაკით ჩემზე უფროს მეუფესთან. ბევრი კარგი ვისწავლე მისგან. და ახლა, როცა ვფიქრობ, მინდა გამოვყო კიდევ რამდენიმე ღირსება, რომლითაც დაჯილდოებული იყო იგი, როგორც ეკლესიის მღვდელმთავარი და ქართველი კაცი, შვილი თავისი ქვეყნისა.

მას არ მოსწონდა სიტყვით მამულიშვილობა. უყვარდა თვალსაჩინო სასარგებლო საქმე, ვერ ურიგდებოდა ისეთ ადამიანებს, ვინც ანგარების გამო მოხვდნენ ეკლესიაში.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ, ჩვენი მოხუცი მეუფე თითქოსდა გამოცოცხლდა, მიეცა ახალგაზრდული ძალა. კარგად მახსოვს, წირვის დროს როგორი შემართებით უმშვენებდა იგი მხარს კათოლიკოს-პატრიარქს.

მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე)

ახალი პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწყო საქართველოს ტაძრების შეკეთება-აღორძინება. ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს დიდუბის ეკლესიის რესტავრაცია-მოხატვა და აქაც ჩვენ ვხედავთ მეუფე გიორგის, როგორც ერთგულს საქართველოს ეკლესიისა და მისი მამამთავრისას.

ღირსეულად დაფასდა მისი ღვაწლი. იგი დაკრძალეს დიდუბის ტაძარში, იმ ადგილას, სადაც განზრახულია წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველი ფრესკების შექმნა.

საუკუნოდ იყოს ხსენება ტკბილი მოხუცისა და ღირსეული წინაპრის, საქართველოს წმინდა ეკლესიის ერთ-ერთი ღირსეული მღვდელმთავრის, მეუფე გიორგისა".

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

კაშმირის ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი დაახლოებით 4,6 მილიონია. კაშმირი ენდოევროპულ ენათა ოჯახის დარდის ჯგუფს განეკუთვნება. ძირითადად, გავრცელებულია ინდოეთის შტატ ჯამუსა და კაშმირში. ამ ენაზე მოლაპარაკე ცალკეული ჯგუფები სხვა შტატებშიც, ასევე პაკისტანში გვხვდება.

ამერიკელებმა ბიბლიის ახალ რედაქციაში სიტყვა „ქალწული" „ახალგაზრდა ქალით" ჩაანაცვლეს

ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატების კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მერი სპერმა განაცხადა რამდენიმე ცვლილების შესახებ, რომლებიც „ბიბლიის ახალ ამერიკულ შესწორებულ გამოცემაში" გამოჩნდება. ძირითადად, ეს ეხება სიტყვას „ჰოლოკოსი" (holocaust), რომელიც წინა, 1970 წლის თარგმანში ძველაღთქმისეულ მსხვერპლთშეწირვებთან დაკავშირებით გამოიყენებოდა. აღნიშნული სიტყვა შეიცვლება გამოთქმით „burnt offering" („დამწვარი მსხვერპლი"). სხვა მეტ-ნაკლებად სადავო საკითხია ებრაული სიტყვა „ალმაჰ", რომელიც ესაია წინასწარმეტყველის წიგნში გვხვდება („თავად მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს" (ეს. 7,14). 1970 წლის გამოცემაში ეს სიტყვა თარგმნეს, როგორც „Virgin" — ქალწული, ახალ შესწორებულ ვერსიაში კი შემდეგნაირად გადაითარგმნა: „young woman" (ახალგაზრდა ქალი).

თუმცა, ამ ადგილის ქვეტექსტი ახალ აღთქმაში გაცხადებულია და ესაიას წიგნის აღნიშნულ ციტატაზე მათე მახარებელი მიუთითებს: „აჰა, ქალწული მუცლად ილებს, და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემმანუელს, რაც თარგმანით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი" (მათ. 1,23).

ნიშანდობლივია ებრაელი რაბინის ბ. კრავიტცის რეაქცია ახალ თარგმანზე. მან შეაქო ბიბლიის შესწორებული თარგმანი და კმაყოფილება გამოხატა სიტყვა „ქალწულის" „ახალგაზრდა ქალით" ჩანაცვლების გამო. როგორც მან განაცხადა, „ადრინდელი თარგმანის შეცდომები მისიონერების მიერ ებრაელების გასაქრისტიანებლად გამოიყენებოდა".

ბრიტანეთის სასამართლომ ქრისტიან წყვილს შვილად აყვანაზე უარი უთხრა

ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ ქალაქ დერბიში მცხოვრებ ქრისტიან წყვილს არ მისცა ბავშვების შვილად აყვანის უფლება მათი სოდომისტებისამდი ნეგატიური დამოკიდებულების გამო. როგორც გაზეთი „დეილი მეილი" იუწყება, 62 წლის იუნის და 65 წლის ოვენ ჯონსებმა, რომელთაც უკვე აღზარდეს 15 აყვანილი ბავშვი, ქალაქის საკრებულოს მას შემდეგ მიმართეს, რაც სოციალური მუშაკი უკმაყოფილო დარჩა ჰომოსექსუალური ცხოვრების წესისადმი მათი უარყოფითი დამოკიდებულებით.

თუმცაღა, ქალაქ დერბის საკრებულომ უარყო მიმართვა და წყვილმა ქვეყნის უზენაეს სასამართლოს მიმართა. მან კი, თავის მხრივ, დაადგინა, რომ ჰომოსექსუალიზმის შესახებ არსებული ტრადიციული ქრისტიანული შეხედულება „მავნებელია" ბავშვებისათვის და დაადასტურა, რომ არ ჩაერევა, თუ ამიერიდან ადგილობრივი ხელისუფლება უარს ეტყვის მსგავსი შეხედულებების მქონე ქრისტიან წყვილებს შვილად აყვანაზე.

სასამართლოში ასევე განაცხადეს, რომ ჯონსების ოჯახისათვის ბავშვის აყვანის აკრძალვა სრულებით არ წარმოადგენს რელიგიურ საფუძველზე დისკრიმინაციას, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა არა ქრისტიანულმა შეხედულებამ, არამედ მათ მიერ ჰომოსექსუალიზმის შეფასებამ.

თავად მეუღლეთა თქმით, მათ არ ეზიზღებათ ჰომოსექსუალები და მზად არიან, სიყვარულით აღზარდონ ნებისმიერი მათს ზრუნვას მინდობილი პატარა. ერთადერთი, რასაც ისინი ნამდვილად არ ასწავლიან ბავშვს, ეს იქნება აზრი, „თითქოს ჰომოსექსუალური ქმედება რაიმე კარგს წარმოადგენს".

„ჩვენ ძალიან დიდ ტკივილს განვიცდით სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო. ჩვენ მხოლოდ ოჯახური სითბოს შეთავაზება გვსურდა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მაგრამ რამდენადაც ქრისტიანები ვართ და ქრისტიანულ შეხედულებას ვიზიარებთ სექსუალურ ეთიკასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, არ შევესაბამებით შვილად ამყვანი მშობლების კანდიდატურებს", — განაცხადა ი. ჯონსმა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე 1851-1919

დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე 1851 წლის 12 ნოემბერს სვანეთში, გლეხ შიო და მარინე ნიჟარაძეების ოჯახში დაიბადა. ეს ის პერიოდია, როდესაც სვანეთში ქრისტიანული სარწმუნოება ფრიად შეეიწროებულია, აღარ არსებობს სწავლა-განათლების კერები და ქრისტეს სახელიც აქა-იქ თუ იქადაგება. რომ არა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) ამაგი და დაუღალავი მოღვაწეობა, შედეგი ფრიად სავალალო იქნებოდა. თუმცა, თავად მამა ბესარიონს მოვუსმინოთ. აი, რას წერს იგი ამ და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გატარებული პერიოდის შესახებ თავის მოგონებებში:

„უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანობა სვანეთში იმ დროს, როდესაც ეს კუთხე ჩაბარდა განსვენებულ მღვდელმთავარს, უკანასკნელ სულს ლევდა, მისი შუქი ძლივსლა ბჟუტავდა. სწორედ განგებამ მოუვლინა სვანებს ამ საჭირო დროს გაბრიელ ეპისკოპო-

სი. მისმა ორგზის მობრძანებამ, მჭევრმეტყველურმა ქადაგება-დარიგებამ და შესაფერმა ზომებმა იხსნა ქრისტეს სწავლა აქ გაქრობისაგან. გონიერმა მღვდელმთავარმა პირველად ესრეთ წოდებულ „პაპებს“ მიაქცია ყურადღება. რამდენიმე მათგანი გაგზავნა მონასტერში საღმრთო წერილის შესასწავლად, იმათგან დღესაც ზოგი მღვდელია და ზოგიც მედავითნე. მოახერხა ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან და სვანების შვილებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიშვნია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ერთი იმ სტიპენდიათაგანი მეც ვიყავი. უნდა გეყურებია, როგორის მამაშვილურის ქცევით გვეპყრობოდა განსვენებული მოსწავლე სვანებს. ერთი ამ მამობრივის მოპყრობის საბუთი დღესაც ხელში მაქვს. 1871 წელს მესამე კლასში გადავედი. ქართული ენის მასწავლებელმა საკანიკულოდ შემდეგი თემა მოგვცა მოსწავლეებს დასაწერად: „ჩემი წლევანდელი კანიკულის დღიური“. სექტემბერში როგორც მე, ისე ჩემმა ამხანაგებმა, დაწერილი მოვუტანეთ, ვის როგორ შეგვეძლო. ერთ დღეს მასწავლებელმა შემოგვიტანა ყველა მოსწავლეებს თავთავიანთი ნაწერები გარჩეული და, სხვათა შორის, მითხრა, რომ შენი ნაწერი სჯობია ყველას და ეს რომ გაზეთში გაიგზავნოს, დაბეჭდავენო. ამ ქებას, ნამეტურ გაზეთში დაბეჭდვის იმედმა, ძრიელ გამახარა და იქვე ვკითხე მასწავლებელს, თუ სად და როგორ უნდა გავგზავნო-თქო გაზეთში დასაბეჭდად. მან ამიხსნა, რომ გაგზავნა თბილისში უნდა, „დროებაში“, ფოსტის ერთი მარკა უნდა დააკრა და წაიღებენო. მარკის ფული არ მქონდა და მაშინ გავიქეცი განსვენებულთან, იგი ეზოში დასეირნობდა და წიგნს კითხულობდა. რომ დამინახა მისკენ მიმავალი, მითხრა: რა გინდა, სვანოვო. მე რვეული გადავეცი და აუხსენი, რამდენათაც მაშინ შემეძლო. კარგიო, მიბრძანა განსვენებულმან, მე ნაწერს წავიკითხავ და მერე გეტყვი, ეხლა წადიო. შორიდან თვალს ვადევნებდი, ვხედავდი, რომ ჩემს რვეულს კითხულობდა. მეორე დილას დამიბარა, მივედი, თავის სახლის კარში შემხვდა, სოფლად მიდიოდა: ჩემი რვეული ხელში ეჭირა, გადმომცა ისიც და ორი აბაზიც ზედ დააყოლა, ამით ქართული წიგნი იყიდეო. მაშინვე მოვკურცხლე შინ, დავხედე რვეულს და შემდეგი წარწერა ჰქონდა ბოლოს: „გაქებ, რომ ქართული ენა გვარიანად გისწავლია, მაგრამ დაბეჭდვა არ შეიძლება, რადგანაც ბავშური მოთხრობა არის და არა რით შესანიშნავი. ეპისკოპოსი გაბრიელი“. არ მიამა არმოწონება მოთხრობისა, მაგრამ რას ვიზამდი. დავრწმუნდი კი, რომ ჩვენ ქართულის ენის მასწავლებელზე ეპისკოპოსს უკეთ სცოდნია ქართული-თქო. ეს რვეული ზედ წარწერით დღესაც მოწიწებით ინახება ჩემს ქაღალდებში“.

1872 წელს ბესარიონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი წარჩინებით დაასრულა და იმავე წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაბარა, რომელიც 1878 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. როგორც სემინარიის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ბესარიონი ქუთაისში მიიწვია და სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლად განამწესა. 1891 წლის 31 ოქტომბერს მან იქორწინა აზნაურის ქალზე, ალექსანდრა პავლეს ასულ ნორაკიძეზე. მამა ბესარიონს და ალექსანდრას სამი შვილი შეეძინათ: რაფიელი (კუკური), ციცინო და ბიძინა.

ბესარიონი შუა ტანისა და მკვრ[illegible]ვი აგებულებისა ყოფილა; ჰქონდ[illegible] სწორ-ნაკვთებიანი სახე, მაღალი, ფართო შუბლი, ნათელი და ჭკვიანი თვალები, წაბლისფერი თმა-წვერულვაში, დაბალი და ტკბილი ხმა; იყო გულკეთილი და თავაზიანი. დარბაისლობამ, მჭევრმეტყველებამ და სვანეთის შესანიშნავად ცოდნამ მას სასიამოვნო მოსაუბრისა და სამართლიანი მომრიგებლის სახელი გაუთქვა.

1873 წლიდან ბესარიონი სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან. მაშინდელ სალიტერატურო წრეებში იგი ცნობილი იყო ფსევდონიმით **„თავისუფალი სვანი“**. თავის წერილებსა და ნარკვევებში ეხებოდა სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, გეოგრაფიის, ენის საკითხებს. მისი თხზულებები თავმოყრილია წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ (ტ. I-II, 1962-64 წწ.), რომელიც თარგმნილია რუსულად და გერმანულად. მამა ბესარიონი თავის ნაშრომ[illegible]ვრცლად მიმოიხილავს სვანი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მათ ადათ-წესებს, დღესასწაულებს, კულტურას. ერთ-ერთ თავში საუბრობს მამა **სიმონ გაბიანის** შესახებ, რომელსაც სვანეთის პირველ მისიონერად მიიჩნევს. აი, რას წერს მის შესახებ:

„მღვდელი სიმონ გაბიანი ბუნებით სვანია, ცხოვრობს სადადიანო სვანეთის ლაშხეთის საზოგადოებაში, სოფელ შკედს. როგორც დიდი ხნის დამსახურებული, იღებს პენსიას — 130 მანეთს. მღვდელი სიმონი დღეს 108 წლის მოხუცია, მაგრამ ისე ცოცხალი, ისე ჯანმრთელი, რომ არავინ დაიჯერებს, თუ მისი წლოვანება 60 წელს აღემატება. ტანად პატარაა, თმა-წვერ გაყვითლებული, თავისებურად ჩაცმა-დახურვის და ცხოვრებისმოყვარე ეს „პატარა ხუცესი“ (კოტოლ ბაპ) დანახვისთანავე მიიქცევს მნახველის ყურადღებას. საღმრთო წერილი უსწავლია ცაგერის მონასტერში, მღვდლად კურთხეულა მარტვილში. საღმრთო წერილის ცოდნაში ბევრი რამ აკლია, ნამეტურ ტიპიკონში, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლ[illegible]და პატარა ხუცესს, რომ

ღმერთი წმინდის გულით შეეყვარა და ხალხის გულიც მოეგო. უშგული დღესაც წმინდანივით უყურებს ამ ხუცესს. წარსულიდან ბევრი რამ ახსოვს სიმონ მღვდელს. იგი იცნობდა საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი), ახსოვს თავადი ივანე მუხრანბატონი და გ. რ. ერისთავი, როდესაც იგინი ქუთაისში ყოფილან სამსახურში. ბევრს საინტერესო რამეებს მოჰყვება თავის ნაცნობობის შესახებ დიდკაცებთან. მოვიყვან ორს:

ა) როდესაც ეგზარქოსმა ისიდორემ დამიბარა თბილისშიო, — მიამბო სიმონ მღვდელმა, — დიდი მადლობა მითხრა სვანეთში მოღვაწეობისათვის და სკუფიათი დამაჯილდოვაო. სკუფიაზე უარი განვაცხადე და შევატყე ეგზარქოსს არ ეჭაშნიკაო. რომ დამემშვიდებინა იგი, მოვახსენე: თქვენო მეუფებავ, მე რომ ეს თქვენი საჩუქარი წავიღო, სვანები სხვანაირად იფიქრებენ რასმე და შეიძლება ისე არ გამიგონ, როგორც აქამდის მიგონებდენო. ჩემი აზრით, ის ემჯობინება, ეს სკუფია იმას უბოძოთ, ვისაც გაუხარდება და მე კი თქვენი ლოცვა-კურთხევა გამატანეთ სვანეთშიო;

ბ) ერთი ახირებული ხასიათი სჭირს სიმონ მღვდელსა: თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში გული (მკერდი) არ შეუკრავს, ასე რომ, მუდამ გულღია დადის. პერანგის ღილსაც არ იბნევს). თავად გ. ერისთავს არ მოსწონდა ესა და რამდენჯერმე მთხოვა, რომ პერანგი მაინც შემებნია, მაგრამ მე მაინც ჩემი მემართებოდა. ერთხელ ქუთაისს დამიბარა, გამოვცხადდი ჩვეულებრივ გულგაღებული. როდესაც გამოვეთხოვე, თავად ერისთავმა მიბრძანა, რომ ხვალ თქვენ ახალ ტანისამოსს მოგიტანენ, ჩაიცვით და ისე მობრძანდითო. თურმე მას ებრძანა, რომ ხვალისათვის ახალი ტანისამოსი შეეკერათ ჩემთვის. მეორე დილას თერძმა მომიტანა და თავის ხელით შემიბნია ახალუხისა და კაბის დუგმები. ავდექი და თავად ერისთავთან მივედი. ლაპარაკის დროს ყველა დუგმები ახალუხისა და კაბისა შემხსნოდა ჩემთა გაუგებრად და მან ისევ დაინახა ჩემი გაღეღილი გული. ერისთავმა რომ ამას შეჰხედა, მითხრა: „მამაო, როგორც გიწირავს, ისე სწირე, ეტყობა, ვერაფერი დუგმა შენს გულს ვერ შეჰკრავსო"...

დეკანოზი ბესარიონი შვილებთან

ბესარიონ ნიჟარაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის სვანეთში დაცული ძველი ხელნაწერების მოძიებასა და მათ გადარჩენაში. იგი დადიოდა სოფელ-სოფელ და აგროვებდა ჟამთა სიავის დროს მიყრუებულ ადგილებში გადამალულ ამ დიდებულ საუნჯეებს. მან ამგვარად აღმოაჩინა და დაღუპვას გადაარჩინა 9 უძველესი სახარება, რომელთაგან ერთ-ერთი ცნობილია ადიშის სახარების სახელწოდებით, რადგანაც იგი სოფელ ადიშში აღმოაჩინა. ამის შესახებ გაზეთ „ივერიაში" იგი წერდა: *„ეს სახარება სქელ ტყავზე არის დაწერილი და ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერ სახარებად ითვლება ქართულ მანუსკრიპტებში. ფურცელი აქვს 394, ამათში სახარების ტექსტს უჭირავს 386 ფურცელი. ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. დროთა, განმავლობაში რესტავრაციის დროს ძველი ყდა განუახლებიათ და მეორედ აკინძვის დროს ძაფის მაგიერ კანაფის მომსხო ბაწარი უხმარიათ. სახარების წინა ყდაზე ვერცხლის უბრალო ჯვარია მოჭედილი რვა ლურსმნით. ადიშის სახარების ტექსტი ენის, ორთოგრაფიისა და აქა-იქ აზრის მხრითაც, რამოდენსამე განსხვავებას წარმოადგენს თანამედროვე სახარების ტექსტთან, თუმცა მისი შედარება დროის უქონლობის გამო ამჟამად ვერ მოვახერხე".*

მამა ბესარიონს ასევე შეუდგენია ქართულ-სვანური ლექსიკონი. **ილია ჭავჭავაძე** დიდი სიხარულით გამოეხმაურა ამ ამბავს და გაზეთ „ივერიაში" იგი წერდა:

„როგორც შევიტყეთ, ბატონ ბესარიონ ნიჟარაძეს დაუსრულებია თავისი ლექსიკონი. ეს ძლიერ სასიამოვნო ამბავია და დიდ მნიშვნელობიანიც არის, მაგრამ თუ ჰსურს ბატონ ნიჟარაძეს, რომ მის ლექსიკონს მართლა სამეცნიერო მნიშვნელობა ექმნეს, უსათუოდ მეგრული სიტყვებიც უნდა შეუფარდოს და მაშინ ცხადად გამოჩნდება ქართული ენის ნათესაობა. მეგრულის სიტყვების მიწერა არ იქნება გასაჭირი, რადგანაც ყოველივე კეთილგონიერი მეგრელი, მცოდნე თავისის ენისა და საზოგადო ქართულისაც, არ დაამადლის დახმარებას. ამ შემთხვევაში ბატონი ნ. ტ. დადიანი უებარი გვგონია და

იმედია, რომ ამ კეთილს საქმეში თავის შრომასაც შეიტანს და ხელს გაუმართავს ლექსიკონის ავტორს".

მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

1892 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) ბესარიონი დიაკვნად აკურთხა, ერთი კვირის შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და სვანეთში, სოფელ იფარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1895 წლის აღდგომას საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1899 წლის 9 ივლისს სკუფია უბოძეს. 1900 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) მამა ბესარიონი მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანა. 1903 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

1907 წელს მღვდელი ბესარიონი აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. 1910 წელს ლეჩხუმსა და სვანეთში მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც **ექვთიმე თაყაიშვილი** ხელმძღვანელობდა. სვანეთში ჩასულებს დიდი დახმარება გაუწია მამა ბესარიონმა, რომელმაც სვანეთის სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნი ძველი ქართული ხელნაწერები ექვთიმე თაყაიშვილს აჩვენა. აი, რას წერდა შემდგომში ამ მოგზაურობის შესახებ დიდი ქართველი მეცნიერი:

„თავისუფალ სვანეთში ჩასვლისას შემოგვეგება ან განსვენებული სვანეთის „ბლაღოჩინი" ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც კარგად ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში თავისი საყურადღებო ეთნოგრაფიული წერილებით. ის სწერდა ფსევდონიმით: „თავისუფალი სვანი". ბესარიონი მოვიდა ჩვენთან, სოფელ კალაში და გვირჩია, მასთან წავსულიყავით პირველად სოფელ მესტიაში, რომელიც შუა ადგილია ენგურის სვანეთისა, იქ დავბინავებულიყავით და იქიდან დაგვეწყო ექსკურსიები სხვადასხვა სოფლებში. ჩვენც აგრე მოვიქეცით. ცოტა ხნით, როდესაც ვატაცი მოვიდა სვანეთში, ის მას ეახლა და როდესაც გაისტუმრა, მერმე თავის მკვირცხლის და სიმპატიურის შვილით, კუკურით (მაშინ გიმნაზიის მოსწავლე იყო), ჩვენ არ მოგვცილებია, ყოველგან დაგვყვებოდა, ცდილობდა ყველაფერი ეჩვენებინა. არაფერი არ დაგვრჩენოდა უნახავი. მისი დახმარებით და შუამდგომლობით შევიძინეთ ჩვენ ბევრი ხელნაწერი და ნივთი".

1907 წლის 6 მაისს მამა ბესარიონს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1913 წლის 15 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1917 წელს კი ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1917 წლის 8-17 სექტემბერს დეკანოზი ბესარიონი ესწრებოდა თბილისში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას.

მამა ბესარიონი 1919 წლის 26 აპრილს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ქართული საზოგადოებისა და ეკლესიისათვის დიდი დანაკლისი იყო ასეთი განათლებული და ეროვნული საუნჯის მოამაგე მოძღვრის მოულოდნელი აღსასრული. თბილისის საზოგადოებამ ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი გადაუხადა მას და უკანასკნელ გზაზე გააცილა. თავისი ანდერძის თანახმად, მამა ბესარიონის ცხედარი სოფელ უშგულის ლამარიას ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

„სიმართლისათვის მრავალწლიანმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო“

თურქეთის ტურიზმის მინისტრმა ანტალიის მუზეუმს აუკრძალა იმ წმინდა ნაწილების გამოსვენება, რომლებიც, თითქოსდა, წმინდა ნიკოლოზს ეკუთვნის. დამტკიცდა, რომ ნეშტი, რომელიც მუზეუმში 86 წლის განმავლობაში იყო დასვენებული, სინამდვილეში ამ წმინდანს არ ეკუთვნის. წმინდანის სხეულის ნაწილები მავანმა იტალიელმა 1925 წელს გადასცა მუზეუმს. წმინდა ნიკოლოზის საერთაშორისო სამშვიდობო საბჭოს ხელმძღვანელის მ. კარაბულუტას თქმით, საბჭომ მრავალჯერ მიმართა თურქეთის ტურიზმის სამინისტროს, რათა ნეშტი მუზეუმის ექსპონატთა სიიდან ამოეღო. „სიმართლისათვის ჩვენმა მრავალწლიანმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო“, — აღნიშნავს იგი.

წმინდა ნიკოლოზის წმინდა ნაწილები მისი სიკვდილის შემდეგ დაკრძალული იყო მირონლუკიაში, მცირე აზიაში (ამჟამად თურქეთის ნაწილი, ქალაქი დემრე). XI საუკუნეში იგი იტალიელებმა ბარიში წაასვენეს, სადაც ამჟამად არის დაბრძანებული.

რომის კატაკომბები საფრთხეშია

რომის ცნობილი კატაკომბები მათ კედლებზე შესრულებული უნიკალური ფრესკებითა და წარწერებით მსოფლიოს კულტურული ფასეულობების რიცხვშია. თუმცაღა დროთა განმავლობაში კატაკომბებში წყალმა და ხის ფესვებმა შეაღწია და ამჟამად კატაკომბები ავარიულ მდგომარეობაშია.

პაპის კომისიის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს კატაკომბების მდგომარეობა, თუმცა მათი გადარჩენის ღონისძიებებზე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

კატაკომბები ტუფის მიწისქვეშა ქსელებია, რომლებიც უამრავ ლაბირინთს ქმნის. ადრე ქრისტიანულ ხანაში მას მიცვალებულთა შესასვენებლად იყენებდნენ.

სულ რომში 60 სხვადასხვა კატაკომბია, მათი უმრავლესობა განლაგებულია ძველი აპიის გზასთან, სიგრძე 150-იდან 170 კმ-მდეა, მათში დაახლოებით 750 მიცვალებულია.

კატაკომბების წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. ერთი თეორიის თანახმად, ისინი ძველი ქვისმთლელების მიტოვებული ადგილია. მეორე თეორია ამტკიცებს, რომ კატაკომბები საკუთრივ ქრისტიანული ნაგებობაა, რადგან მათი ვიწრო შესასვლელი უვარგისია ქვის მოსაპოვებლად, ხოლო თავად ქვა — მშენებლობისთვის გამოუსადეგარი.

IV საუკუნიდან მოყოლებული კატაკომბები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და მათ ქრისტიანთა დასაკრძალად აღარ იყენებენ. V საუკუნეში აქ ეს ტრადიცია მთლიანად შეწყდა, მაგრამ ამავე პერიოდიდან ისინი მომლოცველების სათაყვანებელ ადგილად იქცა. მორწმუნეებს სურდათ მარტვილთა და აღმსარებელთა საფლავების მოლოცვა. ისინი სტუმრობდნენ კატაკომბებს და მათ კედლებზე ტოვებდნენ (განსაკუთრებით წმინდანის ნეშტის განსასვენებლის მახლობლად) სხვადასხვა გამოსახულებას, წარწერასა და შთაბეჭდილებას; ეს ინფორმაციები ყველაზე ფასეულია კატაკომბების შესწავლის ისტორიისათვის.

კატაკომბების მიმართ ინტერესი მას შემდეგ განელდა, რაც იქიდან წმინდანთა ნეშტების გამობრძანება დაიწყეს. 537 წელს მრავალ წმინდანთა საფლავი გაიხსნა, მათი წმინდა ნაწილები კი ქალაქის ეკლესიებში გადააბრძანეს. ცნობილია, რომ პაპმა ბენედიქტე IV-მ ქრისტიანული ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით პანთეონში კატაკომბებიდან წმინდანთა ნაწილებით სავსე 32 ურემი გამოასვენა. პაპ პასქალ I-ის დროს კი კატაკომბებიდან 2300 წმინდანის ნეშტი გამოასვენეს.

კოპტ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის ეგვიპტეში შეტაკება მოხდა

ეგვიპტეში კოპტ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის შეტაკება მოხდა. კაიროს შემოგარენში დაწვეს ეკლესია. შედეგად, კოპტმა ქრისტიანებმა კაიროში საპროტესტო გამოსვლები მოაწყვეს მუსლიმანების მიერ ქრისტიანთა შევიწროვების წინააღმდეგ. მხარეებმა ერთმანეთს ქვები დაუშინეს. ამასთანავე, ცენტრალური ტელევიზიის შენობასთან ქრისტიანთა საპროტესტო გამოსვლები გაიმართა. ისინი მუსლიმანებთან თანაბარ უფლებებს მოითხოვენ. ეგვიპტის სამხედრო მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის საკუთარი სახსრებით ააგოს დამწვარი ეკლესია და პასუხისმგებლობაში მისცეს ისინი, ვინც ეკლესია დაწვა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

ეპისკოპოსი ნესტორი (ყუბანეიშვილი) 1853-1938

ეპისკოპოსი ნესტორი, ერისკაცობაში — ნესტორ დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი, 1853 წლის 5 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის სოფელ მუხაყრუაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1867-1871 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1871-1877 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1877 წლის 10 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიწვია მასწავლებლად, სადაც მას ყველა კლასებში არითმეტიკისა და საღვთო სჯულის სწავლება დაევალა. 1878 წლის 18 აგვისტოდან ძველი და ახალ აღთქმის, კატეხიზმოსა და საეკლესიო ტიპიკონის მასწავლებლად დაინიშნა. 1880 წლის 15 სექტემბრიდან შეთავსებით ასწავლის მართლწერასაც. 1880 წლის 5 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე დროებით ასრულებდა აღნიშნული სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის მოვალეობას. 1882 წლის 1 ივნისს, რუსეთის სენატის გადაწყვეტილებით, ერთგული სამსახური-

სათვის „კოლეჟსკი სეკრეტარის", ხოლო 1883 წლის 9 იანვარს „ტიტულარნი სოვეტნიკის" წოდება მიენიჭა. 1882 წლის 1 სექტემბერს ნესტორი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს და უმაღლეს კლასებში საღვთო სჯულის სწავლება დააკისრეს. ამავე პერიოდში იგი დაქორწინდა თეკლა ოტიას ასულ გრიგოლაშვილზე, რომელთანაც ერთი ასული — ოლღა შეეძინა. ოლღა გათხოვილი გახლდათ ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის პირველ დირექტორზე, ტრიფონ მიხეილის ძე ჯაფარიძეზე.

1883 წლის 5 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ნესტორი დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 9 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი და ბარ-საჯავახოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად და გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესად დანიშნა. 1884 წლის 7 დეკემბერს, მამა ნესტორის ინიციატივით, ბარ-საჯავახოს ტაძართან გაიხსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც, 1886 წლის ჩათვლით, საღვთო სჯულს თავადვე ასწავლიდა. 1884 წლის 14 დეკემბერს სამი წლის ვადით აირჩიეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრად. 1885 წლის 27 მაისს, მამა ნესტორის მეცადინეობით, ბარ-საჯავახოს ეკლესიაში დაიგო ქვის იატაკი, მანვე პირადი ხარჯებით შეიძინა და ტაძარს შესწირა ახალი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი. 1886 წლის 17 ივნისს მეუფე გაბრიელმა საგვერდულით დააჯილდოვა. 1887 წლის 24 თებერვალს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ მამა ნესტორი სამრევლო-საეკლესიო სკოლების საგამოცდო კომისიის წევრად აირჩია. 1887 წლის 28 ოქტომბერს ქუთაისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მეოთხე მღვდლის ადგილზე დაინიშნა. 1887 წლის 20 დეკემბერს ხელმეორედ აირჩიეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველი კომიტეტის წევრად. 1887 წლის 23 დეკემბერს, მეუფე გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, მამა ნესტორი გათავისუფლდა გამოჩინებულის ოლქის მთავარხუცესის თანამდებობიდან და ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1888 წლის 26 იანვარს ქუთაისის ეკლესიების სასულიერო გამომძიებლად დაადგინეს. 1888 წლის 25 მარტს მამა ნესტორი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ამშენებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1888 წლის 19 სექტემბერს სანიმუშო საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. ამავე წლის 8 აგვისტოდან ქუთაისის სანთლის ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 1889 წლის 19 ივნისს ჩუნეშის ოლქის, ხოლო 1890 წლის 4 ივლისს — ქუთაისის ეკლესიების მთავარხუცესად დაინიშნა. 1889 წლის 28 ივნისს სოფელ ახალბედისეულის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის განახლებისათვის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1890 წლის 1 აპრილს სკუფია უბოძეს. 1891 წლის 12 აპრილს სანთლის ქარხანაში კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ქების სიგელი მიიღო. 1892 წლის 11 დეკემბერს სამი წლის ვადით აირჩიეს იმერეთის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის სასწავლო კომიტეტის წევრად. 1893 წლის 21 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1894 წლის 20 სექტემბერს მამა ნესტორი ახლად გახსნილი ქუთაისის სასულიერო სემინარიის სამეთვალყურეო საბჭოში შეიყვანეს. 1895 წლის 7 ივლისს სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა დიმიტრიმ დროებით დააკისრა მდივნის მოვალეობის შესრულება. 1896 წლის 24 მარტს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. ამავე წლის 14 აგვისტოს ქუთაისის გოჭოურას სასაფლაოს ეკლესიის განახლების კომიტეტის თავჯდომარედ აირჩიეს. 1899 წლის მარტს მამა ნესტორი ხელმეორედ აირჩიეს ქუთაისის სემინარიის სამეთვალყურეო საბჭოში და იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) წლების განმავლობაში პატიოსანი და თავდადებული სამსახურისათვის სასწავლებლის სახელით მადლობა გამოუცხადა. 1900 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1903 წლის 3 თებერვალს წმინდა სინოდმა მთავარხუცესად თორმეტწლიანი დამსახურებული და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. 1905 წლის 7 აპრილს წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი უბოძა. 1906 წლის 9 თებერვლიდან 11 სექტემბრამდე დროებით ასრულებდა იმერეთის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოვალეობას. 1906 წლის 8 მარტს ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მეორე მღვდლად დაინიშნა. 1906 წლის 6 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ქუთაისის საკათედრო ტაძრის მეოთხე მღვდლის ადგილზე დაადგინა. 1907 წლის 15 მაისს წმინდა ანას II ხარისხის ორდენი ეწყალობა. ამავე წლის 31 ოქტომბერს წითელი ჯვრის საზოგადოების მედლით დააჯილდოვეს.

1908 წლის 11 აპრილს მამა ნესტორს უბედურება დაატყდა თავს, გარდაეცვალა მეუღლე, თეკლა გრიგოლაშვილი. ამ ტრაგიკულმა ამბავმა მოძღვარს მიაღებინა გადაწყვეტილება, მონასტერში გაეგრძელებინა საეკლესიო მოღვაწეობა.

1909 წლის 11 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) მამა ნესტორი იმერეთის ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესად დაადგინა. 1909 წლის 13 ნოემბერს რუსეთის წმინდა სინოდმა დეკანოზი ნესტორი მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მონასტრის წინამძღვრად გამოარჩია. 1910 წლის 5 იანვარს გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) მამა ნესტორი ბერად აღკვეცა და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1910 წლის 5 თებერვალს იმერეთის ეპარქიის სამღვდელო კადრების მოსამზადებელი კომისიის თავჯდომარედ დანიშნა. მამა ნესტორის წინამძღვრო-

ბის დროს მონამეთას მონასტერში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები. გარემონტდა ტაძრის შიდა სივრცე, სამრეკლო, განახლდა კანკელი და მოოქროვდა ხატები, შეკეთდა წყალსადენი, მონასტრის ეზოში გაკეთდა რკინის ახალი მოაჯირი, აშენდა ქვის კიბე და ახალი ხიდი.

დეკანოზი ნესტორი

1912 წლის 16 ნოემბრიდან არქიმანდრიტი ნესტორი კახეთში გადაიყვანეს და შუამთის, ალავერდისა და თეთრი გიორგის მამათა მონასტრების წინამძღვრად დაინიშნა. 1912 წლის 4 ივლისს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ მამა ნესტორი გაწეული ღვაწლისათვის წმინდა ნინოს ვერცხლის ჯვრით დააჯილდოვა. 1913 წლის 28 თებერვალს რომანოვების მეფობის 300 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ჯვარი და მედალი მიიღო. 1914 წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს. 1915-1918 წლებში ისევ მონამეთას მონასტრის წინამძღვარია.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) სვეტიცხოვლის საპატრიარქი ტაძარში ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. ამავე წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თანამდებობიდან გადააყენა იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი). ეპარქიის მართვა დაევალა საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიის მმართველობის იმერეთის განყოფილებას, რომლის თავმჯდომარედ მონამეთას მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნესტორი დაინიშნა. იგი ამ თანამდებობაზე 1917 წლის 8-17 სექტემბრამდე, პირველ საეკლესიო კრებამდე იმყოფებოდა. ამ კრებაზე შეიქმნა ქუთაისის ეპარქია, რომლის მმართველად ყოფილი გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე) აირჩიეს. 1917 წლის 2 ოქტომბერს მეუფე ანტონი ქუთაისში ჩამოვიდა და მამა ნესტორმა მას გადააბარა ეპარქიის საქმეები. ამის შემდეგ იგი კვლავ მონამეთას მონასტერს დაუბრუნდა.

1919 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი ნესტორი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. როდესაც იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა, მონასტრის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ სავალალო იყო. ხელისუფლებამ მას კუთვნილი მამულები, ტყე, საყანე ადგილები და წისქვილი ჩამოართვა. მონასტრის შემოსავალი ძალზე მცირე იყო და ბერები ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდნენ. აი, რას წერდა 1919 წელს არქიმანდრიტი ნესტორი გელათის მონასტრის გაჭირვების შესახებ გაზეთ „ჩვენი ქვეყანის" ფურცლებზე:

„გელათის მონასტერი საქართველოს დიდებაა. ქართველისათვის გელათი არის სარწმუნოებრივი სიწმინდე და ეროვნული საუნჯე. გელათი არის ნაშთი მსოფლიო სასახელო ხელოვნებისაც და ქართული ხუროთმოძღვრებისაც, რვაასი წელიწადი ეს ისტორიული ძეგლი მჭევრმეტყველად ღაღადებს საქართველოს ერის ღირსებას და დიდებას.

თუ ქართველი ერი ეცდება, ეს ძეგლი სამუდამოდ იქნება და მომავალ საუკუნეთა მიმდინარეობა მას ვერ შეარყევს. ქართველი ერის მოვალეობაა, ეს დიდებული ისტორიული განძი დაიცვას, შეინახოს და მომავალ თაობას უვნებლად გადასცეს. თუ ქართველი ერი ისევ ქართველია, გელათი ვერც გარეშე მტერმა უნდა წაიღოს და ვერც სტიქიონმა დაანგრიოს. თუ ქართველი ისევ ქართველია, გელათს ჭირისუფალი არ უნდა მოაკლდეს. საქართველოს მთავრობაც და ყოველი მოქალაქეც მოვალეა ისტორიის და ერის წინაშე გელათს მოუაროს და ისე მოაწყოს, რომ იქ მისვლა და ყველაფერის დათვალიერება გაადვილდეს, რომ ამით სულიერი საზრდო მიიღოს და უზენაესი სიამოვნებაც განიცადოს მლოცველმაც და სიძველეთა მნახველ-მკვლევარმაც.

ამჟამად განზრახულია გელათის მონასტერს და რკინიგზის სადგურს შორის შუა ავტომობილით მიმოსვლა გამართონ, მონასტერში ელექტრონით განათება მოაწყონ და სხვადასხვა ტექნიკური გაუმჯობესობა მოახდინონ, ამისთვის გელათის მონასტრის ძმობა, წინამძღვრის მეთაურობით და სასულიერო მთავრობის სათანადო ნებართვით, საქართველოში შეწირულობას აგროვებს და იმედი უნდა ვი-

გელათის მონასტერი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება. გელათი 1921 წელი

ქონიოთ, რომ ყოველი ქართველი, შეძლებისდაგვარად, წვლილს გამოიღებს და ძმათა კეთილი განზრახვა მალე განხორციელდება. ყველამ უნდა ეცადოს, რომ გელათის გაუმჯობესებაში მასაც წილი ედვას. გელათისათვის შეწირულების გაღება ქველმოქმედებაც არის და სამშობლოს სამსახურიც.

ღმერთი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი შეეწიოს და კეთილ ეყოს ყოველ შემომწირველს".

1923 წლის 5 ივნისს მთავრობის განკარგულებით დაიკეტა გელათის მონასტერი და იქ მოღვაწე ბერებს გამოუცხადეს, ერთ კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ მონასტერი. ამავე წლის 21-25 აგვისტოს მოხდა გელათის მონასტრის ქონების დეტალური აღწერა. შემდგომში ეს ნივთები ქუთაისის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადაიტანეს, რომლის დირექტორიც მამა ნესტორის სიძე, ტრიფონ ჯაფარიძე გახლდათ. არქიმანდრიტი ნესტორი იძულებული გახდა, საძმოსთან ერთად, მონასტრიდან წასულიყო. იგი ქუთაისში, საკუთარ სახლში დაბინავდა.

1924 წლის 18 მაისს სიონის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ურბნელმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი) და ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა სვიმონმა (ჭელიძე) არქიმანდრიტ ნესტორს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ბათუმ-შემოქმედის ეპარქია ჩააბარეს. 1926 წლიდან მეუფე ნესტორი ჭყონდიდის ეპარქიაში გადაიყვანეს. 1928 წლის 24 მარტს იგი ცაგერის ეპარქიაში დაინიშნა. 1929 წლის 19 ნოემბრიდან წილკნელი მღვდელმთავარია. 1930 წლის 29 ივლისიდან, თავისი თხოვნის საფუძველზე, პენსიაზე გავიდა და ქუთაისში, საკუთარ სახლში ცხოვრობდა. 1935 წლის 10 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით, ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე შეხვდა და ესაუბრა პენსიაზე მყოფ ეპისკოპოს ნესტორს. მამა ვასილმა მას გადასცა უწმიდესი კალისტრატეს დანაბარები, რომ იგი სათავეში ჩასდგომოდა დაქვრივებულ ქუთაის-გაენათის ეპარქიას, მაგრამ მეუფე ნესტორმა, სიბერისა და უძლურების გამო, უარი განაცხადა.

ეპისკოპოსი ნესტორი 1938 წლის 29 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ქუთაისში, საფიჩხიის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის გალავანში, საკურთხევლის აღმოსავლეთით.

მეუფე ნესტორი ავტორია რამდენიმე სასულიერო შინაარსის წიგნებისა. მათ შორის: „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად", „შემოკლებული ძველი და ახალი აღქთმის ისტორია", „ახსნითი ლოცვები", „ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა", „საიდუმლოების ახსნა", „ქრისტეს ეკლესია და პირველი ქრისტიანების ცხოვრება", „ქრისტეს სწავლის გავრცელება" — თბილისი 1885 წელი; „ღირსი მამა დავით გარესჯელი" — ქუთაისი 1893 წელი; „ცოლ-ქმრობა" — თბილისი 1899 წელი; „გზა ცხოვრებისა" — ქუთაისი 1901 წელი და სხვა.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დაგალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კვრესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

რომელიც IV საუკუნით თარიღდება. მეტროს მშენებლობის დროს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მიაკვლიეს მცირე სამლოცველოს ქვის ფრაგმენტებს, რომლებიც, როგორც გაირკვა, მდებარეობდა დანგრეული ქრისტიანული ბაზილიკის გვერდით.

მეცნიერებმა მიაგნეს მოზაიკის ფრაგმენტებსაც, კერძოდ, ვაზის მტევნების მოტივებსა და 7 ფენიქსს. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მოზაიკაზე გამოსახული იყო 12 ფენიქსი, რომლებიც 12 მოციქულს აღნიშნავდა.

სამლოცველოს გვერდით IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისში აუშენებიათ ერთნავიანი ეკლესია, მარმარილოს იატაკით. VII საუკუნეში ეკლესიის შენობა საგრძნობლად დაზიანდა, იგი მოგვიანებით აღადგინეს. VIII-IX საუკუნეებში ტაძარი მთლიანად მიატოვეს.

არქეოლოგთა აზრით, აღმოჩენილი ეკლესია უძველესია თესალონიკში. შესაძლოა უნიკალური მონაპოვარი გადაიტანონ საგანგებო მოედანზე, რომელიც განთავსებულია ადგილობრივი უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ტერიტორიის მახლობლად.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

იღუმენია ნინო (ციციშვილი) 1872-1946

იღუმენია ნინო

იღუმენია ნინო, ერში — ელენე ციციშვილი, 1872 წელს, ქართლში, თავადის ოჯახში დაიბადა. პატარა ელენემ პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, რის შემდეგ მშობლებმა იგი თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ელენე მითხოვდა თავად ბარათაშვილს, რომელთანაც რამდენიმე წელიწადი იცხოვრა. მეუღლის ნაადრევად გარდაცვალების გამო, მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რათა დარჩენილი ცხოვრება მონაზვნობაში, ლოცვასა და ღვთის მორჩილებაში გაეტარებინა. ამ სურვილით მივიდა მცხეთაში, სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში, სადაც მალევე მორჩილის კაბით შემოსეს. 1905 წლის 10 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) მორჩილი ელენე სამთავროს დედათა მონასტრის საქმის მწარმოებლად დანიშნა. 1909 წლის 5 ივლისს ალავერდელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) იგი მონაზვნად აღკვეცა და სახელად ნინო უწოდა. ამავე წლის 15 ოქტომბერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანების საფუძველზე, მონაზონი ნინო სამთავროს მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. 1910 წლის 16 მაისს მას იღუმენიას წოდება მიენიჭა. 1913 წლის 6 მაისს კი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა ქართველი კომუნისტების დახმარებით განახორციელეს საქართველოს ანექსია. ქვეყანაში დამყარდა სასტიკი ტერორი, რაც განსაკუთრებით ქართულ ეკლესიაზე აისახა. ეკლესია-მონასტრები უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც სამთავროს დედათა მონასტერი იყო, თუმცა მონასტრის წევრები გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ თავის გატანას.

1917-1921 წლებში მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერს სულიერ წინამძღოლობას უწევდა მღვდელი ლევან ტლაშაძე, რომელიც 1922 წლის 1 იანვარს ოძისის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით მონასტერში წირვა-ლოცვის შესრულება სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურებს დაევალათ, ხოლო 1923 წლის 22 დეკემბერს იღუმენია ნინოს თხოვნით, მონასტრის სულიერ მოძღვრად ქვათახევის მონასტრის მღვდელ-მონაზონი სერგი (ძოწაძე) დაინიშნა, რომელიც რამდენიმე წელი თავდადებულად ემსახურა მონასტერს.

იღუმენია ნინო ცდასა და მონდომებას არ აკლებდა, რათა ამ დიდებული ტრადიციების მქონე მონასტერს შეძლებისდაგვარად კვლავ საეკლესიო ტიპიკონით გაეგრძელებინა ცხოვრება. იგი პირადი მაგალითით ამხნევებდა მონაზვნებს და სულიერად განამტკიცებდა მათ. ამასთანავე, ცდილობდა შეენარჩუნებინა დისციპლინა მონასტერში, მკაცრად ყოფილიყო დაცული წეს-ჩვეულებანი და არ მოხდარიყო მონაზვნებისა და მორჩილების დაფანტვა სავანიდან. შემორჩენილია 1926 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული ერთი წერილი, სადაც ის წილკნის ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) სთხოვს, მონასტრის ტიპიკონის დარღვევის გამო,

გაფრთხილება მისცეს მონაზონ სოფიოს. აი, რას წერდა იგი: **„თქვენო მეუფებავ, ჩვენს კრებულში გახლავთ მონაზონი სოფიო არბოლაშვილი, რომელიც ამჟამად არ ემსახურება მონასტერს. გთხოვთ უმორჩილესად, უბრძანოთ, რომ თუ მონასტერში უნდა ყოფნა, მონასტრიდან არ იაროს და რაც საქმე შეეხება, მონასტერში შეასრულოს, თუ არა და, გთხოვთ უმორჩილესად, განკარგულება მოახდინოთ, რაც კანონი მონასტრისა არის“.**

ეპისკოპოსი პავლეც თავის მხრივ პასუხობს: **„წინადადებას ვაძლევ მონაზონ სოფიოს, დაემორჩილოს ყოველივე მონასტრის წესს და წინამძღვრის განკარგულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დათხოვნილ იქნება მონასტრიდან“.**

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდში სამთავროს დედათა სავანე ჯერ კიდევ მოქმედი მონასტერია, სადაც კვლავინდებურად აღესრულება ღვთისადმი საეედრებელი ლოცვა-ვედრება. თუმცა, სამწუხაროდ, მდგომარეობა მალევე შეიცვალა. 20-იანი წლების ბოლოს მონასტერში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი მოეწყო. მონაზვნები მონასტრიდან გამოდევნეს, შემდეგ კი მხოლოდ ერთი ოთახი დაუთმეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა მცხეთის სამეურნეო არტელი „ქალთა შრომა“, რომელშიც მონაზვნები გაერთიანებულან. მათ კარგა ხანს საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამორთმეული ჰქონიათ. 1933 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთი კი წარმოადგენს I საფეიქრო მუშების სიას, რომელშიც ილუმენია ნინო ამ საწარმოს რიგითი წევრია, თავჯდომარედ კი მონაზონი ანუსია (კოჭლამაზიშვილი) აურჩევიათ. აქ, როგორც ჩანს, გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ილუმენია ნინოს თავადურ წარმოშობას, რაც იმ დროისათვის არასასურველად ითვლებოდა.

მიუხედავად ხელისუფლების დაჟინებული მცდელობისა, სამთავროში ამ სასტიკ წლებშიც კი არ დამცხრალა სულიერი ცხოვრება. მონასტერი ოფიციალურად გაუქმებული იყო, თუმცა დედები მაინც ახერხებდნენ სამონასტრო წესით ფარულად ეცხოვრათ. ეს კარგად ჩანს ამ პერიოდის მონასტრის დედებისა და ღვთისმსახურთა პირადი მიმოწერიდან. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე დედები და მათი სულიერი დები და ძმები ერთმანეთს ამხნევებდნენ ამ წერილებით. როგორც წერილებიდან ირკვევა, მონაზვნებს იმხანად სულიერ წინამძღოლობას სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდელმსახური, 1932 წლიდან კი ზედაზნის მონასტრის ილუმენი ექვთიმე (კერესელიძე) უწევდა, რომელიც 2002 წელს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავდადებული მოღვაწეობისათვის წმინდათა დასში შერაცხა. წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ქართველი სამღვდელოება სამთავროს დედათა მონასტერს მოქმედ მონასტრად მიიჩნევდა.

სამთავროს მონასტერი

XX საუკუნის 30-იან წლებში სამთავროს დედათა მონასტერი კულტურის ძეგლად გამოცხადდა, ხოლო 1938 წელს მონაზონი ანუსია ძეგლის მცველად არის მოხსენიებული. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში ილუმენია ნინო საერთოდ აღარ მოიხსენიება ნინამძღვრად, რაც, სავარაუდოდ, იმით აიხსნება, რომ იგი უკანასკნელ პერიოდში ხშირად ავადმყოფობდა და ძველებურად ვეღარ ახერხებდა სულიერი წინამძღოლობა გაეწია სამთავროს მონასტერში შემორჩენილი დედათა კრებულისათვის. ეს დასტურდება მენჯის შუშანიების დედათა სავანის წინამძღვრის, ილუმენია ფავსტოსადმი გაგზავნილი წერილითაც, სადაც მოთხრობილია ილუმენია ნინოსა და სამთავროს მონასტერში დატრიალებული უკანასკნელი ამბები. ბარათის ავტორია წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი (კანდელაკი) წერილი 1946 წლის 4 მარტით თარიღდება:

„ჩემო სულიერო შვილო, დედაო ილუმენია ფავსტო!

დაგლოცოთ ღმერთმა! როგორც ჩქარა მიპასუხეთ, ისე ჩქარაც მივიღე თქვენი წერილი. სამი მარტის მენჯის ფოსტის ბეჭედი აზის წერილს და ოთხ მარტს მე მომივიდა, გამიკვირდა. აქედან თბილისში ორ-სამ დღეს ძლივს იღებენ და მათგან აგრე სწრაფად როგორ მივიღე-მეთქი. თქვენი წერილი კი გამიხარდა, მაგრამ ფულის გამოგზავნა არ მიამა. მე ხომ გწერდით, რომ თუ თქვენ მიგზავნით, არ გააკეთოთ-მეთქი. სხვაზე არას ვამბობდი, მაგრამ არ გამიგეთ. როგორ შეიძლება ძროხა გაყიდოთ და მე მიგზავნოთ ფული. თქვენი მიცვალებულები ჩემს მოსახსენებელში ყველა მიწერია და მუდამ ვიხსენიებ, ცოცხლებს კი ხომ გიცნობთ და, რა თქმა უნდა, ვლოცულობ თქვენზე.

ილუმენია ნინოს ამბავი ასე იყო: მონასტრიდან რომ გამოასახლეს, ყველანი ერთად ერთ პატარა მიწურატაკიან ოთახში მოთავსდნენ. ილუმენია ნინო და სამიც მონაზონი გამუდმებით ერთად იყვნენ. ვერ აიტანა საწყალმა ამგვარი ცხოვრება, ამბობდა, მალე მოვკვდებიო და, მართლაც, მძიმედ ავად გახ-

სამთავროს მონასტრის დედები და მღვდელი სამსონ ლექავა.
XX ს. 10-იანი წლები

და, უმკურნალეს და გამობრუნდა, მაგრამ ავადობამ კვლავ გაუხსენა და 10 თებერვალს, ღამის პირველის ნახევარზედ გარდაიცვალა. მე მეორე დილას მივედი მათთან სახლში, ჩვენგან ახლოს ცხოვრობდა. პანაშვიდი გადავუხადე და წამოვასვენე ჩვენს ტაძარში. დილა-საღამოს პანაშვიდებს ბლომად ესწრებოდა ხალხი. 14-ში, შაბათს, მევე ჩავუტარე წირვა, ხალხიც ბევრი მოვიდა. წირვის შემდეგ გამოვედით ეკლესიიდან და ანდერძი სამი საათისათვის დავნიშნე. უკანასკნელად ჩვენს გალავანში გავუძეხი წინ და მერე მისმა ნათესავებმა წაასვენეს მონასტერში და ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეს დაასაფლავეს.

მწერთ, რომ ჩამოსვლა გსურთ, ამაზე მეც გთხოვდი და მოხარული ვიქნებოდი თქვენის აქ მოსვლით, მაგრამ ახლა არ გირჩევთ. თვინიერ იმისა, რომ ძნელია მგზავრობა, საშიშიც არის, ეპიდემიის გამო მატარებლის ვაგონები დატილიანებულიაო და ტიფიანი ავადმყოფის ტილმა თუ უკბინა კაცს, ისიც ავად გახდება თურმე. თბილისში უკვე არიან ტიფით ავად. ასე რომ, კარგი დროისათვის გადასდევით თქვენი ჩამოსვლა. მშვიდობა იყოს და ყოველივეს მოვესწრებით.

იღუმენია ბატონო, გეცნობებოდათ, აქ რომ კახეთელიძე იყო, 93 წლისა, გაიკრიჭა, ტანისამოსი გაიხადა, მღვდლობას დაანება თავი და „სტოროჟად" დადგა. ჩემი აწეწდაწეწვა სულ იმის ბრალი იყო, არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ცდილობდა, რომ გავეციმბირებინეთ. დღედაღამ ჩემს მტრობაში იყო. ვენაცვალე უფლის სახელს! — დამიფარა. მთავრობა ჩემს დევნას შეეშვა და ნება დამრთეს ტაძარში დავბრუნებულიყავი. ყველანი მოხარულნი არიან ამისა, მაგრამ მაინც მაწუხებს კითხვა: ნეტა რა დავუშავე ამ 90 წლის კაცს ან ვინ შეასმინა ეწერა ჩემზე „დანოსები". ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, ვერც დავეკითხე და ვერც ვერაფერი გავიგე დანამდვილებით. რა სასწაულები მოხდა აქ, ვერ მოგწერთ, თუ ოდესმე გნახავთ, გიამბობთ.

დედა ზოილე და ერთი ავადმყოფი მონაზონი, ქრისტინე, კვლავ ერთ ოთახში არიან, მესამე წელიწადია ზოილე მას უვლის, სიყვარულით მოგიკითხათ ორივემ. ავადმყოფ სქემმონაზონ მარიამს ჩემ მაგიერ გადაეცი ლოცვა-კურთხევა და დიდი სამადლობელი სახსოვრისათვის. მე მოხსენიებაში მას არასოდეს ვივიწყებ. აგრეთვე ლოცვა-კურთხევა დედათქვენს და თქვენს დას — აკეფსიმეს. ბევრი რამ მინდა, შვილო, მოგწერო, მაგრამ ვჩქარობ და ეხლა ეს იკმარე. იყავით კარგად და ჯანმრთელად. ვიცი, რა გარემოებაშიც გიხდებათ ბრძოლით ცხოვრება, მაგრამ მარტო თქვენ არა ხართ ასე, ბევრი ამხანაგიც გყავთ.... უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, გიძღოდეთ ყოველ გასაჭირში!

ნეტავ, როდის ვეღირსები თქვენსა და თქვენი სავანის ნახვას. თქვენთან გულდინჯ საუბარს. აწ, მგონი, მე ამას ვერ ვეღირსო და ნუ დამივიწყებთ მოხუცს. მარად თქვენი მომხსენებელი ეპისკოპოსი ტარასი".

ასე, მონასტრიდან დევნილობაში დაასრულა თავისი ცხოვრება იღუმენია ნინომ, რომელსაც ჩვენი ეკლესიის ყველაზე ტრაგიკულ და უმძიმეს პერიოდში მოუწია მონასტრის წინამძღვრობა და სასულიერო მოღვაწეობა. მისი გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა; ჩვენი გულგრილობისა და მოუცლელობის საბაბით კი ასეთ პიროვნებათა საქმენი სათანადოდ წარმოჩენილიც არ არის, თუმცა იგი დავიწყებას არ ეძლევა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტოალბომი

მღვდელი ალექსანდრე ივანიცკი და მისი ოჯახი

მღვდელი ალექსანდრე ივანიცკი XIX ს-ის I ნახევარში საინგილოში, სოფელ მუღანლოში, მაჰმადიანი გლეხის ოჯახში დაიბადა. ისტორიული გადმოცემით, ამ სოფლის მცხოვრებლები XIV ს-ში თემურ-ლენგის ლაშქარს მოჰყოლიან საქართველოში და საცხოვრებლად აქვე დარჩენილან. აქ კიდევ რამდენიმე სხვა სოფელიც არის მაშინდელი მონღოლებისგან დარჩენილი. როგორც ალექსანდრეს მამა, ისე ყველა სხვა მონღოლი, მაჰმადიანები არიან. ალექსანდრეს თავდაპირველი სახელი იყო მაჰმადი.

მამა ალექსანდრეს მეუღლე და ქალიშვილი

პროფესორ თენგიზ ივანიცკის გადმოცემით, ინგილო ივანიცკების წარმოშობის ისტორია ასეთია: XIX ს-ის 50-იან წლებში შამილის ბანაკიდან გამოქცეულა 22 წლის მიურიდი, ინგილო ალექსანდრე, სოფელ ფარდალოს მკვიდრი, გვარად ინაშვილი. იგი იშვილა და თავისი გვარი მისცა პოლკოვნიკმა ივანიცკიმ, რომელიც მეფისნაცვლის, ვორონცოვის ამალაში მსახურობდა.

შამილის მმართველობის პერიოდში როგორც მაჰმადი, ისე მამამისი, ლეკთა ლაშქარში მსახურობდნენ და რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენ. შემდგომში მამა ალექსანდრე ყვებოდა ხოლმე: **შამილს კარგად ვიცნობდი და ერთ დროს იმის „მიურადად" ვითვლებოდიო. ერთხელ ქართველთა მონასტერი (სავარაუდოდ, დავით გარეჯისა) რომ გავძარცვეთ, მე ნივთების გაყოფის დროს, მოოქროვილი ბარძიმი მერგოო.**

1859 წელს, შამილის დატყვევების შემდეგ, მაჰმადს გაუცვნია ქიზიყელები (ვინაობა უცნობია), რომელთაც მისთვის გაქრისტიანება ურჩევიათ. მაჰმადი მისულა ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში, მონათლულა და იქვე მორჩილად დარჩენილა. აქ, თავისივე მეცადინეობით და შრომით, იმდენად გავარჯიშებულა წმინდა წერილში და ისე საფუძვლიანად შეუსწავლია ქართული ენა, რომ მალევე დიაკვნად უკურთხებიათ. 1882/83 წლებში დიაკონ ალექსანდრეს მღვდლად დაასხეს ხელი და ფშავის მხარეში განამწესეს. 1886 წელს საინგილოში ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

მამა ალექსანდრემ ზედმიწევნით იცოდა თათრული (აზერბაიჯანული) და არაბული ენები, კარგად იყო განსწავლული მაჰმადიანურ რელიგიაშიც. გაქრისტიანებამდე იგი რამდენიმე წელიწადს თავის სოფელში მოლად მსახურობდა და თითქმის მთელი ზაქათალის მაზრა მას ალექსანდრეს კი არა, მოლა მაჰმადს ეძახდა. ხალხისათვის საყვარელი იყო მოლა მაჰმადი: იგი იყო ყველას მამა, ძმა და მეგობარი. მეტადრე უყვარდათ ღარიბ ხალხს, რომელთაც დიდ დახმარებას უწევდა თავისი ჭკვიანური დარიგებებით.

ორი იარაღით, ქრისტიანული და მაჰმადიანური ღვთისმეტყველებით აღჭურვილი მღვდელი ალექსანდრე, მოლა მაჰმადი, უძლეველი იყო აქაურ მოლებთან და ეფენდებთან სარწმუნოების შესახებ შეკამათება-შებაასების დროს. მას სახელი ჰქონდა გავარდნილი მაჰმადიანებში, როგორც მაჰმადის მოძღვრების საუკეთესო მცოდნეს.

მღვდელი ალექსანდრე ორჯერ იყო შეუღლებული: ერთხელ მაჰმადიანობაში — ქებინით და ერთხელაც ქრისტიანობაში — ჯვრისწერით. პირველი ცოლისაგან მას დარჩა გათხოვილი ქალები და მეორისაგან კი — შვიდი შვილი.

ყოველგვარმა მცდელობამ, თავისი მუსულმანი ძმები და დები გაექრისტიანებინა, ამაოდ ჩაიარა. მისი ნათესავები ბოლომდე მაჰმადიანებად დარჩნენ.

ყველასათვის საყვარელი და კეთილშობილი მოძღვარი ადრეულ ასაკში, 55 წლისა, მოულოდნელად აღესრულა. მისმა სიკვდილმა დაამწუხრა მთელი საინგილოს მოსახლეობა, როგორც მაჰმადიანები, ისე ქრისტიანებიც.

მამა ალექსანდრეს მეორე ქორწინებაში ჰყავდა შვიდი შვილი, რომელთაგან სამმა მამასავით (მეოთხე, რაფაელი, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ცოტა მოგვიანებით, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში აკურთხეს; მსახურობდა ჯერ პარიზში, შემდეგ კი — მადრიდის სამრევლოში. აღესრულა 1966 წლის 27 ივნისს, არქიმანდრიტის ხარისხში), სასულიერო გზით გააგრძელა მსახურება.

უფროსი ვაჟი აპოლონი 1864 წელს დაიბადა. მან დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო კურსები, საიდანაც ალიბესლანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1892 წლის 7 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) აპოლონი დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირაში მღვდლად დაასხა ხელი და ვართაშენის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამ-

ძღვრად დაადგინეს. 1900 წლის აღდგომას საგვერდულით დაჯილდოვდა. 1900 წლის 1 ივლისს კოდის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. ამავე წლის 19 ოქტომბერს დიღმის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ეკლესიაში განამწესეს. მამა აპოლონის ინიციატივით სოფელ დიღომში გაიხსნა საკვირაო სკოლა. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია" ამასთან დაკავშირებით: **„ადგილობრივი მღვდლის აპოლონ ივანიცკის მზრუნველობით არსდება საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის. უკვე 40-ზე მეტი გლეხი ჩაეწერა (18-დან 65 წლისანი), მათ შორის, სოფლის ყველა მოხელენი. სწავლების თვიური ფასი 40 კაპიკია. ეს ფული სასწავლო ნივთებისა და წიგნების ყიდვას მოჰხმარდება. წერა-კითხვა და საგნების სწავლება (პირველდაწყებითი ცოდნა საღმრთო სჯულიდგან, კანონმდებლობიდამ, მედიცინიდგან, აგრეთვე ანგარიში) იტვირთა თვით მღვდელმა უსასყიდლოდ. ამავე მღვდელმა დაიარა გლეხების ოჯახობა და უხსნიდა ხალხს აბრეშუმის ჭიის მოყვანის საჭიროებას. ვისაც ფურცელი მოეპოვება, თბილისის „სააბრეშუმო სადგურიდან" თესლის მოტანასაც მღვდელივე დაჰპირდათ. აქამომდე-კი ხალხი გაურბოდა ჭიის მოყვანასა: სეტყვა და ქარი იმან იცისო. ვისურვოთ, განხორციელებულიყოს ეს კეთილი ნამოწყება".**

დეკანოზი ტარასი

1902 წლის 26 ოქტომბერს მამა აპოლონი საინგილოში მისიონერად გადაიყვანეს და ყორაღანის სამრევლო ჩააბარეს. 1906 წელს ზაქათალის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1914 წელს მოძღვარი I მსოფლიო ომში სამხედრო კაპელანად დაინიშნა და 490-ე საველე გოსპიტალში მსახურობდა. 1915 წლის 2 მარტს სკუფიით დაჯილდოვეს.

მღვდელი აპოლონი

XX ს-ის 20-იან წლებში, ეკლესიების საყოველთაო დარბევისა და დახურვის ეპოქაში, მღვდელი აპოლონი კვლავ განაგრძობდა მღვდელმსახურებას. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

მომდევნო ძმა, დეკანოზი ტარასი 1868 წელს დაიბადა. 1886 წელს მამამისმა იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარა. 1892 წლის 28 იანვარს VI კურსის სტუდენტს ეგზარქოსის ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში, საღმრთო ლიტურგიის დროს, საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) სტიქარი უკურთხა. 1892 წლის ივნისში მან სემინარია წარჩინებით დაასრულა და სწავლა რუსეთში, ყაზანის აკადემიაში გააგრძელა. სამშობლოში დაბრუნებული ტარასი 1894 წლის შობის მარხვაში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით საინგილოში, მისიონერად განამწესეს. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია" მის შესახებ: **„ეს ორი თვე იქნება, რაც სასულიერო მთავრობამ ზაქათალის ოლქის მისიონერად და სკოლების ინსპექტორად დაამტკიცა ბატონი ტარასი ივანიცკი. ახალი მისიონერი არის ზაქათალის ოლქის სოფელ კახის მცხოვრების მღვდლის შვილი, რომელიც მონათვლამდის იყო შამილის მიურიდი და მოლა. თბილისის სემინარიაში კურსის შესრულების შემდეგ სტუდენტის ხარისხით ბატონი ივანიცკი მთავრობამ გაგზავნა ყაზანის აკადემიაში სამისიონერო საქმის სპეციალურად შესასწავლად. 1894 წელს მან ღირსეულად შეასრულა აკადემიის სამისიონერო კურსები და დაბრუნების შემდეგ გამწესდა ჩვენი ოლქის მისიონერად. როგორც ზაქათალის ოლქის მცხოვრებმა და ყაზანის აკადემიაში სამისიონერო საქმის შემსწავლელმა ბატონმა ივანიცკიმ იცის აქაურ ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ენები: გარდა ქართულისა და რუსულისა, თათრული და არაბული, აგრეთვე მუსულმანური ღვთისმეტყველებაც, ყურანი და სხვა. მაშასადამე, ინგილოებისთვის ზაქათალის ოლქში გაუმწესებიათ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მისიონერად ყოვლისმხრივ შესაფერი კაცი. ამ მოკლე ხანში ბატონი ივანიცკი ყოფილა სხვადასხვა მუსულმან ინგილოს სოფლებში. სოფელ ყორაღანში მასთან ერთად იყო ინგილოთ ბლაღოჩინი ირეოდიონ ოქროპირიძე. ამ სოფელში ერთი წილი ინგილოებისა ქრისტიანია და მეორე — მუსულმანი. ახალმა მისიონერმა და ბლაღოჩინმა მეჩეთის ეზოში ხალხს აუხსნეს ქრისტიანობრივი სწავლა და დაარიგეს იქ მყოფნი კეთილს გზაზედ. მოლებმა და ეფენდებმა შეიტყვეს, რომ ახალმა მისიონერმა იმათი ყურანი კარგად იცის, ამიტომ ისინი მიიმალნენ და ვერ გაბედეს მისიონერთან ბაასი სარწმუნოებაზედ. გარდა ამ კეთილის საქმისა, ახალმა მისიონერმა ამ მოკლე ხანში სხვა სიკეთეც შესძინა საზოგადო საქმეს. მისი მეცადინეობით ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ გახსნა სოფელ კახში სამისიონერო ბიბლიოთეკა, რომლის ზედამხედველადაც დაინიშნა ბატონი ივანიცკი. ბიბლიოთეკა საყოველთაოა მთელი ოლქის მღვდლებისა და მასწავლებლებისათვის".**

1897 წელს ტარასიმ ქრისტიანობის აღმადგენელ

საზოგადოებას მიმართა ახალი ინიციატივით, რათა ზაქათალის ოლქში დაარსებულიყო ცენტრალური სამისიონერო სკოლა, ისეთივე როგორც ყაზანში იყო თათრებისათვის. მისი აზრით, ეს სკოლა უნდა განთავსებულიყო სოფელ კაკში. გარდა ამისა, მას საჭიროდ მიაჩნდა თათრული ანბანის შედგენა რუსული ასოებით, საეკლესიო წიგნების თათრულ ენაზე გადაყვანა და ხალხში გავრცელება. მან შეადგინა სამოქმედო სქემა, როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული პროგრამის სისტემაში მოყვანა და წარუდგინა საქართველოს ეგზარქოს ვლადიმერს (ბოგოიავლენსკი), რომელმაც, თავის მხრივ, ამ საკითხის განხილვა მიანდო თბილისის სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტ სერაფიმეს, ყოფილ მისიონერ არქიმანდრიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) და სიონის ტაძრის დეკანოზ ესტატე ელიაშვილს. სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, თუმცა საბოლოოდ ტარასი ივანიცკის პროექტმა მოწონება არ დაიმსახურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისეული გეგმა რამდენიმე ათეულ წელიწადში მაჰმადიან ინგილოებს გადააქცევდა აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანებად. ცხადია, ეს გეგმა ინგილოთა ეროვნულობის დაცვის საქმეს ვნების მეტს არაფერს მოუტანდა.

ეპისკოპოსი კირიონი აგრეთვე უარყოფდა ივანიცკისეულ მეთოდებს. იგი წერდა: **„კარგი, განათლებული და თავისი საქმის მოყვარული მისიონერი ყოველთვის შესძლებს მაჰმადიანი ინგილოების გაქრისტიანებას. ინგილოები არიან ისლამის მიმდევარი ფანატიკოსი ხალხი. მათ კარგად იციან, რომ ქართველები არიან და სახლში ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებიან. მაშასადამე, აქედან გამომდინარე, მაჰმადიან ინგილოებში საუკეთესო ნიადაგი არსებობს ქრისტიანულ სარწმუნოების აღდგენისათვის, თუკი ამას გულით და სულით მოიწადინებს კარგად განათლებული მისიონერი“.**

მამა ტარასი ენერგიას არ იშურებდა ინგილოების გაქრისტიანებისათვის, მაგრამ ის მეთოდი, რომელიც მან ამ მიზნის მისაღწევად აირჩია, გამართლებული არ იყო.

1897 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა ტარასი დიაკვნად აკურთხა, ამავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და საინგილოში, ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და ამავე მხარეში არსებული სამისიონერო სკოლების ინსპექტორად დანიშნა.

1898 წლის აპრილში მამა ტარასი საგვერდულით დაჯილდოვდა. ამავე წელს სოხუმის ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) თხოვნით, მღვდელი ტარასი აფხაზეთში გადაიყვანეს და სოხუმის ოლქის მისიონერად და ამავე ოლქში არსებული ქრისტიანობის აღმდგენელი სკოლების გამგედ დანიშნა. აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა მამა ტარასიმ სოხუმის ეპარქიაში, სადაც ორ წელიწადში 108 კაცი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. ესენი იყვნენ კოდორის მხარის სოფელ ტამიშისა და ცხენისწყლის მცხოვრებნი. 1900 წლის 15 მაისს დამსახურებული მოღვაწეობისათვის მას სკუფია უბოძეს. 1901 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვეს. 1903 წლის 6 მაისს კამილავკა უწყალობეს.

დეკანოზი ტარასი

1904 წლის 6 იანვარს მამა ტარასი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სანთლის ქარხნის თავმჯდომარედ და სარევიზიო კომისიის წევრად განამწესეს. ამავე წლის 17 აპრილს ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახლობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა და დეკანოზის წოდება მიენიჭა. მასვე დაევალა ქალაქის ეკლესიებისა და რედუტ-კალეს ოლქის მთავარხუცესობა და ფოთის ორკლასიანი სამინისტრო სკოლის ზედამხედველობა. 1904 წლის 5 მაისს ერთ თვით აირჩიეს საეპარქიო საბჭოს ხაზინადრად. 1904 წლის 18-27 აგვისტოს, წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო-სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა. 1905 წლის 14 თებერვალს, თავისი თხოვნის საფუძველზე, გადადგა სანთლის ქარხნის თავმჯდომარეობიდან. ამავე წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

მამა ტარასი, მისიონერობის გარდა, 17 წლის განმავლობაში მსახურობდა სამხედრო კაპელანად საქართველოს სხვადასხვა ადგილებში: ფოთში, ქუთაისში, თბილისში, აღბულაღში, თურქესტანში. მონაწილეობდა 1914-1918 წლებში პირველ მსოფლიო ომში, სადაც მან კონტუზიაც მიიღო. ომში გამოჩენილი მამაცობისათვის სამხედრო უწყების წარდგინებით იგი ენქერით დაჯილდოვდა.

1918 წელს ომიდან დაბრუნებული მამა ტარასი ქუთაისში, ყოფილ სამხედრო პოლკის ეკლესიაში განამწესეს. აი, რას წერდა მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ მის შესახებ: **„იმედის სხივმა დაიწყო ციმციმი ქუთაისის სამხედრო ეკლესიის მოღრუბლულ ცაზე. ამ სხივის გამობრწყინვებას უნდა ვუმადლოდეთ დიდად პატივცემულ და საქარ-**

თველოში სახელგანთქმულ მოძღვარს — მამა ტარასი ივანიცკის, რომელიც ამ უკანასკნელ ჟამს აქ მოხსენებული ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. სულითა და გულით ვეგებებით მის მოსვლას და დანიშვნას ბალახვან-კახიანოურის დავით და კონსტანტინეს (ყოფილი ხაპიორის პოლკის ეკლესიის) ახლად აღორძინებული ეკლესიის აყვავების მოტრფიალენი და იმედი გვაქვს, რომ ეს მოძღვარი პირად ანგარებას არ ანაცვალებს ხალხისა და ქრისტეს მოძღვრების ინტერესებს".

1920 წელს, სომხებთან ომის დროს, მამა ტარასი საქართველოს რესპუბლიკის მეორე ქართული ცხენოსანი პოლკის მოძღვრად მსახურობდა.

1921 წლის თებერვლიდან, ჯარში მღვდლის ინსტიტუტის მოსპობის შემდეგ, იძულებული გახდა, ემსახურა სამხედრო უწყებაში — ქ. თბილისში მოხელის თანამდებობაზე, საქმის მწარმოებლად. ბოლოს მსახურობდა სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბის საერთო კანცელარიასა და სამხედრო შტაბში. 1922 წლის მაისიდან დროებით უსამსახურო-დაა. მიუხედავად მთავრობის მხრიდან არაერთი წინადადებისა, გაეხადა ანაფორა და ისე ემსახურა სამხედრო უწყებაში, უარი განაცხადა მღვდლობის მიტოვებაზე.

1922 წლის სექტემბრიდან, კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, დეკანოზი ტარასი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში განამწესეს და ქალაქ სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნეს. 1928 წელს გუდაუთის სამრევლოში მსახურობს. უცნობია, თუ როგორ დაასრულა მან თავისი მოღვაწეობა. XX ს-ის 30-იან წლებში იგი უკვე აღარ ჩანს მოქმედი სამღვდელოების რიგებში.

მომდევნო ძმა, დეკანოზი ვლადიმერი 1874 წელს დაიბადა. 1891-1897 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. 1897 წლის 14 აგვისტოს ვლადიმერი დიაკვნად აკურთხეს, მეორე დღეს მღვდლად დაასხეს ხელი და საინგილოში, ყორაღანის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1902 წლის 18 ივლისს კეტუკლინის სამრევლოში გადაიყვანეს. 1905 წლის 14 თებერვალს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1910 წლის 12 აპრილს სკუფია უბოძეს. 1912 წლის 16 მაისიდან მამა ვლადიმერი სამტრედიის რკინიგზის ეკლესიაშია. 1915 წლის 13 თებერვალს ბაქოს რკინიგზის ტაძარში გადაიყვანეს. 1916 წლის 12 დეკემბერს ელიზავეტოპოლის რკინიგზის ეკლესიაში დაინიშნა.

1917 წლიდან მღვდელი ვლადიმერი საინგილოში,

დეკანოზი ვლადიმერი ოჯახთან ერთად

სოფელ ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში მსახურობს, სადაც დიდი წვლილი შეიტანა ალიბეგლოში მცხოვრებ ინგილოებში ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერებისა და შენარჩუნების საქმეში. მან საინგილოს აღუზარდა ექვსი ღირსეული შვილი: სანდრო, ბაგრატი, არჩილი, ბორისი, ვერა და ოლღა.

1919 წელს მამა ვლადიმერს დეკანოზის წოდება მიენიჭა. იგი ესწრებოდა 1920 წელს გამართულ საქართველოს სამოციქული ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებას. 1925 წელს იგი კვლავ მოიხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში, როგორც ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახური. სამწუხაროდ, მამა ვლადიმერმა XX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს ანაფორა გაიხადა და ეკლესიის საწინააღმდეგო წერილიც კი გამოაქვეყნა, რის გამოც იგი მოხვდა სამღვდელოების იმ სიაში, რომლებსაც XX ს-ის 40-იან წლებში დასაწყისში უარი ეთქვათ სასულიერო ხარისხის დაბრუნებაზე. გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.-ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ნასკნელ წუთებში იგი აიკრძალა, რადგან სიუჟეტი შეიცავს „სადავო მასალას", მასში, ძირითადად, ნახსენები იყო სახელი „იესო".

ამასთან, კინოთეატრთა სააგენტოებმა განაცხადეს, რომ ამ რგოლის შინაარსს შეეძლო გაენაწყენებინა ზოგიერთი მაყურებელი. „მათ თქვეს, რომ რგოლები შესანიშნავია, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა ამოვიღოთ ქრისტეს ხსენება", — განაცხადა ქალაქის ეკლესიის მოძღვარმა და დასძინა, რომ ასეთია ამ კინოთეატრების პოლიტიკა, ისინი არ განათავსებენ თავიანთ მასალებში ისეთ რეკლამას, რომელშიც იხსენიება ქრისტე ან ქრისტიანობა, — „მაგრამ ჩვენთვის აღდგომა არა მარტო მხიარულებაა. ეს უმნიშვნელოვანესი დღეა კაცობრობის ისტორიაში და ჩვენ არ შეგვიძლია ამაზე უარი ვთქვათ. სამწუხაროა, რომ ის საძირკველი, რაზეც ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყანა, ხდება „მეტად ურთიერთგამომრიცხავი", — დასძინა მოძღვარმა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია) 1865-1938

გასული საუკუნის 30-იან წლებში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ეზოში ცხოვრობდა წილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია), რომელსაც ურთულეს დროში მოუწია ღვთისმსახურება. იმ პერიოდში, როცა მრავალმა სასულიერო პირმა გაიხადა ანაფორა და საერო სამსახურში გააგრძელა მოღვაწობა, მეუფე ალექსი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვისაც არ უღალატია თავისი რწმენისა და საქმისათვის და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა დედაეკლესიას. თუ გადავხედავთ მის წინაპართა გენეალოგიას, დავინახავთ, რომ საუკუნეების მანძილზე ისინი ღმერთსა და ჭეშმარიტებას პირნათლად ემსახურებოდნენ.

მღვდელი ილარიონ გერსამია

*მეუფე ალექსის დიდი ბაბუა — **ბერ-დიაკონი გაიოზი** (ერში — გიორგი გერსამია) 1773 წელს ლეჩხუმის მხარეში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. სასულიერო განათლება საირმის მონასტერში მიიღო. 1792 წელს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (თაყაიშვილი , შემდგომში — სამეგრელოს ეპისკოპოსი) გიორგი დიაკვნად აკურთხა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბერად შედგომის სურვილით, იგი საირმის მონასტერში მივიდა, სადაც არქიმანდრიტმა გიორგიმ (კუხალაშვილი) გაიოზის სახელით ბერად აღკვეცა. მამა გაიოზმა რამდენიმე ათეული წელი იმსახურა საირმის მონასტერში და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.*

*გაიოზს ჰყავდა ერთი ვაჟი — **ეგნატე**, რომელიც 1811 წელს დაიბადა. მამის ლოცვა-კურთხევით მანაც სასულიერო გზა აირჩია. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი საირმის მონასტერში ისწავლა. 1830 წელს საპაიჭაოს მაცხოვრის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. XIX ს-ის 30-იან წლებში იგი დაოჯახდა, ჰყავდა ორი ვაჟი — ილარიონი და დავითი (მამა დავით 1867-1913 წლებში გადიდის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია). XIX ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში იმერეთის მთავარეპისკოპოსმა სოფრონმა (წულუკიძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1846 წელს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და გადიდის წმინდა გიორგისა და ონჯოხეთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიების წინამძღვრად განამწესა. 1870-1881 წლებში მამა ეგნატე ზენობნის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. 1881 წლიდან პენსიაზეა. გარდაიცვალა 1889 წლის 1 მარტს.*

***მღვდელი ილარიონ გერსამია** 1839 წელს დაიბადა. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ, წლების განმავლობაში წიგნის მკითხველად და დიაკვნად მსახურობდა. XIX ს-ის 60-იან წლებში იგი დაქორწინდა ლეჩხუმში მცხოვრებ ქსენია ჩაჩხიანზე. 1867 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ილარიონს მღვდლად დაასხა ხელი და სვანეთში, მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1874 წელს ლეჩხუმში, ლაილაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1876 წელს ლაილაშის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. XIX ს-ის 70-იან წლებში ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის კამილავკითა და წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1886 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1888 წლის 7 მარტს, ეპისკოპოს გაბრიელის ლოცვა-კურთხევით, მამა ილარიონი ქუთაისის წმინდა ალექსანდ-*

სადაც მხოლოდ ოთხი კლასი ისწავლა. ორივე სასწავლებელში მასთან ერთად სწავლობდა მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე დიდი მეგობრობა აკავშირებდა. 1886 წელს ალექსანდრე მესტიის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა. ამავე პერიოდში დაოჯახდა თეოლინა პავლეს ასულ ბერუჩაშვილზე. მათ სამი შვილი გაუზარდეს სამშობლოს: პარასკევა, დომნიკა და დავითი.

მღვდელი ალექსანდრე და მისი მეუღლე თეონილა

1890 წელს ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა და მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დანიშნა. 1891 წლის თებერვალში ამავე ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი და ლაილაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1893 წელს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს და ცაგერის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. მასვე დაევალა ლეჩხუმ-სვანეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა და იმერეთის საეპარქიო საბჭოს ლეჩხუმის განყოფილების თავმჯდომარეობა. 1895 წლის აღდგომას მეუფე გრიგოლმა საგვერდულით დააჯილდოვა. 1900 წლის 6 მაისს სკუფია უბოძეს. 1904 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

1906 წლიდან მღვდელი ალექსანდრე ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. პარალელურად იგი ქუთაისის საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში საღვთო სჯულის მასწავლებლად მუშაობს. 1907 წლის 19 იანვარს მამა ალექსანდრეს უბედურება დაატყდა თავს, გარდაეცვალა ცხოვრების თანამგზავრი, ერთგული მეუღლე თეონილა, რომელიც დიდი დანაკარგი იყო მოძღვრისათვის. თუმცა იგი სულით არ დაცემულა, პატარა შვილების აღზრდა მარტო იტვირთა, რაც ღირსეულად აღასრულა კიდეც. სამივე შვილს მან პეტერბურგში მიაღებინა უმაღლესი განათლება.

1911 წლის 6 მაისს მამა ალექსანდრე სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1916 წლის 6 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1920 წლის 27 ივნისს, როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი, იგი მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებაზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დეკანოზი ალექსი ძველებური შემართებით განაგრძობდა მღვდელმსახურებას. მისი ერთგულება და დამსახურება შეუმჩნეველი არ დარჩენილა უმაღლესი საეკლესიო მმართველობისათვის. 1925 წლის 8 ნოემბერს, სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ბერად აღკვეცის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია), ნინოწმინდელი მიტროპოლიტის კალისტრატეს (ცინცაძე), წილკნელი ეპისკოპოსის პავლესა (ჯაფარიძე) და ბოდბელი ეპისკოპოსის სტეფანეს (კარბელაშვილი) თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ცაგერის ეპარქიის მმართველად დაადგინა. ეკლესიისათვის უმძიმესი წლები იდგა. სვანეთში ჩასულ მღვდელმთავარს ადგილობრივი ხელისუფლება მტრულად დახვდა. მეუფე ალექსი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო და იქიდან ემართა ეპარქია, რაც ფორმალურ მხარეს ატარებდა. თუმცა, მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო.

1928 წლის 2 მარტს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ეპისკოპოსი ალექსი ჭყონდიდის ეპარქიაში გადაიყვანა და მასვე ჩააბარა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაც.

ჭყონდიდის ეპარქიაში მღვდელმთავრობის პერიოდში ეპისკოპოსი ალექსი, თავის კრებულთან ერთად, დააპატიმრეს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე თავის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: *1928/29 წელს მენავთობე ხოშტარიას ირანიდან მალულად მისთვის ტაძრის აღსადგენად ფული გამოუგზავნია, რის შემდეგაც ალექსი და კიდევ სხვები დააპატიმრეს.* მეუფე ალექსის შვილიშვილი, ნათელა გერსამია იგონებს: **„მახსოვს, როგორ იგონებდა თვალცრემლიანი დედაჩემი ამ ამბის შემდეგ ბაბუაზე ერთ-ერთ მაშინდელ გაზეთში დაიბეჭდილ ვრცელ წერილს სათაურით — „ეპისკოპ ვორ“... უმძიმესი ცხოვრება ჰქონდა, მახსოვს, ქუჩაში რომ გავდიოდით, ხან ქვებს ესროდნენ, ხან ლანძღავდნენ, გამუდმებით შეურაცხყოფდნენ. ჩემთვის ეს კოშმარული მოგონებებია. საბრალო ბაბუას კი ჯიბის რომელიღაც კუნჭულში უპოვრებისთვის და ყველასთვის, ვისაც ძალიან უჭირდა, ყოველთვის ჰქონდა გადანახული ხურდა. ძალიან მძიმე, სამარცხვინო და საშინელი წლები იყო და ეს საშინელება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა. სასულიერო წოდების გამო ხომ ჯოჯოხეთი გამოატარეს, ჩვენც დაბეჩავებულები დავდიოდით. სიკვდილის წინ, აგონიაში, თურმე სულ იმეორებდა: — არაფერი დამიშავებია და არც**

რე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა. ამავე წლის ზაფხულში მღვდელი ილარიონი თავის სახლში ავაზაკებმა მოკლეს. დეკანოზი დავით ღამბაშიძე ჟურნალ „მწყემსის“ ფურცლებზე დიდი გულისტკივილით გამოეხმაურა ამ ამბავს. იგი წერდა:

„31 ივლისს, ნაშუაღამევს, ორ საათზე, ქუთაისში მოხდა საზიზღარი მკვლელობა, რომელმაც თავზარი დასცა მთელ ქალაქს. მოჰკლეს ბლაღოჩინი მღვდელი საკათედრო სობოროსი — მამა ილარიონ გერსამია. განსვენებული ცხოვრობდა არქიერის ქუჩაზე, წმიდა გიორგის ეკლესიის მახლობლად.

აი, როგორ მოხდა ეს საზიზღარი მკვლელობა: ღამის ორ საათზე გორაზე მცხოვრებნი გამოაღვიძა კაცის არაჩვეულებრივმა ყვირილმა, რომელიც მოისმოდა მამა გერსამიას სახლიდან. ყვირილზე გამოცვივდნენ ახლომახლო მეზობლები და გაექანენ გერსამიას ბინისაკენ, საიდანაც განსვენებულის ძმისწული საზარელის ხმით გაიძახოდა: „ბიძაჩემი მოჰკლესო“. როცა მეზობლები შეიკრიბნენ, მამა ილარიონი ნახეს სახლის ბალკონზე — მთლად გასისხლიანებული და ფერმიხდილი. განსვენებული საბრალო ხმით გაიძახოდა: მიშველეთ რამეო. მაშინვე მამა გერსამიას ოთახიდან გამოიტანეს კრაოტი და ზედ დააწვინეს ავადმყოფი. როცა მას გასისხლიანებული პერანგი გახადეს, აღმოჩნდა, რომ ავაზაკებს მისთვის ხანჯალი ჩაეკრათ მარჯვენა ბეჭის მახლობლად. ნახევარ საათში მთელი პოლიციის წარმომადგენელნი მოვიდნენ და გამოჰკითხეს მამა გერსამიას, თუ ვინ იყვნენ ავაზაკები. მათ შეკითხვაზე მამა ილარიონი იძლეოდა ერთსა და იმავე პასუხს — მე მეძინა, როცა ავაზაკები დამანვნენ თავზე, პირზე ხელი დამაფარეს და მეუბნებოდენ: ჩუმად იყავიო. მე გაუძალდი მათ და ამიტომ ხანჯალი ჩამკრეს ზურგში და გაიქცნენ. ძალიან კი ვიომე. ფული მათ არ უთხოვნიათ. კაცი კი სულ სამი ან ოთხი იქნებოდაო. ოთახის უკანა კარი დაუკეტელი მქონდა და იქიდან შემოვიდნენ ავაზაკები. ამ დროს მოვიდა ქალაქის ექიმი, რომელმაც სთქვა, რომ ჭრილობა სასიკვდინეაო და დაიბარა, რომ ყინული ადევით ჭრილობაზე, რომ სისხლის დენამ იკლოსო და წავიდა. მოვიდა გამომძიებელიც, რომელსაც მამა გერსამიამ იგივე ჩვენება მისცა. ნაშუაღამევის 4 საათზე, მთელი პოლიცია და ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე, ბატონი ზ. ყიფიანი ჩაფრებით გამოუდგნენ ავაზაკებს. დილის შვიდ საათზე მოვიდა პოლიციის ბოქაული თ. ნულუკიძე, რომელსაც დამტვრეული ყუთები ენახა ქალაქსგარეთ, ოლასკურაზე და იკითხა: ყუთები ხომ არაფერია წაღებულიო. მამა გერსამიამ დაუძახა მოსამსახურეს და ყუთები მოაძებნინა. აღმოჩ[illegible] და, რომ ორი პატარა ყუთი, რომელშიაც ფულ[illegible] ჰქონდა შენახული, წაღებული იყო. მაშინ ამოიოხრა მამა გერსამიამ და პირჯვარი გამოისახა, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა საბრალო, რომ ავაზაკები ფულისათვის იყვნენ მოსულნი.

მეორე დღეს ექიმის მოსვლამდე მოიყვანეს ბ. თურმანიძე, რომელმაც დაიმედა მამა გერსამია და წამლების მოსატანად წავიდა. თურმანიძე მალე მობრუნდა და ჭრილობა გაუზომა. ჭრილობის გაზომვის შემდეგ სთქვა, სასიკვდინე არ არისო და წამალი დაადო მასზე. ამ დროს მოვიდა ექიმიც, რომელმაც დაათვალიერა ჭრილობა და მერე გაუკერა იგი. გაათავეს თუ არა ჭრილობის აკერვა, მამა გერსამიამ, რომელსაც აქობამდე სრული მეხსიერება და ცნობა ჰქონდა, დაიყვირა: სული შემეხუთაო და განუტევა სული.

იმავე დღეს პოლიციამ ორი ავაზაკი დაატუსაღა, რომელთაც ჯიბეში უნახეს ზოგიერთი საბუთები [illegible] მა გერსამიასი. საბოლოოდ დადგინდა, რომ ავაზაკები ექვსნი ყოფილან. მათ ეს საქმე განზრახული ჰქონებიათ ექვსი თვის წინ. ზოგიერთი მათგანი თურმე ხშირად დადიოდა მამა ილარიონთან, როცა განსვენებული ახალ სახლს აშენებდა. ავაზაკებმა იცოდნენ, თუ სად ეწყო მას ფულიანი ყუთები. გაირკვა ისიც, რომ მათ არ სდომებიათ მამა ილარიონის მოკვლა. როცა განსვენებულის ძმისწულმა ყვირილი დაიწყო, მაშინ მამა გერსამიას ორი ავაზაკი ხელში ჰყოლია დაჭერილი, ამ დროს ერთ ავაზაკს ამოუღია ხანჯალი, ჩაუკრავს ზურგში და გაქცეულან“.

მღვდელი ალექსანდრე გერსამია ოჯახთან ერთად

ეპისკოპოსი ალექსი, ერისკაცობაში — ალექსანდრე ილარიონის ძე გერსამია, 1865 წლის 14 აპრილს იმერეთში, ქუთაისის მაზრის სოფელ გადიდში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1878-1882 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1882 წელს მან თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა,

არაფერი მომიპარავს, ნუ დამაპატიმრებთო — ისე იყო კაცი ტრავმირებული".

1930 წლის 29 აგვისტოს ეპისკოპოსი ალექსი წილკნის ეპარქიაში დაინიშნა. 1931 წლის 20 იანვარს სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის მიმართ გაგზავნილ წერილში იგი შემდეგნაირად გადმოგვცემს წილკნის ეპარქიის მძიმე მდგომარეობას: **„1930 წლის ბოლოს დაიხურა I ოლქი, რადგან არც ერთი მღვდელი აღარ არის ამ ოლქში. II ოლქში არის 5 მოქმედი ეკლესია და ამდენივე მღვდელი. III ოლქში არის 7 მოქმედი ეკლესია და ამდენივე მღვდელი, ხოლო IV ოლქში კი — ერთი ეკლესია და ერთი მღვდელი. უკანასკნელი მოხსენებებით მთავარხუცესები მატყობინებენ, რომ ისეთი დიდი გადასახადები დაადეს მღვდლებს, რომ ერთიც ვეღარ დარჩება სამრევლოშიო. საეპარქიო მმართველობას შემოსავალი ჰქონდა 199 მანეთი, დახარჯულია 194 მანეთი".**

როგორც დასაწყისში ვახსენეთ, ეპისკოპოსი ალექსი მუდმივად მცხეთაში, სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის ეზოში ცხოვრობდა. აქვე აღასრულებდა ის სამღვდელმთავრო წირვა-ლოცვებს, აქედან განაგებდა წილკნის ეპარქიას და სულიერად განამტკიცებდა თავის სამწყსოს. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე თავის მოგონებებში მის შესახებ წერდა: *მეუფე ალექსი ღვთისმსახურებას, განსაკუთრებით კი წმინდა ლიტურგიას, საოცრად გულისამაჩუყებელი მოწიწებით აღასრულებდა.* მეუფე ალექსის შვილიშვილი, ნათელა გერსამია ერთ ასეთ ისტორიას იხსენებს: **„ჩვენთვის მცხეთაში ყოფნა უდიდესი სიხარული იყო. მე ყველაზე უმცროსი ვიყავი და ბაბუა განსაკუთრებით მანებივრებდა. ერთხელ, იქ ყოფნისას, წითელა დამემართა. ბაბუა ძალიან შეწუხდა, თუმცა არაფერი უთქვამს, ისე წამოვიდა თბილისში. მალე დაბრუნდა. ჩამოიყვანა ჩემი უფროსი მამიდაშვილი — ნანა ღამბაშიძე. თურმე გადაუწყვეტია ჩემი მონათვლა. დედაჩემს შეეშინდა სიცხიანი ბავშვის გაციების, მაგრამ იმდენად პატივს სცემდა მამამთილს, უარი ვერ უთხრა.**

ნათლობას ესწრებოდნენ ბაბუა, მღვდელი სიკო (სიმონ მონასელიძე) და ბერი ალექსი (ჩხეტიანი). მე მთელი რიტუალის დროს თურმე საშინლად ვტიროდი. საღამოს სიცხეს დაუწევია, ბაბუა კმაყოფილი დარჩენილა. აი, რომ არაფრის გჯერათო — უთქვამს შვილებისათვის".

სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მონაზვნების ნაამბობიდან ვიცით, რომ წილკნელი მღვდელმთავარი ალექსი ყოფილა მეტად გულკეთილი, ღრმადმორწმუნე, ყველა ებრალებოდა, თავად უჭირდა და მაინც სხვებს ეხმარებოდა. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მკითხველ-მგალობელი ჭირდა და მონაზვნებს სთხოვდა ხოლმე დახმარებას. მონაზვნები ყოველთვის ვერ უსრულებდნენ თხოვნას, რადგანაც თვითონ იყვნენ მონადინებულნი სამთავროს მონასტერში წირვა-ლოცვას. ამის გამო გული კი წყდებოდა ეპისკოპოს ალექსის, მაგრამ იმდენად დიდბუნებოვანი იყო, წყენას არავის შეამჩნევინებდა.

სხედან, მარცხნიდან: არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი), ეპისკოპოსი ალექსი, არქიმანდრიტი ისე (სუხიშვილი). დგანან: დეკანოზი სიმონ მონასელიძე, ბერი ალექსი (ჩხეტიანი,) დავით ჟიჟინაძე.
ქ. მცხეთა, სვეტიცხოველი, 1937 წლის 2 ოქტომბერი

ეპისკოპოსი ალექსი 1938 წლის 7 თებერვალს თბილისში, 1 საავადმყოფოში გარდაიცვალა. შთამომავლების გადმოცემით, ოპერაციის დროს, სისხლის გადასხმისას, ექიმებს სისხლის ჯგუფი შეშლიათ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ, სამღვდელოებასთან ერთად, მეუფე ალექსის წესი სიონის ტაძარში აუგო. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში, ჩრდილოეთ კარიბჭესთან.

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, ბაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დეკანოზ ნესტორის ცხოვრებაც ტრაგიკულად წარიმართა. ხელისუფლებამ სამლვდელოება კანონგარეშედ გამოაცხადა და დიდად შეავიწროვა. იგივე ბედი ეწია მამა ნესტორის ოჯახსაც. ოჯახზე თავდატეხილ ისტორიას დიდი გულისტკივილით იხსენებდა მისი ან განსვენებული შვილიშვილი, ბატონი თენგიზ მაჭარაშვილი:

„1931 წელს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. პაპაჩემი, მამაჩემი და სიძე — კოლია სულიკაშვილი (მამიდაჩემ თამარის მეუღლე) ერთ დღეს დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც ხალხის მტრები. მოახდინეს ქონების მთლიანი კონფისკაცია. მამა დავითის სახლი მთლიანად ჩამოგვართვეს (ამ სახლში ერთხანს ი. ჭავჭავაძის მუზეუმი იყო, შემდეგ დაანგრიეს). ჩვენ ჩამოგვართვეს დიდი ოთახი, თავისი ავეჯით და დაგვიტოვეს 10 მ. პატარა ოთახი. დიდი ოთახი (48 მ.) „ენკავედეს" დაქვემდებარებაში დატოვეს. ამ ოთახით ვინც სარგებლობდა, საპირფარეშოში რომ გასულიყო, ჩვენს ოთახზე უნდა გაევლო. ამიტომ ამ უხერხულობის გამო, დიდი ოთახის მდგმურები ხშირად იცვლებოდნენ, იყვნენ მძიმე ასატანები, მაგრამ ერთმა ოჯახმა გაგვაგიჟა, უშვილო ცოლ-ქმარნი იყვნენ, ორივე „კაგებეს" გამომძიებლები, არ ერიდებოდათ არაფრის, ღამით მოყავდათ სტუმრები, ქეიფობდნენ, ჩვენს ოთახზე გადიოდნენ მთვრალები, საშინელი სურათი იხატებოდა. ქალი აუტანელი იყო, გვაშინებდა, პისტოლეტს ჩვენს ოთახში შლიდა და აწყობდა, დედაჩემი ემუდარებოდა, ცოტა თავი შეეკავებინა და ლმობიერად მოქცეულიყო, მაგრამ ის პირიქით აკეთებდა, უფრო გვამწარებდა, ცხოვრება აუტანელი ხდებოდა.

ერთ დღეს დედაჩემი შევიდა იმ ქალთან, დასვა მაგიდასთან, ამოიღო ნემსი და უთხრა: ეს ნემსი უნდა გიჩხვლიტო, მინდა გავიგო იქნება სხვა ფერის სისხლი გიჩქეფს ძარღვებში, ან ის გავიგო, რითი მჯობიხარ, ან ვინ მოგცა უფლება, ასე რომ გვამცირებ, ღმერთის არ გეშინია?

პატარა პაუზის შემდეგ ვაშაკიძის ქალმა უშვერი სიტყვები იხმარა, ხელი მოკიდა და კარისკენ ჰკრა, დედაჩემს არ შეშინებია, კარებთან მოტრიალდა და დასწყევლა, სწყევლიდა გამართული ენით, დინჯად და გარკვევით, ქალი ადგილზე გაშეშდა, ცოტა შეყოყმანდა და სიცილი დაიწყო, დედამ კი მიაძახა, ხვალ შენ სასაცილოდ საქმე არ გექნებაო, გამოვიდა ოთახიდან და კარი მაგრად მოაჯახუნა, ჩვენ დაგვაწყნარა და გვითხრა: ეგ ქალი თქვენ აღარ შეგაწუხებთო.

რამდენიმე დღე ეს ქალი აღარ გამოჩენილა, ერთი კვირის შემდეგ წყნარად მოგვიკაკუნა და გვითხრა, დედა რომ მოვა, ჩემთან შემოვიდესო. დედას გაუკვირდა, ნეტა რა ჯანდაბა უნდაო და შევიდა, ქალი საწოლში იწვა და ქვითინებდა, დედაჩემის დანახვაზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, მოთქმით ბოდიშს იხდიდა — თურმე დაწყევლის მესამე დღეს ქმარი დაუპატიმრეს და ორ დღეში დაუხვრიტეს. ყველა შეცდომაზე ბოდიშს იხდიდა, ადამიანურად გვექცეოდა, ყველა თავის მოქმედებაზე რჩევას დედაჩემისაგან იღებდა. ჩვენი ბინიდან წასვლის წინ ერთი კარგი საქმეც გაგვიკეთა. შემდეგ მდგმურს, „კაგებეს" თანამშრომელს, უთხრა — ეს ოთახი არის იზოლირებული და საპირფარეშოთი ეზოთი ვსარგებლობდიო. ამ დღიდან ჩვენი ოთახი „პრახადნოი" აღარ იყო. ბოლო მდგმური, რომელიც ჩვენი ოთახით სარგებლობდა იყო ძველი ფეხბურთელი, დათიკო ცომაია, თავისი რუსი მეუღლით".

როგორც ამ მონათხრობიდან ირკვევა მამა ნესტორი კომუნისტების მსხვერპლი გახდა. 1931 წელს იგი დააპატიმრეს და შვილთან და სიძესთან ერთად დახვრიტეს. მან მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოსა და ეკლესიას მიუძღვნა. მისი სახით, კიდევ ერთი მფარველი და მლოცველი შეუერთდა ზეციურ მხედრობას.

მასალა და მოგონებები მოგვაწოდა მამა ნესტორის შთამომავალმა, ბატონმა ოთარ მაჭარაშვილმა

„საპატრიარქოს უწყებანი" იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა"

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი 1861-1930

დეკანოზი გიორგი მერაბის ძე გეგეჭკორი 1861 წელს სამეგრელოს სოფელ მარტვილში, მრავალშვილიანი ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. მამა — მერაბ გეგეჭკორი — სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, დედა — მარიამ ფიჩხაია, სამეგრელოს მთიანი ადგილიდან, სოფელ კურზუდან იყო. გეგეჭკორების დიდ ოჯახში გიორგი ყველაზე უმცროსი ყოფილა. სულ პატარა იყო, როდესაც მშობლები გარდაეცვალა. ობლობაში გაზრდილმა თავისი ცხოვრება სიყრმიდანვე ეკლესიასა და ღვთის სამსახურს დაუკავშირა. მან წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), რომელიც იმ პერიოდში სამეგრელოს ეპარქიასაც განაგებდა, ახალგაზრდა გიორგი მარტვილის საკათედრო ტაძარში მედავითნედ განამწესა.

XIX საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში გიორგი დაქორწინდა ეკატერინე ქავთარაძეზე. მათ სამი ვაჟი აღზარდეს: ვლადიმერი (მეუღლე — თამარ გელოვანი), გრიგოლი (პროფესიით ინჟინერი, ცოლად ჰყავდა ალექსანდრა კაევუმიაგი) და ნიკოლოზი (პროფესიით ექიმი, ცოლად ჰყავდა ეკატერინე კოკაია).

1886 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა და ქ. ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. ამ ხარისხში მან 16 წელი ერთგულად იმსახურა და თავისი თავმდაბლობით, ნიჭიერებითა და გულწრფელობით ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1900 წლის 5 ნოემბერს ფოთის საკათედრო ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკონ გიორგის მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის კრებულში დანიშნა. მის კურთხევას დიდი სიხარულით შეხვდა ქ. ფოთის საზოგადოება და მრევლი. კურთხევის დღეს მათ მამა გიორგის სამკერდე ვერცხლის ჯვარი აჩუქეს და სიტყვითაც მიმართეს:

„მამაო გიორგი! დღევანდელი დღე სასიხარულოა ყველა ჩვენთაგანისთვის, რადგან თქვენ, ჩვენ შორის უმწიკვლოდ იმსახურეთ თხუთმეტი წლის განმავლობაში დიაკვნად და დღეს დაინიშნეთ სულიერ მწყემსად. ჩვენ უმდაბლესად ვმადლობთ მის მეუფებას, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს, რომ ასეთი ყურადღება მოიღო ჩვენზე და თქვენ დაგნიშნათ ჩვენ სულიერ მწყემსად; ჩვენც, წინდად, ჩვენი თქვენდამი ღრმა სიყვარულისა და პატივისცემისა, გილოცავთ ვერცხლის მკერდის ჯვარს, რათა მადლი ჯვარისა გიძღოდეთ თქვენ ამ ახალ სამსახურში“.

ახლადნაკურთხი მოძღვარი დალოცა ეპისკოპოსმა ალექსანრემაც და უსურვა მომავალშიც მხნედ ემსახურა დედაეკლესიისათვის.

საპასუხო სიტყვაში მამა გიორგიმ მადლობა მოახსენა მეუფე ალექსანდრესა და საზოგადოებას დაფასებისა და კეთილი სურვილებისათვის. მან დამსწრეთ მოკლე ქადაგებით მიმართა:

„შთამომავლობით კეთილშობილი და ერისკაცის ოჯახში აღზრდილი, სიყრმიდანვე ვხედავდი მშობლების მუდამ ღვთისადმი ლოცვა-ვედრებასა. მეცა გული აღმევსო სათნოებითა და სიყვარულითა ღვთისათა და გავხდი მოშურნე სასულიერო წოდებისა. მსურდა, ვყოფილიყავი ქრისტეს ყანაში მწყემსად მისი ეკლესიისა. თავიდანვე სასულიერო უწყებასა შინა სამსახური ვიწყე მარტვილის საკათედრო ტაძარსა შინა. განუსვენოს ღმერთმან ნეტარხსენებულთა გაბრიელ და ბესარიონ ეპისკოპოსთა, რომელთაც მე წამახალისეს ეკლესიის მსახურებისადმი. აცოცხლოს და ადღეგრძელოს ღმერთმან ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელმაც მე დიაკვნად დამასხა ხელი, მარტვილის ტაძრიდან გადმომიყვანა აქ, ფოთის საკათედრო ტაძარში და აგერ თხუთმეტი წელი მიმდინარეობს, რაც აქ ვმსახურებ. დღიდან დიაკვნად კურთხევისა, ვცდილობდი მღვდლად კურთხევასა და დღეს ვეღირსე სურვილის აღსრულებასა. დღეს, თქვენო მეუფებავ, აღმიყვანეთ თქვენ მღვდლობის ხარისხზედ. საკათედრო ტაძრებში ოცდაექვსი წლის სამსახურით დამაშვრალი, შემთხვევით შვილების მძიმე ავადმყოფობით მეტისმეტად დასჯილი და მორჩენის უიმედობის გამო თითქმის ხორციელ ძალაგამოლეულ მდგომარეობასა შინა მყოფი, ამა წარსული წლის 22 სექტემბერს, თქვენ, მეუფეო, უეცრად გამომიხმეთ მე და დანახვისთანავე თქვენ, თქვენის ოქროსპიროვან სიტყვებით, მსგავსად მთავარანგელოზ გაბრიელისა, მახარეთ ღვთის მიერი თქვენი მოსაზრება, მიბრძანეთ: თქვენ გსურთ გაკურთხოთ მე დრომდი ფოთის კათედრის მღვდლად? ადვილად წარმოიდგენთ თქვენ, მეუფეო, და ყველა აქ მსმენელნი, თუ ესრეთი მნებელობა და აღრჩევა თქვენისთანა კეთილი მღვდელმთავრისაგან რა სულიერი სიხარულის გრძნობებს დაბადებდა ჩემში, გარნა ესრეთი მოულოდნელი მოვლენისათვის, მადლობელი ღვთისა და თქვენის მეუფებისა, სიმდაბლით მივიღე გამოცხადება იგი და დღეს კიდევაც განახორციელეთ. უმდაბლესად გმადლობთ, მეუფეო, ამ ყურადღებისათვის, ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა თქვენცა მოგაგოსთ ყოველივე კეთილი. რასაკვირველია, მანამდინაც კრძალვით და სიმდაბლით მიგებებულ ვიყავ, მარა ეხლა მაინც, შემ-

ფოთის ქალთა სასწავლებლის პედაგოგები და მონაფეები. 1911 წელი

დგომ თქვენ მიერ ჩემზედ სულიწმინდის გადმოწვევისა, უმეტესად ვშიშობ და ვძრწი, მეუფეო, ამ მძიმე მოვალეობისადმი. რაღაცა ძალა მხილებას მიყოფს და აჩრდილივით წინ წარმომიდგება და მეუბნება: შენთვის ცა და ქვეყანა ახალიაო, ძრწოდე და გეშინოდეს მძიმე მწყემსებრივ მოვალეობისა! მასთანვე სიტყვა მოციქულისა: ეკრძალენით თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელი ეგე დაგადგინა თქვენ სულმან წმინდამან მოღვაწედ და მწყსად ქრისტეს ეკლესიათა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა. ამით აწ უნდა განვეკრძალო თავსა თვისსა, სიტყვითა და საქმითა სულ სხვა უნდა ვიქნე, სიფრთხილით უნდა დავმწყსო ქრისტეს სისხლითგამოხსნილი ქრისტეს ეკლესიისა სამწყსონი ჩემნი ისე, რომ თუ არ შევმატებ სიკეთესა და მადლსა, ის დამწყსილი მაინც არ წარუწყმიდო და ისე წარუდგინო მეორედ მოსვლის დროს მაცხოვარსა ჩვენსა. უძლურება ჩემი, ყველა სამწყსოთა ჩემთა კეთილ მიმართულება და კეთილზნეობასა უნდა შეუფარდო ე. ი. მწუხარეთა და მგლოვარეთა ნუგეშინისმცემელ ვექნე, მოლხინეთა ულხინო, ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა მივსცე ხელი შეწევნისა, უსწავლელთა და უვიცთა უნდა ვასწავლო და მრავალი მსგავსი ამისი...

თქვენო მეუფებავ, რომ ესენი ჭეშმარიტად გავამართლო, მე უნდა ვიყო უმაღლესად საღვთისმეტყველო საგნებში განვითარებული, დახელოვნებული, უმაღლესად ჭკვიანი, გონიერი და შორსგამჭვრეტი, უმაღლესად ჯანმრთელობის მექონი და გადამეტებულად ნივთიერი საშუალებით განბეჯითებული. მე თითქმის ყველა ამათთაგან ჩამოქვეითებულსა ვითარ ძალმიძს გამართლება ესრეთი მძიმე საპასუხისგებო დანიშნულებისა. ამისათვის მოვიქცევი თქვენი მეუფების წინაშე უმდაბლესი თხოვნით, რათა თქვენ, მეუფეო ჩემო და მწყემსო ჩემო, აწცა მოიღებდეთ ჩემს უღირსებაზედ თქვენსა უხვსა ყურადღებასა. სიტყვითა და საქმით, თუ ნივთიერებით აღმომიჩენდეთ ამ მოვალეობისადმი თქვენგან მოსალოდნელსა დახმარებასა და შემწეობასა. მამხელდეთ ნაკლულევანებათა ჩემთა და განმამტკიცებდეთ მოვალეობასა შინა ჩემსა. ილოცავდეთ ჩემს უღირსობაზედ, რათა გარდამატებულმან მადლმან და ლოცვამან თქვენის მეუფებისაგან გადაემატოს ჩემთა ნაკლულევანებათა და უღირსებათა, რომ მსახურება ჩემი იქნეს სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკლესიისა ისე, რომ მეორედ მოსვლის დროს შემეძლოს მაცხოვრის წინაშე თამამად წარდგომა და თქმა: აჰა! მე და სამწყსონი ჩემნი, რომელი მომცნა მე ღმერთმან".

1901 წელს მეუფე ალექსანდრემ იგი საგვერდულით დააჯილდოვა. 1904 წლის 12 თებერვალს ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მამა გიორგი წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1905 წლის 14 თებერვალს მღვდელი გიორგი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სანთლის ქარხნის წევრად აირჩიეს. ამავე წლის 1 მარტს სკუფია უბოძეს. 1909 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1913 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში მამა გიორგის დეკანოზის წოდება მიენიჭა და ჭყონდიდის ეპარქიის, მარტვილის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. ეკლესიისთვის უმძიმესი წლები იდგა. სამღვდელოებას ურთულეს პირობებში უხდებოდა მღვდელმსახურება. დეკანოზი გიორგი, როგორც ერთ-ერთი უხუცესი და გამოცდილი მოძღვარი, დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა სამღვდელოებასა და მრევლში. იგი ესწრებოდა საეკლესიო კრებებს, როგორც ჭყონდიდის ეპარქიის დელეგატი და აქტიურად მონაწილეობდა საეპარქიო საქმეებში.

დეკანოზ გიორგი გეგეჭკორის თავჯდომარეობით 1926 წლის 10 მარტს შეიკრიბა ჭყონდიდის საეპარქიო კრება, რომელზეც განიხილეს 1921 წელს გელათში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კრებაზე მიღებული ერთ-ერთი საკითხი, რომლის თანახმადაც ჭყონდიდის ეპარქიის მმართველს ჩამოერთვა მიტროპოლიტის პატივი. სამწყსო მოითხოვდა თავისი უფლებების აღდგენას და კრებას შეახსენებდა, რომ უძველესი დროიდან, როდესაც საქართველო მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დაყოფილი იყო 35 ეპარქიად, ჭყონდიდელ მიტროპოლიტს პირველი ადგილი ეჭირა კათოლიკოს-პატრიარქის შემდეგ და ასე იყო საუკუნეების განმავლობაში, სანამ საქართველოში არ დამყარდა რუსული საეკლესიო მმართველობა. 1917 წლის პირველ საეკლესიო კრებაზე ჭყონდიდელ მღვდელმთავარს დაუბრუნდა თავისი პატივი, მაგრამ 1921 წლის კრებამ კი განმეორებით წაართვა მას. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს სრულიად საქართველოს საეკლესიო საბჭოს რწმენის აღდგენის ხანაში დაუბრუნდეს ჭყონდიდის კათედრას მიტროპოლიტის პატივი.

ცხოვრებამ მძიმე ხვედრი არგუნა დეკანოზ გიორგის ოჯახს. მისი სამი ვაჟიდან ორი: გრიგოლი და ნიკოლოზი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. გადარჩა მხოლოდ ერთი — ვლადიმერი, რომლის შთამომავლობამაც

თავისი წინაპრების სინათლე გამოიყოლა ერისა და ქვეყნის წინაშე მსახურებისთვის.

მისი უფროსი ვაჟის, ვლადიმერ გეგეჭკორის მოგონებებში ვკითხულობთ: **„მამა გატაცებით მიყვებოდა ხოლმე ამბებს ჩვენი ქვეყნის წარსულზე, კრწანისის ბრძოლაზე, სამასი არაგველის შემართებაზე, ცხრა ძმა ხერხეულიძეების გმირობაზე... ერთ დღეს მცხეთაში წამიყვანა და სვეტიცხოველი დამათვალიერებინა. სიძველეთადმი სიყვარულს მინერგავდა...“**

ვლადიმერ გეგეჭკორის ვაჟი გახლდათ ცნობილი ქართველი მსახიობი და სახალხო არტისტი გიორგი (გოგი) გეგეჭკორი, ხოლო მისი შვილი გახლავთ მხატვარი გიორგი გეგეჭკორი, რომელმაც გიორგი ჭყონდიდელის პორტრეტისათვის მოდელად სწორედ თავისი დიდი წინაპრის — დეკანოზ გიორგი გეგეჭკორის პორტრეტი გამოიყენა.

დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი 1930 წლის 20 მაისს მშობლიურ სოფელში, საკუთარ სახლში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. 24 მაისს ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და ეპარქიის სამღვდელოებამ იგი დიდი პატივით მიაბარეს მარტვილის საკათედრო ტაძრის ეზოს, სადაც მან პირველად დაიწყო საეკლესიო მსახურება.

შემორჩენილია დეკანოზ გიორგის ქადაგება, წარმოთქმული 1907 წლის 18 ოქტომბერს, ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) დაკრძალვის დღეს:

„ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო! ღვთის განგებამ გარგუნათ თქვენ საყვარელ სამშობლოში მწყემსმთავრობა. თქვენ, როგორც გულკეთილმა მღვდელმთავარმან, განურჩევლად წოდებისა, ხარისხოვნებისა და პიროვნებისა, დღითგანვე თქვენს სამწყსოში შემოსვლისა, ყველას გაგვიღე თქვენი გულის კარი და გვითხარით, აჰა, მე თქვენი სულიერი მამა და თქვენ ჩემნი სულიერნი შვილებიო. ამით თქვენ ყველას მოგვეცი მიზეზი, თქვენს გულში გვეფათურებია ხელები. ჩვენ თქვენი ასეთი გულუხვი ნდობა ვერ გავამართლეთ და ვერ შეგინყვეთ ხელი, ცხოვრების ბრძოლის ველზედ ერთადერთი მიგატოვეთ. არათუ ხელი ვერ შეგინყვეთ და ვერ დაგეხმარეთ ასეთ დიდ ასპარეზზე, როგორსაც შეადგენდა თქვენი დანიშნულება — ახლად შეერთებულ ვრცელ ეპარქიის მოვლა-გამგეობაში, პირიქით, თქვენი საქმე იმ ზომამდე დავაყენეთ, რომ უკანასკნელ დროში შორეულ ცივ ქვეყანაშიაც გაგამგზავრეთ, სადაცა გული დაგინყლულდათ, ჯანმრთელობით დაქვეითდით და თქვენს სამშობლოში დაბრუნდით მხოლოდ მისთვის, რომ დაგესრულებიათ სიცოცხლე. მწუხარება და გლოვა ჩვენ, თორემ თქვენ გიხაროდეს, მეუფეო! გიხაროდეს მისთვის, რომ თქვენ ყოველივე კაცობრიული ცოდვა და ხორციელი უბედურებანი აქვე დასტოვეთ და ან წარდგებით სამსჯავროს წინაშე სულით ნათელი, როგორც მღვდელმთავარი.

მარტვილის მონასტერი

ყოვლადუსამღვდელოესო! ამ თქვენი საყვარელი და ნაშრომ სავანისათვის, სადაცა თქვენ უკანასკნელად სული განუტევეთ და თქვენი გვამი საუკუნოდ მიაბარეთ, ამა მარტვილისათვის, შეევედრეთ წმინდა მოციქულთა ანდრიას და სიმეონ კანანელს, რათა ისინი მეოხ იყვნენ წინაშე ღვთისა განმტკიცებისათვის, პირველ საუკუნიდანვე მათ მიერ ქრისტიანობის გასავრცელებლად აღრჩეულის სამოციქულო ადგილისა ამის — მარტვილისა; რომ, როგორც წინეთ, ისევ დიდებით და საღმრთო მადლით მოსილ იქნეს ადგილი ესე და კვლავაც ეს სამოციქულო ადგილი იქნეს სულიერ საზრდოდ, ან დაქვეითებულ ქრისტიანობრივი სარწმუნოების აღმდგენელად და განმამტკიცებლად. აგრეთვე, მეუფეო! შეავედრეთ დედა ღვთისას მისი წილხდომილი საქართველო, რომ მადლითა თვისითა მან დაიცვას სარწმუნოების და ზნეობის უმეტეს დაქვეითებისაგან ჩვენი ხალხი.

დასასრულ, ჩემო ხელდამსხმელო მეუფეო! 11 წელიწადი ვიმსახურე თქვენთან წმიდა ტრაპეზის წინაშე და ამ ხნის განმავლობაში ერთჯერაც არ შემინიშნავს ჩემს უღირს მსახურებაში ოდესმე თქვენი შუბლი ჩემზედ შეხრილიყოს, მე, გარდა მადლობისა და სიყვარულისა, იქნება, როგორც უძლურმა და უღირსმა მღვდელმა, რაიმე სიტყვით, საქმით ან მოქმედებით განყენინეთ, გთხოვთ და გევედრებით, სულგრძელობითა თქვენითა მომიტევოთ და შემინდოთ შეცოდებანი ჩემნი. ვევედრები ღმერთსა, საუკუნო ნეტარება დაგიმკვიდროს და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი გრიგოლ ღამბარაშვილი 1825-1900

დეკანოზი გრიგოლ სვიმონის ძე ღამბარაშვილი 1825 წელს გორის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. ყმაწვილი გრიგოლი ცოდნის მისაღებად თავდაპირველად გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, საიდანაც მან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. სემინარია გრიგოლმა წარჩინებით დაასრულა და მოძღვრის ლოცვაკურთხევით, სასულიერო გზა აირჩია. იგი დაოჯახდა. ჰყავდა ექვსი შვილი, ოთხი ვაჟი და ორი ასული: სტეფანე, მაქსიმე, ნესტორი, გაბრიელი, მარიამი (გათხოვილი იყო იპოლიტე ზურაბის ძე ტატიშვილზე) და ალექსანდრა (გათხოვილი იყო პლატონ იოანეს ძე გვერდწითელზე).

XIX საუკუნის 50-იან წლებში გრიგოლი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხეს ხელი და ზაქათალის ოლქში მისიონერად განამწესეს. XIX საუკუნის 60-იან წლებში სიღნაღის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა და ამავე ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1867 წლის შემოდგომაზე მღვდელი გრიგოლი თბილისში გადმოიყვანეს და ვაჟთა გიმნაზიაში საღვთო სჯულის მასწავლებელად და ამავე სასწავლებლის კარის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. XIX საუკუნის 70-იან წლებში იგი ერევნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად განამწესეს და დეკანოზის წოდება მიანიჭეს.

1892 წლის 10 სექტემბრს დეკანოზი გრიგოლი გორის „ოქონის" ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. დანიშვნისთანავე იგი შეუდგა სამრევლო-საეკლესიო სკოლის დაფუძნების საქმეს და მალევე გახსნა ორგანყოფილებიანი სკოლა — ვაჟებისა და ქალებისათვის, ცალ-ცალკე; ამ საქმისათვის მას არ დაუზოგავს არც შრომა, არც ხარჯი და არც ენერგია. ახლადგახსნილ სკოლაში თავადვე ასწავლიდა საღვთო სჯულს.

დეკანოზ გრიგოლის ინიციატივითვე, ოქონის ეკლესიაში შეიქმნა მგალობელთა გუნდი, რომელიც სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებისაგან ჩამოყალიბდა. ეს გუნდი სისტემატიურად ესწრებოდა წირვა-ლოცვებს, რამაც უამრავი ხალხი მიიზიდა ეკლესიაში. გარდა ამისა, მამა გრიგოლი საუფლო დღესასწაულებზე და კვირაობით ქადაგებით მიმართავდა მრევლს, მამობრივი სიყვარულით განუმარტავდა მათ სახარებისა და დღესასწაულის საკითხავებს და დაუზარლად არიგებდა ტაძარში შეკრებილებს. გამოცდილი მოძღვარი მარტივი და ხალხისათვის გასაგები ენით ქადაგებდა, რის გამოც ტაძარი ყოველ წირვაზე ხალხით ივსებოდა. რამდენიმე წელიწადში მან დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა არა მარტო მრევლისა, არამედ გორის მთელი საზოგადოებისა.

აი, რას წერდა 1895 წელს დეკანოზ გრიგოლის მოღვაწეობის შესახებ უცნობი ავტორი გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე:

„1892 წელს გორის ოქონის ეკლესიაში მღვდლად დანიშნულ იქნა დიდად პატივცემული მამა დეკანოზი გრიგოლ ღამბარაშვილი. თ[illegible]ვისზედაც ითქმის, რომ ჭეშმარიტად დაუმსახურებია პატივი და დიდებაო, ეს, უეჭველია, დეკანოზ ღამბარაშვილზედ უნდა ითქვას. ჩვენ არ შევეხებით მის წარსულს მეტად ნაყოფიერს და მრავალგვარს შრომა-მოქმედებას. ხოლო გვინდა აღვნიშნოთ, რა ღვაწლი მიუძღვის იმას სამის წლის განმავლობაში ოქონის ეკლესიისა და მისდამი რწმუნებულის მრევლის წინაშე.

შესვლისათანავე ოქონის სამრევლოში განსაკუთრებით ყურადღება მამა დეკანოზმა ეკლესიის არა სასურველს მდგომარეობას მიაქცია და იმისს გამშვენებას შეუდგა. ეკლესიის თაღები და კედლები მთლად გამჭვარტლული იყო და ზოგან — დაზიანებულიც. მამა დეკანოზმა დახარჯა თავისი საკუთარი ხუთი თუმანი, ხუთი თუმანიც ეკლესიის ფულიდგან მიუმატა და ამ ფულით შეაკეთებინა კედლები და თ[illegible]ღი, გაათეთრებინა და შეაღებინა, რაც საჭირო იყო.

ეკლესიას არა ჰქონდა რიგიანი შესამოსელი, არც სამღვდელოთათვის, არც ტრაპეზისათვის. მამა დეკანოზმა ამასაც არანაკლები ყურადღება მიაქცია და ეკლესიის ფულით გამოინერა ტრაპეზისა და თავისთვის თითო ხელი მშვენიერი ოქრო-მკედით ქსოვილი ხავერდის შესამოსელი. გარდა მამა დეკანოზისა, ოქონის ეკლესიაში არის გამწესებული მეორე მღვდელიც — დიაკვნის ადგილზედ, ხოლო დიაკონი — მედავითნის ადგილზედ. ამ მეორე მღვდელმაც, მამა ნიკოლოზ მოსიაშვილმა, დეკანოზის მიხედვით, თავისი ხარჯით გამოიწერა თავისათვის ისეთივე შესამოსელი, როგორიც არის მამა დეკანოზისათვის და ეკლესიას შესწირა. მამა დეკანოზი ყოველ კვირა-უქმე დღეს მწირველია თავის ეკლესიაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქ. გორში ოქონის ეკლესია ერთადერთი ეკლესია არის, სადაც ყოველთვის ქართული წირვა-ლოცვა ისმის, მგონია, დღესასწაულებრივი შესრულება ყოვე-

ლის საღმრთო მოქმედებისა და გარეგანი სიბრწყინვალე არ უნდა იყოს მეტი და უადგილო იმისთანა ეკლესიაში, სადაც ტევა აღარ არის ხოლმე მლოცველებისა, ხოლო ეს უკანასკნელი მოვლენა არის ნაყოფი იმ ღვაწლისა, რომელსაც თითქმის ყოველგან სამღვდელოებამ მხარი აუქცია, მაგრამ დეკანოზ ღამბარაშვილმა კი, როგორც ჭეშმარიტმა მწყემსმა და მოძღვარმა, თავის უპირველეს მოვალეობად აღიარა. ეს ყოვლად პატიოსანი მოხუცი დეკანოზი წირვის შემდეგ მოუთხრობს მსმენელთ იმ დღით წაკითხულ სახარების შინაარსს, მერე განუმარტავს ცალ-ცალკე სახარების აზრსა და მნიშვნელობას, და ბოლოს, ჰქადაგებს ზნეობითს სწავლას. მამა დეკანოზი სრულებით არა ცდილობს მაღალი ფრაზების გამოძებნას თავისის აზრის გამოსახატავად და გამოსათქმელად. მის ქადაგებას უბრალო მამაშვილური საუბრის ხასიათი აქვს და ეს სიმარტივე და გულწრფელობა ლაპარაკის დროს იმდენად ათბობს მის ნათქვამს და სასიამოვნოდ ჰხდის მსმენელთათვის, რამდენადაც უსიამოვნოა მსმენელთათვის მაღალი ფრაზებით და ხელების ქნევით წარმოთქმული ქადაგება. აი, მიზეზი იმისა, რომ ოქონის ეკლესია ყოველთვის სავსე არის ხოლმე მლოცველებით. ოქონის მრევლის გარდა, სხვა მრევლიდგანაც მიდიან ოქონის ეკლესიაში ქადაგების მოსასმენად, როგორც ქართველები, ისე სომხები.

აი, ამისთანა გულმოდგინეობა და დაუღალავი შრომა, კარგი მაგალითია ახალგაზრდა მღვდელთათვის! გულმოდგინე მწყემსი ყოველთვის მოიპოვებს თავისის მრევლის სიყვარულსა და პატივისცემას. მე ჩემის ყურით გამიგონია ამგვარი სიტყვები: „ღმერთმა გაანათლოს ჩვენი დეკანოზი, რომ ჩვენი სული და გული მაგან გაგვინათლა. აქამდის ჩვენი ჭკუა და გონება სიბნელით იყო მოცული და ახლა კი მაგან გაგვინათლა ჭკუა-გონება და გზა-კვალიც. მხოლოდ ეხლა გავიგეთ ჩვენი სჯული და შევიგენით ჭეშმარიტი სარწმუნოებაო“.

დეკანოზმა ღამბარაშვილმა დააწესებინა სამრევლო სამზრუნველო კეთილსაიმედო პირთაგან, რომელნიც ეკლესიის გამშვენიერებისთვის ცდილობდნენ. მაგალითად, ამ სამზრუნველოს ერთმა წევრთაგანმა ბატონმა ნ. ნ. ხოჯაევმა თავისის ხარჯით გააკეთებინა გარდამოხნისათვის დასასვენებელი ხის კუბო, მინების თავსახურავით, გააკეთებინა სადავითნო ხორო და შესწირა ცისფერის ატლასის კრეტსაბმელი და ყოველი ესე ღირებული არანაკლებ ხუთის თუმნისა და ეხლა აგროვებს მთავრობის მიერ მიცემულის წიგნით შესაწირავს უფრო გასამშვენიერებლად ეკლესიისა და სამრევლო სკოლის დასაარსებლად. გარდა ამისა, მამა დეკანოზი აპირებს სამუდამოდ ქართულის გალობის ხოროს დაწესებას ოქონის ეკლესიაში.

ამ დაუღალავსა და დაუზარელის მოხუცის, დიდად პატივცემულის დეკანოზის გრიგოლ ღამბარაშვილის ღვაწლმა გამახსენა მაცხოვრის სიტყვები: „არცა აღანთიან სანთელი და დასდგინ ქვეშე ხვმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიან სახლსა შინა“ (მათე 5, 15), და ამიტომ მსურს გავაცნო მკითხველ საზოგადოებას ეს პატივცემული დეკანოზი, როგორც მაგალითი ჭეშმარიტის მოძღვრისა. ღმერთმა ინებოს, რომ მრავალნი აღმოჩნდნენ ჩვენში ამისთანა მოძღვარნი“.

ოქონის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი

1897 წლის 16 აგვისტოს დეკანოზი გრიგოლი გორის სანთლის ქარხნის რევიზორად დაინიშნა. 1899 წლის 6 მაისს ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1900 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისში, თავის შვილებთან მყოფი დეკანოზი გრიგოლი მოულოდნელად გარდაიცვალა. თავისი ანდერძის თანახმად, იგი გორში გადაასვენეს. 2 სექტემბერს ოქონის ტაძარში წირვა შეასრულა გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), დიდძალ სამღვდელოებასთან ერთად. წესის აგების შემდეგ ოჯახის წევრებმა და მრევლმა მოძღვრის ცხედარი დიდი პატივით მიაბარეს ეკლესიის ეზოს.

დეკანოზი გრიგოლი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ ქართულ პრესასთან. ჟურნალ-გაზეთებში იგი ხშირად აქვეყნებდა თავის ქადაგებებსა და თარგმანებს. 1866 წელს მან რუსულიდან თარგმნა და ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ გამოაქვეყნა ნაშრომი „საუფლო ლოცვისათვის“, რომელიც XIX საუკუნეში ოთხჯერ დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში. გარდა ამისა, მან ასევე თარგმნა „სასინოდო სიტყუა ნერსეს ლამბრონელისა“, სადაც საუბარია მონოფიზიტური სარწმუნოების სიმცდარეზე.

გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით დეკანოზ გრიგოლის ქადაგებას თავად არჩილ იოანეს ძე ანდრონიკაშვილის გარდაცვალების დღეს:

„პირველისავე კაცის დროსა კაცს განეწესა სიკვდილი: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“, — უთხრა ღმერთმან ადამს და ამის გამო ჩუენ ყოველნი, „ერთისაგან სისხლისა მისისა შექმნილნი“, შევიქმნენით მოკუდავნი, სიკვდილი იქმნა აუცილებელ ვალად ჩვენის ბუნებისა. დაუღალველი სიკვდილი იქცევის რა თავთა ზედა ყოველთა კაცთასა, მოჰკვეთს ხან ერთსა და ხან მეორესა, ყრმასა გინა ჭაბუკსა, ჰასაკოვანსა, გინა მოხუცსა. დროთაგან კაცის შექმნისა ქუ-

ეყანასა ზედა აურაცხელთა მილიონთა კაცთა საჩქაროდ განვლეს პირი ქუეყნისა და კვალად დაიფარნენ მიწასა შინა. ესრეთვე იქნება ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: *„ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და არა არს კაცი რომელიც ცხონდეს და არა იხილოს სიკუდილი“*. ამისათვის უკუე იტყვის მოციქული: *„ყოველი ხორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყვავილი თივისა, განჰხმა თივა იგი და ყვავილი მისი დაჰსცვივა“*. ესე არს ჭეშმარიტება ყოველთადმი ცხადი და უეჭველი, ამას აწცა ცხადად ვსცნობთ მწარედ საგოდებელისა ამის მხილველისაგან. გარნა ამა სიცხადისაგან ჭეშმარიტებასა ამას ჰქონან მხარენი ჩვენთვის დაფარულნი, მაგალითად:

პირველად, ჩვენ არა ვუწყით თვით ჟამი სიკვდილისა ჩუენისა, რაიცა სთქუა მოციქულმან ჟამისათვის, მეორედ მოსვლისა ქრისტესსა და უკანასკნელისათვის განჩინებისა, იგივე ითქმის ჟამისათვისცა სიკვდილისა ჩვენისა: *„იგი მოვალს, ვითარცა მპარავი ღამით“*. თითქმის ყოველთვის მოულოდნელად ემთხვევა სიკვდილი კაცთა ყოვლისა ჰასაკისა და მდგომარეობისასა, ღრმად მოხუცებულსაცა და ახლადშობილსა ჩვილსაცა, მხნესა ჭაბუკსაცა და მტკიცესა მამაკაცსაცა, რომლის დღენი ჯერეთ არცკი განზოგებულან. მეფე და მონა, მდიდარი და გლახაკი, კეთილშობილი და გლეხი, ბრძენი და უგუნური ერთბაშად შთავლენან საფლავებსა შინა და შთავლენან მომეტებულ ნაწილად მაშინ, როდესაც არცა თვით და არცა სხუანი ამას არა მოელოდებოდნენ, მაგალითსა ამისსა ჩუენ ვხედავთ, სამწუხაროდ ჩუენდა, წინა მდებარესა უფლისად აღსრულებულსა მონასა შინა თავადსა არჩილსა, რომლისა ცისკარი უკეთესის სიცოცხლისა ქუეყანასა ზედა თითქმის ეხლა აღმობრწყინდა, ხოლო ესე მიისწრაფის საფლავსა შინა.

მეორედ, ჩუენ არა უწყით არცა ადგილი და არცა გარემოებანი ჩუენისა სიკვდილისა. ჰოი! ვითარ მრავალ არიან შემთხვეულებანი და სახენი ჩუენისა სიკვდილისა, და ვითარ მრავალ ადგილნი, სადაცა შეგვხვდება ჩუენ იგი. გარნა ვითარ დაფარულ არს ჩუენთვის ყოველი ესე და ვინ გვაუწყებს ჩუენ მომავალსა, ვინ გვაცნობებს ჩუენ, თუ ვითარ და სადა განვლევთ დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა? ყოველგან და ყოველსა შინა შეიძლება შეგვემთხვას სიკვდილი, გარნა არა უწყით, თუ სადა და რასა შინა სახელდობრ ჩუენ შევხუდებით მას. შეიძლება მოვკუდეთ ჩუენ საჭმლისაგანაცა და სიცივისაგანაცა, შრომისაგანაცა და უქმობისაგანაცა, გარნა არა უწყით, თუ რაისაგან სახელდობრ მოვკუდებით. მოვკუდებით ავად მყოფობით ქვეშაგებში, ანუ გზასა ზედა სიხარულში, საშუალ ნათესავთა და მცნობთა, ანუ უდაბურსა და უცხოსა ადგილსა, — იქა, სადაცა იქნება ჩუენ ზედა ყოველსავე ქრისტიანობის წესის აღსრულება, ანუ იქ, სადაცა არც კი არს ქრისტიანობა. მოვკუდებით სინანულსა შინა ანუ სრულებით უგრძნობელად? ყოველნი ესე არიან საიდუმლონი, რომელთა ჩუენ ვერ მივსწვდებით, მაგალითად: უწყოდა, განსვენებულმან ამან, ანუ ნათესავთა ამისთა, რომელ ესე განვიდა დღეთა თვისთა ცხოვრებისათა, არა მამულსა შინა თვისსა, განშორებით საყვარელთაგან თვისთა. მეუღლისა და შვილთა, მამისა და ნათესავთა, მეგობართა და მეცნიერთა, რომელსა, არა შეემთხვევა სიკუდილი ჟამსა ცხადის საშიშროებისასა ბრძოლასა შინა ოსმალებთანა? ჰოი! ვითარ საკვირველ არიან საქმენი შენნი უფალო, და გამოუკვლეველ სჯანი შენნი!

ამის გამო ხმავჰყოთ ყოველთა, კეთილმორწმუნენო მსმენელნო! რომელ სიცოცხლე ესე ჩუენი ქუეყნიერი არს სიცოცხლე დროებითი და მსწრაფლ წარმავალი, კეთილნი მისნი არიან ხრწნადნი და ამავონი, სხეული ჩუენი არს საპყრობილე სულისა, რომლისაგან იგი ადრე, ანუ გვიან განთავისუფლდება, რათა შემდგომ შეცვალებისა მისისა სხეულად სულიერად და უკვდავად კვალად შეერთდეს მისთანა საუკუნოისა ცხოვრებისათვის ღვთისა თანა.

ყოველი ერთად პირითა და ერთგულითა ვევედრნეთ უფალსა ესრედ: „წმინდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა შენისა თავადის არჩილისასა, სადა იგი არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არც სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

ხოლო აღსრულებულსა ამას სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყვარულითა ღვთისათა ხელმწიფის და მამულის სიყვარულისათანა, ვჰრქუათ: მშვიდობით, საყვარელო, მშვიდობით, ვიდრე შეყრამდე ერთად საყოფელთა შინა ღვთისათა, მშვიდობით! უფალი შენთანა. ამინ“.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

— რომლის სახელმწიფოც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე VIII საუკუნემდე არსებობდა.

იგეგმება, რომ 2012 წელს პროექტის ფარგლებში დაიწყება ყველა შესწავლილი პალიმფსესტის შრის ფოტოასლის ონლაინ-გამოქვეყნება. ასევე ჩამოყალიბდება კატალოგი და მეცნიერებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შესაძლებლობა ექნებათ დაუბრკოლებლად შეისწავლონ და გაანალიზონ ეს ხელნაწერები.

მექსიკაში ქრისტიანები ერთიანდებიან

მექსიკაში მართლმადიდებლურმა, კათოლიკურმა, ლუთერანულმა, ანგლიკანურმა და სხვა ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებმა ხელისუფლებას გაუგზავნეს ღია წერილი მოთხოვნით, მისცენ ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიანებს თავისუფალი აღმსარებლობის გარანტია. წერილს 16 ქრისტიანი ლიდერი აწერს ხელს. სხვა მრავალ საკითხთან ერთად განიხილება „ძალადობის აქტები და ღვთისგმობაც", რომლებიც მეხიკოს საკათედრო ტაძარში მოხდა.

მექსიკის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის გენერალურმა მდივანმა ვიქტორ რენე როდრიგესმა აღნიშნა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ტაძრების შეურაცხყოფისა და 20-ზე მეტი დაუსჯელად დარჩენილი ფაქტის შესახებ.

„სულიერი ცხოვრება მატერიალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია", — აღნიშნავენ რელიგიური ლიდერები. — შესაბამისად, თუ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს თავისი მოსახლეობის „სრულფასოვანი კეთილდღეობა, ის უნდა ზრუნავდეს არა მარტო მათ მატერიალურ მოთხოვნილებებზე, არამედ აუცილებელ სულიერ განვითარებაზეც".

სამომავლოდ რელიგიური ლიდერები ასევე გეგმავენ, რომ გაერთიანდნენ, რათა ქვეყანაში „მშვიდობიანი თანაცხოვრებით რელიგიური და მორალური ფასეულობები" დაიცვან: ნებისმიერი წყენა ან ძალადობა მორწმუნე ადამიანის მიმართ ჩაითვლება აგრესიად, რომელიც მიმართული იქნება ყველა ქრისტიანული ეკლესიისადმი ერთდროულად".

იერუსალიმის საპატრიარქომ რუმინეთის ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა

იერუსალიმის საპატრიარქოს ოფიციალური ინტერნეტ-გვერდის ცნობით, 9 მაისს გამართულ იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდზე „ერთხმად მიიღეს სამწუხარო გადაწყვეტილება", კერძოდ, — გაწყვიტონ ევქარისტიული კავშირი რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

კონფლიქტის მიზეზი გახდა რუმინეთის ეკლესიის მიერ ტაძრის მშენებლობა იერუსალიმის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე. ორივე ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებებმა და მრავალგზისმა მიმოწერამ ვერ გამოიღო შესაბამისი შედეგი და აღნიშნული სადავო საკითხი დადებითად ვერ მოგვარდა.

ელადის ეკლესიის მეთაური საავადმყოფოში მოათავსეს

ათენისა და სრულიად ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური იერონიმე 9 მაისს მარჯვენა ფეხის დაზიანების გამო საავადმყოფოში მოათავსეს. უბედური შემთხვევა ქალაქ აგრინიოში მოხდა. წირვის შემდეგ წმინდა ქრისტეფორეს ტაძრიდან გამომავალ იერარქს სველ საფეხურზე ფეხი დაუსრიალდა და დაუზიანდა. ტკივილის მომატების შემდეგ იგი სასწრაფო დახმარების მანქანით დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

აღსანიშნავია, რომ 11 მაისს მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ უნდა უხელმძღვანელოს ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომას, რომელიც, გეგმის მიხედვით, 13 მაისამდე უნდა გაგრძელდეს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი

ქართულ საისტორიო საბუთებში მაჭარაშვილთა გვარი XVI საუკუნიდან გვხვდება. 1588 წელს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ნიკოლოზი ერთ-ერთ წყალობის სიგელში იხსენიებს სოფელ ბარაუნში მოსახლე გლეხ მაჭარაშვილებს. XVII საუკუნიდან ეს გვარი ზემო იმერეთში ჩანს. ადრევე დაწყებულა იმერელ მაჭარაშვილთა დამკვიდრება შიდა ქართლში. ერთი ვერსიის თანახმად, აგიაშვილის გვარის წარმომადგენელი გადასახლებულა კორბოულში, შეურთავს მაჭარაშვილის ქალი და გვარიც გამოუცვლია. მათ შეეძინათ ერთი ვაჟი სვიმონი, რომელიც სასულიერო პირი გახდა. იგი XIX ს-ის დასაწყისში რუსეთში წაჰყვა საქართველოდან გაგზავნილ ერთ-ერთ უფლისწულს კარის ეკლესიის მოძღვრად. სამშობლოში დაბრუნებული ერთი პერიოდი თბილისში, კუკიაზე დასახლებულა, შემდეგ კი — შიდა ქართლში, სოფელ ალში დაფუძნებულა, სადაც მისი მოთავეობით დაწყებულა ალის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის მშენებლობა.

მამა სვიმონს ჰყავდა ორი ვაჟი: სპირიდონი და იოსები (იოსებს შთამომავალი არ დარჩენია). **სპირიდონმა,** *მამის ლოცვა-კურთხევით, სასულიერო გზა აირჩია. მას ცოლად ჰყავდა ორჯონიკიძის ქალი. შეეძინათ 8 შვილი:* ***სარდიონი; მღვდელი ნიკოლოზი*** *(დუმაცხოვის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, გარდაიცვალა 1904 წლის 5 მარტს);* ***მღვდელი დომენტი*** *(გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელმთავრო სახლის ეკონომოსი, 1894 წლის 23 იანვარს გავიდა პენსიაზე);* ***პელაგია (პელო); დეკანოზი გრიგოლი*** *(ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, გარდაიცვალა 1902 წლის 16 სექტემბერს);* ***ეკატერინე*** *(მეუღლე ზურაბ მურმანიშვილი),* ***ნინო, მღვდელი სვიმონი.***

მამა სპირიდონმა დაასრულა მამამისის მიერ დაწყებული ეკლესიის მშენებლობა და 1812 წლიდან ამავე ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. მამა სპირიდონი 1858 წლის 1 აპრილს გარდაიცვალა.

მღვდელი სვიმონი XIX საუკუნის 40-იან წლების დასაწყისიდან სოფელ დუმაცხოვოს ეკლესიაში მოღვაწეობდა. ჰყავდა მეუღლე — გვერწითელის ქალი. მათ ცხრა შვილი ჰყავდათ: პელაგია (პელო), მაიკო, აღათი, **დეკანოზი ნესტორი**, დუსია, ტატიანა, გიორგი, სვიმონი და სანდრო. მღვდელი სვიმონი წლების განმავლობაში ერთგულად და ნაყოფიერად ემსახურებოდა დედაეკლესიას გორის ეპარქიის სხვადასხვა სოფლებში. 1849 წლის 25 ოქტომბერს იგი გორის მაზრის ერთ-ერთი ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. ბოლოს ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას წინამძღვრობდა. იგი აქვე აღესრულა 1868 წლის 26 ნოემბერს.

ნესტორ მაჭარაშვილმა წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. დაქორწინდა ეკატერინე ბარნოვზე (ვასილ ბარნოვის და). ჰყავდათ შვიდი შვილი: თამარი, დავითი, ელენე, კონსტანტინე, არჩილი, ვასილი და ლეო.

XIX საუკუნის 80-იან წლების მიწურულს ნესტორი ჯერ დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი მღვდლად დაასხეს ხელი და კუკიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში დანიშნეს. კურთხევისთანავე ახალგაზრდა და ენერგიულმა მოძღვარმა აქტიური სასულიერო მოღვაწეობა გააჩაღა. 1888 წლის 27 ნოემბერს, მამა ანტონ თოთიბაძესთან ერთად, საკვირაო წირვის შემდეგ მოიწვია სამრევლო კრება, სადაც განიხილეს სამრევლო სამზრუნველოს დაარსების საკითხი, რომელიც გაჭირვებულ და ღატაკ მრევლს გაუმართავდა ხელს. წირვაზე გალობდა ქართული გუნდი, რომლის ლოტბარი ნესტორ კონტრიძე იყო. წირვის შემდეგ მამა ნესტორმა მრევლს ამ სამზრუნველოს მნიშვნელობა და სარგებლობა განუმარტა. შეადგინეს წესდება, აირჩიეს მისი წევრები. თავმჯდომარედ ერთხმად დასახელდა დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო საქმისმწარმოებლად — მამა ანტონ თოთიბაძე. ოქმი დასამტკიცებლად წარუდგინეს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარქოს პალადის (რაევი), რომელმაც მოიწონა და დაამტკიცა ეს კეთილშობილური წამოწყება. 1890 წელს მამა ნესტორი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის საგვერდულით დააჯილდოვეს.

1891 წლის 14 ნოემბერს მღვდელი ნესტორი მთაწმინდაზე, მამა დავითის ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1892 წელს მისი ინიციატივითა და მრევლის შემოწირულებით დაარსდა უფასო საჩაიე, სადაც ყოველ ხუთშაბათს მშიერ და უპოვარ ადამიანებს აპურებდნენ. 1892 წლის 7 ივნისს სკუფია უბოძეს. 1893 წლის აპრილში თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიასთან არსებულ გერმანულ სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა. 1897 წლის 21 სექტემბერს აარსებს საკვირაო საქალებო სკოლას, რომელიც მამა დავითის სამრევლო სკოლის დარბაზში განთავსდა. სკოლაში სიარულისა და სწავლის სურვილი იმავე დღეს გამოაცხადა 25 ქალმა, მათ შორის, ერთი იყო 40 წლის, ხოლო მეორე — გათხოვილი, 25 წლის, დანარჩენნი კი — 10-17 წლისანი. საგნების სწავლება მამა ნესტორმა ითავა, ამ საქმეში დახმარება აღუთქვეს წმინდა ნინოს სასწავლებლის მასწავლებლებმაც: თავადის ქალმა ლ. თარხანმოურავმა, შიოშვილმა, სტეპნინამ და ჯაიანმა. ასევე მასწავლებელმა, თავადის ქალმა ელენე ციციშვილმა-ბარათაშვილისამ (შემდგომში, სამთავროს მონასტრის წინამძღვარი — ილუმენია ნინო). სკოლის გახსნისას მამა ნესტორმა გადაიხადა პარაკლისი და შეკრებილ საზოგადოებას განუმარტა საკვირაო სკოლის დადებითი მნიშვნელობა. 1899 წლის 6 მაისს მამა ნესტორს კამილავკა ეწყალობა.

1899 წლის 24 ოქტომბერს მთაწმინდაზე, დიმიტრი ყიფიანის საფლავზე, შეიკრიბა ქართული საზოგადოება. ტაძარში წირვა შეასრულეს გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) და ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი), მრავალრიცხოვან სამღვდელოებასთან ერთად. ამავე დღეს საფლავზე იკურთხა ძეგლი, სადაც ქადაგება მამა ნესტორმა წარმოთქვა:

„მოიხსენიეთ წინამძღვარნი თქვენი და ჰბაძევდით მათ“

ყოვლადსახიერი, ქვეყნიერების გამგე და მზრუნველი ზეციერი მამა, უფალი ღმერთი ჩვენი ქვეყნიერების, ანუ ამა თუ იმ კუთხეს ქვეყანას, ანუ რომელსამე ერს უვლინებს, თუ ხშირად არა, დროგამოშვებით მაინც, ზეგარდამო მადლით ცხებულთ, რომელთა სიბ[illegible]ვა, საქმე და ღვაწლი ამხნევებს ჩაგრულთა და წამებულთა დღიურ ცხოვრების ვარამით, და რომელნიც საზოგადოდ ხდებიან თვის მოძმეთა კეთილ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად და ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობის საფუძვლად. მათში იხატება ეროვნული ნიჭი და კეთილნი თვისებანი. ისინი ჰქმნიან თავისს მოღვაწეობითა და მოქმედებით ერის ბრწყინვალე ისტორიას. მრავალწამებული ჩვენი სამშობლო იმთავითვე არ იყო მოკლებული ასეთს დიდბუნებოვანს გვამებს, რომელნიც გაბედულად და თავგანწირვით ემსახურებოდნენ თავისს მამულს, იცავდნენ დროშას ქრისტეს სარწმუნოებისას და თვისის ეროვნებისას. თუ საქართველომ თვისი ღვიძლი მშობლიური ენა და მართლმადიდებელი სჯული დღემდის დაიცვა და თუ დღეს კიდევ ქართველი ქართველობს, ეს შედეგია ამგვარ გვამთა მოღვაწეობისა, მათის თავგანწირულის და დაუდგრომელის შრომა-უნარისა. ამნაირი მადლიანი გვამნი ჩვენში ყოველს წოდებას მოუცია, გარნა დღეს აქ მოვიხსენიოთ ერთი ძვირფასი, ჩვენის მამულ[illegible] წარჩინებული მოღვაწე და მოსიყვარულე, რომლის მოხსენებისა და პატივისცემის გამოცხადებისათვის შეკრებილია დღეს ეს წარჩინებულნი საქართველოს ძენი და ასულნი.

გამოვტყდები გულწრფელად და ვაღიარებ, რომ მე არ ძალმიძს განსვენებულის ჩვენის მამულიშვილის უკვდავის მოღვაწის — დიმიტრი ივანეს ძის ღვაწლისა და კეთილთვისებათა დასურათება და აღწერა. ვიტყვი მხოლოდ, რომ იშვიათად დაიბადება იმგვარი თვისის სამშობლოს მოსიყვარულე და მშრომელი და გულითა და სულით მოწადინე თვისის მამულის წარმატებისა, როგორიც იყო განსვენებული. მართალია, სამშობლოს სიყვარული თანდაყოლილი ბუნებრივი კეთილშობილური გრძნობაა კაცისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად უმეტეს ნაწილს ეს საღმრთო გრძნობა უჩლუნგდება და ხანდახან სრულიად ეხშობა, ცხოვრების ქარცეცხლი, ღელვა და მრავალი სხვა დაბრკოლება ლუკმაპურის შოვნის გამო ბევრს სრულიად ავიწყებინებს

ამ გრძნობას და მხოლოდ კერძო ინტერესებიღა ამოქმედებს. განსვენებულს დიმიტრი ივანეს ძეს კი ამ წმინდა გრძნობისათვის არ უღალატნია ახალგაზრდობიდგან დაწყებული სამარის კარამდე. ყოველ მოქმედებაში, ყოველ ცხოვრების ასპარეზზე და სამსახურში, საზოგადო ყოფილა იგი თუ კერძო, განსვენებულს არსად არ შეულახავს ეს წმინდა გრძნობა. თავის საკუთარი ინტერესი ყოველთვის უკან ჰქონდა დაყენებული და სულ იმასა სცდილობდა, ჩემის მოქმედებითა და საქციელით არ შევარცხვინო ქართველის კაცის სახელიო. ერთხელ რუსეთში სამსახურის დროს გუბერნიის უფროსმა შენიშვნა მისცა: უზრდელად მოპყრობიხარ საგუბერნიო მმართველობის საბჭოს წევრსაო და სალამი არ მიგიციაო. მან უპასუხა, მე ქართველი გახლავართ, ყველაფერი შეგიძლიანთ მიაწეროთ ქართველს კაცს, მაგრამ უზრდელობას კი ვერ დასწამებთო.

თუმცა განსვენებულს დიდი და წარჩინებული თანამდებობანი ეჭირა სამსახურში, საქმე ძალიან ბევრი ჰქონდა, მაგრამ თავისს სამსახურშიაც მუყაითი აღმასრულებელი იყო თავისის მოვალეობისა, ასე რომ, უფროსები ყოველთვის დიდი მადლიერნი იყვნენ მისი და მეგობრული განწყობილება ჰქონდათ მასთან თვით მთავარმართებელსაც კი, მაგრამ, ამასთანავე, განსვენებული დიდად თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენს საზოგადო ცხოვრებას და სცდილობდა მისს წინსვლისათვის ხელი შეეწყო. ყოველი საზოგადო საქმე, რომელიც კი მაშინ დაიწყო, სულ განსვენებულის დიმიტრის თაოსნობით იყო: მისის წყალობით ქართულმა თეატრმა ფეხი აიდგა, მისის წყალობითა და შრომით ქართული ჟურნალი გამოდიოდა, მან მოამზადა მთელი რთული საქმე საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისა, მან მისცა პირველი აზრი ფულის გადადებისა ბანკისათვის და კიდეც მოიყვანა სისრულეში ეს საქმე და სხვადასხვა.

ისე კარგად და ყოველგან იყო მაღალ საზოგადოებაში მიღებული განსვენებული, რომ ადვილად შეეძლო გართობილიყო და სრულიად დაევიწყებინა საზოგადო საქმეები თავის სამშობლოს კეთილწარმატებისა და კეთილდღეობისა, მაგრამ ვერაფერმა დროს გატარებამ და გართობამ ვერ დაავიწყებინა ზრუნვა თავისს

მამადავითის ტაძარი

სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ერთის სიტყვით, განსვენებულს ახალგაზრდობიდგან ღრმა მოხუცებამდე და ღრმა მოხუცობიდგან სამარის კარამდე შრომა და მამულისათვის თავდადება არ დაუზოგია. ჭეშმარიტად სამაგალითო სიყვარული ჰქონდა განსვენებულს სამშობლოსი, რომელიც არა მხოლოდ სიტყვით გაიძახოდა, არამედ ყოველ თვისის მოქმედებითა და მოღვაწეობით ამტკიცებდა. უკვდავია ჭეშმარიტად ამნაირი ერთგული და თავდადებული მამულისშვილი თვისის ქვეყნისათვის. მისთა უმცროს მოძმეთა, მისდა მიმართ ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, აღუგეს მას ხელთქმნილი ძეგლი, რომელიც მარად უნდა გვაგონებდეს იმისს სამშობლოსათვის გაწეულს დაუვიწყარს ღვაწლსა და სამსახურს. მაგრამ უფრო სანეტარო და სასიამოვნო იქმნება მისს ნეტარ სულისთვის, თუ ჩვენ — მისს უმცროს მოძმეთ და შვილთ — გულში გვექმნება ჩანერგული და მარად გვეხსომება მისი სამაგალითო სიყვარული და ღვაწლი სამშობლოს წინაშე და იმას საქმით მივბაძავთ. ეს ბევრად უკეთესი სახსოვარი იქმნება, სასიამოვნო მისის სულისა და სასარგებლო ჩვენის ქვეყნისათვის.

ზეციერო მამაო, განუსვენე მისს მაშვრალს სულს მართალთა თანა და ჩვენ მოგვეც ძალი, სიმტკიცე, სიმხნე და წარმატება სიკეთესა შინა".

1901 წლის 23 იანვარს მამა ნესტორი თბილისის მაზრის VII ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1903 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1906 წლის აღდგომას წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა.

დიდი წვლილი მიუძღვის მამა ნესტორს ფუნიკულიორის მშენებლობაში. 1905 წლის 24 თებერვალს კომისიამ ნება დართო მას ექსპლუატაციაზე, მშენებლობა კი უფრო ადრე, 1903 წლის სექტემბერში დაწყო. პროექტის ავტორი ა. ბლაში, ხოლო არქიტექტორი — ა. შამკოვიჩი (რუსთაველის თეატრის, კონსერვატორიის, სასამართლოს შენობების ავტორი) იყო. 1905 წლის 27 მარტს, დილის 10 საათზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფუნიკულიორის კომპლექსი. ზეიმს ესწრებოდა თბილისის მთელი საზოგადოება. სიტყვა წარმოთქვა **მამადავითის** ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა ნესტორ მაჭარაშვილმა. მან მადლობა გადაუხდა მშენებლებს და ინიციატორებს კარგი საქმის ბოლომდე მიყვანისათვის, გაჭრა ცისფერი ლენტი და გზა გახსნილად გამოაცხადა.

დეკანოზი ნესტორი იყო მრავალი წიგნის და სტატიის ავტორი. მისი ნაშრომი „Житие преподовнаго Давида Гареджийскаго и Мтацминдская Святаго Давида церковь вь гор. Тифлисъ", 1904 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

1908 წლის 15 მაისს მამა ნესტორს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1912 წლის აღდგომას წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო 1915 წლის 6 მაისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი უბოძეს.

როგორც მცხეთა-თბილისის ეპარქიის დელეგატი, დეკანოზი ნესტორი ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის III და IV საეკლესიო კრებებს. 1922 წელს ქალაქ თბილისის ეკლესიების მთავარხუცესად დაინიშნა და ენქერით დაჯილდოვდა.

ლებლობის ფარგლებში ააგონ საკუთარი რელიგიური დაწესებულებები. საინტერესოა, რომ ამავე ინიციატივით სულ მალე გაიხსნება ჰოსნი მუბარაქის დროიდან დახურული 48 ქრისტიანული ტაძარიც.

ოსმალური იმპერიის დროიდან ქრისტიანებს კანონი ავალდებულებდათ ხელისუფლებისაგან მიეღოთ საგანგებო ნებართვა ტაძრების მშენებლობასა და შეკეთებაზე. ახალმა კანონმა კი უნდა უზრუნველყოს ქრისტიანთა და მუსლიმანთა თანაბარუფლებიანობა ეკლესიებისა და მეჩეთების მშენებლობისათვის. ხელისუფლების კიდევ ერთი ინიციატივით იკრძალება რელიგიური ობიექტების რაიონებში ნებისმიერი დემონსტრაცია, განურჩევლად დემონსტრანტთა აღმსარებლობისა.

სერბეთის ეკლესიას საეკლესიო ჩანაწერების წიგნებს დაუბრუნებენ

სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ერთი წლის განმავლობაში დაუბრუნებენ საეკლესიო ჩანაწერების წიგნებს, რომლებიც სახელმწიფომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოართვა. სახელმწიფოსა და ეკლესიის მხრიდან აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა განაცხადა, რომ ამ წიგნების დაბრუნება მეტად მნიშვნელოვანია სერბეთის მოქალაქეების წარმომავლობის დასადგენად, განსაკუთრებით კი მათი წარმომავლობისა, ვინც ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს. პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ ადრე ეკლესიამ მრავალჯერ მიმართა თხოვნით ხელისუფლებას, დაებრუნებინა აღნიშნული წიგნები, მაგრამ აქამდე ეს თხოვნა უყურადღებოდ რჩებოდა.

მთლიანად სამრევლოებსა და სერბეთის სხვადასხვა ეკლესიას დაუბრუნდება 20 890 წიგნი. მათი პირველი ნაწილი, 89 წიგნი, 1887-1949 წლებს განეკუთვნება. დაბრუნების წინ წიგნებს ჩაუტარდება რესტავრაცია და სკანირება, ხოლო ეკლესიის სამრევლოები შექმნიან სათანადო პირობებს მათ დასაცავად.

ფოტომატიანე

დეკანოზი რევაზ მოსეშვილი 1954-2011

დეკანოზი რევაზ მოსეშვილი 1954 წლის 8 ივნისს ტყიბულის რაიონში, ოკრიბის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ჯვარისაში დაიბადა. მამამისი, მონაზეთას მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი თორნიკე (ერისკაცობაში — გაგი ვარლაამის ძე მოსეშვილი) მთელ საქართველოში ცნობილი და ღვაწლმოსილი საეკლესიო მოღვაწე გახლდათ. კომუნისტური მმართველობის პერიოდში ღვთის სიტყვის მქადაგებისათვის იგი არაერთგზის იყო რეპრესირებული (არქიმანდრიტ თორნიკეზე მასალა იხილეთ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" 2007 წლის 7-ე ნომერში). მამის შესახებ დეკანოზი რევაზი თავის მოგონებებში წერდა: **„მამაჩემი — გაგი მოსეშვილი დისიდენტი გახლდათ. მან სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა თბილისში, მაგრამ პოლიტიკური და ეკლესიური მოღვაწეობის გამო ციხეში აღმოჩნდა. ის ვერ დაესწრო ჩემს დაბადებას. ჩემი ოცნება იყო ვინმესთვის დამეძახა — მამა, მეგრძნო ოჯახური სითბო, მაგრამ ამაოდ. ოცნება დიდხანს დარჩა ოცნებად".**

მარცხნიდან: ზოთა ბიოშვილი (ამჟამად ნიღკნისა და დუშეთის მიტროპოლიტი ზოსიმე) და რევაზ მოსეშვილი. 1974 წელი. მცხეთის სასულიერო სემინარია.

1961-1972 წლებში რევაზი ქ. წყალტუბოს საშუალო სკოლაში სწავლობდა, პარალელურად დაამთავრა მუსიკალური შვიდწლედი. სიყრმიდანვე ეზიარა ეკლესიურ ცხოვრებას. 1962 წელს გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნდა მამამისი, გაგი მოსეშვილი, რაც ყმაწვილი რევაზისთვის დიდი სიხარული გახლდათ.

მამა რევაზი იგონებს: **„1962 წელს მამა სამუდამოდ ჩამოვიდა საქართველოში და წამიყვანა აჭარაში, ნათესავებთან, შემიყვანა წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარში, სადაც მიდიოდა სადღესასწაულო წირვა, მწირველი იყო ან განსვენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) და არქიმანდრიტი ილია (შიოლაშვილი), მომავალში — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამ შემთხვევამ მთლიანად შეავსო დაცალიერებული სული ჩემი. ძალიან დიდი სითბოთი მიმიღეს, ღვთიური სიყვარულით გული ჩემი გააღვივეს. ეს იყო ჩემი მეორედ შობა, 180 გრადუსით შემობრუნდა ჩემი ცხოვრება. მე გავხდი არქიმანდრიტ ილიას სულიერი შვილი. ეს ხომ უდიდესი ბედნიერებაა".**

მამა თორნიკე რევაზს პატარაობიდანვე ასკეტურად ზრდიდა, აღვივებდა მასში ღვთისმსახურებისადმი დიდ სიყვარულს, აცნობიერებდა სამღვდელო მოღვაწეობის სიმძიმეებსა და იმ პასუხისმგებლობაში, სასულიერო პირს რომ აქვს დაკისრე-

მარცხნიდან: დეკანოზი რევაზ მოსეშვილი, ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე), ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი), მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), იღუმენი მირიანი (ჩალაბაშვილი) და დეკანოზი ინდისი ნუცუბიძე. ქუთაისი. 1981 წელი

ბული. ის მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი — უფალთან ახლოს ყოფილიყო. ამ სურვილით ცხოვრობდა მამა რევაზი და სწორედ ამან განსაზღვრა მისი შემდგომი მოღვაწეობაც.

სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ მამა რევაზს ჰქონდა მრავალი შემოთავაზება, რათა სწავლა ნებისმიერ საერო ინსტიტუტში გაეგრძელებინა, მან კი მოძღვრის მძიმე, მაგრამ ტკბილი უღელი აირჩია. 1972 წელს მამისა და თავისი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, რევაზმა მცხეთის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, რომელიც მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში მდებარეობდა. იმ დროს მონასტრის წინამძღვარი გახლდათ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ნათლია, იღუმენია ზოილე (დვალიშვილი). მასთან ერთად მონასტერში მოღვაწეობდნენ მონაზონი პარასკევა და მონაზონი დარო (აჭაიძე), რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მამა რევაზის სულიერ ჩამოყალიბებაში. სემინარიაში სწავლის პერიოდში რევაზ მოსეშვილი დაოჯახდა. მისი მეუღლე გახლავთ ლიკა ფაცაცია. მათ ორი ქალიშვილი: თამარი და თეა შეეძინათ. ორივე დაოჯახებულია. მამა რევაზის შვილიშვილები — გიორგი, მოსე და ლუკა, თავიანთი წინაპრების მსგავსად, ღირსეულ მამულიშვილებად იზრდებიან.

1973 წელს სემინარიის II კურსის სტუდენტი, 19 წლის ახალგაზრდა, სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა დავით V-მ (დევდარიანი) დიაკვნად აკურთხა. სემინარიაში სწავლის პერიოდს მამა რევაზი ასე იხსენებს: **„იმ დროში ძალიან ძნელი იყო 18-19 წლის ყმაწვილისათვის სემინარიაში სწავლა, რომელიც დევნასა და დაცინვას განიცდიდა. არ შეიძლება არ მოვიხსენიო ჩემი მასწავლებლები — პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე, რომელმაც ჩამომაყალიბა, როგორც დიაკონი და ვოკალისტი. აწ განსვენებული უწმინდესი და უნეტარესი ეფრემი (სიდამონიძე), პატრიარქი დავით V (დევდარიანი). პროტოპრესვიტერი პახუმ ობოლაძე, დეკანოზი გიორგი ჩაჩუა, დეკანოზი ვიქტორ შალამბერიძე, მოიხსენიოს უფალმა სასუფეველსა შინა და დაამკვიდროს უფალმა სული იმათი, სადაც მართალნი განისვენებენ. მათმა ლოცვამ და სულისკვეთებამ შემაძლებინა სასწავლებლის დამთავრება და თუ ჩემში არსებობს ღვთისა და ერის სიყვარული, ეს მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის დამსახურებაა“.**

1974 წელს მამა რევაზმა კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის რეკომენდაციით მოსკოვში, ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. აკადემიაში რუსეთის პატრიარქ პიმენთან (იზვეკოვი) მსახურობდა, ხოლო არდადეგებზე, საქართველოში ყოფნის პერიოდში, იგი ქუთაისის საკათედრო ტაძარში ასრულებდა დიაკვნის მოვალეობას.

1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა უწმინდესი და უნეტარესი დავით V. წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (ჭ[illegible]ოლაშვილი) პატრიარქის მოსაყდრედ დადგინდა, ხოლო 1977 წლის 23 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. იმავე წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოველში მოხდა მისი ინტრონიზაცია. პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია II.

1978 წლის 23 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, სიონის საპატრიარქოში ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოსკოვის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი, დიაკონი რევაზი მღვდლის ხარისხში აიყვანა. 1978 წლის მაისში მამა რევაზმა წარჩინებით დაასრულა აკადემია და სამშობლოში დაბრუნდა. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა.

1979 წელს მღვდელი რევაზი ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. მალე[illegible] იგი ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და დეკანოზის წ[illegible]ოდება მიენიჭა. ახალგაზრდა და ენერგიული მოძღვარი პირველივე დღიდან შეიყვარა ქ. ქუთაისის მრევლმა. ქალბატონი თამარ ბაგრატიონ-მუხრანელი ასე იხსენებს მამა რევაზის მსახურების პირველ წლებს:

„შეუძლებელი იყო, ადამიანს მოესმინა მისი ქადაგება და გულგრილი გამოსულიყო ტაძრიდან. კარგად მოგეხსენებათ ის ავადსახსენებელი პერიოდი — საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი, როდესაც არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ ხანში შესულებსაც კი ეკრძალებოდათ ეკლესიაში შესვლა და სანთლის დანთება. აი, სწორედ მაშინ, მამა რევაზმა იკისრა ღვთისმსახურის მძიმე ჯვრის აღება — თავისი მაღალი ღირსებით, ზნეობით, ერუდიციითა და არაჩვეულებრივი ხმით. ამ უკანასკნელმა დიდი გავლენა მოახდინა მრევლზე, ვინაიდან იმ პერიოდში იშვიათი იყო ასე ხმამაღალი, გაბედული ტონით ქადაგება. ტაძრის ეზოშიც კი ისმოდა მისი მჭექარე ხმა, რათა ახალგაზრდები მიეზიდა უფლისაკენ და ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ“.

1988 წლის 27 აგვისტოს ქუთათელ-გაენათელმა

ეპისკოპოსმა კალისტრატემ (მარგალიტაშვილი) მრავალი წლის მანძილზე დადუმებული გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია აკურთხა. მამა რევაზმა დიდი წვლილი შეიტანა გელათის უძველესი მონასტრის ხელახალ აღორძინებასა და მის განახლებაში. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მონასტრის პირველ წინამძღვრადაც სწორედ იგი დადგინდა. 1988 წლის 21 სექტემბერს გელათის მონასტერში წარმოთქმულ ქადაგებაში უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავდა: **„დღეს გაიხსნა გელათი და დღეს იხსნება სასულიერო აკადემია თბილისში... მიმდინარეობს გამოცდები. ეს შემთხვევითობა არ არის. ეს გაგრძელებაა იმ ძველი აკადემიისა, რომელიც იყო აქ. თითქოს ღმერთი გვეუბნება, გეყოფათ ამდენი გლოვა, გაიხარეთო. ასევე იხსნება შიომღვიმე, ანტონ მარტყოფელის მონასტერი და მრავალი სხვა. ღვთისმშობლის ფარველობას ვხედავ მე ამაში. უამისოდ საქართველო ვერ გაუძლებდა ამდენ ტანჯვა-წამებას.**

სოლომონ ბრძენი ამბობს: არის ჟამი ნგრევისა და არის ჟამი შენებისა. მადლობა ღმერთს, განვლო ჟამმა ნგრევისამ და დადგა ჟამი შენებისა. ამას გილოცავთ!"

ბოლო ხანებში დეკანოზი რევაზი ხშირად ავადმყოფობდა. სიცოცხლის უკანასკნელი დღეები კი, მძიმედ სნეულმა, ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გაატარა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოძღვარი 2011 წლის 12 აპრილს აღესრულა. იგი 16 აპრილს, ლაზარეს შაბათს, ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, სადაც მან 32 წელი ღირსეულად იმსახურა.

21 მაისს სრულდება 40 დღე, რაც მან დატოვა მიწიერი სამყოფელი და ზეციურში გადაინაცვლა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს დეკანოზ რევაზის უკვდავი სული და დაამკვიდროს იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ.

დეკანოზ რევაზის ქადაგება ყოველთვის გულში ღრმად ჩამწვდომი, ცრემლის მომგვრელი, ღვთიური, ჭეშმარიტი, მარტივად გასაგები და დაუვიწყარი იყო. გთავაზობთ მის ერთ-ერთ ქადაგებას თემაზე **„ღმერთი — ყოველთა წარმმართველი":**

დეკანოზი რევაზი

„მცდარია ის შეხედულება, რომლის თანახმადაც, ღმერთმა მართალია კი შექმნა სამყარო, მაგრამ შემდეგ, დაუწესა რა მას ბუნების კანონები, თავის თავს მიანდო იგი და არ ერევა მის მოვლენათა განვითარებაში.

ღმერთმა არა მარტო შექმნა სამყარო, არამედ განაგებს კიდეც მას. მან დაუდო დასაბამი ყოველ ქმნილებას და წინასწარ აქვს განჭვრეტილი მისი მომავალი. მანვე უწყის ქვეყნიერების აღსასრულის ჟამი.

უფალმა წინასწარ იცოდა ნათლის ანგელოზის დაცემის შესახებ, ის რომ ადამიანი მის სიტყვას გარდახდებოდა და თავს სიკვდილს მოსწევდა, რომ საჭირო იქნებოდა კაცობრიობის ხსნა და ქვეყნად მესიის მოვლინება.

მაგრამ ამან შეიძლება გვიბიძგოს იმ მოსაზრებისაკენ, რომ ყოველივე წინასწარ არის განსაზღვრული ღვთის მიერ და ჩვენ მხოლოდ მისი ნების ბრმა აღმსრულებლები ვართ, მაგრამ ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია. უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ეს გულისხმობს მასში გონებასთან და უკვდავ სულთან ერთად თავისუფალი ნების არსებობასაც, თავისუფალი ნება კი — თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას. ადამიანს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა — გააკეთოს არჩევანი, სულ ცოტა ორ სათუო ქცევას შორის, რომელთაგან ერთი მას ღმერთთან დაახლოებს, ხოლო მეორე დააშორებს მისგან, ანუ გააკეთოს არჩევანი ბოროტსა და კეთილს, ცოდვასა და მადლს შორის.

ამდენად, მართალია, ღმერთმა წინასწარ იცის, თუ როგორი არჩევანის წინაშე დადგება ადამიანი, მაგრამ იგი მას არ ართმევს მოქმედების, არჩევანის გაკეთების თავისუფლებას.

მაგრამ ისმის კითხვა: თუკი ადამიანს ძალუძს კეთილის არჩევა და უფალსაც სურს, რომ ადამიანიც მისკენ ისწრაფვოდეს, რატომ ხდება რომ ადამიანი ძალზე ხშირად ბოროტების ქმნას ამჯობინებს? ამის გასაგებად მივმართოთ პავლე მოციქულს: **„რამეთუ შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რაითა ყოველნი შეიწყალნეს. ჰოი, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაი! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკულეველ არიან გზანი მისნი! რამეთუ ვინ ცნა გონებაი უფლისაი? ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას? ანუ ვინ წინაისწარ მი-რაი-მე-სცა მას და კუალად მიეგოს მას? რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი. მისა დიდებაი უკუნითი უკუნისამდე. ამინ"** (რომ. 11, 32-36).

ღმერთმა ისე მოაწყო ცოდვაში ჩაფლული კაცობრიობის საქმე, რომ ადამიანებს თავი ისე ეგრძნოთ, როგორც შებორკილებსა და დილეგში დამწყვდეულებს და თავიანთი ცოდვილი მდგომარეობით გატანჯულიყვნენ. აქედან გამომდინარე, პავლე მოციქული იმას კი არ ამბობს, რომ ღმერთმა მიიყვანა ადამიანები ურჩობის ცოდვამდე, არამედ იმას, რომ მან აღძრა

ცოდვილებში ცხონების საქმეში უძლურების გრძნობა და ღმერთის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნება. ეს კი ასე გააკეთა: წარმართებს საშუალება მისცა ცოდვებსა და ვნებებში ამოგანგლულიყვნენ, ხოლო ებრაელებს — ბნელში მსხდარიყვნენ და ამაო ფუსფუსით, სიტყვასიტყვით აღესრულებინათ სჯულის მითითებანი.

ყოველივე ღვთისაგან არის, ღვთის მიერ და ღვთისკენ მიემართება — ეს კი არის დიდებისმეტყველების ძირითადი აზრი. სიბრძნე — ეს არის ღვთაებრივი სიბრძნე, რომელსაც ღმერთი ფლობს და რომელსაც ავლენს ადამიანის ცხონების საქმეში. მეცნიერება — ეს შემეცნებაა, რომელსაც ჩვენ შევიძენთ ღვთის არსებისა და მოქმედებათა შესახებ ხსნის დიად საქმეზე ფიქრით. ღმერთი არის სინათლის წყარო — ეს არის სწორედ სახარებაში გაბრწყინებული სიბრძნე და მის ნათელში ჩვენც სინათლეს ვხედავთ. სწორედ ეს არის მეცნიერება ღვთისა, ანუ შემეცნება ღვთისა, რომელსაც ვღებთ სახარებიდან.

„ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან“ (მარკ. 13, 32).

მეორედ მოსვლის დღის შესახებ, რასაკვირველია, წინასწარ იცის მამა ღმერთმა. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „არცა ძემან?“ ნუთუ უფალი იესო ქრისტე თავისი ბუნებით მამისაგან განსხვავებულია ან მისი ცოდნა შეზღუდულია მამის ცოდნისგან განსხვავებით (სხვათა შორის, მათეს სახარებაში ანალოგიურ მუხლში ძე არ არის ნახსენები)? ამ საკითხზე ეკლესიის მამათა შორის აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით, მაგრამ თუ მათ გამონათქვამებს შევაჯერებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ძემ თუმცა კი იცის მეორედ მოსვლის ჟამი, მაგრამ მას არ სურს განუცხადოს იგი თავის მოწაფეებს, რადგან ეს მათ სარგებლობას არ მოუტანს: იმის ცოდნა, რომ სამსჯავრომდე კიდევ შორია, მათ დაუდევრებს გახდიდა ღვთისმოსაობაში. ეს აზრი ერთ-ერთ განმმარტებელს (ლაგრნეს) ასე აქვს გამოხატული: ძემ იცის, მაგრამ მამისგან არა აქვს **„დავალებული“**, რომ თქვას ამის შესახებ და მხოლოდ ამ გაგებით **„არ იცის“** ძემ, როგორც წარმოგზავნილმა მესიამ (როგორც კაცმა) და არა, როგორც ღმერთმა, რადგან ეს არ შედის მის უფლებამოსილებაში — განუცხადოს ადამიანებს ქვეყნიერების აღსასრულის ჟამი.

ის, რომ ღმერთია ყოველთა წარმმართველი, და

ქვედა რიგში მარცხნიდან: დეკანოზი ილია კიკვაძე, დეკანოზი რევაზ მოსეშვილი, დეკანოზი თეიმურაზ არველაძე. ზედა რიგში: დიაკონი ანტონ ოჩიგავა, დეკანოზი გიორგი გაბუნია, დეკანოზი ავთანდილ გრძელიძე. ქ. ქუთაისი. 2005 წ.

ისიც, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს გარკვეული თავისუფლება არჩევანისა, გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს უფლის წინაშე:

„და შენ ისმინო ზეცით განმზადებულისაგან საყოფელისა შენისა, და მოწყალე ექმენ, და ქმნე და მოსცე კაცსა გზისაებრ მისისა, ვითარც უწყი გული მისი, რამეთუ შენ მხოლომან თვით უწყნი გულნი ყოველთა ძეთა კაცთანი“ (3 მეფ. 9, 29).

„ნუ იქადით, ნუცა იტყვით მაღალსა გარდარეულად, ნურცა აღმოვალნ მდიდრად სიტყვა პირისაგან თქუენისა, რამეთუ ღმერთი არს მეცნიერებათ უფალი და ღმერთმა განმზადნეს საქმენი თვისნი“ (1 მეფ. 2, 3)“.

გარეკანზე დაბეჭდილი ხატის ავტორია - ხატმწერი ლაშა კინწურაშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

მღვდელი გრიგოლ კავსაძე 1829-1899

„დიდად სანატრელია, რომ სხვა მღვდლებმაც მიჰბაძონ ჩვენს მღვდელს“

მღვდელი გრიგოლ სოლომონის ძე კავსაძე 1829 წელს ქართლში, გორის მაზრის სოფელ ხოვლეში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. მამამისი, მღვდელი სოლომონ კავსაძე, შვილს სიყრმიდანვე ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. პატარა გრიგოლი დიდი გულმოდგინებით ისმენდა და „ანებაში ღრმად იბეჭდავდა მამის მონათხრობს საქართველოს თავდადებული მეფეების, დედოფლების, წმინდა მოწამეებისა და გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეების შესახებ. ოჯახშივე შეისწავლა მან ლოცვა და ხუცურად კითხვა-გალობა, რის შემდეგაც, ღვთისმსახურებისას, ტაძარშიც ეხმარებოდა მამას. მალე მამამ იგი ქ. გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც ყმაწვილმა წარჩინებით დაასრულა. 1844 წელს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე, გრიგოლი გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის საკათედრო ტაძრის წიგნის მკითხველად დაადგინეს. აქ მან წლების განმავლობაში საფუძვლიანი სამედავითნეო და საღვთისმსახურო მომზადება გაიარა. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გრიგოლი დაქორწინდა პელაგია იოსების ასულზე (1833წ.). მათ შვიდი შვილი აღუზარდეს ქვეყანას: მღვდელი ლონგინოზი (1852წ.), ილია (1861წ.), ეკატერინე (1863წ.), გიორგი (1865წ.), მარიამი (1871წ.), იოსები (1872წ.) და ალექსანდრე (1874წ.).

სანდრო და მიხეილ კავსაძეები

1851 წელს გრიგოლი სოფელ კავთისხევის წმინდა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მედავითნედ გადაიყვანეს. 1852 წლის 13 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) იგი დიაკვნად აკურთხა; 1854 წელს კი გორის ეპისკოპოსმა იოანემ (ავალიანი) მღვდლად დაასხა ხელი და ქსნის ხეობაში, სოფელ ლარგვისის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა, სადაც 1855 წლამდე იმსახურა. 1856 წლის 16 ოქტომბერს მღვდელი გრიგოლი სვენეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1856 წლის 16 დეკემბერს ხოვლეს მოსახლეობამ და მრევლმა თხოვნით მიმართეს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რათა მათი სოფლის მკვიდრი, მღვდელი გრიგოლ კავსაძე მშობლიურ სოფელში დაენიშნათ მოძღვრად. საეკლესიო მმართველობამ გაითვალისწინა ხალხის თხოვნა და იგი ხოვლეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. მასვე დაევალა ხოვლეში მცხოვრებ თავად ჯავახიშვილთა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის კარის ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღსრულება.

1861 წლის 19 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ, თუმცა შემუშავდა ისეთი სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებდა გლეხების სრულ გათავისუფლებას თავად-აზნაურთა დამოკიდებულებისაგან. მართალია, ყმა გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, კიდევ უფრო დამძიმდა. ეს პროცესი საქართველოს გლეხობაზეც აისახა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. 1863 წლის ზაფხულში სოფელ ხოვლეში გლეხები რამდენჯერმე გამოვიდნენ თავადების წინააღმდეგ. მემამულე ვეზირიშვილმა გლეხებს ფულადი გადასახადი გაუზარდა. აღელვებულმა მოსახლეობამ საჩივრით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, მაგრამ მმართველობის ორგანოებმა მემამულის ინტერესები დაიცვეს. სოფელში ჩააყენეს ეგზეკუცია. მემამულის ბრძანებით, კაზაკებმა სოფელი დაარბიეს, გლეხები ტყეში გაიხიზნენ. არეულობით შეშფოთებულმა მამა გრიგოლმა შუამავლის როლი ითავა. მან მეფისნაცვალს თხოვნით მიმართა, სოფლიდან ეგზეკუცია მოეხსნათ და პირობას დებდა, რომ გაქცეულ გლეხებს სახლებში დააბრუნებდა. 1863 წლის 13 აგვისტოს, მეფისნაცვალის ბრძანებით, ეგზეკუცია გაიწვიეს, რის შემდეგაც მდგომარეობა მალევე გაუმჯობესდა. ამასთან დაკავშირებით, მამა გრიგოლს

1863 წლის 30 აგვისტოს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა, ხოლო დეკემბერში საგვერდულით დაჯილდოვდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მამა გრიგოლის თაოსნობით მისივე სახლში გაიხსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც თავადვე ასწავლიდა წერა-კითხვას, წმინდა წერილს, ანგარიშსა და რუსულ ენას. 1864 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დახმარებით ეს სკოლა გადაკეთდა ოთხწლიან სასწავლებლად, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1868 წლის სექტემბრიდან კი შემუშავდა ახალი პროგრამა. ამ სკოლაში, მამა გრიგოლის გარდა, სხვადასხვა დროს მასწავლებლობდნენ: ნ. თარხნიშვილი, ი. ციციშვილი, ი. ცხვედაძე, ი. ჭიჭინაძე, ზ. ჯავახიშვილი და ქ. ჯავახიშვილი.

აი, რას წერდა 1867 წელს ჟურნალი „დროება" მღვდელ გრიგოლ კავსაძის მოღვაწეობის შესახებ:

„ბევრმა „დროების" მკითხველმა არ იცის, რასაკვირველია, სად უნდა იყოს სოფელი ხოვლე. ეს გასაკვირველიც არ არის. ვისაც სურს საქართველოს ადგილების და სოფლების მდებარეობა შეიტყოს, ის უვახუშტოდ ბევრს ვერას შეიტყობს. ზემოთ ნაჩვენები ხოვლეც აქვს მოხსენიებული ვახუშტის. ის მდებარეობს მშვენიერ ხეობაში, ხიდისთავის მახლობლად. ახალქალაქს რომ გასცილდები, გორს მიმავალი ფოსტის გზით, მარცხნივ დაინახავ ფერდობში, მაღლობ ალაგზე, ერთ გაბნეულ სოფელს. ეს არის ხოვლე.

აქ მცხოვრებნი არიან თავადნი ჯავახიანთ ყმობიდან განთავისუფლებულნი 120 კომლი გლეხი. თვით ჯავახიანნი შეადგენენ ხუთ კომლს. ხოვლე მისთვის ამოვირჩიე სალაპარაკოდ, რომ აქ თითქმის ყველა ქართლის სოფლებზედ ადრე დაარსდა სკოლა და გაიხსნა პურის მაღაზია. სკოლა გახსნა აქაურმა მღვდელმა გრიგოლ კავსაძემ თავის სახლში გლეხიკაცის შვილებისათვის, რომელთაც ასწავლის წერა-კითხვას, წმინდა წერილს, ანგარიშს ქართულ ენაზე და რუსულსაც. ყმაწვილები სკოლაში მოდიან ადრე, როგორც კი გათენდება და სწავლობენ ორ საათს დღეში; შემდეგ ყველა მიდის თავ-თავის სახლში სამუშაოდ. მასწავლებლად არის თვითონ მღვდელი და იმისი დიაკვანი ზედამხედველად. ამასთანავე, ხოვლეს ცხოვრობს ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი, აქაური დიაკვნის დედა; იმას მღვდელმა მიაბარა რამდენიმე გლეხკაცის ქალი, რომელთაც ასწავლის როგორც წერა-კითხვას, წმინდა წერილს და ანგარიშს, აგრეთვე ჭრაკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეს. ამ დედაკაცს შრომის ჯილდოდ ეძლევა წელიწადში თუმან-ნახევარი. აგერ ერთი წელიწადია, რაც ეს სკოლა არის და იმათში ერთი აღარ არის, რომ გარკვევით არ კითხულობდეს. ქალების სკოლა დიდი ხანი არ არის, რაც გაიხსნა, და იმედი არის, ქალებმა თუ არ აჯობეს, ვაჟებზედ უკან არ დარჩებიან. გარდა ამისა, მღვდელმა გახსნა მაღაზია და თვითონ შეწირა ოცდაათი კოდი პური. საგანი მაღაზიისა ეს არის: ვისაც დააკლდება პური, იმას მიაქვს თავისის სარგებლით, რომელიც კალოზედ უნდა შემოიტანოს. ამაში, რასაკვირველია, ყველა მებატონე და გლეხკაცი კისრულობენ მონაწილეობას და მომავალ კალოზედ ვაპირებთ ყველამ თავთავისის შეძლებისდაგვარად შევიტანოთ სამაღაზიო პური. თუ მშვიდობა იქნა, შემოდგომაზე გვსურს სასოფლო ბანკის დაარსება, ის, როგორც უკეთ დავინახავთ, ამ დაწყობილებით არც გლეხი შეწუხდეს და სარგებლობა და შეძინებაც ნახოს; მოსავალი გლეხკაცს ისევ სოფელში უნდა დარჩეს და აქვე იტრიალოს. ამ კეთილ საქმეში დიდი მონაწილეობა აქვს, როგორც წინათაც მოგახსენეთ, ამ სოფლის მღვდელს. ის უქადაგებს ხალხს ეკლესიაში, უქმე დღეებში ყოველთვის ელაპარაკება და რჩევას აძლევს. დიდად სანატრელია, რომ სხვა მღვდლებმაც მიჰბაძონ ჩვენს მღვდელს და ყველამ ჩვენი ქვეყნის საკეთილ სარგებლოდ იმოქმედონ. უპირველესი საჭიროება ჩვენს სოფლებში არის ვაჟებისა და ქალების სკოლები, პურის მაღაზიები და პატარ-პატარა სასოფლო ბანკები".

როგორც ამ საინტერესო წერილიდან ირკვევა, მამა გრიგოლი სოფელში დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. მას რჩევას ეკითხებოდნენ არა მარტო სულიერ საკითხებზე, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი და საჭირბოროტო პრობლემის გადასაჭრელადაც. დაუზარელი მოძღვარიც სინდისიერად ემსახურებოდა თავის სამწყოსს. საეკლესიო მმართველობას შეუმჩნეველი არ დარჩენია მამა გრიგოლის ნაყოფიერი მოღვაწეობა. 1867 წელის 4 მაისს რუსეთის წმინდა სინოდმა მადლობის ფურცელი გამოუგზავნა. 1868 წლის 16 აპრილს სკუფია უბოძეს. ამავე წელს სამოქალაქო მთავრობამ ვერცხლის საათი უსახსოვრა. 1873 წლის 8 აპრილს კი კამილავკა ეწყალობა. 1879 წელს მან სიკვდილს გადაარჩინა ადამიანი, რისთვისაც გმირობის მედლით დააჯილდოვეს. 1883 და 1885 წლებში, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერი და უანგარო სამსახურისთვის მადლობის ფურცელი ეწყალობა. 1891 წლის აღდგომას სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1853-1856 წლებში, ყირიმის ომთან დაკავშირებით, სამახსოვრო მუქი ბრინჯაოს ჯვარი გადასცეს.

შვილებიც ღირსეულ მამულიშვილებად დაზარდა. მისი უფროსი ვაჟი ლონგინოზი მამა-პაპათა კვალს გაჰყვა. იგი 1852 წელს დაიბადა. 1872 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის დასრულებისთანავე, მან თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, სადაც მხოლოდ IV კლასი ისწავლა. 1875 წელს ლონგინოზი დაქორწინდა მარიამ მიხეილის ასულზე (1860წ.), რომელთანაც ხუთი შვილი შეეძინა: ვერა (1880წ.), მიხეილი (1881წ.), ანდრია (1884წ.), ვლადიმერი (1886წ.) და ნიკოლოზი (1887წ.).

1876 წლის 1 მაისს თბილისის სიონის ყოვლადწ-

მინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დანიშნეს. 1876 წლის 29 აგვისტოს ლონგინოზი დიაკვნად აკურთხეს და ამავე ტაძარში მედავითნის შტატში დაადგინეს. 1877 წლის 29 აპრილს იპოდიაკვნის შტატში დაამტკიცეს. 1876-1886 წლებში, პარალელურად, იგი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიაში რიგით მოხელედ მუშაობს. 1881 წლის 16 იანვარს თბილისის მაზრის ღარიბი სამღვდელოების სამზრუნველოს განყოფილებაში ფოსტალიონის თანამდებობაზე დაინიშნა, სადაც 1886 წლამდე იმუშავა. 1884 წლის 11 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნის შტატში დაადგინეს. 1885 წლის 16 ნოემბერს კეთილსინდისიერი სამსახურისთვის სინოდალური კანტორისაგან მადლობა გამოეცხადა. 1887 წლის 2 თებერვალს მღვდლად დაასხეს ხელი და გორის მაზრაში, სოფელ სანებელის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვრად განამწესეს. 1892 წლის 10 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1893 წლის 31 მაისს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1910 წელს სკუფია ეწყალობა. ნაბოძები ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახელობის სამახსოვრო ვერცხლის მედალი. მღვდელი ლონგინოზი 1919 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ხოვლეს ეკლესიის ეზოში.

მამა გრიგოლის ნაბოლარა ვაჟი, ალექსანდრე, იგივე სანდრო კავსაძე, წინაპართა მსგავსად, კარგი ხმითა და სიმღერის ნიჭით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა სანდროს მოღვაწეობით თვით წმინდა ილია მართალი აღფრთოვანებულა, რის გამოც ახალგაზრდა ლოტბარი არაერთხელ გამხდარა მისი საპატიო სტუმარი საგურამოში, ილიაობასთან დაკავშირებით გამართულ დღესასწაულზე. გადმოცემით ცნობილია, რომ ილიას განსაკუთრებულად მოსწონდა სანდროს მიერ შესრულებული „ურმული" და „ოროველა". სანდროს ძმისწულის, მღვდელ ლონგინოზის ვაჟის, შემდგომში ასევე ცნობილი ლოტბარის — მიხეილ კავსაძის გადმოცემით, მსმენელები აღტაცებულნი იყვნენ სოსო ჯუღაშვილის (სტალინის), გიორგი გოგიტაშვილისა და სანდრო კავსაძის ტრიოთიო. სანდროს რჩევით დაუწყია მუსიკის შესწავლა შემდგომში გამოჩენილ და დიდ მომღერალ პეტრე ამირანაშვილს. ასევე სანდროს გუნდის მშვენებას წარმოადგენდა ცნობილი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომელიც სანდრო და მიშა კავსაძეებთან ერთად ხიბლავდა მსმენელებს.

მღვდელი გრიგოლ კავსაძე 1899 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ხოვლეს ეკლესიის ეზოში.

შემორჩენილია მამა გრიგოლის მცირე ქადაგება, რომელიც მან 1866 წლის 10 იანვარს ხოვლეს ეკლესიაში ახლად დაქორწინებულთა დასარიგებლად წარმოთქვა:

სანდრო კავსაძის მომღერალთა გუნდი. 1897 წელი

„აჰა, საყვარელნო სულიერნო შვილნო, დღეს თქუენზედა აღსრულდა წმინდა საიდუმლო ქორწინებისა, და მით მოგენიჭათ მადლი ღვთისა, მაკურთხეველი თქვენისა მეუღლეობითისა კავშირისა სახედ ქრისტეს სულიერისა კავშირისა ეკლესიასთანა. კავშირი ესე არა კაცისაგან არს მოგონებული, არამედ თვით ღმერთმან განაწესა იგი დასაბამითგან. ესრეთ წმინდა დაბადება მოგვითხრობს, რომ ღმერთმან შექმნა კაცი — ქმარი და ცოლი და ისე დააკავშირა იგინი, რომ ერთსულობით და ერთგულობით შეადგნენ ერთსა ხორცსა, როგორც გვარწმუნებენ სიტყუანი ესე ღვთისანი, წარმოთქმულნი პირველისა კაცისაგან: „დაუტევოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი, და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც, საიდუმლო ესე დიდ-არს“.

მაგრამ როგორც დიდია ესე საიდუმლო, სულიერნო შვილნო, ესე უნდა დაწვლილებით შეიტყოთ, რაში მდგომარეობს თქუენი მეუღლეობითი ვალდებულება ურთიერთისადმი, რომ კანონიერად და ღვთის მოსაწონად დააფასოთ კავშირი თქვენი. მე, როგორც თქვენი სულიერი მამა, გამცნებთ: რომ პირველად — უნდა იქონიოთ მეუღლეობითი სიყვარული და სცემდეთ ერთმანეთსა ჯეროვანსა პატივსა; ამისთვის, რომ თქვენ ახლა შეადგენთ ერთს ხორცს, და ხართ ერთი მეორესი თანაშემწე, ერთგული თანამონაწილე და თანამგრძნობელი. მეორედ — ესე თქვენი ღვთისაგან ნაკურთხი მეუღლეობა მოითხოვს, რომ ამიერიდგან უნდა გქონდესთ თქვენ სახეში ზრუნვა კეთილად აღზრდისათვის შვილთა თქვენთა, ოდესაც მოგცემთ თქვენ ღმერთი მათ. მესამედ — უნდა აღასრულებდეთ პირობასა, ანუ აღთქმასა, რომელიც მიეცით დღეს ერთმანეთსა წინაშე ღვთისა და ეკლესიისა. ხოლო უკეთუ თქვენ არა დაიცავთ მეუღლეობითსა კავშირსა და არა იქმნებით ერთმანეთის ერთგულნი, მაშინ თქვენ განარისხებთ სულსა წმინდასა, მესამესა პირსა სამებისასა, რომლისა მადლი ამა ქორწინების საიდუმლოსა მიერ მოვიდა თქვენზედა და იმყოფება თქვენ შინა.

სულიერნო შვილნო! ცხოვრება ჩვენი, და ჩვენთა წინაპართა ცხადად გვიმტკიცებენ, რომ როდესაც ცოლ-ქმრობაში მოღალატობა ყოფილა, მაშინ იმათ ერთი დღე არ უნახავთ კეთილი. თქვენ ამგვარ საქმიდგან ყოვლადსახიერმან

მღვდელი გრიგოლი და მისი ვაჟი სანდრო კავსაძე

ღმერთმან დაგიფაროთ! ამისთვის შენ, კეთილმსახურო მონაო ღვთისაო მიხეილ, „შეიყვარე ცოლი ესე შენი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია, და თავი თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. 5. 25). ხოლო შენ, მხევალო ღვთისაო სოფიო, ემორჩილებოდე ამა მეუღლესა შენსა; გახსოვდეს, რომ ეს არის თავი და უფროსი შენი ღვთისაგან დადგინებული. აჰა, რას გვიბრძანებს საღმრთო წერილი: „ცოლნი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავი ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავი არს ეკლესიისა“ (ეფეს. 5. 22-23) და ესრეთ მოგფინოთ უფალმან მადლი თვისი განუშორებელი, მოგცეთ ნიჭი კეთილად შვილების აღზრდისა, და აკურთხოს თქვენი მეუღლეობითი კავშირი, ვითარცა აკურთხა კავშირი აბრაამისა და სარრასი, ისააკისა და რებეკასი და სხვათა ყოველთა წმიდათა მეუღლეთა! ამინ“.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

„მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ მიტროპოლიტი იოანე (მარღიშვილი) 1874-1929

მიტროპოლიტი იოანე, ერისკაცობაში — ნიკოლოზ გიორგის ძე მარღიშვილი, 1874 წელს ქ. გორში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნინაპრებიდან არავინ ყოფილა მოძღვარი და საეკლესიო მოღვაწე, პატარა ნიკოლოზი სიყრმიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა სასულიერო პირებისა და ტაძრის მსახურების მიმართ. მამამ რომ თავისი შვილის ამ საქმისადმი ღვთისმოსაობა და სიყვარული იხილა, 1882 წელს რვა წლის ყმაწვილი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, რომელიც ნიკოლოზმა 1892 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ წარმატებით ჩააბარა გამოცდები სკოლის აღმზრდელის წოდებაზე და მიიღო მასწავლებლის მოწმობა. აქედან იწყება მისი დაუზარელი მოღვაწეობა ერისა და ეკლესიის სამსახურში.

1893 წლის 23 სექტემბერს ნიკოლოზმა თავისი ხარჯებით ქ. გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძართან გახსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც ბავშვებს თავადვე ასწავლიდა უსასყიდლოდ. ახალი სკოლის გახსნას დიდი სიხარულით შეხვდა გორის მოწინავე საზოგადოება და ინტელიგენცია, უბრალო მრევლი. ახალგაზრდა მასწავლებელს ერდში ამოუდგნენ გორის სხვა ეკლესიათა მოძღვრები და მასწავლებლები: ზოგი მატერიალურად, ზოგი წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით, ზოგიც სულიერად ეხმარებოდა მას ამ მეტად საკეთილდღეო საქმის განხორციელებაში. აი, რას წერდა ნიკოლოზი ამასთან დაკავშირებით 1895 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: **„ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო გორის ოქონის ტაძრის დეკანოზს, მამა გრიგოლ ღამბარაშვილს, რომელმაც ამა წლის თებერვლის პირველიდგან გაზეთი „ივერია“ დაუკვეთა ჩემდამო რწმუნებულს გორის საკრებული ტაძრის სამრევლო სკოლის წიგნთსაცავს. გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ი. ი. ფერაძეს, ბ. ა. კალანდაძეს, რომლებმაც ორ-ორი მანეთის სხვადასხვა პატარა საყმაწვილო ქართული წიგნაკები შემოსწირეს ამავე სამკითხველოს. გორის საოსტატო სემინარიის მასწავლებელს, ბატონ კ. ზ. გარაყანიძეს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ სკოლას ექვსი კედლის სურათი თვალსაჩინო სწავლისათვის ღირებული ორ მანეთამდის, ვაჭარს ი. ჩაჩანიძეს საანგარიშო ჩოთქის შემოწირვისათვის, რაიცა ღირს ათი შაური. ამას გარდა მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბატონ თომაანთ კობას, რომლისგანაც მივიღეთ ორი თავისი ახლად გამოცემული წიგნაკი: „თეოდორე მღვდელი“. ამასთანავე, ვთხოვ კერძო გულშემატკივართ და წიგნების გამომცემლებს, ნუ დაიშურებენ ხსენებულის წიგნთსაცავის სასარგებლოდ სხვადასხვა წიგნების შემოწირვას, რითაც ისინი დიდს სამსახურს გაუწევენ ჩემს მოწაფეებს; მით უმეტეს, რომ გორში ჯერჯერობით სხვა სამკითხველო არა გვაქვს“.**

1898 წლის 15 აგვისტოს გორის საეპარქიო სასწავლებლის საბჭომ ნიკოლოზს პედაგოგიურ დარგში ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის მადლობა გამოუცხადა და 20 მანეთით დააჯილდოვა. 1900 წლის 1 სექტემბერს ცოდნის გაღრმავების სურვილმა იგი ჩრდილო კავკასიაში მდებარე, წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის არდონის მისიონერულ სემინარიაში მიიყვანა, სადაც მისი სულიერი მოძღვარი სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი დიმიტრი (აბაშიძე) გახდა. 1900 წლის 28 ოქტომბერს პირველი კურსის სტუდენტი ნიკოლოზ მარღიშვილი არქიმანდრიტმა დიმიტრიმ ბერად აღკვეცა და სახელად იოანე უწოდა. 1901 წლის 28 იანვარს ვლადიკავკაზისა და მოზდოკის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა (სენკოვსკი) ბერმონაზონი იოანე დიაკვნად აკურთხა. 1904 წლის 11 იანვარს თავისი მოძღვრის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, რომელიც იმჟამად უკვე ეპისკოპოსის ხარისხში გახლდათ და გურია-სამეგრელოს ეპარქიის კათედრაზე მოღვაწეობდა, ბერ-დიაკონი იოანე ქუთაისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას და პარალელურად, 1904 წლის 27 მარტს იგი მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის საძმოში უშტატო წევრად დაინიშნა. 1904 წლის 14 აპრილს მთავრობის დადგენილებით დაიკეტა ქუთაისის სასულიერო სემინარია, რის გამოც მამა იოანემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. 1904 წლის 6 აგვისტოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (აბაშიძე) მას მღვდლად დაასხა ხელი. 1905 წლის 6 მაისს საგვერდულით დააჯილდოვა. 1906 წელს მღვდელ-მონაზონმა

იოანემ თბილისის სასულიერო სემინარია წარჩინებით დაამთავრა და სამოღვაწეოდ ერთ-ერთ მონასტერში ითხოვა განწესება.

1905 წელს მღვდელ-მონაზონი იოანე ხირსის წმინდა სტეფანე პირველდიაკონისა და დავით გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრების ხაზინადრად დაინიშნა. 1906-1907 წლებში იგი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის თავისუფალი მსმენელია. 1907-1910 წლებში მამა იოანე თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. 1908 წლის 27 თებერვალს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის განჩინებით იგი აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების მთავარხუცესად დაინიშნა.

1910 წელს მამა იოანემ ცოდნის გაღრმავების მიზნით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, რომელიც 1914 წელს დიპლომის დაცვის გარეშე დაამთავრა. 1914 წლის 2 სექტემბერს იგი საქართველოში დაბრუნდა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1915 წლის 10 აგვისტოს გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. ამავე წლის 29 აგვისტოს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

1917 წლის 21 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის (საძაგლიშვილი) ლოცვა-კურთხევით, არქიმანდრიტი იოანე თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგად, შემდეგ კი ინსპექტორად დაინიშნა. 1918 წლის 1 ივლისიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და ოქუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლედ, ხოლო იმავე თვის 30 რიცხვიდან — სოხუმის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1919 წლის 1 სექტემბერს არქიმანდრიტი იოანე სოხუმის ეპარქიის დროებით მმართველად დაინიშნა, თუმცა ერთ კვირაში მის ადგილზე საკათოლიკოსო საბჭომ მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) განამწესა. 1919 წლის 13 სექტემბერს არქიმანდრიტი იოანე სოხუმის ეროვნულ საბჭოს წერდა: **„ვინაიდგან, თანახმად კათოლიკოზისაგან შინაგან საქმეთა კომისრის სახელზე მიღებულ დეპეშისა, დროებით მართვა-გამგეობა დაევალა მიტროპოლიტ ამბროსის და მით მე ვიქმენ განთავისუფლებული ჩემი მოვალეობისაგან, ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ქართულ ეროვნულ საბჭოს, იშუამდგომლოს წინაშე სახალხო განათლების კომისრის ბატონ ივანე ლორთქიფანიძისა, რათა ოქუმის, სადაც მე ვითვლები მომრიგებელ მოსამართლედ, უმაღლეს ოთხკლასიან სასწავლებლის ინსპექტორად ვიქმნე განწესებული“.** სახალხო განათლების საბჭომ გაითვალისწინა მისი თხოვნა და იგი ოქუმის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორად განამწესა.

1920 წლის 1 სექტემბრიდან არქიმანდრიტი იოანე გურჯაანის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა. მამა იოანე ესწრებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის I, II, III და IV საეკლესიო კრებებს.

1921 წლის შემოდგომაზე ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელოების საოლქო კრებებზე არქიმანდრიტი იოანე აფხაზეთის ეპისკოპოსად აირჩიეს: 1 ოქტომბერს გუმისთის ოლქის სამღვდელოებამ, 3 ოქტომბერს — კოდორისა და სამურზაყანოს ოლქებმა. საოლქო კრებებს წინ უძღოდა ცხუმ-აფხაზეთის საეპარქიო სამართლოს 1921 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება ახალ მღვდელმთავრად მამა იოანეს დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ 8 ოქტომბერს არქიმანდრიტი იოანე (მარღიშვილი) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად დაამტკიცა. ამავე წლის 15 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია), ქუთათელი მიტროპოლიტ ნაზარისა (ლეჟავა) და ალავერდელი ეპისკოპოს პიროსის (ოქროპირიძე) თანამწირველობით არქიმანდრიტ იოანეს ეპისკოპოსად დაასხა ხელი. ეს იყო ბოლშევიკური მმართველობის დროს პირველი ეპისკოპოსის კურთხევა. კვერთხის ჩაბარების დროს კათოლიკოსმა ამბროსიმ მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„მოგილოცავ იმ მადლს სულიწმიდისას და დიდ ხარისხს, რომელიც შენ დღეს მიიღე. გახსოვდეს, რომ ეს არის არა მარტო ხარისხი, არამედ დიდი ჯვარი, რომელიც შენ უნდა ატარო მომავალს შენს ცხოვრებაში. შენ უნდა იყო მზათ, თავი დასდო ცხოვართათვის. შენი სამსახური ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში განსაკუთრებული იქნება. შენ, როგორც მწყემსმთავარმან, არა მარტო კეთილ საძოვარზე უნდა არონინო პირმეტყველნი ცხოვარნი, არამედ ეძიო დაკარგულნიც, რომელნიც უნდა აღიყვანო შენს მხრებზე და მოჰგვარო ქრისტეს. ამნაირ გზადაკარგულ ცხოვარს წარმოადგენს აფხაზეთის მკვიდრთა საგრძნობელი ნაწილი.**

ეს მხარე დასახლებული იყო ქართველთა მოდგმის ხალხით და ეკლესიური ცხოვრება ძალიან მაღლა იდგა XVII ს-ის II ნახევრამდე, როდესაც აფხაზთა გადმოლახეს გაგრის სივიწროენი და კაპუტის მდინარე და დაიმორჩილეს მთელი გუდაუთის მხარე, დაიწყო მაჰმადიანობის პროპაგანდა. ეს განსა-

კუთრებით გაძლიერდა რუსების კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის აგრესიულმა დენამ კავკასიისაკენ გამოიწვია მის წინააღმდეგ მთიელთა ბრძოლა და ახალი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მოძღვრება მიურიდებისა. მიურიდობა სცდილობდა მაჰმადის სარწმუნოების გავრცელებით შეერთებინათ ყველა კავკასიელები მტრების საწინააღმდეგოდ. ამისთვის, აფხაზეთში მეტისმეტად გაძლიერდა მაჰმადიანობა და აფხაზთაგან ბევრი გადუდგა ქრისტიანობას.

მაშასადამე, შენს ახალ სამწყსოში სამკალი ბევრია და შენგან საქართველოს ეკლესია მოითხოვს თავდადებულ მუშაობას, რომ აფხაზეთში ისევ ძველებურად გაბრწყინდეს ქრისტიანობა, რაშიაც ომერთი იყოს შენი შემწე".

ეპისკოპოს იოანეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მოღვაწეობა უაღრესად რთულ პერიოდში მოუხდა. ეპარქიის რუსი ეროვნების მოსახლეობა და სამღვდელოება არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. მეუფე იოანემ საკათალიკოსო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. მისი აზრით, აუცილებელი იყო ბედიელის კათედრის აღდგენაც და აფხაზეთში ფრთხილი პოლიტიკის გატარება. აი, რას სწერდა იგი 1922 წლის 10 მარტს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის: **„პასუხად თქვენი უწმინდესობის შეკითხვისა უმდაბლესად მოგახსენებთ, რომ აქაური საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნით, სოხუმის საკათედრო ტაძარში ვსწირე დღემდე მხოლოდ სამჯერ — შობას, ნათლისღებას და ნინოობას. სამჯერ კიდევ ჩემი პირადი სურვილით ვწირე ბერძნებში. ნინოობას მე ვსწირე ქართულად, თუმც მლოცველთა ნახევარს რუსობა შეადგენდა, ხოლო შობა-ნათლისღებას ბერძნულ-ქართულ და სლავიანურ ენებზე. სახარებაც იმავე სამ ენაზე იქმნა წაკითხული (ორი ასამაღლებელი აფხაზურადაც წარმოვსთქვი). შობა-ნათლისღებას მლოცველთა სამ მეოთხედს რუსობა წარმოადგენდა. აი, სწორედ ამ ორ დღეს დიდ გამოსვლაზე აუარებელი რუსობის თვალთა წინაშე ერთგვარ ტაქტიკურ მოსაზრებით მოვიხსენიე სხვათა შორის რუსეთის პატრიარქი, რასაკვირველია, მე-6 ადგილას. ამგვარს ტაქტიკას ჩემგან მოითხოვს სოხუმში არა მარტო დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, არამედ თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეც, რომელიც ოდესმე, ჯვარსა ზედა მიმსჭვალული, ლოცავდა მტანჯველთა თვისთა: „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან".**

ხოლო რაც შეეხება სოხუმის ეპარქიის დღევანდელ მდგომარეობას, უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ ეპარქია ჯერჯერობით იმყოფება იმავე სამწუხარო მდგომარეობაში, რომელშიაც თქვენ დასტოვეთ იგი.

ჩემი თბილისში მოსვლა საქმისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, და აი, მაშინ პირადად მოგახსენებთ უფრო დაწვრილებით ყოველივე გარემოების შესახებ".

1923 წლის 17 დეკემბერს ეპისკოპოს იოანეს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში დაძაბულ და დატვირთულ რეჟიმში მოღვაწეობამ უარყოფითად იმოქმედა მეუფე იოანეს ჯანმრთელობაზე, ამიტომ 1925 წლის 1 თებერვალს, თავისი თხოვნის საფუძველზე, იგი გათავისუფლდა ამ ეპარქიის მმართველობიდან. ამავე წლის 23 თებერვლიდან მას დროებით თბილისისა და ალავერდის ეპარქიების მართვა დაევალა, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო უჭირდა სამწყსოს მართვა. ამიტომ მუდმივად თბილისში იმყოფებოდა და იქიდან ადევნებდა თვალს სამწყსოს ცხოვრებას. 1925 წლის 9 ოქტომბერს ურბნისის ეპარქია ჩააბარეს.

1926 წლის 14 იანვარს მიტროპოლიტმა იოანემ საკათალიკოსო საბჭოს განსახილველად წარუდგინა თავისი სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: **„ბიზანტიის იმპერატორების დამოკიდებულება მსოფლიო საეკლესიო კრებებისადმი"**, თუმცა მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ მან თავისი ნაშრომი რუსეთში წაიღო. 1926 წლის ოქტომბერში მოსკოვისა და კიევის ყოფილი სასულიერო აკადემიების პროფესორების შეფასებით, ნოვგოროდის მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკი, შემდგომში რუსეთის პატრიარქი) მეუფე იოანეს ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდება მიანიჭა.

1926 წლის 20 ოქტომბერს მეუფე იოანე გათავისუფლდა ურბნისის ეპარქიიდან და ამავე წლის 3 ნოემბერს ბათუმ-შემოქმედის კათედრაზე დაინიშნა. მის დანიშვნას ამ თანამდებობაზე მტრულად შეხვდა აჭარის საერო ხელისუფლება, მათ მეუფე იოანეს მოსთხოვეს ბათუმის დატოვება. ეპისკოპოსი იოანე იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა საქართველო და რუსეთში წასულიყო, თუმცა ორ თვეში იგი სამშობლოში დაბრუნდა. 1927 წლის 27 ოქტომბერს მან თხოვნით მიმართა საკათალიკოსო სინოდს — დაენიშნათ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე ეპარქიის

ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ: ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲞᲐᲕᲚᲔ (ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲜᲘᲚᲙᲜᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ), ᲪᲮᲣᲛ-ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲘᲝᲐᲜᲔ (ᲛᲐᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ), ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ (ᲮᲔᲚᲐᲘᲐ), ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ (ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ), ᲣᲠᲒᲔᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ (ᲪᲘᲪᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ — ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ). ᲓᲒᲐᲜᲐᲜ: ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ — ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚ-ᲒᲐᲔᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ), ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲝᲜᲐᲡᲔᲚᲘᲫᲔ, ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲝᲚᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ — ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲣᲒᲐᲐᲜᲨᲘ), ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲡᲢᲐᲢᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ, ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲜᲐᲗᲘᲫᲔ, ᲨᲘᲝᲛᲓᲕᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲛᲦᲕᲓᲔᲚ-ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲘ ᲔᲤᲠᲔᲛᲘ (ᲡᲘᲓᲐᲛᲝᲜᲘᲫᲔ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ — ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ). ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲔᲖᲝ. 1922 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

მღვდელმთავრად. საკათალიკოსო სინოდის განჩინებით, 1928 წლის 4 ოქტომბრიდან იგი ბოდბელი მღვდელმთავარია.

ადგილზე ჩასულ მღვდელმთავარს ეპარქიაში მეტად მძიმე სულიერი მდგომარეობა დახვდა. სამღვდელოება და მრევლი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ძლიერ ზეწოლას განიცდიდა, მოძღვრები მასობრივად ტოვებდნენ მღვდელმსახურებას, თავად მეუფე იოანეს არ ჰქონდა ღამის გასათევი ადგილი. ამას დაერთო მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც კვლავ იჩინა თავი.

1929 წლის 13 ნოემბერს მიტროპოლიტი იოანე მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და სიონის საპატრიარქო ტაძარში დაასვენეს. 16 ნოემბერს საკათალიკოსო სინოდმა თხოვნით მიმართა საქართველოს სახკომსაბჭოს, რათა მეუფის ნეშტი სიონის ეზოში დაეკრძალათ, რაზედაც დათანხმდნენ. დამკრძალავ კომისიას დეკანოზი ნესტორ მაჭარაშვილი ხელმძღვანელობდა. 17 ნოემბერს მიტროპოლიტს წესი აუგო და პანაშვიდი გადაუხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციცქიშვილი), წმინდა სინოდის წევრებთან ერთად. იგი სიონის ტაძრის ეზოში, სამხრეთის მხარეს დაკრძალეს.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲤᲠᲔᲡᲙᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ - ᲮᲐᲢᲛᲬᲔᲠᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

აშშ-ში ქრისტიანული ეკლესიების ატლასი გამოსცეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში მართლმადიდებლობის წამყვანმა მკვლევარმა, ისტორიკოსმა ალექსი კრინდაჩმა გამოსცა წიგნი, რომელიც ქვეყანაში არსებული მართლმადიდებლური ტაძრების შესახებ ყველა მონაცემს მოიცავს (ორიენტალისტურის ჩათვლით). წიგნში ჩართულია მრავალი რუკა, ფაქტი და აშშ-ში არსებული სხვადასხვა იურისდიქციის მართლმადიდებლური ტაძრების ცხოვრება. „ამერიკული მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიების ატლასი" გამოსაცემად მომზადდა წმინდა ჯვრის გამომცემლობაში, მისი სპონსორები იყვნენ SCOBA და ვირჯინია ფარის ფონდი (Virginia Farah Foundation).

საგულისხმოა, რომ თავისი ჟანრით წიგნი ერთდროულად არის ატლასიც და ცნობარიც, ასევე თემატური მონოგრაფია. როგორც ატლასი შეიცავს მრავალ რუკას, ასახავს ისტორიულ განვითარებას და მართლმადიდებელი ეკლესიების ტერიტორიულ სტრუქტურებს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. ეს წიგნი ცნობარიცაა, რადგან მასში ამომწურავი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემებია ამერიკაში მოქმედ ყველა მართლმადიდებლურ ტაძარზე. ასევე ამ თემატურ მონოგრაფიაში მოთავსებული ესეები მოგვითხრობს აშშ-ში მართლმადიდებლობის ისტორიასა და თანამედროვეობაზე.

საბერძნეთში ტაძრიდან წმინდანთა წმინდა ნაწილები მოიპარეს

გასულ კვირას საბერძნეთის ქალაქ დრამის ტაძრიდან წმინდა მოწამეთა — რაფაელის, ნიკოლოზისა და ირინეს წმინდა ნაწილები მოიპარეს. ქურდობის მიზეზი გახდა სანაწილე, რომელშიც წმინდა ნაწილები ინახებოდა. იგი 6 000 ევროდ იყო შეფასებული. ტაძრიდან ასევე მოიპარეს XIX საუკუნის მოოქრული ბარძიმი. წმინდა დიდმოწამეები — რაფაელი, ნიკოლოზი და ირინე წარმოშობით საბერძნეთიდან იყვნენ. წმინდა რაფაელი ითაკაზე, წარჩინებულ ოჯახში დაიბადა და ნათლობის შემდეგ გიორგი ეწოდა. მან საუკეთესო განათლება მიიღო, შეისწავლა მედიცინა და ფილოსოფია. მეგობრობდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პელეოლოგთან. ბერად აღკვეცის შემდეგ რაფაელი ეწოდა. 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ბევრმა მოქალაქემ იმპერიის საზღვრების მიაშურა. მათ შორის იყვნენ არქიმანდრიტი რაფაელი და დიაკონი ნიკოლოზი, ისინი კუნძულ ლესბოსზე ჩავიდნენ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში მოღვაწეობდნენ, მოგვიანებით მონასტრის იღუმენი მამა რაფაელი გახდა.

1462 წელს თურქთა მრავალრიცხოვანი ფლოტი კუნძულ ლესბოსს მიადგა. მოქალაქეებმა დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს, მაგრამ მტერი უმოწყალოდ გაუსწორდა მათ. ხალხი იძულებული გახდა, მთებში არსებული მონასტრისთვის შეეფარებინა თავი. მათ შორის იყო 12 წლის ირინე, მშობლებთან ერთად. მალე თურქებმა ბერები მოღალატეების დახმარებით შეიპყრეს და დიდი მარხვის დროს მონასტერი დაიკავეს. თითქმის მთელი კვირა აწამებდნენ წმინდა რაფაელს, ბოლოს, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, 1463 წლის 9 აპრილს, სასტიკად აწამეს — ჯერ ხეზე მიაბეს, შემდეგ თავი მოჭკვეთეს. სიკვდილით დასაჯეს დიაკონი ნიკოლოზიც, ხელები წააჭრეს ირინეს, მისი სხეული კი დაწვეს. წმინდა დიდმოწამე რაფაელი, ნიკოლოზი და ირინე მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დღნორისელი ასათიანები

დღნორისელი ასათიანების ოჯახში მრავალი ღირსეული მამულიშვილი აღიზარდა. ლეჩხუმელი ასათიანების ეს შტო აზნაურთა წოდებას განეკუთვნებოდა. გვარი ასათიანი წარმოშობილია საკუთარი სახელიდან „ასათ", რაც არაბულად ლომს ნიშნავს. ამ გვარის არაერთი წარმომადგენელი წარმატებით მოღვაწეობდა საქართველოში, როგორც მეცნიერების, ისე კულტურისა და პოლიტიკის სფეროში. გარდა საერო პირებისა, მათ გვარში რამდენიმე სასულიერო პირიც გვხვდება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღნორისელ ასათიანებში პირველი სასულიერო პირი **ნიკოლოზ ასათიანი** ყოფილა. იგი 1746 წელს დაიბადა, თუმცა **დღნორისის ეკლესიის ეზოში შემორჩენილია მამა ნიკოლოზის საფლავის ქვა, რომელზეც აღნიშნულია მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები — 1746-1833, ხოლო საარქივო საბუთებზე დაყრდნობით იგი დაბადებულია 1764 წელს.** მის შესახებ მწირი ცნობებია შემორჩენილი. მამა ნიკოლოზს წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში, იღუმენ სვიმონთან მიუღია. XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ცაგერელმა მიტროპოლიტმა სოფრონმა (ღოღობერიძე) იგი ჯერ დიაკვნად აკურთხა, შემდეგ მალევე მღვდლად დაასხა ხელი და დღნორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. მამა ნიკოლოზის თაოსნობითა და მეცადინეობით 1813 წელს აშენდა დღნორისის ახალი ქვიტკირის ეკლესია, რომელსაც იქვე, გვერდით, ხის სამრეკლოც მიუდგეს, სადაც ერთი ზარი ეკიდა **(შემდგომში დღნორისის ეკლესია, კერძოდ კი — 1902-1904 წლებში, მამა ნიკოლოზის შთამომავლების მიერ გარემონტდა და რესტავრაცია ჩაუტარდა. განახლებული ტაძარი 1904 წლის 13 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), ლეჩხუმის**

ოლქის სამღვდელოებასთან ერთად, საზეიმოდ აკურთხა). მღვდელი ნიკოლოზი 1833 წელს გარდაიცვალა. მას ჰყავდა ორი ვაჟი: დავითი (დაბადებული 1792 წელს) და სვიმონი (დაბადებული 1795 წელს), მათ საერო ცხოვრება აირჩიეს.

სასულიერო მოღვაწეობა, დავითის უფროსმა ვაჟმა — გიორგი ასათიანმა გააგრძელა. იგი XIX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში სოფელ დღნორისაში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში, ბაბუას მეთვალყურეობის ქვეშ მიიღო, რომელიც პატარა გიორგის ღრმად უნერგავდა ღვთისა და ეკლესიის სიყვარულს. მას დიდი სურვილი ჰქონდა შვილიშვილებიდან ერთ-ერთი მაინც გამხდარიყო მოძღვარი, რადგან მისმა ვაჟებმა საერო ცხოვრება ირჩიეს. როცა წამოიზარდა, გიორგი ცოდნის გასაღრმავებლად ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში მიაბარეს, სადაც იმ პერიოდში მოღვაწეობდა იღუმენი დოროთე, მან ყმაწვილ გიორგის საფუძვლიანად შეასწავლა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი.

მღვდელი გიორგი ასათიანი და მისი მეუღლე ეკატერინე ახვლედიანი ქალიშვილთან, ნატალიასთან ერთად

XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს გიორგი დაქორწინდა ეკატერინე ზურაბის ასულ ახვლედიანზე, რომელთანაც 6 შვილი შეეძინა: თეოფანე, ფატა (ელეფთერა), ნატალია, დოროთე, ლებეოსი და ირაკლი (გარდაიცვალა ადრეულ ასაკში).

1836 წელს, როგორც საუკეთესო მოწაფე, იგი ცაგერის მონასტერში მედავითნედ დატოვეს, ხოლო 1838 წლიდან სამეგრელოს ეპარქიაში, სოფელ თეკლათის მამათა მონასტერში განამწესეს, სადაც XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დიაკვნად აკურთხეს. 1844 წელს სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანის ბრძანებით, მამა გიორგი ზუგდიდის მაცხოვრის სახელობის კარის ეკლესიაში გადაიყვანეს.

1846 წლის 12 იანვარს სამეგრელოს ეპისკოპოსმა ანტონმა (დადიანი) დიაკვან გიორგის მღვდლად დაასხა ხელი და მშობლიური სოფლის, დღნორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა. 1853-1856 წლებში, ყირიმის ომის პერიოდში, ნაყოფიერი და თავდადებული მოღვაწეობისათვის მუქი ბრინჯაოს სამახსოვრო ჯვრით დაჯილდოვდა. 1858 წლის 11 სექტემბერს, ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1863 წელს ლეჩხუმის მაზრის ლაილაშის ოლქის სამღვდელოებამ მღვდელი გიორგი მთავარხუცესად (კეთილმოწესე) აირჩია. 1864 წლის 12 დეკემბერს სკუფია უბოძეს.

XIX ს-ის 70-იან წლებში საქართველოს ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. იგი დასავლეთ საქართველოსაც ესტუმრა. ქუთაისში ჩასულ იმპერატორს მთავარხუცესი, მღვდელი გიორგი ასათიანი ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების სახელით მიესალმა და დიდი ხნის სიცოცხლე და მშვიდობიანი მმართველობა უსურვა. ალექსანდრე II-ს მოსწონებია მისი გამოსვლა რუსულ ენაზე და ბრილიანტის თვლებით მოჭედილი ოქროს ჯვარი უსახსოვრა. 1884 წლის 15 აპრილს მამა გიორგი სამკერდე ოქროს ჯვრითაც დაჯილდოვდა. მღვდელი გიორგი 1890 წლის 12 ივლისს მოხუცებულობის გამო პენსიაზე გავიდა. მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, 1885 და 1887 წლებში მან შეადგინა ანდერძი, სადაც თავის ქონებას შვილებს უნაწილებს. ეს ანდერძი ამჟამად მისი ერთ-ერთი შთამომავლის, ოთარ ასათიანის (ლებეოსის შტო) ოჯახში ინახება, სადაც აღნიშნულია: **„სრულ მეხსიერებასა შინა მყოფი მღვდელი გიორგი, რომელსაც სოფელ დღნორისაში ჰქონდა სახლ-კარ[illegible]ეზო, ვენახი, წისქვილი, საყანე, ტყეები და საკმაოდ ვრცელი ადგილ-მამული ახლომახლო სოფლებშიც: დერჩში, ლაიშში, ჯიჯიბოურს „უფსკერო ტბასთან“ და სხვაგან უტოვებს თავის ქონებას სამ ვაჟს (მღვდელი თეოფანე, დოროთე და ლებეოსი) და ერთ ასულ — ნატალიას. გარდა ამისა, იგი ითხოვს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ 200 მანეთი გაიცეს „საწირავ-სალოცავად“: სამი თუმანი მოწამეთას მონასტერს, სამი თუმანი — გელათს, სამი თუმანი — საირმის მონასტერს, სამი თუმანი — ნამარნევის მონასტერს და ორი თუმანი — ოთხ მახლობელ მღვდელსა.** ანდერძის ბოლოს წერია: **„ესრეთ აღსრულდეს ანდერძი ესე, თორემ წინააღმდეგი ამისი საშინელ განსჯის დღესა აგებს პასუხს, ამინ“.**

მამა გიორგის ვაჟებიდან ორმა სასულიერო გ[illegible] აირჩია, ხოლო მესამე — ლებეოსი, მედავითნედ მს[illegible]ხურობდა.

მღვდელი თეოფანე გიორგის ძე ასათიანი 1849 წლის 12 მარტს სოფელ დღნორისაში დაიბადა. მან წარჩინებით დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. წლების მანძილზე მედავითნედ მსახურობდა ლეჩხუმის მაზრის სხვადასხვა სოფელში. XIX ს-ის 70-იან წლებში იქორწინა ცნობილი სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ იოსებ ვაწაძის ასულ მატრონაზე (1859 წ.), რომელმაც 13 შვილი გაუჩინა: ზინობია (მავრა), გიორგი, აგნია, ნაასონი (1889 წ.), სოკრატე (1893 წ.), ნიკოლოზი (1897 წ.), ნონა (1898 წ.), კონსტანტინე (1902 წ.), როდოპიონი, აღათანგელი, დავითი, ბენედიქტე და ოლღა (1895 წ.).

1876 წლის 26 მარტს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) თეოფანე დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1877 წლის 12 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი და დღნორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში

განამწესა. 1878 წლის 21 იანვარს ლაილაშის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1883 წლის 27 აგვისტოს საგვერდულით დაჯილდოვდა და დერჩის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1884 წლის 5 ნოემბერს მღვდელი თეოფანე დროებით ლეჩხუმის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. დანიშვნისთანავე მოძღვარი დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. იგი განსაკუთრებით სწუხდა იმის თაობაზე, რომ ლეჩხუმის მაზრაში მოსახლეობაში სწავლა-განათლების დონე ძლიერ დაბალი იყო. მოძღვარი ცდილობდა ხალხისთვის განეშარტა სკოლების გახსნის აუცილებლობა და ამ განხრით დიდი სამუშაოც ჩაატარა თავის სამთავარხუცესო ოლქში. აი, რას წერდა იგი 1884 წელს ჟურნალ „მწყემსის" ფურცლებზე: **„კლდეთ-აღმართი არის საზოგადო სახელი ლეჩხუმის მაზრის ერთი ნაწილისა, რომელიც შესდგება ოცდახუთი სოფლისაგან. ეს ნაწილი სძევს იმ ადგილას, სადაც ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრები იყოფებიან მდინარე ლეხედარით, რომელიც ერთვის მდინარე რიონს. კლდეთ-აღმართიდგან დაბა ცაგერამდის, სადაც იმყოფება მაზრის სამმართველო და მომრიგებელი მსაჯული, იქნება სამოც ვერსამდე და ქუთაისამდის — ორმოცდაათი ვერსი.**

მღვდელი გიორგი ასათიანი ოჯახთან ერთად

კლდეთ-აღმართი, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ადგილის მდებარეობით შესდგება მთაგორაკებისგან. აქაური ადგილები ძალიან ნაკლები არიან მოსავლისათვის. ღვინის მოსავალი ზოგიერთ წლებში, როგორც წრეულს, სულ მოისპობა ხოლმე. ამ ადგილის მცხოვრებნი სახვა მახლობელი მაზრების მცხოვრებლებთან შედარებით ძალიან ღარიბნი არიან.

კლდე-აღრმართი შესდგება სამი სამამასახლისოსაგან და შეადგენს ერთ საბლაღოჩინო მაზრას. ამ საბლაღოჩინო მაზრაში ეკლესიები უმეტეს ქვისაგან არიან აშენებულნი, რადგან აქ ქვა ადვილი საშოვარია. როგორც მცხოვრებნი, ისე ეკლესიებიც, ღარიბნი არიან. სხვა მაზრებში თითქმის ყოველ სამამასახლისოში არის სასოფლო სკოლა, მაგრამ აქ სამ სამამასახლისოში ერთი სასოფლო სკოლაც არ არის, თუმც ზემო ლეჩხუმში ალაგ-ალაგ არიან სასოფლო სკოლები, მაგრამ სიშორისა და სიღარიბის გამო ქვემო ლეჩხუმში მცხოვრებთ არ შეუძლიანთ იქ წაიყვანონ თავიანთი შვილები. მართალია, ამ სამ სამამასახლისო სოფლებში მცხოვრებნი ღარიბნი არიან, მაგრამ ერთი მოთავე და ხალხის შემატკივარი კაცი რომ გამოჩენილიყო, ან დღეს გამოჩნდეს, იმედია, შეაგონებს ხალხს და ერთ სკოლას მაინც გაახსნევინებს. ათასი ღარიბი რომც იყოს სამი სამამასახლისოს მცხოვრებნი, მაინც შეიძლებენ ერთი სკოლის შენახვას. ამასთანავე, იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილ საქმეში დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენს ღარიბ საზოგადოებას ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ ხუთი წლის წინედ კლდეთ-აღმართში იყო ორი სასოფლო სკოლა ალპანასა და დერჩისა. ეს სკოლები იყვნენ გამართულნი თვით სასოფლო კანცელარიის შენობებში, რადგან ცალკე სახლები არ ჰქონიათ სკოლებისათვის. მასწავლებლად ყოფილან სხვა მაზრებიდგან მოწვეულნი პირნი, რომელთაც ცოტა ჯამაგირისა გამო ვერ უცხოვრიათ აქ და თავი მიუნებებიათ ამ კეთილი საქმისათვის.

ამ საბლაღოჩინო მაზრის საეკლესიო კრებულთა შორის მოიძებნება ბევრი იმისთანა პირი, რომელთაც შეუძლიან ყმაწვილების სწავლება და კიდეც მოჰკიდებდნენ ამ კეთილ საქმეს ხელს, მაგრამ, საუბედუროდ, ეკლესიებთან არ არიან ისეთი სახლები, სადაც შეიძლებოდეს სკოლის გამართვა. მართალია, რომ ეხლა თვითოეული მრევლის მღვდელი მოვალეა სამრევლო სკოლა იქონიოს და, თავის შეძლებისდაგვარად, რამე ასწავლოს ყმაწვილებს, მაგრამ რა ჰქნან მღვდლებმაც, რომ შეძლება არა აქვთ სკოლისთვის სახლები დამართონ და სკოლების საჭირო ნივთები თავის საშუალებით იყიდონ.

აქამომდე რაც ყოფილა, ყოფილა და აწ კი იმედი გვაქვს, რომ ამ საგანს ყურადღებას მიაქცევენ: ლეჩხუმის მაზრის უფროსი, სასოფლო სკოლების დირექცია და პრიხოდის სკოლების სამოსწავლებლო რჩევის წევრნი, თუმც ვეღირსეთ მათ დანიშვნას, და ყველა ამათ, იმედია, ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც და მისთანა მხარეში, როგორიც არის კლდეთ-აღმართი, იქნება გამართული ერთი სასოფლო, ან საეკლესიო სამრევლო სკოლა".

1885 წლის 5 ნოემბერს მამა თეოფანე ოფიციალურად დაამტკიცეს მთავარხუცესის თანამდებობაზე, სადაც მან 1890 წლამდე ერთგულად იმსახურა. 1887 წლის 13 მარტს სკუფია უბოძეს. 1906 წელს დღნორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვ-

ფოტომატიანე

დეკანოზი კორნელი კეკელიძე 1879-1962

I ნაწილი

ცნობილი ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ყოფილი დეკანოზი კორნელი კეკელიძე 1879 წლის 18 აპრილს, ქვემო იმერეთში, ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში დაიბადა. როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავდა, მისი წინაპრები წარმოშობით გურულები

კიევის სასულიერო აკადემია

ყოფილან და იმერეთში XVIII საუკუნის მიწურულს გადასახლებულან. შემდგომში, სიბერემორეული კორნელი კეკელიძე, ძალიან პოეტურად იხსენებდა თავის სოფელს, დედ-მამას და კარმიდამოს, სადაც დაუვიწყარი ბავშობა გაატარა. მამამისი — სამსონ კეკელიძე — მედავითნედ მსახურობდა. დედა — თებრონე ურუშაძე — სოფელ ჯიხაიშიდან იყო. იგი თავისი სილამაზით გამოირჩეოდა და ხელსაქმის დიდი მცოდნე გახლდათ. საოჯახო მეურნეობასაც ასევე წარმატებით უძღვებოდა. მრავალრიცხოვანი ოჯახი — 11 შვილი ჰყავდათ (მეორე ცნობით — 13, რომელთაგან მხოლოდ 7 გაიზარდა) — ფრიად ხელმოკლედ ცხოვრობდა.

პატარა კორნელიმ წერა-კითხვა ოჯახში, მამის დახმარებით ისწავლა. 1890 წელს იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც სწავლის საოცარი ნიჭი გამოიჩინა. როდესაც კორნელი მესამე კლასში გადავიდა, სხვა შვილებიც წამოიზარდნენ, რომელთაც განათლება სჭირდებოდათ და მამამ, რადგან ძალიან უჭირდა, განიზრახა უფროსი შვილი სასწავლებლიდან გამოეყვანა. იგი ფიქრობდა: კორნელიმ ცოტა მაინც ისწავლა და სხვები სულ უსწავლელი როგორ დავტოვოო. სწორედ ამ დროს, სასწავლებლის ინსპექტორის, ივანე გაფრინდაშვილის (პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მამა) რეკომენდაციით, მომავალმა აკადემიკოსმა სწავლა სახელმწიფო ხარჯზე განაგრძო. 1894 წელს კორნელი სასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში გადადის, სადაც ასევე საუკეთესო სტუდენტად ითვლება. 1896 წელს მას ჯერ დედა გარდაეცვალა, ორი წლის შემდეგ კი მამაც დაკარგა. ობლად დარჩენილ პატარა დედმამიშვილებს უფროსი და აკვირინე და მისი მეუღლე, მღვდელი ამფილოქე ცინცაძე (კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ძმა) პატრონობდნენ.

1900 წელს კორნელიმ სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა და ამავე წელს, სახელმწიფო ხარჯით, კიევის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად გაგზავნეს. წასვლის წინ ახალგაზრდა სტუდენტს რჩევა უკითხავს კალისტრატე ცინცაძისთვის, რომელიც იმხანად დიდუბის ტაძრის წინამძღვარი იყო:

— **„წადი, გამოცდებს თუ ვერ ჩააბარებ, კიევს მაინც დაათვალიერებ“, — უთქვამს კალისტრატეს.**

— **„წავედი და კალისტრატეს დავალებას ვასრულებდი, კიევს ვათვალიერებდიო“, — იხსენებდა შემდგომში ბატონი კორნელი.**

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ იგი სიტყვიერების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აკადემიაში კორნელი ხარბად დაეწაფა იქაურ მდიდარ ბიბლიოთეკაში დაცულ სხვადასხვა სახის ლიტერატურას. განსაკუთრებით ქართული საეკლესიო მწერლობითა და ისტორიის შესწავლით დაინტერესდა. მეოთხე კურსზე მან საკანდიდატო თხზულებისათვის თემა ქართული ღვთისმსახურების ისტორიიდან აიღო (ეს დარგი იმჟამად ყველაზე ნაკლებ შესწავლილი იყო). მისი თხზულება მთელ კურსზე საუკეთესოდ აღიარეს და პრემიითაც დააჯილდოვეს.

1904 წელს კორნელიმ კიევის აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა. მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო: **„ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“.** სასწავლებლის ხელმძღვანელობა საპროფესორო სტიპენდიანტად ფიქრობდა მის კათედრაზე დატოვებას, იმ პირობით, რომ მას უნდა მოევლო აღმოსავლეთი (ათონი, სინას მთა და იერუსალიმი) იქაურ ქართულ სიძველეთა შესასწავლად, მაგრამ იაპონიასთან დაწყებულმა ომმა ამ კეთილ წამოწყებას ხელი შეუშალა.

1904 წლის ზაფხულში კორნელიმ კიევში პოლონელი წარმოშობის ქალზე იქორწინა და მალევე სამშობლოში გამოემგზავრა. 1904 წლის შემოდგომაზე იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი ჯერ დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირაში კი მღვდლად

დაასხა ხელი და ქუთაისის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1905 წელს, გამონაკლისის სახით, მღვდელი კორნელი კეკელიძე საგვერდულით დაჯილდოვდა და დეკანოზის წოდება მიენიჭა.

დეკანოზი კორნელი კეკელიძე

1906 წლის 2 იანვარს დეკანოზი კორნელი თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორად და II-VI კლასების მასწავლებლად დაინიშნა. ქალთა სასწავლებელში მისი მოღვაწეობის პერიოდი სასიკეთო ცვლილებებით აღინიშნება: ექვსკლასიანი სასწავლებლიდან იგი რვაკლასიანად გადაკეთდა და, ამასთან, ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცა. ქართული ენის კათედრა გაძლიერდა და ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის პროგრამა საგრძნობლად გაფართოვდა. ცალკე საგნად გამოცხადდა **„ქართული არქეოლოგია“** და განსაკუთრებული დრო დაენიშნა აგრეთვე **„საქართველოს საეკლესიო ისტორიასაც“**. მამა კორნელიმ გააკეთა გაბედული მოხსენება ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. სასწავლებელში დაწყებული ეროვნული რეფორმები მაშინდელ საქართველოს ეგზარქოს ნიკონს (სოფისკი) დიდად არ ესიამოვნა. მან დეკანოზ კორნელის სახელზე წმინდა სინოდში საჩივარი გააგზავნა. თუმცა, სრულიად მოულოდნელად, წმინდა სინოდმა ეს მოხსენება დაამტკიცა, რითაც ეგზარქოსი ნიკონი ფრიად განაწყენებული დარჩა. საეპარქიო სასწავლებლის შენობაზე მესამე სართულის დამატებაც მამა კორნელის მეცადინეობითა და ინიციატივით მოხერხდა, რამაც მას ბევრი უსიამოვნება მიაყენა. მისი ამდენი დამსახურება და ნაყოფიერი მოღვაწეობა უყურადღებოდ არ დარჩენილა უმაღლესი საეკლესიო მმართველობისათვის: 1909 წლის აღდგომის დღესასწაულზე მას სკუფია უბოძეს. 1912 წლის 6 მაისს — კამილავკა ეწყალობა. 1915 წლის 15 მაისს კი სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

ქალთა საეპარქიო სასწავლებელში მოღვაწეობის ათი წლის განმავლობაში არავის ახსოვს, რომ მამა კორნელის ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, უფროსობა ან ხასიათის წვრილმანობა გამოემჟღავნებინა. პირიქით, მისი მუდმივი დამახასიათებელი თვისება იყო პედაგოგთა მიმართ გულწრფელი ნდობა და მათი პიროვნების პატივისცემა, რასაც დიდად აფასებდნენ მისი თანამედროვენი. ასეთივე სათნო და ადამიანური იყო მისი განწყობილება მოწაფეთა მიმართ, რომელნიც კარგად გრძნობდნენ ამას და კიდევაც უფასებდნენ თავიანთი დაუღალავი შრომითა და მუყაითობით. საეპარქიო სასწავლებლისათვის მამა კორნელი ყველაფერი იყო: ის ერთადერთი პირი გახლდათ, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა ამ სასწავლებლის წარსულსა და აწმყოს და ამიტომაც იგი დაუზარელი და ერთგული მწყემსივით თავს დასტრიალებდა თავის საყვარელ დაწესებულებას, რომლის ბედიც ქარიშხლიან დროს ქართველი სამღვდელოებისაგან ჰქონდა მინდობილი.

დეკანოზი კორნელი წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. ამასთან, იგი გახლდათ საუკეთესო მქადაგებელი. შემორჩენილია მისი ერთ-ერთი ქადაგება, რომელიც 1915 წლის 2 აგვისტოს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დიდი ქართველი მგოსანის, ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს წარმოთქვა:

„თანამედროვე უმაგალითო ომი ძალაუნებურად გვაგონებს ამ ძვირფას კუბოსთან „ბახტრიონში“ აღწერილ ხოროშეთს, რომელსაც „წარღვნა დაეცა წყეულ თათართა ჯარისა“ და სადაც ამის გამო „ხსენება გაწყდა კაცისა“. სწორედ ხოროშეთს წარმოადგენს დღეს ჩვენი ბედკრული, დამშეული და წარღვნილი სამშობლო, სადაც დარჩენილან, „ბალღები“ და „დიაცნი“, რომელნიც უნუგეშოდ დასტირიან ომში დახოცილთ ძვირფას სახელებს. სავალალო ის არის, რომ ასეთ უბედურობის დროს ერთიმეორეზე ხელიდან გვეცლებიან სულისა და გულის მესაიდუმლენი, რომელთაც, რეალური შველა თუ არა, პოეტური თანაგრძნობა და ზეაღმფრენი ნუგეშისცემა მაინც შეეძლოთ. ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებულ აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ჰფენდა მთელ საქართველოს: გაფრინდა „მთის არწივი“. ვაჟა მოგვიკვდა, ფშაველა! როდესაც ჩავუფიქრდები, უნებლიედ იმეორებ განსვენებულის მწარე სიტყვებს:

„სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენია?
როდემდის უნდა ვიტიროთ
მიწას ვაფრქვიოთ ცრემლია?“

განსვენებულის სულის ტრაგედიას ის ჰქმნიდა და ამწვავებდა, რომ, ერთის მხრივ, მას ელანდებოდა დიდებულ წინაპართა აჩრდილი, მათი გმირობა, პატიოსნება და მამულიშვილური გრძნობა; მეორე მხრივ კი თვალწინ ედგა დღევანდელი ჩვენი დაკნინება და, როგორც ამბობდა, „კარგისა შეცვლა ავზედა ამ მის სამშობლო მხარეში“. ამ „სამშობლო მხარის“ საშველად და სახნელად ის აღიჭურვა, აღიჭურვა არა „ხმალ-შუბითა და ფარითა“, როგორც მთიული, არამედ კალმითა და მელნითა. თავის სიმბოლურ პოეზიის უმთავრეს მიზნად მან დაისახა

ლამაზად და კოხტად გამოექანდაკებია ძველი ქართველის სახე და ყველასათვის ეჩვენებინა მისი სიდიადე და წარმტაცობა. „დღისა სიცხადით გულდაჩაგრული“, ის სიყვარულით იცქირება წარსულისაკენ, თუმცა მისი ელეგიური, მელანქოლიით აღსავსე ქნარი, სულ უიმედოდ მომავალსაც არ უყურებდა. მართალია, ეს მომავალი მისთვის ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ მართლაც რომ „გველის“ და არა სხვა რამე კარგის „მჭამელი“ და მით „გამეცნიერებული“ და გათვითცნობიერებული ქართველი ერი, ადრე იქნება და თუ გვიან, ძალამოკრებილ მდინარესავით, უეჭველად გაარღვევს იმ სალ კლდეს, რომელიც გზას არ აძლევდა ამ მდინარეს და არ უშვებდა ბარად.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის პედაგოგები და მოწაფეები. ცენტრში ზის — დეკანოზი კორნელი კეკელიძე. 1919 წელი

განისვენე მგოსანო! შენი „სატრფო“, შენი სამშობლო, არ მომკვდარა, ის „ბებერ ლომივით“ მხოლოდ დაძინებულა, მაგრამ, გჯეროდეს, თანახმად შენი სურვილისა, მას მოევლინება „მათე მღვდელი“, „გულშემატკივარი მასწავლებელი“ და „შრომისმოყვარე ზურაბი“, რომელნიც მალამოს დასდებენ მის იარებს; მაშინ „დაჭრილ არწივს“ ფრთა გაუმთელდება და „ვაჟკაცს“, რომელმაც „ჭიდილში“ რქა დაკარგა, „რქა ამოუვა რქაზედა“. შენი უმანკო სული ნეტარებას განიცდის, როდესაც გაიგებს, რომ გაერთიანებულ საქართველოს გამოეზრდება არა ერთი და ორი „გოგოთური, ალუდა, ლუხუმა და ლელა“. ის გაბრწყინდება, როდესაც დაინახავს რომ „სანათას“ მიერ დანთებული სანთელის შუქი გაჰფანტავს იმ წყვდიადს, რომელსაც მოუცავს დღეს შენგნით მიტოვებული, შენზე მტირალი ქართველი ერი. მშვიდობით, საუკუნო იყავნ, და იქნება კიდეც, ხსენება შენ!“

მისი პედაგოგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან, ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი თედო ჟორდანია, დეკანოზ კორნელი კეკელიძეს სწერდა: „მივიღე ძვირფასი საჩუქარი — თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский Канонар“. თვალი გადავავლე და მადლობა შევწირე ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩემი წადილი. როგორც იყო ამ ბოლო ჟამს მოგვივლინა ქართველებს გამჭრიახი, საქმიანი და მცოდნე გამომძიებელი ქართული ხელნაწერებისა აქამდის თუ პატივსა გცემდით, ახლა ძმაზე უძმესი ხართ ჩემთვის. თქვენი მეცადინეობა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა, სიყვარული მეცნიერებისადმი ჭეშმარიტს, უმწიკვლოს მოჰფენს დიდებულს ისტორიას. თქვენი უკანასკნელი შრომა არის გვირგვინი თქვენი ნაშრომებისა, ღირსი სამეცნიერო დოქტორობის ხარისხისა (დაუცველად). თქვენი ყოფილი მასწავლებელი დღეს თქვენ ათასჯერ მეტად გაფასებთ, ვიდრე დღემდი. დამიჯერე, ჩემს ძმასთან უძმესო კორნელი, რომ ჩვენ უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ დასაცველად ჩვენის მწერლობა-ისტორიის ღირსებათა. რაც კარგი ვნახოთ, ის შევითვისოთ, გამოვააშკარავოთ, გამოვაბრწყინოთ, ხოლო ნაკლულევანებანი, დეე, მტრებმა ეძიონ“.

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე,
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი: ზოია კობახიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი კორნელი კეკელიძე ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული ღვაწლი 1879-1962

II ნაწილი

1916 წლის 23 სექტემბერს, პირველად საქართველოში, რუსი ეგზარქოსების 100-წლიანი მმართველობის ჟამს, დეკანოზი კორნელი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა. ამავდროულად, იგი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კრება, რომლის მუშაობაში ერთ-ერთ მთავარ და წამყვან როლს დეკანოზი კორნელი კეკელიძე ასრულებდა. 15 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება ღვთისმსახურებისა და სამღვდელოების შესახებ. მოხსენება ფრიად დამუშავებული და მეცნიერულ დონეზე იყო გამართული. გთავაზობთ ციტატას ამ მოხსენებიდან: **„საქართველოს ეკლესიას — სთქვა მომხსენებელმა, როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიის წევრს, აქვს რთული რიტუალი, ანუ ღვთისმსახურება, რასაც ძნელად თუ**

თბილისის სასულიერო სემინარია

ვინმე ბოლომდინ მოისმენსო. ამისთვის საჭიროა ღვთისმსახურება შემოკლდეს და გამარტივდეს ისე, როგორც ეს შეეფერება დღევანდელ პირობებში მყოფ მორწმუნესაო. შემდეგ მომხსენებელი შეეხო საღმრთო წიგნების საბეჭდავ შრიფტს — ხუცურის თუ მხედრულის. იგი მიემხრო ამ უკანასკნელს. მესამე და თავსამტვრევი საკითხი, რამაც დიდი კამათი გამოიწვია, მღვდელმსახურთა გარეგნული ჩაცმულობა იყო. საუბარი იყო ერში კაბა-ანაფორით სიარულის შესახებ. მამა კორნელი ასევე შეეხო სამღვდელო პირებზე თმა-წვერის ტარების საკითხს. ბოლოს მომხსენებელმა ასეთი რეზიუმე გაუკეთა მოხსენებას: 1) საჭიროა ჩვენი ღვთისმსახურება გამარტივდეს (ცხოვრებას დაუახლოვდეს და, შეძლებისდაგვარად, შინაარსით და ფრაზეოლოგიით საშუალო მლოცველ-მორწმუნისათვის გასაგები იყოს. ამის მოსაგვარებლად საკათალიკოსო საბჭოსთან უნდა დაარსდეს განსაკუთრებული „საღვთისმსახურო" კომისია; 2) საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოვიღოთ მხედრული ანბანი, ვინაიდგან ასეთს შემთხვევაში ეს წიგნები ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი იქნება; 3) კრებულის წევრთათვის სავალდებულო არ უნდა იყოს ეკლესიის გარეშე ანაფორის ტარება. სურვილისამებრ, მათ შეუძლიათ საერო ტანისამოსი ატარონ; 4) მათთვის არც გრძელი თმებისა და წვერის ტარება უნდა იყოს სავალდებულო. ესეც კერძო სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებულიო.

მოხსენების შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა. ახალგაზრდა მღვდელმსახურნი და ერისკაცობა სავსებით დაეთანხმა მომხსენებელს. განსაკუთრებით თანაგრძნობით შეხვდა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოწინააღმდეგედ გამოვიდნენ თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე) და გორის ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). ეს უკანასკნელი აფრთხილებდა საზოგადოებას, ნუ ავჩქარდებით, სამარცხვინო საქმეს ნუ ვიზამთ, მოვუცადოთ მერმისს, ეხლა ჩვენ მოუმზადებელნი ვართ, აღვიჭურვებით ცოდნით და მაშინ ახალი შეფასება მოხდესო. მაგრამ დეკანოზ კორნელის მცირეოდენი განმარტების შემდეგ დიდმა უმრავლესობამ მისი ყველა თეზისები ერთსულოვნად დაადასტურა და შემდეგი კრებისათვის განხილვა ზედმეტად სცნო".

საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე დეკანოზ კორნელი კეკელიძის გაკეთებულ მოხსენებას მკაცრად გამოეხმაურა იმჟამად დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ცნობილი ასკეტი ბერი, მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის სავანის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია, რომელიც 1995 წლის 18-19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდათა დასში შერაცხა). იგი წერდა: **„მართალია, ბრუნვა დროთა ვითარებისა დროისდაგვარად ქმნის კანონებს, რადგან ეს კანონები ადამიანის უსაზღვრო ნებისყოფათა ცვალებადობის შედეგია, მით რომ ადამიანი თავისუფლებას ეტრფის, რასაც შეუდგს ლტოლვა ნებისყოფისადმი. ასეთ შემთხვევაში ადამიანს ავიწყდება, ან ვერ გულისხმაუყვია ის ჭეშმარიტება, რომ თუმცა კაცი თავისუფალია, მაგრამ იმდენად არის იგი თავისუფალი, რამდენიც მხოლოდ მის პირადობას ეკუთვ-**

ნის. ასე რომ, თითოეულ კაცს აქვს უფლება თავისი სურვილი-ნება, რწმენა — თვის შორის შემოიფარგლოს და არა საერთოდ, ზოგად სათაყვანოდ, მისი ნებისყოფა აღამაღლოს საზოგადო კანონად.

ყველა საღ გონების ადამიანმა უწყის, რომ გონიერების სამსჯავრო იპყრობს თვის შორის ორ დებულებას: 1) მთელ კაცობრიობის საზიარო აზრთა კარნახობის ყურადღების მიქცევას, და 2) განპიროვნებულ „მე"-ში ღვთიური აზროვნება აღამაღლოს ზნეობრივი მშვენიერებით. ამგვარად, ვიმეორებ, რომ შენი სინდისი ჩემი საზიარო ყოფილა და ჩემი — შენი. ასე რომ, სინდისის არსებითი ბუნების თვალი ერთი შენ ხარ, ძმაო და მეორე — მე. მაშ, ორთავემ კერძო თვალი ისე დავიცვათ, რათა ერთმანეთს არ ვავნოთ. რის სავსებისათვის წარსადგენად თითოეულმა თვისი აზრი გამოვსთქვათ იმ სათანადო მოსაზრებით, რომ ხალხის სულისკვეთებას ანგარიში გაუწიოთ, ე. ი. როგორი მღვდელი სწყურია ხალხს".

ამის შემდეგ ღირსი მამა ალექსი საეკლესიო კანონებითა და წმინდა მამათა სწავლებებზე დაყრდნობით ასაბუთებს თავის მოსაზრებებს (ამ პასუხის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ წიგნში „წმინდა ალექსი ბერის მოძღვრებანი". თბილისი, 2002 წელი).

17 სექტემბერს, კრების უკანასკნელ დღეს, გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. გამარჯვება წილად ხვდა ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილი), რომლის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრება 1917 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა. როდესაც დასრულდა კურთხევის რიტუალი და მთავარდიაკონმა დავით სალარიძემ მკვეთრი ხმით წარმოსთქვა სანატრელი **„აქსიოს"**, კათოლიკოსმა კირიონმა ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიტროპოლიტის წოდებით დააჯილდოვა ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), ხოლო დეკანოზ კორნელი კეკელიძეს უბოძა — მიტრა.

1918 წელს დეკანოზი კორნელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამაარსებელი. მისი დაარსებიდან გარდაცვალებამდე იგი ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. გარდა ამისა, კორნელი კეკელიძე ერთი პერიოდი კვლავ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების ფერხულშიც, თუმცა — არა როგორც სასულიერო პირი. 1921 წლის სექტემბერში გელათში ჩატარებულ მესამე საეკლესიო კრებაზე საკათოლიკოსო საბჭოს წევრთა სიაში, სხვებთან ერთად, პროფესორ კორნელი კეკელიძესაც ვხედავთ. 1922 წლის 19 ოქტომბერს იგი ჯერ კიდევ საბჭოს წევრია, რადგანაც ხელს აწერს ამ რიცხვში შედგენილ დოკუმენტს. ამის შემდეგ მან მალევე დატოვა საკათოლიკოსო საბჭო, რადგანაც 1923 წლის იანვარში მის ადგილზე უკვე სხვა პიროვნება იხსენიება.

1922 წელს (მეორე ვერსიით — 1918 წელს) კორნელი გაცილდა პირველ მეუღლეს, რომელთანაც სამი შვილი ჰყავდა: ალექსანდრე, კონსტანტინე და ილია. მან ცოლად შეირთო მინადორა კასრაძე, გორის მაზრის, სოფელ ქემერტის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ დიმიტრი ონოფრეს ძე კასრაძის (გარდაიცვალა 1929წ. 12 თებერვალს) ასული, რომლისგანაც შვილი არ ჰყოლია. ტრაგიკულად წარიმართა მისი უფროსი ვაჟის ცხოვრება. ალექსანდრე კეკელიძემ 1924 წელს დააარსა იატაკქვეშა გაერთიანება **„თავისუფალი საქართველო"**. მაშინ იგი 18 წლის ყოფილა. ორგანიზაცია ერთ-ერთმა წევრმა გასცა, გვარად ბარათაშვილმა. მისი წევრები და, მათ შო-

პირველი საეკლესიო კრება

რის, ალექსანდრე კეკელიძე, დააპატიმრეს. იგი დახვრიტეს თავისუფლების მოედანზე (მეორე ვერსიით, როდესაც სახლში დასაპატიმრებლად მიაკითხეს, იგი ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა. ჩეკისტები გამოედევნენ და მოკლეს). კორნელიმ მძიმედ გადაიტანა შვილის დაღუპვა. იმ პერიოდში იგი მეუღლესთან ერთად სოფელ ქემერტში ისვენებდა. ჩეკისტებმა კორნელი იქ დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს. იგი იძულებული გახდა იმ ქაღალდზე მოეწერა ხელი, რომელზეც თავისი შვილის მოქმედება დაგმო. ამის გამო ყოველთვის სინდისი აწუხებდა. მისი ძმაც 1937 წელს დახვრიტეს და კორნელი არც ძმის შესახებ ჰყვებოდა რამეს.

დეკანოზი კორნელი ერთ-ერთი მათგანია, ვინც გამოავლინა, შეისწავლა, გაეცნობა და სამეცნიერო კვლევები მიუძღვნა ძველი ქართული ლიტერატურის უბრწყინვალეს ნიმუშებს. მისი მეოხებით, ევროპამ ბევრი ისეთი სალიტერატურო ნაწარმოები გაიცნო, რომელიც მეცნიერებაში დაკარგულად ითვლებოდა. თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი — „ახალი საგალობლები აბო თბილელისა" — 1905 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნყემსში" (№13, 14). მისმა დიდმა ერუდიციამ, ძველი ქართული მწერლობის როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეციალურ საკითხებში ღრმა განსწავლულობამ, განაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923-1960 წლებში გამოიცა ოთხჯერ). ორტომეულის საფუძველზე მან შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი" (რუსულ ენაზე, 1938 წელი). 1955 წელს, რომში, გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კეკელიძის ორტომეულის I ტომი.

კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, 1948-54 წლებში გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი. განუზომელია მისი ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 წლებში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930 წელს — ნ. ციციშვილის „შვიდი მთიები", 1935 წელს — იოანე საბანის ძის „აბო თბილელის წამება" და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", 1936 და 1948 წლებში — იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938 წელს — „ვისრამიანი" (თანარედაქტორები ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა), 1941 წელს — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და სხვ.

1959 წელს ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადოებამ დიდი პატივისცემით აღნიშნეს კორნელი კეკელიძის დაბადების 80 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. საღამოზე სიტყვით გამოვიდა მხცოვანი მეცნიერი, რომელმაც დარბაზში შეკრებილებს დიდი სიყვარულით მიმართა. წარმოთქმულ სიტყვას გთავაზობთ შემოკლებით:

„...ჩვენს თვალწინ შეიქმნა ახალი, წინათ გაუგონარი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც ქართველოლოგია ეწოდება და რომელიც მძლავრ ნაკადად ერთვის მსოფლიო მეცნიერების ოკეანეს. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ არცერთი საკითხი ძველი კულტურის და მწერლობის ისტორიიდან არ შეიძლება ამომწურავად გადაწყდეს, თუ ანგარიში არ გაეწია მდიდარ ქართულ მასალებსაც...

ქართველოლოგიის მიერ ასეთი ყურადღების მოპოვების საქმეში პატარა, უმნიშვნელო როლი მეც მითამაშია. 55 წლის განმავლობაში მე არ მამოძრავებდა არც „სახელის მოპოვების" არც „სენსაციების" გამოწვევის სურვილი, მე ვემსახურებოდი მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული ჭეშმარიტების გამოვლინებას და შემდეგი პრინციპებით ვხელმძღვანელობდი: ა) ისტორიული ჭეშმარიტების გამოვლინება უნდა ემყარებოდეს არა უნიადაგო ჰიპოთეზებსა და მოსაზრებებს, არამედ მყარ და შემოწმებულ ისტორიულ ფაქტებს; ბ) ნამდვილი ისტორია არ საჭიროებს შეკეთება-შელამაზებას, რა მოსაზრებითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული (უფრო ხშირად ეს ხდება ყალბად გაგებული „პატრიოტიზმის" ქურქში); გ) მეცნიერულ მუშაობაში საჭიროა კრიტიკა, მაგრამ კრიტიკად არ უნდა საღდებოდეს ინსინუაციები და ლანძღვა-გინება; დ) საჭიროა პოლემიკაც, მაგრამ არა ისეთ ადამიანთან, რომელიც შეუპყრია წინასწარ აკვიატებულ აზრს და არა ჭეშმარიტების მოპოვების სურვილს; ე) მზად უნდა იყო შეცდომის გამოსწორებისათვის; ის ადამიანი, რომელსაც ეშინია ან რცხვენია თავისი შეცდომების გამოსწორებისა და ამიტომ — „უცილობლობს ვითა ჯორი", მეცნიერად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ასეა, თუ ისე, ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული მუშაობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ჩვენ ხალხს შეეგნო და შეეცნო – რას წარმოადგენდა ის კულტურულად შორეულ წარსულში. რა გავაკეთეთ ამ მიმართულებით, ამაზე სხვებმა იმსჯელონ.

გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას და ხალხს, გაუმარჯოს ჩვენს მეცნიერებას, ვუსურვოთ მას წინსვლა და წარმატება. მადლობა, დიდი მადლობა ყურადღებისა და პატივისცემისათვის, ჩემი პატარა დამსახურების ასეთი დიდი შეფასებისათვის. მართალია მოვხუცდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამკარგვია უნარი და სურვილი ხალხსა და სამშობლოს ვემსახურო".

კორნელი კეკელიძე 1962 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

იერუსალიმში „ძველი ქალაქის“ გათხრები მიმდინარეობს

იერუსალიმში გრძელდება არქეოლოგიური გათხრები „ძველი ქალაქის“ რაიონში. 21 ივნისს დამთვალიერებლებისთვის საგანგებო გადასახედი გაიხსნა, რომლიდანაც კარგად მოჩანს უძველესი ხანის ნანგრევები: ქალაქის კედელი, ჭიშკრის ნარჩენები და მასთან დაკავშირებული შენობა. გათხრები ჩატარდა ე.წ. დავითის ქალაქის საზღვრებში და ტაძრის მთის ძირას. არქეოლოგთა მონაცემებით, კედლების სიგრძე 70 მეტრია, იგი ქრისტეს შობამდე X საუკუნეში აიგო და, სავარაუდოდ, იმ კომპლექსის ნაწილი იყო, რომელიც მეფე სოლომონმა ააგო.

კვიპროსის ეკლესიის მეთაური ბრიუსელს ეწვია

2011 წლის პირველი ნახევარი კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს II-ისათვის მეტად დატვირთული იყო საზღვარგარეთის ვიზიტებით. 27 ივნისს იგი ბრიუსელში ჩავიდა საგანგებო ღონისძიებაზე დასასწრებად, რომელიც ევროპარლამენტის დეპუტატების მიერ იყო ორგანიზებული.

ღონისძიების პროგრამაში შედის ფოტოგამოფენა „ევროპის ფანჯარა კვიპროსში“ და კონცერტი. ამ ვიზიტის დროს ეკლესიის მეთაური გეგმავს ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან შეხვედრას.

ფლორენციაში ქრისტიანობის დევნის შესახებ იმსჯელეს

ფლორენციის ევროპული კვლევის ინსტიტუტმა, ორგანიზაცია „ცივილიზაციების კავშირთან“ ერთად, ჩაატარა საერთაშორისო სემინარი რელიგიური უმცირესობების უფლებების პრობლემების შესახებ. დისკუსიის მთავარი თემა იყო ქრისტიანული უმცირესობების დევნა სხვადასხვა ქვეყანაში და მათთვის შესაძლო დახმარების აღმოჩენა პოლიტიკოსების მხრიდან.

ფორუმის ინიციატივის ავტორი იყო ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოეს როდრიგეს საპატერო. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, ემსჯელათ აქტიურ საერთაშორისო ქმედებებზე ექსტრემიზმის წინააღმდეგ ერთაშორისი, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი დიალოგის დროს.

აშშ-ის მოსახლეობის 92% მორწმუნეა

Gallup survey-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ ამერიკელთა 92% მორწმუნეა. ახალი გამოკითხვით მიღებული ციფრი გაცილებით ნაკლებია 1967 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებთან შედარებით, მაშინდელმა სტატისტიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აშშ-ის მოსახლეობაში 98% მორწმუნე იყო. თანამედროვე მორწმუნეების 92%-ს შორის შიდა განსხვავებაცაა: მოსახლეობის 80% ამბობს, რომ სჯერა ღვთის, მაშინ როცა 12%-ს სჯერა „უნივერსალური სულისა“. არსებითი განსხვავებები გამოვლინდა აშშ-ის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის, მაგალითად, მამაკაცების 90% თავს მორწმუნედ მიიჩნევს, მოზარდებიდან, 18-იდან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, გამოკითხულთა 86% თავს მორწმუნეს უწოდებს, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთით მცხოვრებნი, კერძოდ — 86%, ნაკლებად რელიგიურნი არიან, ვიდრე სხვა რეგიონებში.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი ბაგრატ ცოცანიძე 1895-1948

დეკანოზი ბაგრატ ცოცანიძე 1895 წელს თელავის მაზრაში, თუშეთის მხარეში, ანტონ ცოცანიძისა და თებრონია რკინაულის ოჯახში დაიბადა. მამამისი — ანტონ ცოცანიძე მეცხვარეობით არჩენდა ოჯახს. დედა დიასახლისი გახლდათ. ბაგრატს ოთხი დედმამიშვილი ჰყავდა: მარე, იროდი, სოფიო და გიგო.

ბაგრატმა წარჩინებით დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. 1913 წლის 16 სექტემბერს იგი სიღნაღის მაზრის სოფელ საქობაოს წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1915 წლის 14 თებერვალს ოფიციალურად დაამტკიცეს შტატის მედავითნედ. 1916 წლის 6 ივნისს გურგვალჭალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს.

ამავე პერიოდში ბაგრატი დაქორწინდა თამარ კვესიაძეზე, რომელთანაც შვიდი შვილი შეეძინა: ბესარიონი, დომენტი, ნინო, ასმათი, ეთერი, იოსები და ვლადიმერი. ამათგან უფროსი ვაჟი — ბესარიონი მე-7 კლასში ტვინის ანთებით გარდაიცვალა, ხოლო მეორე შვილი — ორი წლისა. მამა ბაგრატი უაღრესად ნაკითხი და განათლებული პიროვნება იყო და შვილებსაც მუდამ სწავლისაკენ მოუწოდებდა: **„ძალიან ბევრს კითხულობდა და ბავშვებსაც სულ წიგნის კითხვის სიყვარულისკენ მოგვიწოდებდაო“**, — იხსენებდნენ მისი შვილები.

1918 წელს ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა

(ოქროპირიძე) ბაგრატი დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1919 წელს მღვდლად დაასხა ხელი და ქვემო ალვანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. დიდხანს არ დასცალდა მშვიდად მოღვაწეობა ახალგაზრდა მოძღვარს. 1921 წელს საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა. უღმერთო ხელისუფლებამ სასტიკად შეუტია ეკლესიასა და სამღვდელოებას. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისი უკიდურეს სიდუხჭირეში, ჩეკას ციხეებში ტანჯვა-წამებასა და მუდმივ დევნა-შევიწროებაში გაატარა. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს. ერთი წელი თბილისის საპატიმროში იჯდა. გათავისუფლებაში მას ციხის ფერშალი დაეხმარა. შემდეგ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს დააპატიმრეს, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრე და ხელისუფლების მოწინააღმდეგე. იგი დაასმინა თავისი დის მოჯამაგირემ, რომელიც ხელისუფლებამ მოისყიდა და აჯანყებულთა რაზმში შეაგზავნა. მამა ბაგრატი თელავის საპატიმროში წაიყვანეს. ტანჯვა-წამებისა და შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, სამმა კაცმა იგი დასახვრეტად გიგოს გორაზე წაიყვანა. საფლავი თავის ხელით გაათხრევინეს. მოძღვარს უთხოვია, მაინც მკლავთ და ლოცვა მაცადეთო. დაუცინიათ — **„ილოცე, შენი ღმერთი რას გიშველისო“**. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, ტყიდან ძლიერი სროლა რომ ატყდა. სამივე ჯალათმა თოფს წამოავლო ხელი და გაიქცა. სოფელში დაბრუნებული მოძღვარი რომ დაინახეს, ყველა გაოცდა: **„იმ ადგილიდან უკან ჯერ არავინ მობრუნებულაო“**, — იხსენებს დედის მონაყოლს მამა ბაგრატის ვაჟი.

მამა ბაგრატის ხელდამსხმელი ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე)

1926 წელს ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ალავერდელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ფხალაძე, შემდგომში — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) სკუფია უბოძა. დაჯილდოების სიგელში სწერია: **„ალავერდის საეპარქიო კანცელარია გაცნობებთ, რომ მღვდელი ბაგრატ ცოცანიძე სანთლის საქმის კარგად დაყენებისა და წარმოებისათვის მათი მეუფების, მელქისედეკ ალავერდელის მიერ დაჯილდოებულ არს სკუფიით. ალავერდის საეპარქიო კანცელარიის საქმეთა გამგე, დეკანოზი ლევან ვარდიაშვილი“**.

მოძღვრის ოჯახს წლების განმავლობაში სასტიკად ავიწროებდნენ, თუ რამე ებადათ, ყველაფერი ჩამოართვეს. ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულებს ახლობლები ეხმარებოდნენ, ძირითადად კი, მოძღვრის და — მარე და მისი ოჯახი. რისი წაღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გაჰქონდათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეკლესიის ეზოც კი მიისაკუთრა და მოძღვარს საარსებო წყარო მოუსპო. 1927 წელს მამა ბაგრატი ალავერდის საეპარქიო კანცელარიას ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებას სთხოვდა. იგი წერდა: **„ალავერდის ეპარქიაში არის შემთხვევები, რომელსაც ადგილობრივი აღმასკომები ჩემულობენ ეკლესიის ეზოებს და თვითონ სარგებლობენ მათი შემოსავლით (იღებენ დღეობების დროს გამართულ დუქნების ქირას და სხვ.). აქვს თუ არა ადგილობრივ აღმასკომს ამის უფლება?“**

1929 წლის იანვარში თელავის მაზრის მთავარ პროკურორს გადასცეს სამღვდელოების სია, სადაც ეპარქიის ზედმეტად დაბეგრილი მღვდლები და დიაკვნები იყო ჩამოთვლილი. ამ სიაში პირველი მამა ბაგრატი იყო მოხსენიებული: **„მღვდელი ბაგრატ ცოცანიძე ქვემო ალვანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი. ოჯახობით 5 სული. ცოლ-ქმარი ფიზიკურ შრომას მოკლებული, ძარღვების მოშლილობისაგან. არც მინა, არც სახლი, არც სხვა ქონება. ჰყავთ ერთი ფური და ერთი ცხენი. გადაახდევინეს 173 მანეთი. კიდევ მოსთხოვეს 120 მანეთი. მისი წლიური შემოსავალი შეადგენს 500 მან. ადმინისტრაციამ ჯერ 800 მანეთი შეაწერა, შემდეგ კი — 1277 მანეთი, რისი გადახდაც მას არ შეუძლია“.**

მიუხედავად უმძიმესი ჟამისა, მოძღვარი მტკიცედ იდგა. ქადაგებდა, ნათლავდა ბავშვებს, მუდმივად ატარებდა წირვა-ლოცვას და ქრისტეს სისხლსა და ხორცს აზიარებდა განამებულ მრევლს. თუ რა რთულ პირობებში უხდებოდა მას მსახურება, კარგად ჩანს ალავერდელ ეპისკოპოს სტეფანესადმი (კარბელაშვილი) მიწერილ წერილში, რომელიც 1930 წლის 30 მაისით თარიღდება:

„თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ძვირფასო მღვდელმთავარო და მეუფეო, უპირველეს ყოვლისა, მოგილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას ღმერთ-კაცის ქრისტე მაცხოვრისას და გისურვებთ დაესწროთ მშვიდობით, პატიოსნად, სიმრთელით, დღეგრძელობით, და რაც მთავარია, მართლმკვეთელობით ღვთისა სიტყვისა ჭეშმარიტებითა, ქრისტე აღსდგა! ალილუია!

ჩვენ ვცხოვრობთ მე და მამა იოანე ქააძე ისევ ისე, როგორც ვიყავით, იერიქონის კედლებივით მაგრად ვსდგევართ, ჩვენთვის არ არის საჭირო არც „მოქალაქე“, არც ჩოხა და არც ნაბადი. რაც შეეხება ნივთიერ გაჭირვებას, მგონი მოგხსენდათ ეს ჩვენგან. პირადად მე ისეთ დღეში ჩამაგდეს რომ, ერთი კვირის სამყოფი სურსათი სახლში აღარ გაუშვეს, ცოლ-შვილი მოელოდა ინდოეთურ სიმბილს, რომ მორწმუნეებს თითო-ოროლა ლიტრა ქუბელა და ფქვილი ან მჭადი არ მოეწოდებინათ, წართმეული

სურსათ-სანოვაგე არაფერი მოუციათ და დღემდე ვცხოვრობ თხოვნით. დამიბრუნეს მხოლოდ ძროხები და ცხენი, ცხენი შირაქში ჰყავდათ და იქვე ჩაუბარებიათ ჩემი ძმისათვის. ილიას ერთი ძროხა უკვე კოლექტივში მოუკლეს — ცუდი მოვლის გამო და ერთიცა დაუბრუნეს. სურსათი კი არც იმას და არც მე არაფერი მოგვცეს, განვიცდით მათხოვრულ მდგომარეობას.

აქ კოლექტივი აღარ არსებობს, მღვდელმოქმედებას ვასრულებთ ყველგან თამამად, ვინაიდან ხალხი მოიდრიკა სარწმუნოებისადმი ეხლა უფრო, ვიდრე წინეთ. არავინ არ გვიშლის ხელს. ილიაც ისევ დაუბრუნდა სამსახურს. შევასრულეთ პასექი ბრწყინვალედ. ნაფარეულში აღდგომას სწირა ფშავლის მღვდელმა, იქაც ხალხი დაესწრო ბლომად. ურწმუნონი ხალხის შიშით ვეღარ ჰქირდავენ სარწმუნოებას, თუ ვინმე გაბედავს — იქვე გააბრტყელებენ, ხალხი გათამამდა ამ მხრივ...

ხალხი მღვდელს ეძებს და მღვდელი აღარსად არის. სამებაშიც მშვენიერი ლიტანია ჰქონდა მამა იოანეს, ბლომად ხალხით, სამებობას დიდძალი ხალხი დაესწრო დღეობას.

თქვენი წერილი მივიღე და გადავეცი მამა ქააძესაც. ამიტომ მინდა გიპასუხოთ ზოგიერთზედ. თქვენ იწერებით თქვენს ნივთიერ გაჭირვებაზედ; ეს მართალია, მაგრამ შედარებით ჩვენ ამ საწყალმა სოფლის მღვდლებმა რაღა ვქნათ? და ან რაღა ვსთქვათ, არსაიდან არაფერი ნუგეში არა გვაქვს, რომელთაც მძიმე ტვირთვად გვაწევს ცოლ-შვილი და ოჯახი. რატომღაც გეპარებათ ყურადღებიდან ის, რომ ჩვენ, სოფლის მღვდლები ვიმყოფებით ნივთიერად კატასტროფულ მდგომარეობაში, ცოტაც და, დავეცემით სულით. კი მესმის ჩემი ზნეობრივი ვალი, მაგრამ რა გზით... როგორ...? მე პატარა შვილები, ავადმყოფი თავი და ცოლი... თქვენ? გაზრდილი შვილები, შემოსავლიან სამსახურში, რომელთაც შეუძლიან მოგაწოდონ ყოველთვიურად საკმარისი საზრდო, როგორც მოამაგე მშობელს. ამიტომ ჩვენთვის თქვენი შემოჩივილი რაიმეთი დახმარებაზედ უშედეგო იქნება, რადგან ჩვენ თვით ვსაჭიროებთ თქვენგან ნივთიერ და სულიერ დახმარებას. რაც შეეხება ჩვენი მხრით, გიშოვნოთ რამე არსებულ ფასებში, ამას შევასრულებთ დიდი სიამოვნებით. და ამ ცოტა ხანშივე გადმოვგზავნი ერბოს, კვერცხი არ არის. ქათამი ღირს ცალი 3 მანეთი. ყველი არ არის. მომწერეთ, მეუფეო, ერბო რამდენი გნებავთ, რომ გამოვგზავნო? ცოტა ხნის შემდეგ შეიძლება ახალი ყველი გაჩნდეს. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ვერ გინახულეთ, თქვენ ხან მანდა ბრძანდებით და ხან თბილისში და არ ვიცით, რა დროს გნახოთ, ხშირად კიდევ გამოსვლას ხარჯი უნდა და სად გვაქვს ფული. „სხვა ეპისკოპოსი გიწამებიათო" — ამას ვერ მივხვდი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ კი, რომ აბა, როგორღა ვიწამო ან კათოლიკოზი ,ან ეპისკოპოსი? რა დღეში გვაგდებენ? სად არის საქართველოს ეკლესია? იგი მთლად მოისპო და თქვენი კათალიკოზი კი მშვიდათ აცხადებს... ვაი, სირცხვილი. ალბათ კათოლიკოზი სიო-

ძველო ალვანის ეკლესია

ნის ეზოში მშვიდათ გრძნობს თავს, არავინ სდევნის. ამაზედ მეტი დევნა როგორღა შეიძლება. ახლა ამ შემოდგომას მოგვცხებენ გადასახადს და მშვიდობით, მოვისპობით კიდეც და იქნება მეტიც გვიყონ. აქ ღირს ქათამი — 3 მანეთი; ყველი ერთი გირვანქა — 1 მანეთი და 20 კაპიკი; ერბო ერთი გირვანქა — 2 მანეთი და 40 კაპიკი; კარაქიც ესევე; კვერცხი — 5 კაპიკი. მე ვფიქრობ, ეხლა მანდ უფრო იშოვის კაცი ყველაფერს, ვიდრე აქ, სოფლად, რადგან აქ საქონელი დაანიავა კოლექტიობის გლეხობამ და აღარ არის არაფერი.

წერილი შეიძლება გამოატანოთ აქაურებისათვის პეტრეს ან სხვა ვისმეს, ფოსტით გვიანდება და ფულიც იხარჯება. ისეა აქ კოოპერატივი გაქესეტებული, რომ ქაღალდსაც ვერ იშოვი".

1930 წელს ალავერდელმა ეპისკოპოსმა სტეფანემ (კარბელაშვილი) მღვდელი ბაგრატი სოფელ ახალსოფლის (ყოფილი ძველი გავაზი) სამრევლოში გადაიყვანა, სადაც სარწმუნოების მხრივ მეტად მძიმე სიტუაცია იყო. გაუსაძლისი პირობები დახვდა ახალსოფელში მამა ბაგრატს. ადგილობრივი ახალგაზრდობა მტრული თვალით უყურებდა ეკლესიის არსებობას და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცდილობდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მოძღვრისათვის. გამწარებულმა მღვდელმა თხოვნით მიმართა ეპისკოპოს სტეფანეს, ისევ გადაეყვანა თავის ძველ ადგილას. აქვე მოვიყვანთ ამ წერილის შინაარს: **„თქვენო მეუფებავ! მე დავემორჩილე თქვენს ბრძანებას და არც შემიძლია არ დავემორჩილო, და აი, უკვე 1 ნოემბრიდან მე ვიმყოფები ახალსოფელში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ცხვარი მგლებში; მე, როგორც ნერვებით სუსტს და ავადმყოფს, არ შემიძლია ავიტანო ამ გათავხედებული ბიჭბუჭების ბრბოს სისაძაგლე, რომლებიც ხშირად მგმობენ. მე ჩემი შეურაცხყოფა კი არ მწყინს, არამედ ის, რომ ეს უბედური ხალხი რამ დასცა პირუტყვის ხარისხამდე? რამ დაუკარგა გულში სარწმუნოებრივი გრძნობა? ორში ერთი — ან უნდა სამაგიერო გადაუხადო სიტყვით, ხელით, ჯოხით, სამართლით, ან უნდა დავწყევლო ეს თავზეხელაღებულნი და გავიქცე — სად? არ ვიცი! ალბათ ისევ იქ, სადაც ვიყავი.**

მამა ბაგრატი ოჯახთან-ერთად

მე თუშებში სარწმუნოების აშკარა შეურაცხყოფას შეჩვეული არ ვარ და ჩემთვის იქვე სჯობია, თუმცა მორწმუნენი აქაც მრავლად არიან. მაგრამ მე გული მიფუჭდება, გინდაც ათას მორწმუნეში ერთი გამოერიოს ზემოხსენებული წყეულთაგანი და ვხდები ავად. აქ ყოფნა მართლაც მღვდელ-მონაზონ თორნიკეს (აჭაიძე) მოუხდებოდა, მაგრამ აბა, რას ვიზამ, ის არის საამათოდ ჩამოსხმული, ძელქვა კაცი, ვერაფერს დააკლებენ. ამიტომ გთხოვთ, რაც შეიძლება საჩქაროდ გამოგზავნოთ ვინმე აქ, სააქაოდ ზედგამოჭრილია მღვდელი იოანე მაღრაძე. აი, ის იქნება აქ კარგი, ყოჩაღი კაცია. ეხლა გიორგობისთვის გვინდა 10 გირვანქა სანთელი და ეგებ გამოგზავნოს დეკანოზმა ეპიფანემ ფოსტით. ამ ხელად გიგზავნით 20 მანეთს და დანარჩენს — გიორგობის შემდეგ. ვეცდები შეწერილი საეპარქიო გადასახადიც გაგინაღდოთ, მხოლოდ უარს ამბობენ იმ სამოგზაურო ხარჯზე, რომელიც მოგვიდათ მღვდელ-მონაზონ თორნიკეს გამო. ბინასაც მაძლევენ, თავისი საფასით, ე. ი. საბჭოს ხარჯზე, ეკლესიის შემოსავლიდან მპირდებიან პურის აკრეფას და სხვა, მაგრამ მე აქ ვერ გავსძლებ, ჯავრი მკლავს ამ ურჯულო ლაწირაკებისგან“.

1932 წლის 5 აპრილს ეკლესიაში ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მამა ბაგრატი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1932 წელს მამა ბაგრატმა მრევლის დახმარებით დაიწყო ილურთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შეკეთება. ამავე წლის 28 ივნისს თუშეთის ოლქის მთავარხუცესმა, დეკანოზმა იოანე ქააძემ და მამა ბაგრატმა ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს. ამასთან დაკავშირებით, მოძღვრის დისშვილი, ოლა ჩოგანაიძე იხსენებს დედის მონაყოლს: **„დღესასწაულებზე ილიურთის წმინდა გიორგის ეკლესიაში სწირავდა ხოლმე მამაო, სადაც იმ ხეობის ახლომახლო სოფლების მრევლი იყრიდა თავს. მსახურება გალობით აღესრულებოდა. მამაოს უმცროს დას, მარეს — ძალიან ტკბილი ხმა ჰქონია და მას ტაძარში სულ წინ აყენებდაო“.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ (ცინცაძე), რომელიც შეთავსებით 1930-1950 წლებში ალავერდის ეპარქიასაც განაგებდა, ამ დამსახურებისთვის, 1932 წლის 4 ივლისს მამა ბაგრატს დეკანოზის წოდება მიენიჭა.

დადგა ავადსახსენებელი 1937-38 წლები. ქვეყანაში დაწყებულმა რეპრესიებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. გამონაკლისი არც თუშეთის მხარე იყო. ოლქში დაიხურა ყველა ეკლესია. აღარ დარჩა არც ერთი მღვდელი. დააპატიმრეს და სამეულის განჩინებით დახვრიტეს ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ქააძე. იგივე ბედი ელოდა მამა ბაგრატსაც, რომელსაც ცოლ-შვილის ამოწყვეტით დაემუქრნენ. დიდი ტანჯვა-ნამების შემდეგ იგი იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა: „მე გინდ მომკლან, შვილებს რა ვუყოვო“.

მამა ბაგრატი ერთი პერიოდი თუშეთში, სოფელ ომალოს სკოლა-ინტერნატში მომმარაგებლად მუშაობდა. ჯანმრთელობაშერყეულ მოძღვარს ფიზიკურ მუშაობს ალვანის კოლმეურნეობაც აიძულებდა.

იგი სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ნანობდა ღვთისმსახურების დატოვებას, რამაც კიდევ უფრო დაუმძიმა ჯანმრთელობა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მამა ბაგრატმა თავისი ორი დისშვილი გაგზავნა წერილით კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან, რომლის წაკითხვის შემდეგ უწმინდესს თვალზე ცრემლი მოსდგომია და ამოუოხრავს: **„ეჰ, ბაგრატ, ბაგრატო“.** მრავალტანჯული მოძღვარი 1948 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფელ ქვემო ალვანის საერო სასაფლაოზე.

ბარეკანზე დაბეჭდილი პლატინის მონასტრის ხატის ავტორია - ლაშა კინწურაშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ჯაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ფოტომატიანე

მიტროპოლიტი ამბროსი (მიქაძე) 1728-1815

მიტროპოლიტი ამბროსი, ერისკაცობაში — ზაქარია იოსების ძე მიქაძე, 1728 წელს, ქ. თბილისში, სიონის ტაძრის დეკანოზის ოჯახში დაიბადა. მის მიერ 1742 წელს გადაწერილ კონდაკში არის გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი: **„აღვსწერე წლისა ათოთხმეტისამან“**, საიდანაც დგინდება მისი დაბადების თარიღი. გადმოცემით, ზაქარიას წინაპარი ამბროსი მიქაძე XIII საუკუნეში დადიანს უჩუქებია ქართლის მეფისათვის, დედოფალს კი ის სამღვდელოდ აღუზრდია და სიონის დეკანოზად უკურთხებია. ამის [illegible]მადასტურებელი საბუთი დაბეჭდილია (აქტები II, [illegible]7). ამ პირის ჩამომავლად თვლის თავს ამბროსი ნეკრესელი. ზაქარიას მამა, იოსებ მღვდელი, სიონის დეკანოზი იყო. სიონშივე მსახურობდა იოსების მამაც, ასევე ამბროსი. 1771 წელს ამბროსი, მიტროპოლიტ ამბროსის პაპა, უკვე გარდაცვლილია, მას დარჩენია ქვრივი მარიამი და ობოლი იოსები.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ის ვაჟი იოანე ბატონიშვილი თავის წიგნში **„მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“** მიტროპოლიტ ამბროსის შესახებ წერდა: **„ესე ზაქარია, ზედწოდებით ამბროსი, ძმა იყო სიონის დეკანოზის ნიკოლოზისა. იყო მეცნიერი, საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, კვალად უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა, ეგრეთვე მხედრულისა ხელისა. ამანაც მრავალნი საღმრთონი წერილნი და ისტორიები გარდასწერნა. ესე იყო კარგი პიიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი. ამან აღაზრდა რაოდენიმე მოწაფენი. [illegible] უკანასკნელ მეფემან ირაკლი დაადგინა მწყემსმთავრად ნეკრესის ეკლესიისა ნეკრესელად და მუნცა იღვაწა კეთილად“.**

ცნობილი ისტორიკოსი და მეცნიერი პლატონ იოსელიანი მეუფე ამბროსისთან დაკავშირებით თავის წიგნში **„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“** საპირისპირო მოსაზრებას გვთავაზობს: **„1788 წელსა მოვიდა მეორედ მეფის ძე გიორგი დუშეთსა და თანა ჰყვა მას წილკნელი ამბროსი, კაცი სათნო და კეთილი, არა დახელოვნებული სწავლათა შინა, გარნა ყოვლად ტკბილი, დუმილისა მოყვარე და მშვიდი“.**

ახალგაზრდა ზაქარიამ კარგი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო განათლება მიიღო. დიმიტრი ჯანაშვილის ცნობით, ზაქარიას მასწავლებლები აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები — ბესარიონ ორბელიშვილი და ნიკოლოზ ხერხეულიძე ყოფილან. მეორე ვერსიით, იგი კათოლიკოს ანტონ I-ის გაზრდილი გახლდათ. ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის მოხდა მისი ხელდასხმა, შემორჩენილი არ არის. მის მიერ გადაწერილ ძველ ქართულ ხელნაწერებზე არსებული მინაწერებით დგინდება ზოგიერთი რამ. მაგალითად: XVIII საუკუნის 50-იან წლებში გადაწერილ ხელნაწერში **„იოანე ოქროპირი, თარგმანება იოანეს სახარებისა“** იგი წერს: **„რაოდენნიმე დაკლებულნი გამოვაცოცხლე მე, უღირსმან სიონის დეკანოზის შვილმან ზაქარიამ, და ლოცვით მოხსენიებას გევედრები, აღმომკითხველნო წმიდანო, რომ აწ მინდა ვცხონდე და თუკი ვცხონდები, თქვენ რაი გენაღვლებათ“.** 1757 წლით დათარიღებულ ხელნაწერზე „პროკლე დიადოხოსის, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ იგი ხელს აწერს, როგორც სიონის ტაძრის დიაკონი, ხოლო 1769 წელს გადაწერილ **„ანტონ I-ის კატეხიზმოში“** ზაქარია თავის თავს

იკორთის ტაძარი

სიონის ხუცესს და სიონის დეკანოზის შვილს — ხუცეს ზაქარიას უწოდებს. სავარაუდოა, რომ მისი მღვდლად ხელდასხმაც 1757-1769 წლებში მოხდა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, დაქვრივების შემდეგ, მღვდელი ზაქარია გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში მოღვაწეობს, სადაც ამბროსის სახელით ბერად აღიკვეცა. მონასტერში ყოფნის პერიოდში მან გადაწერა **„ითიკა“** და **„დაუჯდომელი ჯვრისა“**. ეს უკანასკნელი თხზულება მას ნინოწმინდელ მიტროპოლიტი საბას (ტუსიშვილი) დავალებით გადაუწერია. აქვე გადაუწერია იოანე ნათლისმცემლის მონასტრის საბუთები. სავარაუდოდ, 1775 ან 1776 წელს იგი იკორთის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. ეს დასტურდება 1777 და 1781 წლებში მის მიერ გადაწერილი კრებულიდან, სადაც ანდერძის სახით წერია: **„აღვწერე წილკნელმან, გარ-**

ნა პირველ იკორთის არქიმანდრიტმან უღირსმან ამვროსიმ, პალატასა საპატრიარხოსა, თვესა აგვისტოსა 4, წელსა 1777". აქედან ჩანს, რომ 1777 წლის 4 აგვისტოს ის უკვე წილკნელი ეპისკოპოსია. საქართველოს ისტორიის მკვლევარის, დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა (ბაგრატიონი) არქიმანდრიტ ამბროსის 1777 წლის 9 აპრილს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და წილკნის კათედრა ჩააბარა.

ეპარქიაში ჩასვლისთანავე ეპისკოპოს ამბროსის საკათედრო ტაძრის აღდგენა დაუწყია, მასვე წამოუწყია წმინდა ისე წილკნელის საფლავის შეკეთება. ამ დროისათვის წილკანი ლეკთა შემოსევების გამო მეტად საშიში ადგილი ყოფილა. ეპისკოპოსი იშვიათად წირავდა, არც ქადაგების მსმენელი ჰყავდა, არც მგალობელი, ენატრებოდა სადღესასწაულო მსახურებების ჯეროვნად აღსრულება: **„ქადაგების გარდაგდება, ლექსთა თქმა რა სახელია, წლამდის უწირავად დგომა ეპისკოპოსთ რა ხელია, და სხვა ცოდნა, ტიბიკონი, გალობა გარდამელია, და დღესასწაულთა გარდახდა თვალით არღა მნახველია."** წილკნის ეპარქიაში მოღვაწების პერიოდში, კერძოდ, 1787 წელს, ეპისკოპოსმა ამბროსიმ გამოისყიდა და წილკნის საკათედრო ტაძარს შესწირა „სამოციქულო". ამის შესახებ ვკითხულობთ თედო ჟორდანიას „ქრონიკების" III ტომში: **„მე, ყოვლადსამღვდელოს წილკნელს ამვროსის, მომიტანეს ქალაქიდამ ეს სამოციქულო. ერთს ვისმე სომეხს სახლში ჰქონებოდა და დიაღ მრავალი მწუხარება და სნეულება შემთხვეოდა. აქ წილკანს მე მომიტანეს და მე ისევ ამ ეკლესიაში დამიდვია. ამ ეკლესიის მნემ იცის ახლა; 1787 წელი".**

ასევე თ. ჟორდანიას „ქრონიკების" III ტომში ვკითხულობთ ლექსს, რომელიც ამბროსი მიტროპოლიტმა დაწერა კათოლიკოს ანტონ II-ის ეპარქიაში სტუმრობის დროს. უწმინდესმა ანტონმა დუშეთში დაიბარა წილკნელი ამბროსი, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ვერ ეახლა მას, ამიტომ თვით კათოლიკოსი მიბრძანდა წილკანში, სადაც მეუფე ამბროსიმ ეს ლექსი წარმოთქვა. იგი ასე იწყება:

„კათოლიკოსი მობრძანდა, წილკნელი მიეგებაო,
უბრძანა, რად არ წამოხველ, არა გაქვს
სიტყვის გებაო,
მაგრამ შენდობის ღირსი ხარ, არ მინდა
შენზედ კრებაო,
და, ახლა დაჯექ და თქვი რამე, რაც ცეცხლი
შენ გედებაო".

არაგვის ხეობაში 15 წელი იმსახურა მეუფე ამბროსიმ, რომელიც გაჭირვებითა და წინააღმდეგობებით ყოფილა აღსავსე. 1792 წლის 16 თებერვალს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ იგი თბილისში, სასახლეში დაიბარა: „ცისკრის ალილო აღარავის ახსოვს, ჩამოდი და გვასწავლე და იშოვნი რასმეო". თბილისში ჩასულ ამბროსის შაირი ეთქვა მეფისათვის:

„რა თქვენი ოქმი მებოძა, აღარ მივეც
თავი ძილსა,
უდაბნოში წინამძღვარსა, გამომახვეს
სიტყვა ტკბილსა,
იქ იკორთა დაუტევე, ვერც იქ ვენდე
ლეკის კბილსა,
წილკანს უარესი მიყვეს, ვერც აქ უძლებ
გუთნის თხრილსა.
კვალად ისმინე, ხელმწიფევ, აღარ ვსდგები
წილკანს მეო,
ვერც უშენოდ გავსძლებ სადმე, თუ გინდ
კარში გამაგდეო,
ჩემი გაძლება ჩემს გლახაკს, ჩემს სახლს
ახლო მიმაგდეო,
საოსტატოს არასა გთხოვ, მანდ შენს
მლოცველად დამაგდეო".

ერეკლე II-მ შეისმინა ეპისკოპოს ამბროსის თხოვნა და 1792 წლის 1 მარტს იგი მანგლისის კათედრაზე დაადგინა. 1794 წლის 2 დეკემბერს მეუფე ამბროსი ნეკრესის ეპარქიაში გადაიყვანეს და მიტროპოლიტის წოდება მიანიჭეს. 1794 წლის 4 დეკემბერს ახალი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ამბროსი ნეკრესის ეპარქიაში ჩაბრძანდა და სოფელ შილდაში ჩავიდა, მას ციხის კარზე დახვედრია მისი წინამოადგილის, მეუფე დოსითეოზის (ჩერქეზიშვილი) შესრულებული წარწერა:

„შემდგომად ჩემსა მოსრულო, ეკლესიისა სიძეო,
თუ ჩემებრ ქცევით იცხოვრო, დოსითეოსმან
გიძეო,
იყავ ცნობითა მაღლითა, გონება განაღვიძეო,
და, აწ თუ ჰსცნობ სიბრძნით ადვილ არს,
არა მცირე უნჯი გიძეო".

პასუხად კი მიტროპოლიტ ამბროსის დაუწერია:

„მე შემდგომ შენსა მოსრული, მიქაძე
ამვროსიძეო,
წილკნელ მანგლელ ნეკრესელი, ვის ამვროსი
სახელ მძეო,
აქ მყოფს არ მცირედ გიღვწია, დიდად
ვმადლობ შენი ძ[illegible]
და, აწ დამხვდა ციხე განძრცვილი,
შესამოსი კარგი ძეო".

ნეკრესის ეპარქიაშიც გახშირებული ლეკიანობის გამო კათედრა დაცემული და გაპარტახებული იყო, ამიტომ მეუფე ამბროსის სოფელ შილდაში მოუწყვია რეზიდენცია და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ეკლესიაც აუშენებია. იმავე წელს ეკლესიისათვის ზარი ჩამოასხმევინა. 1808 წელს ტაძარს შემოავლო გალავანი. ამ დროს ნეკრესის ეპარქიაში შედიოდა 86 კომლი ყმა-გლეხი, საეკლესიო შემოსავალი შეადგენდა 1200 მანეთს, მოქმედებდა 56 ეკლესია, მსახურობდა 49 მღვდელი, 17 — დიაკონი და 42 — მედავითნე-მგალობელი. „აღწერა საქართველოს საკათალიკოზო უწყებისა და მის ხელქვეითთა" გვაუწყებს, რომ 1800 წელს მეუფე ამბროსის სამწყსოში 14 სოფელი და 5 თავადი შედიოდა.

ამბროსის ნეკრესის ეპარქიაში მსახურება განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ჰომილეტიკური მოღვაწეობით. მღვდელმთავარი ერთიანი გულმოდგინებით ზრუნავდა სამღვდელო დასისა და ერისკაცთა განათ-

ლებისათვის, თხზავდა და წარმოთქვამდა ქადაგებებს. სადაც თვითონ ვერ ახერხებდა მისვლას, წერდა თავის ქადაგებებს რამდენიმე ცალად და მოძღვრებს ავალებდა, საჭიროების შემთხვევაში წაეკითხათ მრევლისათვის, ადგენდა კრებულებს ახლად დადგენილი მღვდლების განსასწავლად, განმარტავდა სახარების ტექსტებს, შექმნა სნავლა **„ყრმათათვის"** და სხვ. ამავე დროს მუშაობდა განათლების ხაზითაც. 1801 წელს, როდესაც მეფობა გაუქმდა, მიტროპოლიტი ამბროსი მოითხოვდა ერეკლე მეფის ანდერძის დამტკიცებას და მეფობის დატოვებას (ე. ი. იულონ ბატონიშვილის გამეფებას), სათანადო პეტიციასაც მოაწერა ხელი. ამით განრისხებულმა საქართველოს რეგენტმა დავით ბატონიშვილმა კათოლიკოს ანტონს მოსთხოვა ამბროსის ეპარქიის მმართველობიდან გადაყენება, ვიდრე თავს არ გაიმართლებდა. იგი თავიდანვე იყო რუსული ორიენტაციის მომხრე. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს, მეფის რუსეთმა გამოიყენა მიტროპოლიტ ამბროსის გავლენა და როგორც წილკნის ყოფილი ეპისკოპოსი, დაინტერესებულ მემამულე რევაზ ერისთავთან ერთად, მეამბოხეთა შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად გაგზავნა. მიტროპოლიტმა ამბროსიმ ეს მისია დადებითად შეასრულა.

წილკნის საკათედრო ტაძარი

1812 წლის 14 აპრილს მან გულნატკენმა დატოვა თავისი სამწყსო: **„მოხუცსა აღეშურნენ ვიეთნიმე უცებნი"**. თუმცა მალევე, 1812 წლის კახეთის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ, როცა მეფის ჯარმა კახეთი აიკლო, კერძოდ კი, ნეკრესელი მღვდელმთავრის რეზიდენცია, სოფელი შილდა გადაწვა და დააქცია, მხცოვანი მუეფე კვლად დაუბრუნდა თავის კათედრას და მიუხედავად ქვეყნის აოხრებით გამოწვეული მწუხარებისა, სნეულებისა და მოხუცებულობისა, კვლავინდებური ენერგიით შეუდგა მის განახლება-მოწყობას.

სიცოცხლის უკანასკნელი თვეები მიტროპოლიტმა ამბროსიმ თბილისში გაატარა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1815 წლის 11 მარტს, იგი გარდაიცვალა. დაკრძალულია სიონის საპატრიარქო ტაძარში.

მიტროპოლიტ ამბროსის ქალიშვილი თინათინი ცოლად ჰყავდა თბილისის სიონის დეკანოზს, თავად იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილს, რომელიც იშვილა ამბროსის ძმამ, სიონის დეკანოზმა ნიკოლოზ მიქაძემ და ამიტომ იოსებ ფალავანდიშვილი ატარებდა ორ გვარს: მიქაძე-ფალავანდიშვილი. მათი შვილები იყვნენ: მიხეილი (სასულიერო უწყების თარჯიმანი), ნიკოლოზი (XIX ს-ის 30-იან წლებში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი), ზებედე (ტყვეობაში დაკარგული) და იესე (1832 წლის შეთქმულების გამომძღვანებელი).

მიტროპოლიტ ამბროსის ჰყავდა ორი ძმა.

უფროსი, სიონის საკათედრო ტაძრის **დეკანოზი ნიკოლოზი**, საუკეთესო კალიგრაფი ყოფილა. მისი გადაწერილი წიგნები აღწერილი აქვთ თედო ჟორდანიასა და მოსე ჯანაშვილს. დეკანოზი ნიკოლოზი 1752 წელს თან ახლდა ათანასე თბილელს (ამილახვარი) მოსკოვში, სადაც ის 1754 წლის აგვისტომდე დარჩა. იქ ყოფნისას, 1753 წელს, მან გადაწერა ხელნაწერი **ა — 20** (ჟორდანია, ხელნაწერთა აღწერილობა I, 18), ამავე დროს, ის იყო სვიმონ ბატონიშვილის მეუღლის ანა პაატას ასულის მოძღვარი. დეკანოზი ნიკოლოზი სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზად მსახურობდა 1746-1752 და 1754-1767 წლებში. როგორც ჩანს, 1767 წლის შემდეგ მამა ნიკოლოზი ისევ რუსეთში წასულა. იგი მიიცვალა 1789 წლის იანვარში, ბოგოიავლენსკის მონასტერში.

მეორე ძმა, **არქიმანდრიტი კირილე,** მოსკოვში მოღვაწეობდა და იქვე აღესრულა. 1766 წელს მამა კირილემ გადაწერა ანდრია კრიტელის დიდნი გალობანი: **„მხილველთ მვედრი ვარ, ესრეთ უგვანად მწირობის ჟამს ვწერე მე, უღირსმან ბერმა არქიმანდრიტმა კირილე, ქალაქსა მოსკოვს, ოკტონბერს ე, წელსა 1766"**.

მიტროპოლიტი ამბროსი გახლდათ საუკეთესო მქადაგებელი. მისი ქადაგებანი, მარტივი ენით ნაწერთქმული, თავისი შინაარსით ორგვარი იყო: საკუთრივ რელიგიურ-დოგმატური და ისტორიულ-პუბლიცისტური. უკანასკნელი შინაარსის ქადაგებებში იგი ებრძოდა იმდროინდელი ქართველობის ცრუმორწმუნეობას (მკითხაობას, სიზმარს, ჯადოქრებს, ხევისბერებსა და დეკანოზებს).

1881 წელს თბილისში დაიბეჭდა მუეფე ამბროსის ქადაგებათა კრებული, სათაურით: „სიტყუანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ", დიმიტრი ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მატერიალური დახმარებით. ამ კრებულში შესულია 41 მოძღვრება. მისი დანარჩენი ქადაგებები გამოიცა 2004 წელს, მარნეულისა და რუსთავის ეპარქიაში მოღვაწე დეკანოზ მიქაელ ჭაბაშვილის მიერ.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს მიტროპოლიტ ამბროსის ერთ-ერთი ქადაგებიდან:

„განძვინებულნი მტერნი, თითქო თვით ჯოჯოხეთისაგან წარმოშობილნი, გარს ეხვევიან შთასანთქმელად ედემის კუთხეს, სადაც იბრძვის თავგანწირულად რიცხვით მცირე, გარნა ისტორიით ღირსშესანიშნავი ერი. საქართველოს ერი არ ძრწის: ქრისტეს უძლეველი ჯვარი აქვს მას საფარველად. მამულისადმი ცხოველი სიყვარული ამხნევებს მას. სათაყვანებელი ირაკლი, ერის ძალგრძნობათ შემაერთებელ-განმახორციელებელი, ჰყავს მას წინამძღოლად... დრომ და შრომამ განხარეს ირაკლი, ოჯახში უთანხმოების მომასწავებელ ნიშნათ დაჰკოდეს მისი გული. მისი ბასრი ხმალი თითქო დაჩლუნგდა, მის მოუღალავ მკლავს თითქო მოაკლდა ძალა... განეშორა საქართველოს მისი მფარველი — მეფე ირაკლი, მოეშალა მას საიმედო ბურჯი თვითარსებობისა. დაიწყო სამეფომ შემზარავი რყევა.

და რა არის მიზეზი ამ უბედურებათა? — ცოდვა ჩვენი; ეს ყოველივე ჩვენის ცოდვისა, მოუქცევლობისა ქრისტიანობაზე ჩვენგან ნაკლებად, უსასოდ მდგომარეობისაგან არის. ცოდვა განმრავლებულ არს, ცოდვამ გაგვაოხრა და ჩვენს ქვეყანასაც ჩვენი ცოდვა აქცევს, არღვევს და ამდაბლებს. მაშ, აბა, რომელი ქვეყანა გინახავსთ და გაგიგონიათ სიმართლისა და მადლისაგან დაცემული, დამდაბლებული?! ვაჲო! არ გესმისთ, ეს რა ამბავია?! განიღვიძეთ საქართველოს ერნო — სამღვდელონო, საერონო, დიდნო და მცირენო! ღმერთი აღარვისა გწამს?! დავყრუვდით, დავბრმავდით, არ გვესმის, ველარა დაგვინახავს-რა?! კაცმა თავის თავზე მოწევნილი განსაცდელი, თუ ჭირი, თუ მწუხარება, თუ სიგლახაკე, თუ სნეულება უნდა ღვთის მადლობით მოითმინოს, მაგრამ ხელის და ფეხის მოშვებით და ლეშის განსვენებით არა, არამედ ვითარცა გვამცნებს ეზრასა შინა მოხსენებული: „ოდეს მოვიდეს დღე მწუხარებისა და იწროებისა, უფროღა ნუ მოუძღურდები, სულთ ითქვენ და სცნა სადა იყავ, მაშინ შეგეწიო შენ“. ისმინეთ: დღე ესე დღე არს განხმობისა შრომით, მხურვალის ცრემლით და ღვთის ვედრებით, ლიტანიით, ღამისთევით, მარხვითა, ლოცვითა და ერთის რომელისმე სინანულისა და თავის თავში აჩემებულის ცოდვის მოკვეთით, რომ ღმერთმან ჩვენი ვედრება შეისმინოს, შეგვიწყალოს, გვილხინოს და ჩვენზედ აღძრული ეგოდენი უსჯულოთ მოსული მძლავრება დასცეს და დაამდაბლოს. მოვინანიოთ, რომ ამისგან უფრო შეწუხება და მეორედ მოსვლის მსგავსი მტრისაგან აოხრება ჩვენმა თვალმა არ დაინახოს, თორემ როგორც მადლს და ლოცვას მრავალი რამ კეთილი შეუძლია, ისე ცოდვის სიმრავლისაგან რაც არ გვეგონოს, იმას მოველოდეთ, მოვინანოთ და მივმართოთ მტერს? და ან რისა გვეშინის? უმწეონი თუ ვართ და უნუგეშონი — გვივის ჩვენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამ საქართველოს წილად ხდომილი და მრავალჯერ საქართველოს ერის შეწუხებიდან გამომხსნელი; მეწინავე და საჭურველ და ღონე მოკლებულ თუ ვართ და შეშინებულ — გვაქვს ჩვენ შემწედ და წინამძღოლ და ძლიერ საჭურველი ქრისტეს უკვდავი სისხლით შეღებილი ჯვარი, ძალ მეფეთა, სიმხნე მხედართა, მფარველ ქრისტიანეთა და ძლიერად დამცემელ, დამამდაბლებელ მებრძოლთა მტერთა ჩვენთა, რომლისა ძალითა ვსძლიოთ და უკუვაგდოთ მტერი იგი მოსული ჩვენზედა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“.



სიონის ტაძრის ინტერიერი

„საპატრიარქოს უწყებანი“ იბეჭდება საპატრიარქოს სტამბაში „პირველად იყო სიტყვა“

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.
რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის მღვდელმთავართა და სამღვდელოების თანამწირველობით სადღესასწაულო წირვა აღასრულა ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიაში. წირვის დასრულების შემდეგ მან ქადაგებით მიმართა მრევლს და არქიმანდრიტის წოდებით დააჯილდოვა ბოდბის ეპარქიაში მოღვაწე ხირსის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ლაზარე (გრძელიშვილი).

ხელდასხმა

12 ივლისს თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი). ლიტურგიის დროს მეუფე იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი გურამიშვილს.

მღვდელი გიორგი თბილისის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში (მერვე პოლკის დასახლება) იმსახურებს.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ქრონიკა

2011 წლის 29 მაისს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ნალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონ თომა კალანდიას.

მღვდელი თომა ნალენჯიხის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

2011 წლის 5 ივნისს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისსახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონ პავლე გოგოხიას.

* * *

2011 წლის 18 ივნისს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) კახათის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა გიორგი თოლორაია.

* * *

2011 წლის 19 ივნისს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა გიორგი ესებუა.

ტაძრის კურთხევა

10 ივლისს, წმინდა გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღეს, ძეგვის გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე, სადაც ასევე მოქმედებს სარეაბილიტაციო ცენტრი წმინდა გიორგი მთაწმინდელის ტაძარი ამოქმედდა. ტაძარი აკურთხა ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა. ეს ეკლესია შიო მღვიმის ბერებმა და ააგეს უმოკლეს დროში, მათი წინამძღვრის არქიმანდრიტ მიქაელის (გაბრიჭიძე) კურთხევითა და მონაწილეობით. ტაძრის არქიტექტორია ნიკო ზაზუნიშვილი, კანკელი შეასრულა — პაატა გიგაურმა, ხატმწერია თემურ ჯაფარიძე.

ფოტომატიანე

დეკანოზი ირაკლი აბაშიძე 1850-1926

დეკანოზი ირაკლი ანტონის ძე აბაშიძე 1850 წელს იმერეთში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი სავანის ეკლესიის დეკანოზ იოანე აბაშიძესთან და ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის ბერებთან ისწავლა. 1869 წლის 14 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) სპეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ განამწესა. 1875 წლის 29 ოქტომბერს შტატის მედავითნედ დაადგინეს. ამ პერიოდში ირაკლი დაქორწინდა დარეჯან გიორგის ასულზე (დაიბადა 1855 წელს), რომელთანაც ორი შვილი ეყოლა: ივლიანე (დაიბადა 1883 წელს, დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი) და ანტონი (დაიბადა 1888 წელს).

1877 წლის 7 აგვისტოს ეპისკოპოსმა გაბრიელმა ირაკლი დიაკვნად აკურთხა და სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დანიშნა. 1880 წლის 15 ივნისს მეუფე გაბრიელმა მღვდლად დაასხა ხელი და დარკვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა.

1881 წელს მამა ირაკლის პირადი სახსრებით განაახლა დარკვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია: გადაიხურა კრამიტით, დაიგო ახალი იატაკი, შიგნიდან გაილესა, ეკლესიას სამხრეთითა და დასავლეთის მხარეს მრევლის მოსასვენებელი ბუხრებიანი ქვითკირის შენობა მოაშენა, ტაძარს შესწირა სამღვდელო შესამოსელი და საეკლესიო წიგნები. ამ დამსახურებისათვის საჩხერის ოლქის მთავარხუცესმა მამა ირაკლის მადლობა გამოუცხადა.

1887 წლის 8 ივლისს, თავისი თხოვნის საფუძველზე, მამა ირაკლი ორღულის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. მასვე ჩააბარეს ღონის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. 1888 წლის 25 აპრილს ეპისკოპოსმა გაბრიელმა საჩხერის ოლქის სამღვდელობის სულიერ მოძღვრად დაადგინა. 1890 წელს მამა ირაკლის თაოსნობით ორღულის ეკლესიაზე მიწერილი ღონის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის შეკეთება დაიწყო. ეკლესია გაფართოვდა და განახლდა, აშენდა სამრეკლო, შეიმკო ტაძრის ინტერიერი, სახურავი ახლიდან გადაიხურა, დაიგო ქვის იატაკი და დაიდგა ახალი კანკელი, მოძღვარმა ტაძარს შესწირა სამღვდელო წიგნები და შესამოსელი, ასევე სხვა საღვთისმსახურო ნივთები. 1891 წლის 22 თებერვალს მეუფე გაბრიელმა ღონის ეკლესიაზე გაწეული მზრუნველობისათვის იგი საგვერდულით დააჯილდოვა. 1896 წელს საჩხერის ოლქის სამღვდელოებამ მამა ირაკლი სამი წლით ქუთაისის სასწავლო მიტეტის შეკრებაზე დამსწრე დეპუტატად აირჩია. 1899 წლის 2 აგვისტოს სკუფია უბოძეს. 1906 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

1913 წელს მამა ირაკლიმ პირადი სახსრებით მთიან სოფელ დავაეთში, სადაც მხოლოდ 26 მოსახლე ცხოვრობდა, ააშენა ახალი ქვითკირის ეკლესია, ტაძარი შიგნიდან გამშვენდა და მოიხატა, შეიმკო სხვადასხვა საჭირო საეკლესიო ნივთებით, სამღვდელო შესამოსლით. 1914 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1916 წელს ძველი ტაძრის ადგილას ააშენა ღონის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, თავისი შესაფერისი საუკეთესო სამსართულიანი კანკელითა და მხატვრობით, შესწირა საეკლესიო წიგნები.

დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა მღვდელი ირაკლი 1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ქუთაისის კათედრაზე ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) დანიშვნა, რომლის მოღვაწეობასა და დამსახურებას დედაეკლესიის წინაშე დიდად აფასებდა მამა ირაკლი. 1917 წლის 27 ოქტომბერს ეპარქიაში ახლად ჩასულმა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა იმოგზაურა საჩხერის და ჭიათურის მაზრებში, სადაც მას გულითადად შეხვდნენ სამღვდელოებამ და მრევლმა. 30 ოქტომბერს მეუფე ეწვია ჯრუჭის მონასტერს და წირვა აღავლინა ადგილობრივი სამღვდელოებისა და მონასტრის კრებულის თანამწირველობით. როგორც გაზეთი „ჩვენი ქვეყანა" აღნიშნავდა, იმ დღეს ჯრუჭის მონასტერს დიდძალი მრევლი მოაწყდა. განიცადეზე, მიტროპოლიტ ანტონის ლოცვა-კურთხევით, შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა მღვდელმა ირაკლი აბაშიძემ. ქადაგებას გთავაზობთ შემოკლებით:

სავანის წმინდა გიორგის ეკლესია

„ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო. შემოკრებილნო წმინდასა ამას მონასტერსა შინა. მე უღირს მონას ღვთისას, მინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნო დღევანდელი სასიხარულო შემთხვევა, წმინდისა და დიდებულისა ამის სავანისა, რომელსაც ეწვია დღეს მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ მიტროპოლიტი ანტონი და განეახლა მონასტრის ძმათა ის რწმენა, თითქო მკვდრეთით აღსდგა თავდადებული მოღვაწე და საყვარელი შვილი ამა მონასტრისა მიტროპოლიტი დავით და სწირავს უსისხლო მსხვერპლს უზენაესს განგებას, ივერიის ეკლესიის ერთის საუკუნის განმავლობაში მონობიდამ განთავისუფლებისათვის, და ამა სასიხარულო შემთხვევით ივიწყებს მონასტერი განვლილ მწუხარებას, რომელსაც განუცდია წარსულის მთელს საუკუნეში მრავალგვარი ძარცვა, გლეჯა, თავდასხმა და სხვა შეუწყნარებელ-შეუფერებელნი ძვირის საქმენი, მაგრამ თვისი დიდებული სახე დღემდის კიდევ საკმაოდ შეუნარჩუნებია, იმ იმედით რომ, მოელოდა იგი უსამართლო მტარვალის მონობიდამ განთავისუფლებას, რომლის მოლოდინის აღსრულების მოწმენი გავხდით ჩვენც, და ან შემდეგ განთავისუფლებისა მოელის მონასტერიც აღდგენას აღყვავებას ისევ ისრე, როგორც განიცდიდა ნეტარ ხსენებულის დავით მიტროპოლიტის წინამძღვრობის დროს.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ „იმედი" და „მომავლის ცოდნა-არ ცოდნა" არის ერთი საუკეთესო მასაზრდოებელი იარაღი ადამიანისათვის ცხოვრებაში. იმედი არის ადამიანისათვის, მრავალგვარი ჭირ-ვარამის აღმასუბუქებელი საგანი. იმედით სულდგმულობს იგი, იმედით მოელის იმას, რაც დღემდის ქონია, თუ არ ქონია. იმედით ეძლევა ძალღონე და იმედითვე იწყებს იმისთანა რამე საქმის შექმნას თავისდამი საკეთილდღეოდ, რაზედაც მას შეიძლება ხელს არ უწყობს.

ამგვარივე გავლენა აქვს ადამიანზედ მომავლის ცოდნა-არცოდნასაც; დღეს არა აქვს, ხვალისათვის კი მოელის, დღეს უძლურია, ხვალისათვის სიხარულს

განიცდის; ერთის სიტყვით, იმედით და მოლოდინით ადამიანი მრავალ ტანჯვას აიტანს, სწორედ ისრე, როგორც ივერიის წმინდა ეკლესიამ განიცადა მთელის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდამ. ერთმორწმუნე რუსეთის ძლიერმა მთავრობამ, სხვა შეზღუდვასთან ერთად, მოუსპო ივერიის ეკლესიას სათავეში მდგომნი იმისთანა საუკეთესო წინამძღოლნი, ქომაგნი და დარაჯნი, როგორც იყვნენ, პატრიარქ-კათოლიკოსნი და მიტროპოლიტნი და დასტოვა მხოლოდ ეპისკოპოსების გავლენის ქვეშ; და ისიც განსაზღვრულის უფლებით. ამ ეპისკოპოსებსაც, რადგან სრულ უფლებანი არ იყვნენ, ძალიანაც რომ მოენდომებიოსთ ახალი რამეს შექმნა ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ, უკეთუ რუსეთის უმაღლესს მთავრობას არ მოეწონებოდა, იმისთანა რამე მსჯავრს დასდებდნენ, რომ არავითარი მნიშვნელობა მათ მოსაზრებას არ ექმნებოდა, მაგრამ რადგან სხვა ძალა არ შესწევდათ, ყოველთვის და

ჯრუჭის მონასტერი

მუდამ მტკიცედ სულდგმულობდნენ და იტანდენ ყოველგვარ შეზღუდვას იმ იმედით, რომ შემდეგისათვის მოელოდა გამოხსნას და თავის უფლების აღდგენას, უკანასკნელად აღივსო ფიალა მოთმინებისა, აღმოხეთქა გულმა თვისნი ნადებნი, ვითარცა მყარი კლდიდამ მჩქეფარე ნაკადულისა, და მოლოდინიც აღსრულდა; აღსრულდა ნება ღმრთისა და მისის შემწეობით აღადგინა ივერიის ეკლესიამ იგივე ჩამორთმეული თავისი უფლება, რაც ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, რასაც ხელი შეუწყო 1905 წელს რევოლუციის დაწყებამ, რომელსაც გამოეხმაურნენ, ამავე დროს, კეთილმსახურნი და მომავალის იმედით მტკიცედ აღჭურვილნი სასიქადულო და ღირსეულნი შვილი საქართველოს ეკლესიისანი, მღუდელმთავრები — კირიონ, ლეონიდე და მათნი თანა მგრძნობი ყოვლადსამღუდელო ეპისკოპოსი და აწ მაღალყოვლადუსამღუდელოესი მიტროპოლიტი ანტონი, რომლებმაც აღიმაღლეს ხმა და იტვირთეს საქმის წინამძღოლობა ამ დიად საპასუხისმგებლო ასპარეზზედ. ვითარცა ერთის საუკუნის მონობიდამ განმანთავისუფლებელი ივერიის წმინდა ეკლესიისა, აღიღეს ბჭენი მამათმთავრობისა, იკისრეს მენავეთა უხუცესობა, მოიპოვეს თანაგრძნობა სრულიად საქართველოს კეთილმორწმუნეთა ერთა, და გამოიყვანეს ძალმომრეობის მონობისაგან ივერიის წმინდა ეკლესია, რომელთ მეოხებითაც აღსდგა მკვდრეთით დედა ივერიის წმინდა ეკლესია და თან აღადგინა თვისი კეთილმორწმუნე და მისთვის თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში თანამგრძნობი და თავგანწირულნი ერნი საქართველოისა.

განბრწყინდა კვალად მიმქრალი ლამპარი ივერიის წმინდა ეკლესია-მონასტერთა. გარდამოხეთ[illegible] კეთილსუნნელოვანმა მირონმა მცხეთ[illegible] საკათოლიკოსო საკათედრო ტაძრის ეზოდამ, ამა მიმდინარეს წლის ოქტომბრის რიცხვს, და მორწყო მისდამი კუთვნილნი ივერიის არემარე, რომელიც გუბდებოდა ერთის საუკუნის განმავლობაში. განელდა ის საისტორიო კვიპაროზის ხე, რომელიც ძირი უსასყიდლოდ და უხვად უწდიებდა კეთილსუნნელოვანს და სამკურნალოს მირონს ერთა საქართველოისათა.

ეს დიადი შემთხვევა მომაგონებს წარსულის იმ სასიხარულო დროს, რომელსაც განიცდიდა ერთის საუკუნის უკან ამა მონასტერსა შინა დამსწრე ერი ქართველთა და განსაკუთრებით დამაარსებელნი ამა მონასტრისა თავადნი წერეთლები, რამოდენიმე შემთხვევაში კათოლიკოს-პატრიარქების და რამდენიმე შემთხვევაში მიტროპოლიტების მიერ წმინდა უსისხლო მსხვერპლის შეწირვით და ერისადმი ლოცვა-კურთხევის გადაცემით. და რადგან დღ[illegible] განახლდა და ვიხილეთ წასრულის ერთის საუკუ[illegible] განმავლობაში არღარა ხილული სრულუფლებიანი მიტროპოლიტის მიერ ესრეთი დიადი სასიხარულო შემთხვევა. წმინდა უსისხლო მსხვერპლის შეწირვით და ლოცვა-კურთხევის გადმოცემით, ამისათვის ეწოდების დღესა ამას დღე ნეტარებისა, დღე სიხარულისა და ბედნიერებისა, დღე იმ საკვირველთ დახსნისა და დამსხვრევისა, რომელიც წასრულის ერთის საუკუნის მიმდინარეობაში ბორკავდა ხელთა და ფერხთა, გრძნობასა და თავისუფალ ენასაცა კი ქართველთა ერისათა.

ამავე დროს, მაგონდება გულის მომწყველი შემთხვევა იმ დიდებულის და ღრმად სამახსოვარის და სრულიად იმერეთის მნათობის და ამა მონასტრისათვის ქრისტეს მაგიერის, მაღალყოვლადუსამღუდელოესის დავით მიტროპოლიტისა, რომლის წინაპრებს დაუარსებიათ ეს დიდებული მონასტერი და გაუმდიდრებიათ; ხოლო მას, ნეტარხსენებულს მიტროპოლიტ დავითს,

აღუმსია ყოვლის ნამეტნავით, როდესაც ორ პატივცემულ და ღირსეულ მღვდელთა უბოძა დეკანოზობის ხარისხი, დანიშნულს დღეს ერთი მათგანი აკურთხა კიდეც და მეორე, მეორე დღისათვის უნდა ეკურთხებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე დღეს, როდესაც პირველი დეკანოზი აკურთხა ნაწირევს ბრძანება მიიღო უწმინდესის და უმართებელესის სინოდისაგან, რომ დეკანოზად აღარავინ აკურთხოვო, ამ ბრძანებით მეორე მღვდელიც დარჩა დეკანოზად უკურთხი. ვინ იცის, უკანასკნელს წუთებში რაოდენი რა სამწუხარო მოგონება მიყვებოდა განსვენებულს ამ უფლების შეზღუდვით და მასთან ერთად შთაესვენებოდა ცივ სამარეში, მაგრამ თითქო ვერ დაიტია ვერც სამარემ ესრეთი უსამართლო დამონება, სძლია ისევ თავისუფლების სიმართლემ და როგორც თესლი კეთილის და ნაყოფიერის ნიადაგისა, აღმოსცენდა და გამოიღო ნაყოფნი კეთილნი ასეულნი და ათასეულნი.

დღევანდელი დღე, როგორც ჩვენ, დამსწრეთათვის, ეგრეთვე ამა მონასტრის მომავლისათვის არის და იქმნება დაუვიწყარი, საისტორიო, რომელიც უნდა ვიდღესასწაულოთ ვალისამებრ წლითი წლად წმინდა გრძნობით; აღვადგინოთ სასოებით ჩვენს სულსა და გულში, ჩვენთვის მრავალდწამებული და ჯვარცმული თავი წმინდა ეკლესიისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ვადიდოთ იგი, და ამავე დროს, შევსწიროთ ჩვენი გულითადი გრძნობა და თაყვანისცემა, ესრეთი სასიხარულო სურვილის განხორციელებისათვის და ამით ვიქმნეთ განუშორებელ და თანაზიარ და მეგობარ ძისა ღვთისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც აღუთქვამს ყოველთა მართლმორწმუნეთა თვისთა განუსაზღვრელს იმედს — „მე თქვენათანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა, ამინ".

1918 წლის 13 ივნისს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) მღვდელ ირაკლის ეკლესიაში მრავალწლიანი ერთგული და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა. 1921 წლის აღდგომას ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) ენქერით დააჯილდოვა.

1922 წლის 12 აპრილს დეკანოზ ირაკლის ინიციატივით ორლულის ეკლესიაზე მიწერილი ღონის მთავარანგელოზთა ეკლესია ცალკე შტატად გამოცხადდა და თავისი მოძღვარი დაენიშნა.

1925 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით, ქუთაისგაენათის ეპარქიას გამოეყო მარგვეთის ეპარქია, რომლის სამწყსოში შედიოდა: ზემო იმერეთი (ტერიტორია — ნაწილი გაენათის ძველი ეპარქიისა), ახლანდელი შორაპნის მაზრა. კათედრა მღვდელმთავრისა — არგვეთში, რეზიდენცია — საჩხერეში. მღვდელმთავრის პატივი: **„მარგველი ეპისკოპოსი".**

1926 წლის 22 იანვარს ოზურგეთის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი

ეპისკოპოსი ვარლაამი (მახარაძე)

ვარლაამ მახარაძე მარგველ ეპისკოპოსად გამოირჩიეს. ამავე წლის 7 მარტს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) და ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (ცინცაძე) იგი ეპისკოპოსად აკურთხეს. ერთი თვის შემდეგ მეუფე ვარლაამი ეპარქიაში ჩავიდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ამ დროს დეკანოზი ირაკლი უკვე მძიმე ავადმყოფი გახლდათ. უძლურების გამო, მან ვერ შეძლო მღვდელმთავრისათვის ღირსეული დახვედრა მოეწყო. თუმცა 1926 წლის 15 მაისს, დილის ცხრა საათზე, როდესაც თავად მეუფე ვარლაამი ესტუმრა მას სახლში მოსანახულებლად, მამა ირაკლიმ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და მოკლე სიტყვით მიმართა ეპისკოპოს:

„ყოველი მოგონების დროს დღესასწაულობს, ორწლინახევრის უდიერის ავადმყოფობით და მოხუცებულობით საკმაოდ შედრეკილი გრძნობა ჩემი, მით რომელ, თქვენ მწყემსმან კეთილმან, ვითარცა გამკარგველმან ასიდამ ერთის ცხოვარისამან, არ მიაქციოს ყურადღება, არც დროს დაკარგვას და არც დაღალვას და წარმოემართეთ თქვენ მღუდელმთავარი, ვითარცა დიადი მოძღვარი და მოციქული ქრისტესი, ჩემ გაუცნობელის მოხუცებული და უძლური მღუდლის სანუგეშებლად და გასამხნევებელად, რათა არა წარგტაცოს სულიერმან მტერმან, უკანასკნელ წერტილადმდე მიკნინებული

სული ჩემი, მხოლოდ და მხოლოდ ერთის მღუდლის თან ხლებით.

იხილა რა თვალმან ჩემმან, თქვენი მეუფება მოულოდნელად ჩემს ძველ ქოხში შემობრძანებული, ავადმყოფობით და მასთან მოხუცებულობით დასუსტებული გრძნობა ჩემი მოუთმენელი სიამოვნებით წარტაცებული, გარდახდა იმ კალაპოტს, რითაც ისაზღვრებოდა იგი, არა მარტო მაზედ, რომ თქვენ ინახულეთ ჩემი უძლურება და მანუგეშეთ, არამედ იმ გულისხმისყოფით, რომ თქვენ ამით ნათლად აჩვენეთ მთელი თქვენი ეპარქიის სამღვდელოებას, რომ თქვენ მამაშვილურის გრძნობით გაქვთ გული გამსჭვალული და თანაუგრძნობთ ეპარქიის სამღვდელოებას ჭირსა და ლხინზედ, თქვენ ამით ნათლად და სპეტაკად აჩვენებთ სამღვდელოებას, რომ მტკიცედ ასრულებთ პავლე მოციქულის მოძღვრებას, რომელიც მიუწერს რომაელებს „გიხაროდენ მოხარულთა თანა, და სტიროდეთ მტირალთა თანა". რომლითაც უაღრეს წერტილამდე აკავშირებს კაცობრიობას ურთიერთ შორის სიყვარულითა, ვითარცა ერთმანეთის თანაგრძნობითა, ამით ამტკიცებთ თქვენ, რომ გტკივათ ყოველნაირი ტკივილი თქვენი სამღვდელოებისა.

მე, ამ განუსაზღვრელი სიამოვნებით აღჭურვილმან, მივიღე გადაჭარბებული კადნიერება და სხვას გარდა, სადილზედ თქვენ გვერდით თანხლების დროს, გარეშემოუსაზღვრელის ავადმყოფობისა გამო გონება მიხდილმან, თავშეუკავებელად, უსიამოვნოს ხმით, გულის კვნესით რომ შევაწუხე თქვენი მეუფება, ვერ წარმომედგინა, რომ ეს იყო გარდამეტებული კადნიერება ჩემი თქვენ წინაშე, რომელზედაც უუმდაბლესად ბოდიშს ვითხოვ, მეუფეო.

აწ, როგორც სულგრძელ კეთილ მწყემსს მობარებულის ცხოვარისას და უსასყიდლო მუშაკს ქრისტეს აგარაკისას, გთხოვთ, არ მოიხსენოთ ესრეთი ჩემი გადაჭარბებული კადნიერება და უკეთუ შეუბრალებელად გაგრძელდეს კიდევ ამ ავადმყოფობით ტანჯული სიცოცხლე ჩემი და გექმნესთ დრო და შემთხვევა აქეთ მოგზაურობისა, გააბედნიეროთ და დაატკბოთ სული ჩემი კიდევ,

დეკანოზი ირაკლი აბაშიძე

თქვენის მეუფების მიერ, ჩემს ღარიბ ქოხში შემობრძანებით და ლოცვა-კურთხევის ბოძებით.

ამასთანავე, ვითარცა მორწმუნე დედაკაცისაგან ქრისტესადმი შეწირულ წვლილს, გაახლებთ ჩემსა ბრძანების დროს მორთმეულის ვეცხლით მოჭედილ ჯოხს, და თქვენი წმინდა მარჯვენით ჯვარდასახულის, ჩემის ღარიბი ოჯახის ნაწარმოებიდამ ერთს რამკა თაფლიან ფიჭას".

მღუდელმთავარი საღამოს ხუთ საათამდე დარჩა მამა ირაკლის ოჯახში და სხვადასხვა ამბებითა და მოგონებებით ართობდა მას, რაზედაც ავადმყოფი მოძღვარი ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა.

დეკანოზი ირაკლი 1926 წლის 23 აგვისტოს გარდაიცვალა. 27 აგვისტოს მისი ცხედარი ოჯახის წევრებმა და სამღვდელოებამ დიდი პატივით მიაბარეს ჭალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს.

გარეკანის ფოტოს ავტორია გიორგი გაზაევი - „ექსპრესნიუსი" www.epn.ge

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

უცხოეთის რელიგიური ქრონიკა

არქეოლოგებმა წმინდა ფილიპე მოციქულის საფლავი აღმოაჩინეს

საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თურქეთში, ე.წ. ბამბის ციხის — პამუკალეს ტერიტორიაზე წმინდა ფილიპე მოციქულის საფლავი აღმოაჩინა. სწორედ ამ ადგილზე, ლეგენდის თანახმად, კლეოპატრა ბანაობდა. „უკვე მრავალი წლის განმავლობაში ვცდილობდით წმინდა ფილიპე მოციქულის უკანასკნელი განსასვენებელი გვეპოვა და ბოლოს და ბოლოს ჩვენი ძიება წარმატებით დასრულდა. იგი უძველესი ტაძრის ნანგრევებში ვიპოვეთ", — განაცხადა ექსპედიციის ხელმძღვანელმა, იტალიელმა მეცნიერმა ფრანჩესკო ანდრიამ. არქეოლოგის განცხადებით, საფლავი ჯერჯერობით გახსნილი არ არის, „მაგრამ მოვა დრო და მას აუცილებლად გავხსნით. ჩვენს აღმოჩენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც არქეოლოგიისათვის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის", — აცხადებენ მეცნიერები.

ძველად ანტიკური ქალაქი იერაპოლისი, სადაც განლაგებულია პამუკალე (თანამედროვე თურქეთის ქალაქი დენიზლი), მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც იქ მოწამეობრივად აღესრულა ერთ-ერთი ათთორმეტ მოციქულთაგანი — წმინდა ფილიპე, მისი მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. მოციქული დაახლოებით 81-95 წლებში, რომის იმპერატორ დომიციანის მმართველობის დროს აღესრულა. ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ ქალაქს „წმინდა" შეარქვეს, 395 წელს კი იგი ბიზანტიის მმართველობაში გადავიდა. მოციქულთა სწორმა იმპერატორმა კონსტანტინემ ქალაქი ფრიგიის ოლქის დედაქალაქად გამოაცხადა და ამავდროულად საეპისკოპოსოს სტატუსიც მიანიჭა. აქ იდგა წმინდა ფილიპეს სახელობის ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ადგილი იყო მცირე აზიაში.

ბიბლია მსოფლიოში 2 527 ენაზეა ნათარგმნი

ბიბლია ან ახალი და ძველი აღთქმის ცალკეული წიგნები ამჟამად მსოფლიოში 2 527 ენაზეა ნათარგმნი. ამავარად, ბიბლია რჩება ყველაზე გავრცელებულ და პოპულარულ წიგნად მთელ მსოფლიოში. მხოლოდ გასულ წელს ბიბლიის 19 თარგმანი განხორციელდა. ამჟამად ბიბლიის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია 469 ენაზე, ახალი აღთქმა ნათარგმნია 1239 ენაზე, ბიბლიის ცალკეული წიგნები გამოქვეყნებულია 827 ენაზე. თარგმანთა უმეტესობა დაბეჭდილია აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც, საერთაშორისო ასოციაციათა კვლევების თანახმად, ბიბლია ნათარგმნია 1063 ენაზე. თარგმანთა რაოდენობით (739) მეორე ადგილზეა აფრიკის კონტინენტი. მას მოსდევს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკა — 512 თარგმანი.

ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ბიბლიის 201 თარგმანი განხორციელდა. იგი ხელოვნურ ენებზეც ითარგმნება, მაგალითად, ესპერანტოზე ბიბლიის თარგმანის სამი ვერსია არსებობს.

იორდანიაში ქრისტიანთა გადინებას ეწინააღმდეგებიან

იორდანიის მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა შექმნეს კოალიცია, რომელიც ქვეყნიდან ქრისტიანთა გადინებას დაარეგულირებს. კოალიციის პრესსპიკერმა თაისირ ამარმა განაცხადა, რომ კოალიცია თავისი მოღვაწეობის გაშლას აპირებს იორდანიაში, წმინდა მიწაზე და არაბულ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანთა მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული ხდება. მან აღნიშნა, რომ 1967 წლის ომის შემდეგ დღემდე ქრისტიანთა რიცხვი იერუსალიმის აღმოსავლეთში, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე, 25%-იდან 1%-მდე შემცირდა. „ეს ნიშნავს, რომ სულ მალე იერუსალიმსა და ბეთლემში ქრისტიანობის ცოცხალი რწმენის ნაცვლად უბრალოდ მუზეუმები იარსებებს ადგილობრივი მორწმუნეების გარეშე", — აცხადებს პრესსპიკერი და იქვე დასძენს, რომ 2003 წელს ერაყის წინააღმდეგ ამერიკის მიერ წარმოებული ოპერაციის შედეგად ამ ქვეყნიდან 1,5 მილიონი ქრისტიანი წავიდა ემიგრაციაში.

ახლად შექმნილ კოალიციას მიესალმა იორდანიის პარლამენტის სენატის წარმომადგენელი თახერ ალ-მასერიც. მან პრობლემას მეტად აქტუალური უწოდა, თუმცაღა, პასუხისმგებლობა მთლიანად ისრაელს დააკისრა. მისი თქმით, ისრაელი მიილტვის, იერუსალიმი მხოლოდ ებრაულ ქალაქად აქციოს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

მღვდელი მოსე ნადირაშვილი 1894-1964

მღვდელი მოსე ნადირაშვილი 1894 წელს თიანეთის მაზრის სოფელ ბოდახევში პატიოსანი, კეთილმორწმუნე და ღვთის მოშიში გლეხის ოჯახში დაიბადა. მამამისი — გიორგი ნადირაშვილი სოფლის მეურნეობას მისდევდა. დედა — თამარ ჯანაშვილი დუშეთის მაზრიდან, სოფელ მაღაროსკარიდან გახლდათ. იგი ოჯახში ერთადერთი შვილი იყო. მეორმოცე დღეს მშობლებმა ჩვილი ყრმა არტაანის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში მონათლეს და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ მოსე უწოდეს. ნათლობის საიდუმლო შეასრულა მღვდელმა არსენ ფხალაძემ. ჯერ კიდევ პატარა იყო მომავალი მოძღვარი, როდესაც მოულოდნელად გარდაიცვალა მამამისი. მარტოდ დარჩენილმა დედამ მოსე მაღაროსკარში წაიყვანა, სადაც დამხმარედ თავისი ძმა ეგულებოდა. თამარის ძმა პროფესიით ოქრომჭედელი

იყო და ფინანსურად წელში გამართული ოჯახი ჰყავდა. ბიძის დახმარებით მოსემ პირველდაწყებითი განათლება სოფლის დაწყებით სკოლაში მიიღო, შემდეგ ცოდნის გასაღრმავებლად მონასტერში მიაბარეს, სადაც გამოცდილი და მოღვაწე ბერების დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მამა მოსეს კალიგრაფია, მას საუცხოო ხელი ჰქონდა, რაც იმ პერიოდში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში მოსე ნადირაშვილი სოფელ გომეწარში მცხოვრებ ელენე ფარნაოზაშვილზე დაქორწინდა, რომელთანაც ექვსი შვილი ეყოლა: მარიამი (გათხოვილი იყო სოფელ ბოდახევში), ნიკოლოზი (მოკლეს ყაჩაღებმა), დავითი (დაიკარგა მეორე მსოფლიო ომში), იოსები (მუშაობდა თბილისში), გოგია (ცხოვრობდა სოფელში) და მიხელი (მამაპაპისეულ სახლში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა).



არტაანის მთავარანგელოზთა ეკლესია

თავდაპირველად მოსე საქართველოს მთიანეთში, ერთ-ერთ ტაძარში მედავითნედ მსახურობდა. უმძიმესი წლები იდგა. ქვეყანაში კომუნისტური ტერორი მძვინვარებდა. სამღვდელოების დიდი ნაწილი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახვრიტეს, ზოგი რუსეთში გადაასახლეს, ზოგიერთმა კი შიშისა და ფიზიკური განადგურების გამო ანაფორა გაიხადა და საერო სამსახურში განაგრძო მუშაობა. დაიცალა მრავალი სამრევლო და სულიერი მოძღვრის გარეშე დარჩა მრავალრიცხოვანი მრევლი. სწორედ ამ დროს მოუწოდა უფალმა მოსე ნადირაშვილს საეკლესიო ასპარეზზე სამოღვაწეოდ. 1927 წლის გაზაფხულზე, თავისი მოძღვრის, თიანეთის ეპარქიის მთავარხუცესის, დეკანოზ გაბრიელ ჯინჭველაძის (შემდგომში — არქიმანდრიტი გიორგი) ლოცვა-კურთხევით, მან თხოვნა შეიტანა ალავერდის ეპარქიის კანცელარიაში და სამღვდელო ხარისხის მისაღებად გამოცდების ჩაბარება ითხოვა. აი, რას სწერდა იგი გაგზავნილ წერილში ალავერდელ ეპისკოპოს მელქისედეკს (ფხალაძე, შემდგომში — სრულიად საქართველის კათოლიკოს-პატრიარქი): **„წარმოუდგენ რა ამასთანავე თქვენს მეუფებას სოფელ არტაანის სამრევლოს მორწმუნეების დადგენლებას, რომლითაც მთხოვილობენ თავიანთი სამრევლოსათვის მღვდლად. უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მეუფებას, ინებოთ ჩემი გამოცდა და თუ საკმაო ცოდნა აღმომაჩნდება მღვდლის ხარისხის მიღებისათვის, ხელდასხმულ მყავთ ზემოაღნიშნულ სამრევლოსთვის“.**

ალავერდის ეპარქიაში არსებულმა საგამოცდო კომისიამ მოსე გამოსცადა და ღირსად ცნო სამღვდელი წოდების მისაღებად. 1927 წლის ზაფხულში ალავერდელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა იმოგზაურა თიანეთის სამთავარხუცესო ოლქში და მედავითნე მოსე ნადირაშვილი 7 ივლისს დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი და არტაანის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1927 წლის 3 დეკემბერს დეკანოზი გაბრიელ ჯინჭველაძე წილკნელ ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) წერდა: **„ჩემი მღვდელმთავრის დასტურით, 1924 წლის დამდეგს მე მივავლინე თქვენი ეპარქიის ზედაზნის მონასტრის მღვდელ-მონაზონი დანიელი (გილაშვილი) ბოდავის სამრევლოში, გარდაცვალებული მღვდლის მიხეილ ჩხაიძის ადგილზე, ხოლო 1925 წლის აპრილში გადავიყვანე სოფელ საყარაულოს დროებითი მღვდლის შტატში, რადგან საქართველოს ეკლესიის დებულების #52-ე მუხლის თანახმად, სამრევლოში უნდა მსახურებდეს მღვდელი და მედავითნე და არა ბერები. ამა წლის ივლისში აქ მობრძანებულმა ალავერდელმა მღვდელმთავარმა მელქისედეკმა მიიღო რა მხედველობაში უმწიკვლო და ხანგრძლივი სამსახური მედავითნეთა — მოსე ნადირაშვილისა და დავით მათურელისა, ინება მათი ხელდასხმა მღვდლად. პირველი — არტაანის ეკლესიაში, მეორე — საყარაულოს სამრევლოში, სადაც ის მსახურობს 32 წელია“.**

უმძიმეს დროში მოუხდა მამა მოსეს სამღვდელო ხარისხის მიღება. უღვთო ხელისუფლებისგან დაფანტული და დაშინებული მრევლი ეკლესიაში სიარულს ერიდებოდა, საჭირო იყო ხშირი წირვა-ლოცვის აღსრულება და აქტიური მოქმედება მათ გასაძლიერებლად და კვლავ დედაეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად. სულით დაცემული და გამოფიტული მრევლი ღვთის სიტყვის ნაკლებობას განიცდიდა. მამა მოსე

ცდილობდა ქადაგებისა და პირადი ცხოვრების მაგალითით განემტკიცებინა ჯერ კიდევ შემორჩენილი მრევლის ნაწილი. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა, ნათლავდა ბავშვებს, საეკლესიო წესით მარხავდა მიცვალებულებს, ასრულებდა ჯვრისწერებს და მიტოვებულ სამრევლოებში წირვა-ლოცვასაც აღავლენდა ღვთის სადიდებლად.

XX საუკუნის 30-იან წლებში ხელისუფლებამ გადასახადებისა და დაბეგვრის სახით გადაწყვიტა წელში გაეტეხა სამღვდელოება. მოძღვრებს დიდი გადასახადები შეაწერეს, რისი გადახდაც მათ არ შეეძლოთ. ამის გამო, მრავალი მათგანი იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და სხვა სამსახური მოეძებნა. აი, რას სწერდა მამა მოსე 1933 წლის დეკემბრის ბოლოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე): **„უზომო დაბეგვრისა და მეტისმეტი გადასახადების გამო ჩემი მოძღვრის, არქიმანდრიტ გიორგის (ჯინჭველაძე) რჩევით, მე გავერიდე თიანეთის მაზრას და გადავედი დუშეთის მაზრის სოფელ მაღაროსკარის საბჭოში, სადაც აქაურ კოლექტივში დავიწყე მუშაობა, რადგან არტაანში მღვდლად დარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო“.**

მაღაროსკარში ცხოვრების პერიოდში მამა მოსე სისტემატურად ვეღარ ახერხებდა საეკლესიო წესების შესრულებას, მაგრამ დროდადრო დაივლიდა ხოლმე ახლო-მახლო სოფლებს, მიტოვებულ ეკლესიებს უვლიდა და იქ დარჩენილ სიწმინდეებს სახლში უყრიდა თავს. ხშირად მრევლის ოჯახებშიც უხდებოდა სიარული, სადაც მორწმუნეებს ჰქონდათ გადამალული ტაძრის სიწმინდეები და სხვა საეკლესიო ნივთები. ამის დამადასტურებელი საბუთი ახლაც ინახება ნადირაშვილების ოჯახში. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: **„ერთი ეს მინდა კიდენ, უწმინდესო მეუფეო, მოგახსენოთ: მაღაროს კარის საბჭოში შემავალ სოფელ კუდოში აღმოჩნდა ერთ ოჯახში საეკლესიო ნივთები — ბარძიმ-ფეშხუმი, პატარა ტოლჩა, მდუღარეების წყლის საზიდი, ერთი სეფისკვერის თეფში და ორი ცალი პატარა შანდლები სპილენძისა. ამაზე რას გვიბრძანებთ, რა ვუყო ამ ნივთებს, მე მარტოდმარტო ვარ, ერთიც იქნებ, უცებად ვკვდები და მერე ვინ გაიგებს, რანაირი ადამიანების ხელში დარჩება ეს ძვირფასი და წმინდა ნივთები. ერთი კიდე თიანეთის საქმეა ისეთი, რომ თუ თქვენმა უწმინდესობამ არ გაიგო ეს ამბავი, ყოვლად შეუძლებელია რჯულიც შეინარჩუნო და აღარც ჩვენი მღვდელმოქმედება ღირს“.**

XX საუკუნის 40-იან წლებში შედარებით მოწესრიგდა ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა. სამღვდელოებას დართეს ნება შეესრულებინათ საეკლესიო წესები და დაეკმაყოფილებინათ მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილებანი. მთელი საქართველოს მასშტაბით 29 ეკლესია-მონასტერი გაიხსნა და ოფიციალურად დარეგისტრირდა 135 ეკლესიის მსახური. მათ რიცხვში მოხვდა მღვდელი მოსე ნადირაშვილიც, რომელიც იმ პერიოდში სიღნაღის რაიონში, სოფელ ქედის სამრევლოში ცხოვრობდა და იქ აღასრულებდა

კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი (ფხალაძე)

მოძღვრის მოვალეობას. რადგანაც სოფელ ქედაში მოქმედი ტაძარი არ იყო, იგი მიაწერეს ძველი გავაზის (ახალსოფლის) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც პერიოდულად ჩადიოდა და წირვა-ლოცვას ატარებდა. მამა მოსეს მრავალი ადამიანი ჰყავდა მონათული საინგილოშიც, სადაც დროდადრო ახერხებდა ჩასვლას და ქადაგებას. შემდგომში იგი კვალვ მაღაროსკარში დაბრუნდა და იქ განაგრძო მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, მისი სახელი და კეთილი საქმეები არ დავიწყებიათ ინგილოებს და მამა მოსეს ხშირად სთხოვდნენ დროდადრო ჩასულიყო მათთან. 1953 წლის 28 ნოემბერს მისი ნათლული სოფელ ალიბეგლოდან — დიანოზ ტარტარაშვილი წერდა მას: **„სალამი და გამარჯვება მღვდელ ძია მოსეს. უპირველეს ყოვლისა, გისურვებ შენ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას. მერე შენი სახლობიდან ვინც გყავს, იმათ. შენი დაწერილი ადრესი დაკარგული მქონდა და დღეს საღამოს მოვძებნე და გიწერ ერთ წერილს, უნდა შემისრულო ჩემი თხოვნა. ჩამოდი სოფელ ალიბეგლოში და მოდი პირდაპირ ჩემს სახლში. ჩემი ძმა ჩამოვიდა ჯარიდან, ძია, და უამბე თქვენი ამბავი. მან კიდე თქვა, მოძებნე ადრესი და წერილი გაუგზავნე, რომ ისინი — მოსე ნადირაშვილი და ქოთილა დიდებაშვილი ჩამოვიდნენო. დედა ამბობს, როგორ იქნებიანო ჩვენი მღვდელი მოსე და ქოთი-**

ლაო. თქვენ როგორც წახვედით, არც წერილი მოვიდა, არც არაფერი თქვენი ამბავი ვერ გავიგეთ. მეც ვერ დაგიწერე წერილი ადრესის დაკარგვის გამო.

მოსე ძია, როდესაც თქვენ ჩამოხვედით ალობეგლოში, მაშინ თქვენ შემომხვიდთ ჩემს წინა გზაზე და მაშინ გავეცანით ერთი მეორეს. ჩვენს სახლში გაატარეთ დროობა. გახსოვს ძია მოსე, თან ცუდი ამინდი იყო, თოვდა. შენი ამხანაგი ქოთილა და მე წავედით, შეშა მოვიტანეთ, არ გახსოვს ძია მოსე? მოკლედ, ჩემი თხოვნა ის არის, რომ ჩემი დედა და ძმა გთხოვენ დიდი სურვილით ჩამოდით ჩვენსა: ერთ თვემდის ჩამოდით ალიბეგლოში, გაიგე მოსე ძია. დიაღ, მაგრა ნახვა გვინდა თქვენი. მეორეც — ბლომად არის მოსანათლავი ბალღები. ჩვენი ხალხები ამბობენ, რატო არ ჩამოდის ის მღვდელი მოსე გიორგის ძეო. მეუბნებიან, დასწერე წეული, გაუგზავნე და ჩამოვიდნენ ორივენი — ის მღვდელი და ქოთილა დიდებაშვილიცაო. მეც გთხოვთ, რომ ჩემი თხოვნა შემისრულოთ პირნათლად და ჩამოხვიდეთ ალიბეგლოში, შენი მონათლული ბალღები დაზრდილან უკვე. მშვიდობით იყავ, ნახვამდის. უნდა ერთი თვის განმავლობაში მოვნახოთ ერთი მეორე. ამ პატარა წერილის დაწერას ვამთავრებ. სწერს ტარტარაშვილი დიანოზ".



მღვდელი მოსე ნადირაშვილი

1959 წელს მამა მოსე საცხოვრებლად თიანეთის რაიონში, სოფელ ბოდახევში გადავიდა. მიწის სიმცირისა და მკაცრი საცხოვრებელი პირობების გამო, 1960 წლის 12 ნოემბერს იგი ითხოვდა საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფას დაბა თიანეთში. ამასთან დაკავშირებით მან წერილი გაუგზავნა თიანეთის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავჯდომარეს და სთხოვა, დახმარება აღმოეჩინა აღნიშნულ საკითხში. მამა მოსე წერდა: **„რადგანაც არტნის ხალხი სახლდება თიანეთში, მეც მსურს, რომ თიანეთში ავიღო სამოსახლო მიწა, ავაშენო სახლი, მასთან, ჩავყარო ხეხილი. ამიტომ ვთხოვ რაიაღმასკომს გამიწიოს შუამდგომლობა თიანეთის კოლმეურნეობის გამგეობასთან, რომ სხვა გლეხებთან ერთად მეც მომიზომონ საკარმიდამო ნაკვეთი. იმედი მაქვს, ჩემს განცხადებას უკმაყოფილოდ არ დასტოვებთ".**

სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მისი თხოვნა, და როგორც მღვდელმსახურს, მას უარი ეთქვა მიწის გამოყოფაზე. თუმცა, ამ ამბავს არ გაუტეხია უკვე ასაკში მყოფი მოძღვარი. იგი კვლავინდებურად განაგრძობდა ღვთის სამსახურს. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი ანუგეშა და სულიერი საზრდოთი დააპურა გაუტეხავმა და შეუპოვარმა ქრისტეს მხედარმა. მისი ტკბილი დარიგებები ახლაც ახსოვთ ჯერ კიდევ შემორჩენილ უფროსი თაობის ადამიანებს. ვინც კი იცნობდა მამა მოსეს, ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის დიდ სითბოსა და სიყვარულს ღვთისა და მოყვასის საკეთილდღეოდ; მის გულღია საუბრებს, წესიერებას, უანგარო სამსახურსა და მოწყალე გულს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მტკიცედ აღასრულებდა თავის მოვალეობას და სოლომონ ბრძენის სიტყვები: **„უკუეთუ მრავალთა წელთა ცხოვნდეს კაცმან და ფრიად იყოს დღენი წელიწადთა მისთანი და სული მისი არა განიძღოს კეთილთაგან..."** — ჭეშმარიტად აღსრულდა მის მიერ.

1963 წელს, შობის მარხვაში, მამა მოსე თავის ერთ-ერთ ვაჟს იოსებს სტუმრობდა. ახალ წელსაც იქ შეხვდა მოძღვარი. 1864 წლის 4 იანვარს მოულოდნელად ცუდად იგრძნო თავი და სანამ ექიმს მოიყვანდნე, ნგულის შეტევით გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა მისი ცხედარი მშობლიურ სოფელში გადაასვენეს და მამა მოსეს ანდერძის თანახმად, საეკლესიო წესების დაცვით დაკრძალეს სოფელ არტაანის საგვარეულო სასაფლაოზე. იმ წელს დიდი ზამთარი იყო და მოძღვრის მოყვანა არ მოხერხდა. შთამომავლების გადმოცემით, სააღდგომოდ, სოფელ კუდოში მცხოვრები მღვდელი ჯარიაშვილი არტაანში ჩავიდა და მამა მოსეს წესი აუგო.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნინა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ბაგუა, ნინო ბაგრატიონი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, კაკრეკლეა: ცარო კარდაშელი, მამუკა ბაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

აღმოსავლეთის რელიგიური ქრონიკა

პალესტინელი ქრისტიანები დამოუკიდებლობას ითხოვენ

იერუსალიმის აღმოსავლეთში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ღაზას სექტორში მცხოვრები პალესტინელი მართლმადიდებლები ამ ტერიტორიაზე პალესტინის სახელმწიფოს შექმნასა და იერუსალიმის მის დედაქალაქად გამოცხადებას ემხრობიან. ამის შესახებ „EuroNews"-თან ინტერვიუში სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ განაცხადა. მან აღნიშნა, რომ პალესტინელი ხალხი იმსახურებს საკუთარ სახელმწიფოს, რომელსაც გაერო აღიარებს. „ჩვენ, აქაური ქრისტიანები, პალესტინელი ხალხის ნაწილი ვართ, მუსლიმანებთან და ქრისტიანებთან ერთად იმიტომ ვმუშაობთ, რომ მივაღწიოთ თავისუფლებას და შევქმნათ პალესტინის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც იქნება იერუსალიმი!" — განაცხადა მეუფემ.

დღეისათვის პალესტინის ტერიტორიაზე 57 000 ქრისტიანი ცხოვრობს.

თურქეთის ხელისუფლება რელიგიურ უმცირესობებს ქონებას უბრუნებს

ცოტა ხნის წინ თურქეთის ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება რელიგიური ერთობებისათვის 1936 წელს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. ამ განცხადებამ თურქეთის ყველა არამუსლიმანი მოქალაქე გაახარა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივ ბერძნებს პრობლემაზე საკუთარი შეხედულება აქვთ.

ბრძანების თანახმად, საკუთრება, რომლებიც ჩამოერთვათ ქრისტიანებისა და ებრაელების სამრევლოებს, უკლებლივ მათვე დაუბრუნდებათ, მაგრამ თუ ქონება გაყიდულია მესამე პირზე, მის საბაზრო ფასს სახელმწიფო აანაზღაურებს. მიხაილ ვასილიადისი, სტამბულის ბერძნული ყოველკვირეულ გაზეთ „poyevmatini"-ს მთავარი რედაქტორი ამბობს, რომ თურქეთის ხელისუფლების ინიციატივა ძალიან სასიამოვნოა ებრაელი და სომეხი მოსახლეობისათვის, მაგრამ ბერძნებს უფრო დიდი პრობლემა აქვთ, ვიდრე ქონების დაბრუნებაა.

„ეს ძალიან გაბედული ნაბიჯია თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის მიერ, მიუხედავად ძლიერი ულტრანაციონალური ტენდენციისა, მაგრამ რას შეცვლის წართმეულის დაბრუნება?" — აცხადებს იგი.

თითქმის ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „მცირეაზიული კატასტროფა" მოხდა — მოსახლეობის იძულებითი გაცვლის დროს თურქეთიდან მილიონზე მეტი ბერძენი გაასახლეს. შედეგად, თურქეთში გასული საუკუნის 30-იან წლებში ასი ათას ბერძენზე მეტი არ ცხოვრობდა, ხოლო ბერძნებსა და თურქებს შორის არსებულმა დაძაბულობამ ადგილობრივი ბერძნების მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. 1966 წლისათვის ბერძენი მოსახლეობა სტამბულში 30 ათას ადამიანს შეადგენდა, მას შემდეგ კი ეს რიცხვი სულ უფრო იკლებს. „ჩვენთან ახლა სიკვდილიანობა უფრო მეტია, ვიდრე შობადობა, ღვთისმსახურებაზე რამდენიმე ადამიანი მოდის მხოლოდ და ჩვენ უბრალოდ ბედნიერნი ვართ, თუ ჩვენს სკოლებში ხუთი-ექვსი ბავშვი ისწავლის", — აცხადებს ვასილიადისი.

ჰიუსტონის მუზეუმი კვიპროსის ეკლესიას უძველეს ფრესკებს დაუბრუნებს

ჰიუსტონის მუზეუმი „The Menil Collection" 2012 წელს კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიას XIII საუკუნის ორ ფრესკას დაუბრუნებს. ფრესკები ძველი სამლოცველოდანაა, რომელიც პატარა ქალაქ ლიზიში, კვიპროსის ჩრდილოეთით მდებარეობს; ისინი აშშ-ში კვიპროსზე 1974 წელს თურქეთის შეჭრის შემდეგ აღმოჩნდა. იმ დროს ტაძარი გაიძარცვა და ეს ფრესკები მრავალ ფრაგმენტად დანაწილდა. მოროდიორებს მისი შავ ბაზარზე გაყიდვა უნდოდათ.

1984 წელს მენილის ოჯახის ფონდმა, რომლის სახელსაც ატარებს მუზეუმი, მოლაპარაკება გამართა კვიპროსის ეკლესიასთან, რომ გამოისყიდდა და რესტავრაციას ჩაუტარებდა ფრესკებს, სანაცვლოდ მიიღებდა უფლებას, თავის მუზეუმში გამოეფინა ისინი. ფონდმა ფრესკებში 520 ათასი გადაიხადა, დაახლოებით ამდენივე — მათი რესტავრაციისათვის.

ფრესკები ცენტრალურ ადგილს იკავებდა მუზეუმის კოლექციაში, მათთვის საგანგებო სამლოცველოც კი ააგეს. ერთ მათგანზე გამოსახულია ყოვლისმპყრობელი მაცხოვარი ანგელოზების გარემოცვაში, მეორეზე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი — მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებთან ერთად.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

პროტოპრესვიტერი დიმიტრი ხახუტაშვილი

„საზოგადო საქართველოს ჭირ-ლხინის გულშემატკივარი"

1855-1937

პროტოპრესვიტერი დიმიტრი გიორგის ძე ხახუტაშვილი 1855 წელს გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1873-1879 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1879 წლის 1 სექტემბერს სოფელ ბოდბისხევის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1881 წლის 27 აპრილს კავკასიის სასწავლო კომიტეტმა სასწავლო დარგში კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის მადლობა გამოუცხადა. 1881 წლის 1 სექტემბერს თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგად გადმოიყვანეს. ამავე პერიოდში იგი დაქორწინდა მარიამ იოანეს ასულზე, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: თამარი (1886 წელი, გათხოვილი ამაშუკელზე), შალვა (1887 წელი), ქეთევანი (1890 წელი, გათხოვილი იყო თავად გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძეზე, რომელიც 1915 წლის დეკემბერში გმირულად დაეცა პირველ მსოფლიო ომში, პო-

ლონეთის ფრონტზე), ვახუშტი (1895 წელი).

1888 წლის 11 დეკემბერს დიმიტრი დიაკვნად აკურთხეს, ხოლო ამავე წლის 13 დეკემბერს მღვდლად დაასხეს ხელი და მესხეთში, ქ. ახალციხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ციხის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1889 წლის 7 მარტს ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესად და ახალციხის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად განამწესეს. 1889 წლის 25 აპრილს სასულიერო წოდების დარგში **„კოლეგიის სეკრეტარის"** ჩინი მიენიჭა. 1889 წლის 7 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1891 წლის 7 იანვარს მბეჭდავი კომისიის წევრად აირჩიეს. 1892 წლის 10 აპრილს სკუფია უბოძეს. 1893 წლის 8 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ვარძიის მონასტრისათვის გამოჩენილი მზრუნველობის გამო მადლობა გამოუცხადა, პირად საქმეში შეტანით. 1893 წლის 24 ნოემბერს საფარისა და ვარძიის მონასტრების მთავარხუცესად დაინიშნა. 1894 წლის 20 თებერვალს, წმინდა სინოდის 1850 წლის 25 აგვისტოს №8659 ბრძანების საფუძველზე, მამა დიმიტრის ვადაზე ადრე დეკანოზის წოდება მიანიჭეს. 1896 წლის 14 მაისს კამილავკა ეწყალობა. ამავე წლის 19 მაისს საქართველოს ეგზარქოს ვლადიმერის (ბოგოიავლენსკი) ლოცვაკურთხევით დეკანოზმა დიმიტრიმ აკურთხა აწყურის განახლებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია.

მამა დიმიტრის მეუღლე მარიამ ხახუტაშვილისა

დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნეობის ქადაგებისა და განმტკიცების საქმეში. ოსმალთა 300 — წლიანი ბატონობის შედეგად ეს მხარე საქართველოს სხვა კუთხეებს განათლების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა. საჭირო იყო აქტიური მოღვაწეობა, ტაქტიანი მიდგომა გლეხობასთან, ზნეობრივი სახითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ხალხისათვის მაგალითის მიცემა. მისი მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1901 წელს გაზეთი „ივერია":

„არ ეგონოს მკითხველს, ცუდი საქმის მეტი კარგი არა კეთდებოდეს-რა მესხეთ-ჯავახეთში. ამ მხარეში, რომელიც, ვინ იცის, რამდენი წელი ოსმალების უღელქვეშ იყო, თვით ჩვენი გამაჰმადიანებული მოძმენიც კი კეთილს არ აყრიან ჩვენს ძველ ნაშთებსა (სომხებზედ არას ვიტყვით, რადგან მთელი გაზეთიც ვერ დაიტევს). ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ძველი ეკლესიების სუფთად და მთლად შენახვას. აღუკრძალეს სომხებს თავიანთ ეკლესიებად გადაკეთება, მაჰმადიანებს მეჩეთებათა და ეკლესიებში პურის, ბზისა და თივის ჩაყრა, როგორც აქნობამდის შვებოდნენ ხოლმე. ყოველი ამისი მიზეზი კი გახლავთ ყველასაგან პატივცემული ადგილობრივი ბლაღოჩინი, დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი. აგერ ათი წელიწადია, რაც აქ მსახურობს, სულ მუდამ კრიჭაში უდგია ძველი ნაშთების ხელშემხებლებს. არამგონია, სადმე ქართლში იყოს ისე სუფთად შენახული ძველი ეკლესიები, როგორადაც აქ ჯავახეთშია ამ ბოლო დროს. ვინ არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, მამა დიმიტრი. გარდა ამისა, მისი ჩაგონებით (რასაკვირველია, ადგილობრივ მღვდლებსაც შრომა მიუძღვით) ამ ცოტა ხანში აქეთ შვიდი-რვა ეკლესია აშენდა და განახლდა: ტობისა, ანდრია-წმინდა, ერკოთისა, დადეშისა და სხვ. და აი, ამ კვირაშიაც მამა დეკანოზმა, ადგილობრივი მღვდლების თანამწირველობით, სამი ეკლესია აკურთხა: ტოლოშისა (26 ოქტომბერს), თოკისა (29 ოქტომბერს) და ჭიხარულისა (30 ოქტომბერს).

ტოლოშის ეკლესია წელს შეაკეთეს შიგნით-გარედან, დააგეს ცემენტის იატაკი და საკურთხეველში — ხისა. დიდი გულშემატკივრობა გ[illegible] მოიჩინა ტოლოშის სამრევლოსა[illegible]ვის ახალგაზრდა მღვდელმა სერგი გელაშვილმა. სულ 7 თვეა, რაც მრევლში გამწესდა და ამ ხნის განმავლობაში გადააკეთებინა ქუნცის ეკლესია და გაამშვენიერა ტოლოშისა.

კურთხევის დროს მამა დიმიტრი ხახუტაშვილმა ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის შესაფერი სიტყვა წარმოთქვა, აუხსნა ხალხს, თუ რას ნიშნავს ეკლესიის სიმშვენიერე, მეტადრე, იმ გარემოებაში, როგორშიც სამშობლოს მოშორებულნი ჯავახელნი არიან და სხვ.".

1897 წლის 14 ივნისს მამა დიმიტრი ახალციხის სანთლის საწყობის შემმოწმებელი სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს. 1899 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1903 წლის 3 თებერვალს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა.

დეკანოზ დიმიტრის დიდი დამსახურება მიუძღვ[illegible] მესხეთ-ჯავახეთში სწავლა-განათლების გავრცელებ[illegible] საქმეში. ახალციხეში გადმოყვანისთანავე იგი ინიშნება ჯერ ახალციხის სამრევლო სკოლის ზედამხედველად, ხოლო 1896 წლის 2 ოქტომბერს — ახალციხე-ახალქალაქის ოლქის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ. მისი მეცადინეობითა და ძალისხმევით 1892-1904 წლებში სამცხე-ჯავახეთში, სოფლის ეკლესიებთან გაიხსნა 20-ზე მეტი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც ცოდნა მიიღო ასობით სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ. 1871 წელს ანა ბესარიონის ასულმა მუსხელიშვილმა-ღოღობერიძისამ დააარსა ქალთა უფასო სკოლა ქ. ახალციხის ძველ ნაწილში — რაბათში. სკოლა წელიწადში საშუალოდ 47 მოსწავლეს ამზადებდა, 1886 წელს ამ სასწავლებელში 56 გოგონა სწავლობდა, რომელთაც ორი მასწავლებელი ემსახურებოდა. ქალაქის გამგეობა ყოველწლიურად მასწავლებელს 300 მანეთით ეხმარებოდა. ხსენებულ სასწავლებელში დეკანოზი დიმიტრი წლების განმავლობაში საღვთო რჯულს უფასოდ ასწავლიდა. აი, რას წერდა 1903 წელს გაზეთი „ივერია" მამა დიმიტრის საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ:

„აქნობამდე სოფელ ჭობარეთში და არც ახლომახლო (გარდა მუსხისა) სკოლის ჭაჭანებაც არ იყო, ახლა კი აი, ეს 7-8 წელიწადია ღვაწლითა და მეცადინეობითა ბლაღოჩინის მამა დიმიტრი ხახუტაშვილისა დაარსდა ახლო სოფელ ძველში სამრევლო სკოლა, რომლის გამგე არის ამავე სოფლების მღვდელი ეფრემ ინასარიძე, რომელიც არავითარ შრომას არ ზოგავს ხალხის სინათლეში გამოყვანისათვის. მამა ხახუტაშვილის ღვაწლი კი მარტო სკოლების დაარსებით (სხვა რამდენიმეც დააარსა) არ განისაზღვრება. იგი არის მამა-პატრონი ამ დაჩაგრულ-დაბეჩავებული ხალხისა; იგი არამც თუ როგორც სასულიერო კაცი — მარტო სასულიეროს ასწავლის, არამედ თავის ფეხით დადის სოფლიდან სოფელს და ურჩევს ხალხს ეხლანდელ ცხოვრების გაჭირვების დროს გაჰყიდონ ბლომად შეყრილი უჯიშო ეცირედ-სარგებლიანი ცხვარ-ძროხა და მის მაგივრად იყოლიონ რამდენიმე კარგი ჯიშის ძროხა; დაანებონ თავი მამა-პაპეულ გუთანურემს და ახალი სამეურნეო იარაღები შეიძინონ, რომ შრომაც ნაკლები წავიდეს და ნაშრომი კი ბლომად დარჩეს; აიშენონ ეხლანდელ მიწურ თაგვის სოროს მსგავს სახლების მაგივრად რიგიანი, ჯანის მოსასვენებელი სახლები და სხვადასხვა.

სხედან: დეკანოზი დიმიტრი და ეძიმი გოგოგაერიძე

მოუტანია კიდეც ნაყოფი მამა დიმიტრის დარიგებას. ჩვენს იქ ყოფნის დროს რამდენიმემ განაცხადა სურვილი სამეურნეო იარაღის და „დუხაბორის“ ძროხის ყიდვისა.

ვუსურვებთ მამა დიმიტრის დაუცხრომელ ენერგიას, რათა ეს დიდებული ნაწილი მესხეთისა კვლავ აღყვავდეს და აღორძინდეს“.

მოსახლეობის ფართო ფენებში განათლების გავრცელებისათვის საკმარისი არ იყო სკოლების რაოდენობის ზრდა. ხალხში წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სიმცირე ან საერთოდ უქონლობა, სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა. აუცილებელი იყო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო დარბაზების გახსნა, რაც დიდ დახმარებას გაუწევდა სოფლის მოსახლეობას: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნის დავით კარიჭაშვილის მიერ საზოგადოების გამგეობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: **„ჩვენ შეგვხვდა პირადი ლაპარაკი ამ საგნის შესახებ თვით მამა ლეონიდესთან (იგულისხმება შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქო ლეონიდე ოქროპირიძე, რომელიც იმ პერიოდში მისიონერად მსახურობდა), ახალციხის ბლაღოჩინ მამა ხახუტაშვილთან და იქაურ საქალაქო სკოლის მასწავლებელ ბატონ ბურჭულაძესთან. ამ პირთა მოწმობით, ახალციხეში ყოფილა დიდი მოთხოვნილება კითხვისა, რომლის დაკმაყოფილებას ხელს უშლის ქართული წიგნების უშოვნელობა, ამიტომ ისინი საჭიროდ ხედავენ, რომ დაარსდეს ბიბლიოთეკა... ადგილობრივვე მათ ნდომიათ დაარსება ბიბლიოთეკისა, მაგრამ სხვადასხვა დაბრკოლება დახვედრიათ, რის გამოც გადაუწყვეტიათ მიემართათ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ახალციხის ქართველი შეგნებული საზოგადოება ყოველგვარ დახმარებას გაუწევს წერა-კითხვის საზოგადოებას ბიბლიოთეკის შენახვაში“.**

მამა დიმიტრის საფიქრალი მხოლოდ ბიბლიოთეკაზე ზრუნვით არ ამოიწურებოდა. 1909 წელს ახალციხის ინტელიგენციაში დაიწყო მოძრაობა „საზოგადოების“ ადგილობრივი ფილიალის დასაარსებლად. განჩინებაში აღნიშნულია: **„განვიხილეთ წინადადება წერა-კითხვის საზოგადოების ფილიალი განყოფილების დაარსების შესახებ და ვცანთ რა ყველაზე მეტად საჭიროება ამისთანა განყოფილებისა მესხეთში, რომ აქაურმა დაკარგულმა ხალხმა მოიგონოს-აღადგინოს თავისი დედა-ენა და დავადგინეთ — დაარსდეს ასეთი განყოფილება“.** მართლაც, 1913 წელს განყოფილება ამოქმედდა და მის თავმჯდომარედ დეკანოზი დიმიტრი დაინიშნა.

დეკანოზი დიმიტრი, როგორც ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მთავარხუცესი და თავისი ქვეყნის პატრიოტი, განსაკუთრებით ზრუნავდა რეგიონში ქართული ცნობიერების ამაღლებისთვის. 1905 წელს, როდესაც რევოლუციურმა ქარტეხილმა გადაურა მთელი რუსეთის იმპერიას, ქ. ახალციხის ეკლესიის რუსი მრევლი აუმხედრდა მამა დიმიტრის, რადგან მან წირვის დიდი ნაწილი ქართულად ჩაატარა. თუმცა მოძღვრის გონივრულობითა და აქტიური მოქმედებით სიტუაცია მალევე დარეგულირდა.

დეკანოზი დიმიტრი არ გამოკლებია არც ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო თუ საზოგადო მოვლენას. იხდიდა ცნობილი პიროვნებების სახელზე პანაშვიდებს და შეძლებისდაგვარად ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში. მისი მესხეთში მოღვაწეობის პერიოდში მრავალი ასეთი მაგალითია შემორჩენილი: **„ახალციხე — კვირას გადავიხადეთ აქ პანაშვიდი განსვენებული ყაზბეგის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. ბლაღოჩინმა მამა დიმიტრი ხახუტაშვილმა წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ“.** ქ. ახალციხეში ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ პანაშვიდზე მამა დიმიტრიმ **„დამსწრე საზოგადოებას დაუსურათა დიდებული მეფის, ერეკლეს მოღვაწეობა, გმირობა და კეთილი ზრუნვა არა მარტოოდენ თავისი სამეფოსათვის, არამედ სამცხისათვისაც, რომელიც იმ დროს მას არ ეკუთვნოდა. მიპმართა დამსწრეთ, კარგი იქნება, ცოტა რამ წვლილი გამოვილოთ იმ ფონდისათვის, რომელიც დაარსებულია ერეკლეს სახელობაზედაო... პანაშვიდის შემდეგ ოცდახუთი მანეთი ფული შეგროვდა“.**

მამა დიმიტრი გულისტკივილით გამოეხმაურა დ. ბაქრაძის, ა. ღოლობერიძის, გაბრიელ ეპისკოპოსის, რაფი-

ელ ერისთავის, ა. ცაგარელის, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებას, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა მიხეილ თამარაშვილის უდროოდ აღსრულებასთან დაკავშირებით.

მამა დიმიტრის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ცნობილ კათოლიკე მოძღვართან, მღვდელ ივანე გვარამაძესთან. საინტერესოა მამა ივანეს აზრი დეკანოზ დიმიტრი ხახუტაშვილზე. 1896 წლის 20 მარტს იგი ილია ჭავჭავაძეს სწერდა: **„გავლილს თვეს თებერვლისა გაახელ „სამგლოვიარო სიტყვა“ განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსზედ, რომელიც წაკითხულ იყო პანაშვიდის აღსრულების შემდეგ წმინდა მარინეს ეკლესიაში ადგილობრივი ბლაღოჩინის, ხახუტაშვილის მიერ ახალციხის სამწიგნობროში, დღემდის ველოდები მის დაბეჭვდას და არ დაიბეჭდა, მით რომ ჩვენსკენ სხვა არავინ არის საზოგადო საქართველოს ჭირ-ლხინის გულშემატკივარი, რომ მუდამ თანაზიარ იყოს ყოველს შემთხვევაში მომავალ თაობის სამაგალითოდ“.**

ეგზარქოს ალექსის სტუმრობა ზარზმის მონასტერში

დიდ ყურადღებას აქცევდა მამა დიმიტრი მაჰმადიან მესხებს, ესაუბრებოდა მათ ქართული წარმომავლობის შესახებ, ცდილობდა მათში ეროვნული სულის გაღვიძებას. მისი დამსახურებით მრავალი მაჰმადიანი მოინათლა და მამაპაპისეულ რჯულს დაუბრუნდა.

თითქმის 31 წელი იმსახურა დეკანოზმა დიმიტრიმ სამცხე-ჯავახეთში და თავისი დაუღალავი მოღვაწეობით კეთილი ნაყოფი გამოიღო იქაურ მოსახლეობაში.

1916 წლის 6 მაისს დეკანოზი დიმიტრი წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამოცხადებულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას მოძღვარი დიდი სიხარულით შეხვდა. იგი აქტიურად ჩაება მშობლიური ეკლესიის განახლებისა და განმტკიცების ბრძოლაში. როგორც აწყურის ეპარქიის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის I საეკლესიო კრებას, ხოლო IV და V საეკლესიო კრებებზე მონაწილეობდა მცხეთა-თბილისის ეპარქიის დელეგატის სტატუსით იმყოფებოდა. 1918 წლის აღდგომას ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) იგი ენქერით დააჯილდოვა.

1919 წლის თებერვალში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) გაითვალისწინა მამა დიმიტრის დიდი დამსახურება და ღვაწლი დედაეკლესიის წინაშე და იგი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ გადაიყვანა.

1920 წლის ოქტომბერში დეკანოზი დიმიტრი თბილისში კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. XX ს-ის 30-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ (ცინცაძე) ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის პროტოპრესვიტერის წოდება მიანიჭა.

ეკლესიისათვის უმძიმეს წლებში, როდესაც ანაფორის ტარება დიდ გმირობად ითვლებოდა, მამა დიმიტრი აქტიურად განაგრძობდა საეკლესიო მოღვაწეობას, უშიშრად ქადაგებდა ქრისტიანობას, აღასრულებდა წირვა-ლოცვებს, მრევლს განამტკიცებდა და მოუწოდებდა, არ მიეტოვებინათ მამაპაპისეული სარწმუნოება, მტკიცედ მდგარიყვნენ ეკლესიის სადარაჯოზე და მთელი გულით ედიდებინათ უფალი. ახსოვდა მუდამ მაცხოვრის სიტყვები, რომელიც მან პეტრე მოციქულს უთხრა: **„რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას“,** — მას მტიცედ სწამდა, რომ კომუნისტები დიდხანს ვერ იბატონებდნენ საქართველოში და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არ დატოვებდა თავის სამწყსოს უნუგეშოდ, რაც ახდა კიდეც.

პროტოპრესვიტერი დიმიტრი 1937 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა. მისი ცხედარი კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან, საკურთხევლის უკან დაკრძალეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დაგალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ-ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ ყაცეა, ნინო ყაფლანიშვილი, თამარ ალადაშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ბაზარაძე, სერგი ელერესელიძე, ეკატერინე ცინცაძე, მაზეკა ეფანტარაძე, დამკაბადონებელი: ალექსან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ტერიტორიებზეა შექმნილი. ხელნაწერ პერგამენტებს „დამასკურ გვირგვინებს" უწოდებენ, ისინი ასწლეულების განმავლობაში დამასკოს 24 სინაგოგაში ინახებოდა, თუმცაღა, არც ერთი მათგანი არ დაწერილა კონკრეტულად სირიის დედაქალაქში. მათ შორის უძველესი „გვირგვინი" შექმნილია X საუკუნის ბოლოს, თანამედროვე ისრაელის ტერიტორიაზე.

ისრაელის ბიბლიოთეკამ მანუსკრიპტები 1975 წელს რაბინ სოლომონ დავით სესუნისაგან შეიძინა. ებარელთა ერთობამ დამასკოში, რომლის ისტორიაც 2 ათასწლეულს ითვლიდა, თავისი არსებობა XX საუკუნის ბოლოს, ჰაზაფ ასადის რეჟიმის დროს შეწყვიტა. ამის შემდეგ ბიბლიური ხელნაწერები ფარულად გადაიტანეს ისრაელში.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი მიხეილ მეუნარგია 1826-1904

დეკანოზი მიხეილი 1826 წელს, სამეგრელოს სოფელ ცაიშში, ცნობილი ხატმწერის — აზნაურ პეპუ მეუნარგიას ოჯახში დაიბადა. ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაბადებულს, ბავშობიდანვე ღრმად უნერგავდნენ სამშობლოსა და ღვთის სიყვარულს, რამაც შემდგომში განსაზღვრა კიდევ მისი მომავალი ცხოვრება. 17 წლის ასაკში იგი მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც ორი კლასი ისწავლა. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი კი საირმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში შეისისხორცა და მალევე წიგნისმკითხველის ადგილზე დაინიშნა. 1846 წელს მიხეილი დაქორწინდა სუსანა გაწერელიაზე, რომელთანაც ერთი ვაჟი, ცნობილი მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი (26. 11. 1852 — 15. 5. 1919) იონა მეუნარგია შეეძინა.



ცაიშის საკათედრო ტაძარი

1846 წლის 12 სექტემბერს სამეგრელოს ეპისკოპოსმა ანტონმა (დადიანი) მიხეილი დიაკვნად აკურთხა. 1850 წლის 22 აგვისტოს მღვდლად დაასხა ხელი და ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში განამწესა. 1851 წლის 2 თებერვალს ზუგდიდის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაინიშნა. 1855 წლიდან სამეგრელოს ეპისკოპოსმა თეოფანემ (გაბუნია) ამავე ოლქის მთავარხუცესად დაადგინა. 1859 წლის 1 იანვარს ქველმოქმედებისათვის (1853-1856 წლებში ყირიმის ომში დაჭრილებზე მზრუნველობა) ბრინჯაოს ჯვარი უბოძეს. 1859 წლის 29 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. ამავე წლის 19 აგვისტოს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა. 1861 წლის 15 ოქტომბერს სკუფია უბოძეს, ხოლო 1866 წლის 3 აგვისტოს კამილავკა ეწყალობა. XIX საუკუნის 60-იან წლებში სამეგრელოს ეპისკოპოს ტარასის (ელიავა) დავალებით ოთხი სამთავარხუცესო ოლქის აღწერა დაევალა, რასაც წარმატებით გაართვა თავი. 1871 წლის 26 ივნისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1876 წლის 26 ივნისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1880 წლის 29 ივნისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1881 წლის 26 აგვისტოს თბილისის სასულიერო სემინარიაში ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე ძმობის კომიტეტში ჩაირიცხა. 1883 წლის 13 ივნისს (1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს) დაჭრილთა მომსახურებისათვის წითელი ჯვრის მედლით დააჯილდოვეს. 1884 წლის 29 ივნისს წმინდა ანას II ხარისხის, ხოლო 1888 წლის 30 აგვისტოს წმინდა ვლადიმერის II ხარისხის ორდენი უბოძეს.

1885 წელს სამეგრელოს მთავრის მემკვიდრემ ნიკო დავითის ძე დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომლის ჩასაბარებლად ილია ჭავჭავაძე იმავე წლის 29 მარტს ჩავიდა სოფელ გორდში, სადაც ხელნაწერები ჩაიბარა. მთელი აპრილის თვე

დარჩა სამეგრელოში ილია ჭავჭავაძე და ეცნობოდა იქაურ ხელნაწერებს, ეკლესიებს და იქ დაცულ სიწმინდეებს. ამ მგზავრობაში ილიას თან ახლდა დეკანოზ მიხეილის ვაჟი იონა, რომელმაც ქართველი მგოსანი სოფელ ცაიშშიც მიიწვია. საპატიო სტუმრების მისაღებად მამა მიხეილმა თადარიგი დაიჭირა და ღირსეული მასპინძლობა გაუწია მათ. ილიამ მოილოცა ცაიშის უძველესი ტაძარი. მას დიდად მოსწონებია მოვლილი ტაძარი, სისუფთავე, მასში დასვენებული ძველი ნივთები და ხატები. მეორე დილას ეზოში გაშლილ ტრაპეზზე ილიას სწორედ აქ უთქვამს ცნობილი სიტყვები: **„სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“**. ამ სტუმრობის შემდეგ დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას ოჯახში მუდამ ეკიდა ილია ჭავჭავაძის სურათი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში დეკანოზი მიხეილი გურია-სამეგრელოს ეპარქიის მასწავლებელთა თხოვნით, ზუგდიდის მაზრის სასოფლო და საეკლესიო სკოლებისათვის აარსებს სახელმძღვანელო წიგნების საწყობს, საიდანაც წიგნების გაცემა ხდებოდა პირვანდელი ღირებულებით.

ასევე, მისი დიდი ღვაწლისა და მეცადინეობის შედეგად, ცაიშში დაფუძნდა ახალი სკოლა. აი, რას წერდა ამის შესახებ ჟურნალი „მწყემსი“ (მერვე ნომერი):

„10 თებერვალს სოფელ ცაიშში აკურთხეს ახალი სკოლის შენობა. სკოლისათვის იყიდეს ერთი კაზარმა, რომელიც აქ უქმად იდგა. ბლაღოჩინმა, დეკანოზმა მიხეილ მეუნარგიამ, სხვა კეთილ-პირების შემწეობით, შეაგონა ხალხი, რომ ეს კაზარმა ეყიდათ. ხალხმა დაუჯერა თავის სულიერ მამას და იყიდა ეს შენობა 1325 მანეთად. მართალია, სოფლელებისათვის 1325 მანეთი დიდი ფულია, მაგრამ შენობაც კარგია: იგი ექვსი ოთახისაგან შესდგება. ადგილიც, თავისი მდებარეობითა და ჰაერით, კარგია.

სკოლის შენობის კურთხევა შეასრულა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სვიმონმა (აფაქიძე). პარაკლისზე დაესწრნენ: პრინცესა სალომე დადიანი, მისი მეუღლე პრინცი აშილ მიურატი, ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ. ჯაყელი, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. ქორქაშვილი, ადგილობრივი თავადაზნაურობა და მთელი ცაიშის გლეხობა. პარაკლისის შემდეგ დეკანოზმა მიხეილ მეუნარგიამ იქ დამსწრე პირთ მიმართა მეგრულ ენაზე ქადაგებით: **„საყვარელნო შვილნო! თქვენ ყველანი ცაიშელნი ხართ და საჭიროა იცოდეთ, თუ რანაირი იყო წარსული თქვენის სოფლის, ცაიშისა და რა მდგომარეობაში არის ის დღეს. უწინდელ დროში ცაიში იყო საეპარქიო კათედრა. ცაიშელი მიტროპოლიტებისგან ვრცელდებოდა და ითესებოდა ღვთის სიტყვა, სჯული და სარწმუნოება მთელს ნახევარ ოდიშში და სამურზაყანოში. ამ დროებში ცაიში ჰყვაოდა სწავლა-განათლებით. აქ იყო სასწავლებელი, სადაც იღებდნენ სწავლა-განათლებას აქაური თავადაზნაურნი, სამღვდელონი და გლეხობა; დღესაც ბლომად არიან სასულიერო პირნი, რომელთაც მიუღიათ განათლება ცაიშის სობოროში. დღეს მიმდინარეობს სამოცდაორი წელი მას უკან, რაც უკანასკნელი მიტროპოლიტი გრიგოლ ცაიშელი გარდაიცვალა და ამ დროიდგან იწყო კლება ცაიშის სობორომ, ჯერ კათედრა გაუქმდა და ბოლოს სწავლაც მოისპო მასში. ამგვარად, ძველად დიდებული სწავლა-განათლებით ჩვენი სოფელი ცაიში დადუმდა და მიეცა უფერულ ცხოვრებას და ღრმა ძილს. ჭეშმარიტად, დიდი სამწუხარო იყო ეს მისი მამულის შვილთათვის! მაგრამ შეგვეწია ღმერთი და ამა უკანასკნელ დროებში ცაიშმა იწყო ცოტ-ცოტად განახლება. დღეს, ამ ჩემ მოხუცებულობაში, მოვესწარი ერთკლასიანი სკოლის დაარსებას, რომელიც დღეს იკურთხა და იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ ნიმუში იქნება ცაიშის შემდეგი დიდებისა!**

სწავლა-განათლების საჭიროებაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. დღეს, ღვთის მადლით, ყველანი გრძნობენ, თუ რა საჭიროა სწავლა. მე მხოლოდ გეტყვით, რომ უსწავლელმა კაცმა არ იცის სჯული და სარწმუნოება, რომელნიც არიან დედა პატიოსნებისა და კეთილშრომისა, აგრეთვე უსწავლელი კაცი ვერ ცნობილობს თავის თავსა, მან არ იცის, თუ რისთვის მოსულა იგი ამქვეყნად და რაშია მისი დანიშნულება. სწავლა გაუნათლებს კაცს გონებას და აზრს. თქვენში მე დღეს ვხედავ ერთ კაი სანუგეშო მაგალითს. თუმც ყველა თქვენთაგანს არა ჰყავს შვილები, მაგრამ დღეს ნაკურთხი სკოლის ხარჯს თქვენ თანასწორად იხდით. დიახ, ეს კეთილი და ღვთის სასიამოვნო საქმეა. აბა, რა ჰქნან ზოგიერთმა ღარიბმა პირებმა, რომელთაც არ შეუძლიათ დაუხმარებლად, საკუთარის საშვალებით გამოზარდონ თავიანთი შვილები. მერწმუნენით, ამნაირი ერთმანეთის დახმარება ღმერთსაც ესიამოვნება და სკოლასაც რიგიანად აღასრულებინებს თავის დანიშნულებას.

უცხადებ ბოლოს, თქვენ მაგიერ, გულითად მადლობას იმ პატიოსან და ღვთის მოყვარე პირთ[illegible] რომლებიც დაგვეხმარენ სკოლის საქმეში და დღესაც დაგვესწრენ აქ სკოლის კურთხევაზედ. ღმერთსა ვსთხოვ, რომ დღეს ნაკურთხი სკოლა მუდამ იდგეს აქ და მოკლე ხანში გადაკეთებულიყოს ის ორკლასიან სასწავლებლად“.

ბოლოს დეკანოზმა მიხეილმა პატივცემული სტუმრები მიიწვია თავის სახლში და ღირსეულად სცა მათ პატივი.

ამ ამბავის ასევე გამოეხმაურა ვინმე „ერჩქინდია“ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, სადაც ვკითხულობთ: **„წელს ცაისშიაც გველირსა სკოლა. ცაიშში შეუერთდა თავადაზნაურობა გლეხობას და ერთად იყიდეს 1 500 მანეთად ქვის ყაზარმა, რომელიც იყო აშენებული 20 000 მანეთად, რუსის ჯარისათვის. იქირავეს მასწავლებლად საოსტატო სემინარიაში კურსდასრულებული ყმაწვილი კაცი და ამ სკოლაში სწავლობს ეხლა 170-მდე ახალგაზრდა. ამ ყმაწვილების სიმრავლიდან სჩანს, რა წყურვილი ჰქონიათ ცაიშელებს სწავლა-განათლებისა. ამ კეთილ საქმის მეთაური, დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, ღირსია გულითადის მადლობისა. სკოლის დაარსების დღეს**

დიდად გაიხარა ამ კეთილმა კაცმა და დიდძალ სტუმრებთან ერთად იდღესასწაულა სკოლის დაარსება. მოწვეულთ შორის იყვნენ პრინცი მიურატი და მისი მეუღლე, პრინცესა სალომე დავითის ასული დადიანი".

1892 წლის 15 მაისს დეკანოზ მიხეილს, ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის, ენქერის ტარების უფლება მიენიჭა. 1893 წლის 10 ივნისს მას ცაიშის საკათედრო ტაძარზე ათასი მანეთის შეწირვისათვის წმინდა სინოდმა მადლობა გამოუცხადა. იგი, 1894 წლიდან, როდესაც ამოქმედდა ქუთაისის სასულიერო სემინარია, ყოველწლიურად ეხმარებოდა ფინანსურად და მატერიალურად, თანაც მრავალ საქმეში თანადგომას უწევდა. 1896 წლის 14 მაისს უწმინდესი სინოდის სიგელი გადაეცა. 1897 წელს, განსვენებულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის ხსენებასთან დაკავშირებით, ვერცხლის მედალი უბოძეს. 1898 წლის 15 ივნისს წმინდა ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ეწყალობა. წლების განმავლობაში ასრულებდა ცაიშის წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლის (გამგებლის) მმართველის მოვალეობას.

იონა მეუნარგია

დეკანოზ მიხეილს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მთელი სამეგრელოს სამღვდელოება და მოსახლეობა. თავისი პატიოსანი და უმწიკვლო სამსახურით მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მრევლში. ეპარქიის მღვდელმთავრებიც დიდ ანგარიშს უწევდნენ მხცოვან მოძღვარს და ხშირად ანდობდნენ საპასუხისმგებლო დავალებებს, კერძოდ, ეკლესიის კურთხევას, სამღვდელო პირების მომზადებასა და შემდეგ მათ გამოცდას. გაზეთ „ცნობის ფურცელს" აღწერილი აქვს ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც მამა მიხეილმა აკურთხა კახათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ეს იყო 1899 წელს: **„ტაძრის კურთხევა უმაღლესი მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა პატივცემულ დეკანოზს მამა მეუნარგიას და მისი კურთხევის დღე იყო დანიშნული 17 აპრილს. აღნიშნულ დროში ხსენებულ ეკლესიის მრევლთა დიდი მოძრაობა ეტყობოდა. ყოველგან, ყოველი მხრივ იკრიბებოდა ხალხი ამ დიდად სასურველ დღეს. ხალხი თითქმის მოგროვილიყო ეკლესიაში და დეკანოზი კი არ ჩამობრძანებულიყო. ზოგიერთი იმ აზრისა იყო: შეიძლება დღეს სრულიად არ იკურთხოს ეკლესიაო და ხალხი დიდი დუმილის სივრცეში იყო გატაცებული. მათ ზედ ეტყობოდა მწარე ნაღველი და უსიამოვნო გამომეტყველება ხომ ამტკიცებდა მათ ძარღვებში შემჯდარ საიდუმლოს. რა იყო მაგის მიზეზი, რისი ეშინოდათ აგრე? აი, მიზეზიც: ზოგიერთი ვაუბატონებისაგან (აღნიშნულ ეკლესიაში არშემავალთა მრევლთაგან) იყო ნათხოვარი ეკლესიის კურთხევის შეჩერება. მანამ ცარიელ-ტარიელი მეთაური არ ინებებდა, სრულიად უმნიშვნელო მიზეზისა გამო. უცბად ხალხი შეინძრა, ნახეს რა მომავალი დეკანოზი, მიეგებნენ მას და განუსაზღვრელი სიხარულის მორევმა მოიცვა ისინი. ეკლესიის კურთხევის შემდეგ პატივცემულმა დეკანოზმა წარმოსთქვა ორიოდე, მაგრამ გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომლითაც მიულოცა ხალხს ახალი ბედნიერება. ხალხი, დიდად ნასიამოვნები და მადლიერნი თავიანთი ბედისა, დაიშალნენ წირვის შემდეგ".**

1902 წლის 29 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებამ იდღესასწაულა დეკანოზ მიხეილის 50 წლის იუბილე. ამ დღეს ცაიშში შეიკრიბნენ მთელი ოლქის სამღვდელოება და ინტელიგენცია: პრინცესა სალომე დადიანი, თავისი ქალით, ზუგდიდის მაზრის უფროსი ვ. კეგამოვი, ზუგდიდის მაზრის მომრიგებელ-შუამავალნი, თავადი ზაალ ჭავჭავაძე და თავადი მ. დადიანი, მთავარხუცესი, მღვდელი ანდრია ვახანია, სამრევლო სკოლების ზედამხედველი ტროფიმე ჯოხთაბერიძე და სხვა ცნობილი სახეები. საღვთო ლიტურგია აღასრულა ხობის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სვიმონმა (აფაქიძე), მღვდლების — ოქროპირ ქირიას, ზოსიმე მაქაცარიასა და დიანოს კვარაცხელიას თანამწირველობით. წირვაზე გალობდნენ სამრევლო სკოლის მოსწავლენი, სოლომონ გვასალიას ლოტბრობით. „განიცადეზე" იქადაგა არქიმანდრიტმა სვიმონმა, რომელმაც ასე დაახასიათა მოძღვარი: „როცა სამეგრელოს სამღვდელოება შეიკრიბებოდა სადმე და სჯა ჰქონდა საზოგადო საქმეზე, ყოველ კაცს ყური შენკენ ჰქონდა — რას იტყვის დეკანოზიო და შენს სიტყვას ისმენდა და იჯერებდა კრება". შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მღვდლებმა: სამსონ თათარაშვილმა და გაბრიელ ჯიქიამ, რომელთაც კეთილი სიტყვებით შეამკეს მხცოვანი დეკანოზი. ლიტურგიის დასასრულს, სამღვდელოებამ მამა მიხეილს მთავარანგელოზ მიქაელის ვერცხლის ხატი მიართვა სამახსოვროდ, რის შემდეგაც სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა იოანე ბობოხიძემ:

„თქვენო მაღალ-ღირსებავ, დიდად პატივცემულო დეკანოზო მიხეილ! ცაიშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოება განუსაზღვრელი აღტაცებით ეგებება დღეს თქვენი მაღალ-ღირსების 50 წლის იუბილეს დღესასწაულს. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თქვენ შეგისრულებიათ მძიმე მოვალეობა მოძღვრისა და ჩვენის უფროსისა, ისეთის კრძალულებით, პატიოსნებით, მართლმსაჯულებით და კეთილსინდისიერად, რომ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს ყანაზე მუშაკთა შორის თქვენ დაიჭირეთ

დეკანოზი მიხეილ მეუნარგია

თვალსაჩინო და საპატიო ადგილი. უღრმესი სარწმუნოება, მოშიშებით ღვთისმსახურება, გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა შებრალება, ხოლო მჩაგვრელთა წინაშე შეუპოვრობა, სიმართლის პირდაპირ წარმოთქმა, პირმოუფერებლობა აგიღიათ თქვენ საგნად თქვენის მოქმედებისა და მიზნისა წარსულის საუკუნის მეორმოცდაათე წლებში და მას შემდეგ, თუმცაღა გავიდა არა მცირე ხანი, თუმცაღა ბევრნაირად შეტრიალდა ჩარხი ჩვენის საზოგადოებისა და სამღვდელოების სულიერის ცხოვრებისა და მმართველობისა, თუმცაღა ბევრი გინახავს კარგიცა და ავიც, გარნა გამოტეხილად და გულწრფელად აღვიარებთ, რომ მთელ თქვენს მსახურებაში არ ყოფილა ისეთი თვალსაჩინო შემთხვევა, რომ თქვენ ოდესმე გეღალატოთ თქვენის მიმართულებისათვის, რომ თქვენ ოდესმე მოგედრიკოთ ქედი გარემოების წინაშე. მთელ თქვენს მსახურებაში არ ყოფილა ისეთი მოქმედება, რომელიც ჩირქს სცხებდეს თქვენს პატიოსნებას, ისეთი საქმე, რომელიც აშავებდეს თქვენს პირადობას. ეს არის ხვედრი მხოლოდ რჩეულთა ქრისტეს მეომართა. გიხაროდენ, მაღალ-ღირსო დეკანოზო, რომ ასე გაუსვრელად, ასე შეუბღალავად, ასე უანგაროდ, ასე წმინდათ გიზიდავს თქვენი მძიმე ტვირთი მოძღვრისა და უფროსისა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ვსასოებთ, რომ ამგვარის თქვენი უმანკო სამსახურისათვის, როგორც მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან ხართ დაჯილდოებული ყოველგვარ ნიშნებით უუღრმესი პატივისცემისა და სიყვარულისა, აგრეთვე ღვთისაგანაც მიიღებთ თქვენ უდიდეს ჯილდოს, როცა წარსდგებით მის წინაშე. წინდად ჩვენ შორის მტკიცე სულიერი კავშირისა და მამაშვილურის სიყვარულისა ცაიშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებისაგან ამ ღირს შესანიშნავ დღეს მიიღე, ღრმად საყვარელო, მხცოვანო დეკანოზო, ჩვენო სულიერო მამაო და აღმზრდელო, ხატი ესე მთავარანგელოზ მიხეილისა. მთავარანგელოზი მიხეილი იყოს შემწე და მფარველი თქვენის მარჯვენისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა. ამინ".

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დეკანოზ მიხეილის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა XIX საუკუნის II ნახევარის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მღვდელმთავარი, აწ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე). როდესაც რუსეთის ხელისუფლების წაქეზებით ზოგიერთმა სასულიერო და საერო პირმა მოინდომა სამეგრელოში წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზე შემოღება, ამ საქმეში, სხვა საეკლესიო მოღვაწეებთან ერთად, მათ წინ აღუდგა მამა მიხეილიც, რომელმაც საჯაროდ დაგმო და გაკიცხა ამ საქმის მოთავენი.

დეკანოზი მიხეილი 1904 წლის 28 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. 1 აპრილს იგი დიდი პატივით მიაბარეს ცაიშის საკათედრო ტაძარს, სადაც მან 54 წელი ღირსეულად იმოღვაწევა. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია" წერდა: **„გასულ მარტში ქართველთა ეკლესიას შესანიშნავი დეკანოზი დააკლდა. სოფელ ცაიშში, სამეგრელოში, გარდაიცვალა დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, მამა ჩვენის მწერალის იონა მეუნარგიასი. ვამბობთ შესანიშნავი, იმიტომ, რომ იშვიათია ეხლა საქართველოში მისთანა ენამეტყველი, კილოიანი და სასოებიანი მკითხველი სახარებისა, ანდერძისა და, საზოგადოდ, ყოველ საღვთო წიგნებისა, როგორიც იყო მამა მიხეილი. დღეს ჩვენ გაზეთში სამგლოვიარო განცხადებაა დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას გარდაცვალების შესახებ და ამ გარემოებამ გაგვახსენა, აღგვენიშნა ამ მოძღვრის კეთილი სამსახური ქართული ეკლესიის საკეთილდღეოდ".**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

ვარძიის მონასტერი XIX-XXI საუკუნეებში

I ნაწილი

ვარძიის მონასტრის ასასვლელი კიბეები

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ მესხეთში, ასპინძის რაიონიდან 30 კმ-ის დაშორებით, მდინარე მტკვრის ღრმა ხეობის ზემო წელზე, ერუშეთის მთის ფრიალო, ასი მეტრის მიუვალი სიმაღლის კლდეში, ხუთასი მეტრის სიგრძეზე განთავსებულია ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლი — ვარძიის სამონასტრო კომპლექსი.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, სამონასტრო კომპლექსი, ძირითადად, 1156-1203 წლებში იქმნებოდა. სავანე 1185 წლის 15 აგვისტოს, თამარის მეფობის ხანაში (1184-1213), საზეიმოდ აკურთხეს. სამეფო მონასტერი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ვარძიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები, მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია იოანე შავთელს, რომელმაც იქ ყოფნის პერიოდში შექმნა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი". ტრადიციულად, ვარძიის მონასტრის წინამძღვრის წოდება საწოლის მწიგნობარი იყო, იგი ეკლესია-მონასტრების საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ვარძიელი ბერმონაზვნები აქტიურად იბრძოდნენ სარწმუნოებისა და ეროვნული კულტურის გადასარჩენად. 1551 წელს მონასტერი სპარსთა ჯარმა დაარბია და დაანგრია. ვარძიის ცნობილი ღვთისმშობლის ხატი, ოქროსა და ფოლადის კარები და კულტურის სხვა მრავალი განძი მტერმა გაიტაცა. 1578 წელს, როდესაც ეს მხარე ოსმალებმა დაიპყრო, მონასტერი საბოლოოდ გაუკაცრიელდა. 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ვარძია კვლავ საქართველოს შემადგენლობაში მოექცა, თუმცა 1854 წლამდე იგი გავერანებული იყო და ქურთ მწყემსებს იქაურობა საჯოგედ და ფარეხად გადაექციათ, ეკლესია და თამარ მეფის დარბაზი საქონელს დაებინძურებინა. ამ წელს ერთი ოსმალეთიდან გამოქცეული ღვთისმოყვარე ბერძენი კალატოზი, სახელად ჰაჯი გიორგი პოპანდოპულო, წალკიდან ვარძიის მოსალოცად წავიდა. ღვთისმოყვარე და ქრისტეს სარწმუნოებით გამსჭვალული ბერძენი შეძრწუნდა, როცა ეს დიდებული მონასტერი ასეთი გავერანებული ნახა. მან საქართველოს ეგზარქოს ისიდორესგან (ნიკოლსკი) ნებართვა ითხოვა და შეუდგა ვარძიის მონასტრის განახლებას. მან თავისი ხარჯებით გაწმინდა და გაასუფთავა მღვიმეები, წინა კედელი აუშენა ჩამონგრეულ მღვიმეს, ეკლესიაში დადგა ახალი კანკელი, გააკეთა მღვიმეებში შესასვლელი გზა და მტკვარზე ხიდიც გადო. 1857 წელს ეგზარქოსმა ისიდორემ აკურთხა განახლებული მონასტერი და აქედან მოყოლებული ვარძიაში აღდგა ბერმონაზვნული ცხოვრება. 1863 წელს მონასტრის წინამძღვრად დანიშნა მღვდელ-მონაზონი ანტონი, ხოლო მონასტრის მზრუნველობა კი ახალციხის ოლქის მთავარხუცესს ჩააბარეს. მამა ანტონის შემდეგ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ვარძიის მონასტრის წინამძღვრები იყვნენ:

მღვდელ-მონაზონი ბასილი, 1873-1879;
მღვდელ-მონაზონი მარტირი (წულუკიძე), 1879-1882;
მღვდელ-მონაზონი სვიმონი (წულუკიძე), 1882-1885;
მღვდელ-მონაზონი კალისტრატე (ჩიჩუა), 1885-1888;
არქიმანდრიტი სვიმონი (წულუკიძე), 1888-1907;
არქიმანდრიტი იპოლიტე (მნათენაძე), 1907-1924;

მღვდელ-მონაზონი ბასილი 1827 წელს იმერეთში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი მღვიმევის მამათა მონასტერში ისწავლა. 1854 წლის 20 ოქტომბერს ამავე მონასტერში მორჩილად განამწესეს. 1857 წლის 13 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ (გო-

ვარძიის მონასტრის ფრესკები

გოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა. 1859 წლის 4 ივლისს კი მღვდლად დაასხა ხელი. 1861 წლის 20 ნოემბერს ჯრუჭის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1866 წლის 22 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1873 წლის 30 ოქტომბერს ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1876 წლის 3 სექტემბერს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1878 წლის 15 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1879 წლის 28 სექტემბერს მარტყოფის წმინდა ანტონის სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1883 წლის 31 ივლისს წითელი ჯვრის საზოგადოებამ წითელი ჯვრით დააჯილდოვა. 1885 წლის 25 იანვარს მარტყოფის მონასტრის გამგედ დაინიშნა. 1885 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების IV განყოფილების წევრად აირჩიეს. 1886 წლის 10 დეკემბერს თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს. 1888 წლის 17 სექტემბერს ისევ მარტყოფში განამწესეს. 1889 წლის 9 ნოემბერს თბილისის ფერისცვალების მონასტერში დაბრუნდა. 1891 წლის მაისში წმინდა სინოდმა მადლობა გამოუცხადა. მღვდელ-მონაზონი ბასილი 1898 წლის 6 ივნისს გარდაიცვალა.

მღვდელ-მონაზონი მარტირი წულუკიძე 1827 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. სასწავლებელში არ უსწავლია. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბერად შედგომის სურვილით მონასტერში მივიდა. 1859 წლის 24 ოქტომბერს ეგზარქოსების წმინდა ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში ბერად აღიკვეცა და სახელად მარტირი ეწოდა. ამავე წლის 1 ნოემბერს დიაკვნად აკურთხეს და მარტყოფის ღვთაების მონასტერში განამწესეს. 1865 წლის 11 აპრილს მღვდლად დაასხეს ხელი. 1867 წლის 22 აპრილს გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში დაინიშნა. 1868 წლის 31 მარტს, მამა მარტირმა მონასტერს ახალი ხატები შესწირა, რის გამოც მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. ამავე წლის 9 ივლისს ხაზინადრად დაადგინეს. 1871 წლის 27 აგვისტოს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1873 წლის 18 ივლისს მარტყოფის მონასტერში გადაიყვანეს. 1876 წლის 22 აპრილს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1877 წლის 19 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1879 წლის 28 სექტემბერს ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1881 წლის 30 აპრილს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელი უბოძა. 1882 წლის 20 ივნისს ეგზარქოსების სამღვდელმთავრო სახლის ეკონომოსად დაინიშნა. 1883 წლის 31 ივლისს წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავისი ჯვრით დააჯილდოვა. 1884 წლის 7 აპრილს წმინდა ანას III ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1884 წლის 8 ივნისს დავით გარეჯის ლავრაში გადაიყვანეს. 1885 წლის 24 იანვრიდან მარტყოფის მონასტერშია. 1886 წლის 10 დეკემბერს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში დაინიშნა და ხაზინადრობა ჩააბარეს. 1887 წლიდან შიომღვიმის მონასტერში განამწესეს და იქაც ხაზინადრობა დაევალა. 1893 წელს ახტალის მონასტერში გადაიყვანეს. მღვდელ-მონაზონი მარტირი 1896 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა.

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე, ერისკაცობაში — კირილე ჩიჩუა 1838 წელს სამეგრელოში, თავადის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. 1859 წლის იანვარში ბერად შედგომის სურვილით ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში მივიდა, სადაც სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა მორჩილებაში გამოიცდებოდა. 1861 წლის 26 დეკემბერს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ბესარიონმა (ჩიჩუა) ბერად აღკვეცა და სახელად კალისტრატე უწოდა. 1862 წლის 1 იანვარს სამეგრელოს ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილი) დიაკვნად აკურთხა. ამავე წლის (მეორე ვერსიით — 1863 წლის) 24 ივნისს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი. 1863 წლის 12 თებერვალს ხობის მონასტრის ხაზინადრად დაინიშნა. 1864 წლის 4 მარტს მონასტრის წინამძღვრის თანაშემწედ დაადგინეს და 25 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1865 წლის 29 მაისს, მისივე ინიციატივით, შეკეთდა მონასტრის სამრეკლო, ხოლო სოფელ ქვალითის ეკლესიის გასარემონტებლად შეაგროვა 800 მანეთი. 1868 წლის 15 სექტემბერს გულმოდგინე სამსახურისათვის საეპარქიო მმართველობამ მადლობა გამოუცხადა. 1867 წლის 25 ივნისს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების IV განყოფილების წევრად აირჩიეს. 1871 წლის 25 ივნისიდან 1873 წლის 30 აგვისტომდე და 1875 წლის 6 მაისიდან 1879 წლის 3 ივლისამდე მონასტრის წინამძღვრის თანაშემწეა. 1881 წლის 11 ოქტომბერს, მისი მოთავეობით, მონასტერი გადაიხურა. 1882

წლის 22 სექტემბერს მამა კალისტრატე აღმოსავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და დავით გარეჯის მონასტრის ხაზინადრად დაადგინეს. 1883 წლის 11 ოქტომბერს მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1885 წლის 1 თებერვალს ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1886 წლის 16 სექტემბერს ვარძიის მონასტერში სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, რის გამოც ადგილობრივმა საეპარქიო მმართველობამ მადლობა გამოუცხადა. მამა კალისტრატე დაჯილდოებული იყო 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროს გაცემული ბრინჯაოს მედლით — წმინდა გიორგის „ლენტით". ასევე მიღებული ჰქონდა ჯვარი წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან.

მამა კალისტრატემ დიდი ამაგი დასდო ვარძიის მონასტერს. 1887 წელს იგი 500 მანეთად მოურიგდა ხატვარ გიგო გაბაშვილს, რომელმაც ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის განახლება იკისრა. ეს ძველებური ხატი დიდი ზომის გახლდათ და მონასტრის გუმბათის ქვეშ იყო გამოსახული. ორივე მხარეს ანგელოზები იყო გამოხატული. ჩარჩოები და სხვა მასალები თვითონ ვარძიის მონასტერმა გაიღო თავისი ხარჯებიდან. მოხატვა უნდა დაწყებულიყო მომდევნო წლის ზაფხულს, აპრილის დამლევს და ორ-სამ თვეში დასრულებულიყო. გიგო გაბაშვილს ხატი ძველებურ სტილში უნდა შეესრულებინა.

მამა კალისტრატემ წამოიწყო ვარძიის მონასტრის საფუძვლიანი შეკეთებაც. მოახერხებდა ამ ღირსეული საქმის ბოლომდე მიყვანას, რომ არა ის უბედური შემთხვევა, რომელიც მას სავანის განახლების დროს შეემთხვა. აი, რას წერდა 1888 წლის აპრილში გაზეთია „ივერია": **„ახალქალაქიდან გვწერს ბატონი ილია ალხაზიშვილი შემდეგს სამწუხარო ამბავსა: 28 მარტს მივიღეთ აქ ამბავი, რომ ვარძიის მონასტრის წინამძღვარს, მამა კალისტრატეს, შეემთხვა საშინელი უბედურებაო. როგორც მოგეხსენებათ, მამა კალისტრატე მხნე და მშრომელი კაცი იყო. მონასტრის გასამშვენიერებლად და იმის არე-მარეს განსაკეთებლად არ აკლებდა თავის მოღვაწეობას. აი, ამ ჟამადაც მონასტრის დასწვრივ, მტკვრის პირზედ, დიდის ვაი-ვაგლახით მებატონეთ გამოართვა უწინდელის მონასტრის საკუთარის მამულიდამ ერთი ბოხჩა ალაგი და ამ ალაგზე აპირებდა ბაღის გამართვას მონასტრის კრებულისათვის.**

ამ ალაგის გასაგანიერებლად დაუწყო ბრძოლა თოფის წამლით საშინელს კლდეებს და საქმე კარგადაც მიდიოდა, მაგრამ გუშინ საღამოთი შემდეგი უბედურება დაემართა: ერთმა ლაღუმმა, ჩვეულებისამებრ, ვერ იფეთქა თავის დროზედ, რისთვისაც მამა კალისტრატემ მიჰგზავნა კაცი მიზეზის გასაგებად. ამ კაცმა უთხრა, რომ არაფრის ნიშანი არ არისო, მიწით გავსილა ხვრელი და თოფის წამალი ვერ იფეთქებსო. მაშინ გულმა ვერ გაუძლო მამა კალისტრატეს, მივიდა თითონ და, ვიდრე გასინჯავდა მიწას, რომელიც თოფის წამალსა ჰქონდა ზემოდამ წაყრილი, დაიძახა უცბად საშინელმა ლაღუმმა, იფეთქა და თითონ მამა კალისტრატეც მაღლა აისროლა ჰაერში. მარჯვენა ხელი მოსწყდა და ცოტა-ზე-ღა ჰკიდია, პირი-სახე საშინლად დასახიჩრებული აქვს და სასიკვდილოდ არის გადადებული.

პირველი შემწეობა ავად თუ კარგად იქვე თავის მოსამსახურეს აღმოეჩინა. ბევრის წვალების შემდეგ სისხლი შეეწყვიტა და დღეს ახალქალაქიდამ სამხედრო ექიმი მივაშველეთ ცხენის საჩქაროზედ. ახალციხეშიც მაზრის უფროსს ნ. ალექსი-მესხიშვილს მივწერეთ დეპეშა, რომ დაეხმაროს და უპატრონოს, როგორც ბერს, ისე იმის სარჩო-ქონებას.

ექიმი ჯერ არ დაბრუნებულა და დაწვრილებით ამ ამბავს შემდეგის ფოსტით გაცნობებთ".

მართლაც ამავე თვეში ისევ გაზეთი „ივერია" წერდა:

„როგორც საქმიდგანა სჩანს, პატივცემული მამა კალისტრატე ასწორებდა მონასტრის გზას, რომელზედაც გადმოწოლილიყო უზარმაზარი კლდის ლოდები, რის გამოც მლოცავთ მისვლა-მოსვლა უჭირდებოდათ. ამიტომაც მამა კალისტრატემ განიზრახა ამ ლოდების ლაღუმით დამტვრევა, ე. ი. აფეთქება თოფის წამლით და კიდეც შეუდგა საქმეს. კალისტრატეს მიეცა თავისისავე ხელით ამოფულრულს ლოდებში სამი ლაღუმი და ფიცხლავ მოჰშორებოდა რამდენსამე მანძილზე. მოკლე ხანის განმავლობაში ორს ლაღუმს ეფეთქნა და მესამეს-კი კარგა ხანს დაეგვიანა. კალისტრატეს ეგონა — მესამე ლაღუმმა მომატყუაო და ხელმეორედ მიუახლოვდა პატრუქის მისაცემად. აეღო პატრუქი, ჩაედო გატენილს კლდის ნაფულრში, რომელშიაც ცეცხლს ჯერ არ მიეღწია თოფის წამლამდე და სანამ წუმწუმას აანთებდა, იფეთქა თოფის წამალმა, გახეთქა ლოდი ნაწილ-ნაწილად და საშინლად დაასახიჩრა თავდადებული მამა კალისტრატე. საცოდავისათვის ლაღუმს წაურთმევია სრულებით სამი თითი მარჯვენა ხელისა: დიდი, მაჩვენებელი და შუა თითი და ამავ ხელის ძვლები სულ დაულეწია. პირი-სახეც ძალიან დაუშავებია და დაუზიანებია. სულ შეტრუსნია, გაჰლურჯებია და ისე აქვს თურმე დასიებული, რომ ექიმმაც ჯერ არ იცის, თვალები აქვს თუ არა. მაგრამ, როგორც ექიმი ამბობს, სახე საეჭვოდ არა აქვს დაზიანებული, რადგან სიმსივნე არ უშლის მამა კალისტრატეს არც ლაპარაკს და არც ჭამასა.

მოწვეული ქალაქ ახალქალაქიდგან სამხედრო ექიმი ამბობს, რომ თუ ხელი არ მოეჭრა, ძალიან ძნელია კალისტრატეს მორჩენა და ეს ოპერაცია უსათუოდ საჩქაროდ უნდა მოხდეს, ვიდრე ანტონის ცეცხლი არ გასჩენიაო. მე მარტოკა არ შემიძლია ეს ოპერაცია გავუკეთო, თუ ერთი სხვა ექიმიც არ დამესწროვო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ვინ არის პატრონი?! დასტოვეს ძვირფასი მამა ეხლანდელ უამინდობისა გამო მიუვალ და მივარდნილ კლდეში. ამაზედ არც პოლიცია ზრუნავს, არც მაზრის ექიმები. თუმცა პოლიციამ გაგზავნა თავისი მოხელე, ბატონი ვ. ტერ-გრიგორიევი, მონასტრის ნივთების დასაცველად და აგრეთვე მღვდელ-მონოზონისა, მაგრამ ამნაირი დაცვა ვერ დაიხსნის დასა-

ხიჩრებულ ძვირფასს მამას, რომლის შემდგომაც მთელი მონასტერი უნდა ჩავარდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იყო ამ სამი და ოთხის წლის წინად".



ვარძიის მონასტრის საძმო

1888 წლის 10 დეკემბერს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ექიმის რჩევითა და თხოვნით, მამა კალისტრატე თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს.

1890 წლის 12 იანვარს დავით გარეჯის მონასტერში დაინიშნა, სადაც ასევე უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. მონასტრის დათვალიერების დროს იგი კლდეზე დაგორდა და საშინლად დაიმტვრა. ექიმებმა ძლივს მოახერხეს მისი ფეხზე დაყენება. XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მამა კალისტრატე, თავისი თხოვნით, სოხუმის ეპარქიაში გადაიყვანეს და დრანდის რუსული მონასტრის საძმოში განამწესეს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. 1906 წლის 12 სექტემბერს სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი, შემდგომში — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) სწერდა მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს: **„10 სექტემბერს ღამე გავათიე ჩემს მონასტერში — დრანდაში. მეორე დღეს, დილით, ვნახე დრანდის მთაში გვირაბები, ძველად გამოკვეთილი მდინარის პირამდე. მერე წავედი ახლომდებარე ქილის სანახავად. ქილა წარმოადგენს პატარა მონასტერს, რომელშიაც ოცამდე ბერი მოღვაწეობს. ამ ქილის ახლოს სახლობენ ესტონები და მეგრელები. მეორე ქილის ნახვა ვეღარ მოვასწარი. მონასტრის წიგნსაცავში ვნახე ექვსი ქართული ხელნაწერი, რომლებიც დრანდის მონასტერს დარჩენია მღვდელ-მონაზონ ცნობილი კალისტრატესაგან. ორი მათგანი ტყავზეა ნაწერი და დანარჩენი ქაღალდზე. ერთი უფრო უძველესი ხელნაწერი ეკუთვნის X-XI ს-ს. გარდა ამისა, მამა კალისტრატეს ბევრი ხელნაწერი ჰქონია, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ მისსავე ნათესავს, გვარად ლოლუას წაუღია. მასვე დარჩენია ნაწილებიანი წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ეხლა დრანდის მონასტრის ტრაპეზში ასვენია. ამ ხატის აღწერა თვით კალისტრატეს მოუქცევია ლოცვანის წინა ფურცელზე (ეს ლოცვანი ტარასის ხელშია — იგულისხმება მღვდელ-მონაზონი ტარასი კანდელაკი, შემდგომში — წილკნელი ეპისკოპოსი), სადაც ვკითხულობთ: „ზევით რომ არის — წმინდა გიორგის გვერდია, მეორე — წმინდა ნიკოლოზისა, მესამე — წმინდა იოანე ნათლისმცემლის კბილია, მეოთხე — წმინდა ხარლამპის, ზევითა კუთხეში წმინდა მარინესი. მეორე კუთხეში — ძელი ჭეშმარიტი მოყვითალო ქრისტესი და ნათლისმცემლის სისხლია".**

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ღვაწლმოსილი მოძღვარი აფხაზეთში, დრანდის მონასტერში აღესრულა. თუ სად დაკრძალეს იგი, ჩვენთვის უცნობია.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

უფალი ჭვრეტს იმასაც, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ წინასწარ არ განსაზღვრავს, რათა არ შეზღუდოს ადამიანის თავისუფალი ნება. თუმცა კი უფალს სძაგს ცოდვა და არ სურს, რომ იყოს ბოროტება, მაგრამ ღვთის ბუნებაში არაა ძალადობა. იგი არ გვაიძულებს სიკეთის ქმნას. ყოვლადსახიერი უფალი წინასწარი განჭვრეტით წინასწარ საზღვრავს მხოლოდ იმას, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული. აქ წმიდა იოანე დამასკელი გულისხმობს, რომ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუ რას მოგვაგებს უფალი ჩვენს სათნო საქმეთა ან ბიწიერი ცხოვრების წილ. ამგვარად, წმიდა იოანე დამასკელის აზრით, უფალი წინაგანგებულებით საზღვრავს ადამიანების იმქვეყნიურ ხვედრს, მაგრამ საზღვრავს არა უბრალო გადაწყვეტილებით, არამედ ყოვლადსახიერებითა და სამართლიანობით, ადამიანის დამსახურებათა წინასწარი განჭვრეტით.

რაც შეეხება ადამიანების ცხოვრებას, უფალი მათ არაფერს უსაზღვრავს წინასწარ; არამედ ისინი თავისი კეთილმორწმუნეობითა თუ უზნეობით მოიწევენ უფლისგან შეწყნარებასა თუ სასჯელს. მიუხედავად იმისა, რომ უფალს ყველასთვის მხოლოდ სიკეთე სურს და თითოეული ადამიანის ცხონება, თუკი იგი ბოროტისკენ მიიდრიკა, მაინც უშვებს ადამიანში ბოროტის წარმოშობასა და განმტკიცებას, ვინაიდან არაფრით ზღუდავს მის თავისუფალ ნებასთუმცა კი ეს ღვთის ნების საპირისპიროა და მის მრისხანე განსჯას მოასწავებს. ამიტომ ადამიანების იმქვეყნიური ნეტარება თუ მარადიული სატანჯველი არა უფლის, არამედ თავად ადამიანების ხელთაა. ადამიანები თავიანთი მიწიერი ცხოვრებით იმსახურებენ უფლისგან ჯილდოს ან სასჯელს.

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ფოტომატიანე

ვარძიის მონასტერი XIX-XXI საუკუნეებში

II ნაწილი

დასაწყისი იხ. „საპატრიარქოს უწყებანის“ №31-ში

არქიმანდრიტი სვიმონი (წულუკიძე)
„ვარძიის ნატამალის გუშაგი და პატრონი“

ვარძიის მონასტრის რიგით მეხუთე წინამძღვარი გახლდათ **არქიმანდრიტი სვიმონი, ერისკაცობაში — სმარაგდე ყარამანის ძე წულუკიძე.** იგი 1834 წელს იმერეთში, წულუკიძეების თავადურ ოჯახში დაიბადა. ოჯახში პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, 1849 წელს, მშობლებმა პატარა სმარაგდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც 1853 წელს დაასრულა. 1854 წლის 11 თებერვალს 20 წლის ახალგაზრდა **(მეორე ვერსიით, 1857 წელს, როგორც ამას XVIII საუკუნის II ნახევარში გადაწერილ „ბიბლიურ წიგნებზე“ გაკეთებული მინაწერი გვამცნობს: „მე კნიაზი სამარაღდონი წულუკიძე განმაწესეს მორჩილად გაენათის მონასტერში ჩყნზ წელში“)** იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში მორჩილად განამწესა.

კავკასიის მთავარმართებელი
ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი

1861 წლის 5 დეკემბერს გელათის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ბონიფანტემ (ნადირაძე) მორჩილი სმარაგდე ბერად აღკვეცა და სახელად სვიმონი უწოდა. ამავე წლის 17 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1864 წლის 4 აპრილს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს. 1867 წლის 8 ოქტომბერს გორის ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილი) ბერ-დიაკონ სვიმონს მღვდლად დაასხა ხელი და ამავე წლის 20 ნოემბერს მონასტრის ეკონომოსად დაადგინა. 1869 წლის 19 თებერვალს დავით გა-

რეჯის მონასტერში გადაიყვანეს. 1870 წლის 28 ოქტომბერს ამავე მონასტრის ხაზინადრად დაადგინეს. 1871 წლის 25 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1872 წლის 13 იანვარს შიომღვიმის მონასტერში განამწესეს და იქაც ხაზინადრობა დაევალა. 1875 წლის 30 აპრილს წმინდა სინოდმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა. 1878 წლის 13 ივლისს სამკერდე ოქროს ჯვარი უბოძეს. 1879 წლის 25 ოქტომბერს ისევ გარეჯის მონასტერში დააბრუნეს და 1880 წლის 10 თებერვალს კვლავ ხაზინადრად დაინიშნა. 1882 წლის 13 ივნისს ჯავახეთში, ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობიხ მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1884 წლის 9 აგვისტოს კავკასიის მთავარმართებელმა, ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვმა იმოგზაურა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში. მან ახალქალაქის დათვალიერების შემდეგ ვარძიის მოლოცვა გადაწყვიტა და ცხენით გაემართა მონასტრისაკენ. როდესაც აღმართს შეუდგა, ფეხით მოინდომა მონასტერში ასვლა. კარიბჭესთან მას წინამძღვარი, მამა სვიმონი მიეგება და მოკლე სიტყვით მიმართა: **„თქვენო ბრწყინვალებავ! მხიარულებით მოგეგებვის თქვენ ძველი ესე მიძინების ტაძარი, სადგომი მეფე გიორგი III-ისა და ასული მისი მეფე თამარისაგან გადადებული სასაფლაოდ მათდა ამათ დროს ბედნიერ მდგომარეობაში იყო. შემდეგ კი 600 წლის განმავლობაში ამან გამოიარა ათასნაირი მტარვალობა ქრისტეს სარწმუნოების მტერთაგან. მცირედი ადგილიც არ არის ჩვენს ქვეყანაში, რომ ქართველთ სისხლი არ დაღვაროთ სარწმუნოებისთვის და მამულისთვის; მაგრამ არსად ისე არ დასტყობია, როგორც ამა მხარეს. თვალი ზეციურის დედოფლისა ყოველთვის იღვწოდა თავის წილხდომილის ივერიისათვის და მით მან მიანდო ქრისტესმოყვარე ძლიერის რუსეთის მეფეს მფარველობასა ქვეშე, რომელიც ზრუნავს წმიდათა ეკლესიათა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ღვთის განგებამ შთაგითხრათ თქვენ გულში თვით თქვენის თვალით განგეცადათ სალს კლდეში ეს დიდებული ძველი ტაძარი, სადაც კვალი თქვენი ბრწყინვალებისა დაუვიწყარი იქმნება. უფალმა აკურთხოს შემოსვლა და გასვლა თქვენი ამა ტაძრიდამ და წარმართნეს გზანი თქვენი გზასა მშვიდობისასა, სადიდებლად წმინდა სახელისა მისისა და სასარგებლოდ ერისა თვისისა“.**

1885 წლის 1 თებერვლიდან მღვდელმონაზონი სვიმონი ისევ გარეჯის მონასტერშია. 1885 წლის 15 ივლისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1888 წლის 26 აგვისტოს მამა სვიმონი ხელმეორედ დაადგინეს ვარძიის მონასტრის წინამძღვრად. 1898 წლის 5 ივლისს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანეს (გოროდეცკი) ლოცვა-კურთხევით, გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) მღვდელ-მონაზონი სვიმონი ენქერით დააჯილდოვა და ილუმენის წოდება მიანიჭა. 1901 წლის 10 ივნისს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

ვარძიის მონასტრის საერთო ხედი

1904 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ალექსანდრე ყიფშიძემ (ფრონელმა) იმოგზაურა ვარძიის მონასტერში და იქ ნანახი და განცდილი თავის ნაშრომში — „ნახული და გაგონილი ვარძია“ აღწერა. ძველი ისტორიისა და ამბების მოთხრობის შემდეგ, აი, რას გვიამბობს იგი არქიმანდრიტ სვიმონის შესახებ:

„ვარძიის ნატამალს გუშაგობას და პატრონობას უწევს არქიმანდრიტი მამა სიმონი, ერობაში თავადი წულუკიძე. დღეს ქართველობას ბერობა თითქმის აღარა გვყავს. იგი წარსულს რეჟიმს სამუდამოდ თან გაჰყოლია.

მამა სიმონი ახოვანი ტანისაა, ლმობიერი სახისა, ძალზედ მოხუცი, მაგრამ მხნე და სიცოცხლით სავსე. ეტყობა, დიდად უყვარს ვარძია. აქ შიმშილს ამჯობინებს სხვაგან განცხრომა-ფუფუნებას. მამა სიმონი ძველის ტიპის ბერია, რუსული სწავლა-განათლება არ მოუღია, საუბარი სასოებიანი და ქართული მარილიანი აქვს.

არქიმანდრიტს ორი მორჩილი ჰყავს, ვგონებ ერთი იმერია და მეორე — ამერი. ერთი პატარა ბიჭიცაა, ასე 12-13 წლისა, ცოცხალი, როგორც ჩიტი და მარდი, როგორც ნიბლია. მამა არქიმანდიტს ხელზე ემსახურება, ჩაის უკეთებს, სუფრას უშლის და ქვეშაგებსაც უმზადებს. ბავშვი იმერეთიდანაა ჩამოყვანილი. მისი წკრიალა ხმა ზარივით გაისმის ამ მინგრეულ-მონგრეულ მღვიმეთა შორის. მარტოოდენ ეს ბალღია სიცოცხლის წარმომადგენელი და გამომსახველი. დიდხანს გასძლებს თუ არა ეს მალხაზი ქოჩორა ჩიტი სიცოცხლეს მოკლებულ სავანეში, ძნელი გამოსაცნობია.

არავითარი სახსარი ცხოვრებისა მამა სიმონს კრებულით არა აქვს. დღესაც არ ვიცი, რითი საზრდოობს დიდებულისა და სახელოვანის ვარძიის გუშაგი. ქონება არავითარი, არც მოძრავი, არც უძრავი. კრებულს ჰყავს ერთადერთი სახედარი — ფქვილისა და შეშის საზიდავად. ჰყოლიათ ერთი ცხენიცა და, რადგან ვერ გამოუკვებიათ, გაუბარებიათ.

ცოტაოდენი შეწირულობა მოუგროვებია მამა სიმონს და განუზრახავს წისქვილი დაებრუნებინა მტკვარზე. სამი ქვა კიდეც მოეტანა ქუთაისიდგან, რუ გაეთხარა დიდი წვალებითა და ტანჯვით, მაგრამ წისქვილი ჩემს იქ ყოფნის დროს წესიერად ვერ მუშაობდა, წყალი ღონივრად ვერ სცემდა და წისქვილს უგემურად გაჰქონდა ღრიტინი. მაშასადამე, ეს განზრახული წყარო საზრდოს შოვნისა ჯერჯერობით დაშრეტილია.

მამა სიმონს ჰყვარებია ქართულის კითხვა. ჩემსობას „ივერიასა“ მოვკარი თვალი არქიმანდიტის სენაკში. საწყენია, თუ ფულით იწერს. საიდან უნდა გაიღონ ერთი თუმანი? კარგს იზამს რედაქცია, თუ უსასყიდლოდ გამოუგზავნის გაზეთს. ნუ დაივიწყებს გაზეთი, რომ ეს სამოოთხი ქართველიღა დარჩა ძველის საქართველოს წარმომადგენლად ამ გამაჰმადიანებულს და გასომხებულს მხარეს. ვსთხოვ „ცნობის ფურცელსაც“ და „მოამბეს“, ნუ დაიშურებენ ჟურნალსა და გაზეთს ვარძიისათვის, ხოლო ნახატებიანი დამატება საჭირო არაა, ვინაიდგან ვარძია იტალია არ არის და მამა სიმონი იმ ბერთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელნიც ბოკაჩოს დროს ცხოვრობდნენ. შიშველ ქალთა სურათნი „დეკამერონობას“ გასწევენ და რა ხელსაყრელია, რომ უდაბნოში ჩვენსავე ხელით შევიტანოთ „ეშმაკეულობა“ და „ავი სული“. საჭიროა პური არსობისა და გონების საზრდო და არა სულისა და გულის მაცთუნებელი. ესენი სხვა ჯურის ბერთათვის და ნერვებმოშლილ ინტელიგენციისათვის დაგვილოცია“.

1907 წლის 15 ივნისს არქიმანდრიტი სვიმონი კახეთში, ხირსის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1911 წლის 8 დეკემბერს, მოხუცებულობის გამო, შტატიდან გადადგა და პენსიაში გავიდა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით, მას უფლება მიეცა, ეცხოვრა ხირსაში, სადაც მონასტრის შემოსავლიდან თვეში 10 მანეთი დაენიშნა. 1916 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა (როჟდესტვინსკი) იმოგზაურა კახეთში და ხირსის მონასტერი მოილოცა, მოინახულა ღრმად მოხუცებული არქიმანდრიტი სვიმონი, რომელსაც დაჰპირდა პენსიის მომატებას. მან დანაპირები შეასრულა და ამავე წლის 1 აპრილიდან, მისივე ბრძანებით, ქართლ-კახეთის ეპარქიის მამათა მონასტრების საძმოებს დაევალათ ყოველწლიურად 240 მანეთი შეეგროვებინათ მამა სვიმონის სასარგებლოდ. სავარაუდოდ, მამა სვიმონი 1917 ან 1918 წელს გარდაიცვალა.

არქიმანდრიტი სვიმონი

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე: სს „ლიბერთი ბანკი“ (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406). ბანკის კოდი: LIBRTGE22. მიმღები: ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია-ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაფრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

ვარძიის მონასტერი XIX-XXI საუკუნეებში

III ნაწილი

არქიმანდრიტი იპოლიტე (მნათენაძე) „ყოვლადპატიოსანი და გულკეთილი ადამიანი“

მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი გახლდათ არქიმანდრიტი იპოლიტე, ერისკაცობაში — ილარიონ ნიკოლოზის ძე მნათენაძე. იგი 1861 წელს ქართლში, სახელმწიფო გლეხის ოჯახში დაიბადა. 1897 წლის ჩათვლით იგი მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული. 1898 წლის 19 მარტიდან ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის უშტატო წევრია. 1900 წლის მარტში სასულიერო უწყებაში მიიღეს. ამავე წლის 12 ივნისს შტატის მორჩილად დაადგინეს. 1901 წლის 4 მაისს თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მონასტერში გადაიყვანეს და ამავე წლის 17 ნოემბერს იპოლიტეს სახელით ბერად აღკვეცეს. 1901 წლის 4 დეკემბერს დიაკვნად აკურთხეს. 1907 წლის 9 მარტს ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და ამავე წლის 18 მარტს ეგზარქოსების წმინდა ჯვრის სახელობის კარის ეკლესიაში საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა (სოფისკი) მღვდლად დაასხა ხელი. 1913 წლის 14 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა.

1920 წელს ვინმე არჩილ მაჭავარიანმა იმოგზაურა ვარძიის მონასტერში და იქ ნანახი და განცდილი გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა:

„ბერი იპოლიტე, რომელიც ამჟამად იმყოფება ვარძიის მონასტერში და თავის თავი შეეწირა განდეგილობისათვის ამ ღირს შესანიშნავ და მიყრუებულ ადგილსა — ყოვლადპატიოსანი და გულკეთილი ადამიანი იყო. იგი მაგონებდა სხვა განდეგილებს, რომელთაც ყველაფერი მიეტოვებინათ, რათა ღვთისმსახურებაში გაეტარებინათ თავიანთი სიცოცხლე. ეხლაც, ამ მეოცე საუკუნეში, როდესაც მთელი კაცობრიობის აზროვნების ფართე ასპარეზი ერთგვარ უარყოფას ისახავს ორთოდოქსულ მიმართულების წინააღმდეგ და ეძებს სულ სხვა გზებს საღვთისმეტყველო საკითხების გადაწყვეტაში, მოიპოება სადღაც ადამიანები, რომელნიც წმინდად იცავენ ძველ სასულიერო ტრადიციებს და სულგრძელობით იტანენ წილად ხდომილ ბერულ ცხოვრებას. მისი საქმე იყო ლოცვა და სხვა არაფერი. მის სიმდიდრეს შეადგენდა რამდენიმე სასულიერო წიგნი და კრიალოსანი, რომელსაც ის აგორებდა ლოცვის შემდეგ, დასვენების დროს.

მისვლისთანავე მოხუცი იპოლიტე დიდის თანაგრძნობით მოგვეპყრო და სიამოვნებით გაგ-

ბერების კელია

ვიძღვა წინ მონასტრის დასათვალიერებლად.

უნებლიეთ გებადება კითხვა:

— რა ხელმა და რა გონებამ გააკეთა ყველაფერი ეს?.. ყველგან დაცულია სილამაზე, მოხდენილობა, სისწორე. აი, რით შეგვიძლიან მართლა ვიამაყოთ ჩვენ. აი, რა შესძლებიათ და როგორები ყოფილან ქართველები ძველად.

მაგრამ, საუბედუროდ, ჟამთა სიმუხთლე დასტყობია მას. ოსმალების შემოსევის დროს დიდი ზიანი მისცემია ამ მონასტერს. კელდებზე მხატვრობა დასერილია თოფის ტყვიებით, ზოგ ადგილ[illegible] ოთახების ერთი მეორის გამყოფი შუა კედლები [illegible] მონგრეულია უხეშ მტრისაგან უმიზნოდ. ამას გარდა, ზოგ ალაგას კლდე ჩამოწოლილია და ოთახები დანგრეული, რადგან წვიმისგან და ნიაღვრისგან ჩამოთლილი კლდე ვეღარ შემაგრებულა თავის ადგილს. ეს უკვე ჩვენი ბრალია, რომ მას ყურადღებას არ ვაქცევთ და საჭირო შეკეთებისათვის, რომელსაც დღეს ეს ძველი მონასტერი მოითხოვს, არ ვფიქრობთ. მონასტრის სიმდიდრე, რომელიც მასში იყო წინად, ზოგი მოპარულია და გაძარცვული და ზოგიც ძალად წაღებული. ბერის სიტყვით, რაც კი ღირსშესანიშნავი იყო ამ მონასტერში ხატებიდან დაწყებული, რუსების ბატონობის დროს იქნა რუსეთში გაზიდული ურწმუნო ეგზარქოსების დროს — როგორც აშკარად, ისე ფარულად. რაც რუსებს გადაურჩა, ის ოსმალებს წაუღიათ შემოსევის დროს, ხოლო ადგილობრივ თათრებს დაუმთავრებიათ მონასტრის გაქურდვა, ვინაიდან ამ დროს ბერები (წინად რამდენიმე ბერი იმყოფებოდა აქ) გაქცეულან და მონასტერი უპატრონოდ დარჩენილა.

ამის მიუხედავად, მოხუცი ბერი ერთგვარ სიხარულს გამოსთქვამდა იმის შესახებ, რომ რუსები განდევნილნი არიან საქართველოდან და საქართ-

ველო ეხლა თვით არის თავის ბატონ-პატრონი. ბერმა შემოგვატარა მთელი მონასტერი და დაგვათვალიერებინა. ამასთან, ყველაფერს გვიხსნიდა და საგულისხმიერო ცნობებს გვაწვდიდა. დავლის შემდეგ დავსხედით ეკლესიის წინ, დერეფანში, სვეტებთან, საიდანაც მოსჩანდა დაბლა გადაჭიმული მტკვრის ხეობა.

— გუშინ, — გვითხრა ბერმა, — მთავრობის თავმჯდომარე ბრძანდებოდა აქ მინისტრებით. მან დაათვალიერა აქაურობა. სხვათა შორის, წაიღო ჩემ მიერ შედგენილი შეკეთების გეგმა და დამპირდა მონასტრის შეკეთებას.

ბერი იპოლიტე კმაყოფილი იყო ამით, მაგრამ ურდა ფართე საზოგადოებასაც მიეპყრო ყურადღება და მონასტრის შეკეთებაში დაეხმარებოდნენ...“

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი მეთაურის, ნოე ჟორდანიას დაპირება დაპირებად დარჩა. 1921 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიამ საქართველო ხელმეორედ დაიპყრო და ვარძიის მონასტრისთვის აღარავის ეცალა. მამა იპოლიტე ისევ თავისი ძალებით ცდილობდა სავანე დანგრევისა და გაუდაბურებისაგან ეხსნა, მაგრამ რა უნდა ექნა მარტო კაცს იმ უმძიმეს პერიოდში, რომელიც ახალმა კომუნისტურმა რეჟიმმა მოუტანა საქართველოს.

1924 წლის ზაფხულის დასაწყისში ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ვარძიის მონასტრისათვის და საკათოლიკოსო საბჭოს სთხოვდა გამოენახა გზები და საშუალება, რათა იქ მცხოვრებ ბერებს არ შეეწყვიტათ ლოცვა-ვედრება ერისა და საქართველოს გადარჩენისათვის. აი, რას წერდა იგი: **„თქვენს მეუფებას კარგად მოეხსენება, რომ ვარძიის მონასტერი ქართველი ერის სიამაყეა, როგორც უტყუარი საბუთი მისი წარსული დიდებისა, სარწმუნოების ფხიზელი დარაჯია, რადგან საზღვარზე დგას. მას გარს ახვევიან უცხო სარწმუნოების ერები, საიდანაც ხალხი ბლომად დაიარება დიდ დღესასწაულებში. ნახულობენ სავანეს და მით ეცნობიან ჩვენი ერის ისტორიას და სარწმუნოებას. ამ მონასტრის ცხოვრებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 აგვისტო (ძვ. სტილით) ღვთისმშობლის მიძინების დღე. ამ დღეს ტაძრის დღესასწაულია. ეს დიდებული მონასტერი თავისი წარსული სიდიადით საქართველოს ყველა კუთხიდან ამ დროისათვის დიდძალ ხალხს იზიდავს. მლოცველების რიცხვი იმდენად დიდია, რომ არსებულ მაღაროებში ვერ თავსდებიან და იძულებული ხდებიან კიბეებზე გაათიონ.**

ჩემის აზრით, რომ სარწმუნოების ეხლანდელმა კრიტიკულმა ხანამ, მორწმუნე ერს გული რომ არ გაუგრილოს და მით მონასტერმა ერთხელ და სამუდამოდ არ დაჰკარგოს თავისი მნიშვნელობა, საჭიროა მონასტრის სახელის ამაღლება. ეს კი მოხდება მაშინ, თუ ყოველწლობით, ამ შესანიშნავ დღეს მღვდელმთავრის წირვა მოეწყობა და დანარჩენ დღესასწაულებში წინამძღვარი შეასრულებს წირვას, მაინცდამაინც არქიმანდრიტის ხარისხში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მლოცველებში სარწმუნოების გრძნობას ფრიად გააღვიძებს.

გამოვდივარ რა ასეთი დებულებიდან, უმორჩილესად ვშუამდგომლობ თქვენი მეუფების წინაშე, წელს ღვთისმშობლის მიძინების დღეს კეთილი ინებოთ წირვა ხსენებულ მონასტერში, ხოლო აწინდელი წინამძღვარი მისი — მღვდელ-მონაზონი იპოლიტე აღიყვანოთ არქიმანდრიტის ხარისხში, რადგან მან ეს უკვე დაიმსახურა.

მღვდელ-მონაზონი იპოლიტე მაღალი ზნეობისაა და მტკიცედ ასრულებს ბერულ აღთქმას. იგი 16 წელიწადია მოღვაწეობს აღნიშნულ მონასტერში. მას იქ გაუკეთებია სავანეში ასასვლელი კიბეები, გაუმშვენებია წყარო, შეუკეთებია წინამძღვრის ბინა. ასუფთავებს და უვლის მრავალ მაღაროს. ასრულებს ღვთისმსახურებას, მუდმივ სასყიდელს კი არსაიდან იღებს. მას ახალციხე-ახალქალაქის ოლქშიაც მიუძღვის სამსახური, რაც გამოიხატება ოლქის ეკლესიებისათვის სამედავითნეო კანდიდატების მომზადებაში. თუ სადმე მესხეთ-ჯავახეთის ეკლესიებში მედავითნე კარგად გალობს, ამის მიზეზი აუცილებლად მამა იპოლიტეა, რადგან თვითონ მშვენიერი მგალობელია“.

საკათოლიკოსო სინოდმა გაითვალისწინა მამა იპოლიტეს დამსახურება და იმავე წლის 28 აგვისტოს, ტაძრის დღესასწაულზე მას არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. მისი შემდგომი ბედი უცნობია. რო-



ვარძიის მონასტრის საერთო ხედი

გორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, ამის შემდეგ ვარძიის მონასტერში მალევე შეწყდა ღვთისმსახურება.

მღვდელ-მონაზონი მათე (გელაშვილი)

აქვე უნდა ვახსენოთ ვარძიის მონასტრის საძმოს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, მღვდელ-მონაზონი მათე, ერისკაცობაში — მიხეილ გელაშვილი. იგი 1849 წელს ქართლში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. 1878 წლის 14 სექტემბერს მიხეილი ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერში მორჩილად განამწესეს. 1891 წლის 24 იანვარს სასულიერო უწყებაში მიიღეს და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 1894 წლის 31 ივლისს ბერად აღიკვეცა და სახელად მათე ეწოდა. ამავე წლის 30 ოქტომბერს დიაკვნად აკურთხეს. 1897 წლის 16 დეკემბერს მამა მათე ისევ ვარძიის მონასტერში გადაიყვანეს. 1898 წლის 5 დეკემბერს მღვდლად დაასხეს ხელი. 1907 წლის 19 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. მამა მათეს შესახებ მოგონებები შემოგვინახა ან განსვენებულმა ბაგრატ პაპამ (დევნოსაძე), რომელიც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა ვარძიის მახლობლად (დაბადებული იყო 1900 წელს) და კარგად ახსოვდა იქ მოღვაწე უკანასკნელი ბერები. აი, რას ყვებოდა იგი მათე ბერის შესახებ:

„თუ რომელიმე სოფელში რაიმე სენი მძვინვარებდა, იგი არ უშინდებოდა და თვითონ კურნავდა ხალხს. მათე ბერს თხის ტყავი ემოსა. ძალიან უყვარდა ხალხს. ხშირად დაგვიანებია მონასტერში მისვლა და კარიც დაუკეტავთ, დილით კი, ყველას გასაკვირად, თავისი სენაკიდან გამოსულა. გაკვირვებულებს ასე პასუხობდა:

— კარი ღიად დამხვდა და ისე შემოვედიო.

1917 წლის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე იგი ხალხში ქადაგებდა უღმერთო ადამიანების გამოჩენის შესახებ, რომლებიც დაანგრევდნენ ტაძრებს, აცდუნებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს და მოუწოდებდა ყველას, მტკიცედ მდგარიყვნენ სარწმუნოებაზე.

რევოლუციის შემდეგ იგი წასულა ამ მონასტრიდან და მას შემდეგ არც არაფერი გაუგია მის შესახებ პაპა ბაგრატს“.

ვარძიის მონასტრის საძმო

მონასტრის დახურვისა და აღდგენის ხანა

საბჭოთა ხელისუფლებამ ვარძიაში მონასტერი დახურა, შემდეგ ჯერ ტურისტული ბაზა, 1938 წელს კი — მუზეუმი დააარსა. მისი ხელახალი ამოქმედება XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მოხერხდა. 1989 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ვარძიის მონასტრის პირველ წინამძღვრად **მღვდელ-მონაზონი სერაფიმე (კიკონიშვილი)** დაინიშნა. 1990-1995 წლებში ვარძიაში **მღვდელი იოანე გელაშვილი,** ხოლო 1995-1999 წლებში კი **მღვდელი ზოსიმე კაცაძე** მსახურობდა.

1999 წლიდან ვარძიაში ბერები დასახლდნენ და მონასტრის წინამძღვრად **მღვდელ-მონაზონი ანტონი (მაჭარაშვილი, ამჟამად არქიმანდრიტი)** დაინიშნა. 2001 წელს მამა ანტონის ძალისხმევით სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში ბერებისთვის სენაკები მოეწყო, სადაც ერთი სენაკი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ისთვისაა განკუთვნილი. 2002 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა მოილოცა ვარძიის მონასტერი და მოინახულა მისთვის განკუთვნილი სენაკი. მონასტერში ახლაც გრძელდება სარემონტო სამუშაოები და მიმდინარეობს მისი გამშვენება-განახლება. ამჟამად ვარძიის მონასტერში მოღვაწეობენ: **წინამძღვარი — არქიმანდრიტი ანტონი (მაჭარაშვილი), მღვდელ-მონაზონი მათე (ვაშაყმაძე), ბერ-დიაკონი შალვა (გოგატიშვილი), ბერ-დიაკონი გიორგი (ვარდანიძე), ბერი იოანე (ზარიძე), ბერი ლაზარე (ჯობინაშვილი).**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

დეკანოზი იოანე ბობოხიძე 1868-1937

I ნაწილი

დეკანოზი იოანე დავითის ძე ბობოხიძე 1868 წლის 1 ივლისს იმერეთში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება მომავალმა მოძღვარმა ოჯახში მიიღო. შემდეგ სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო. 1884-1890 წლებში იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო მთავრობამ თავისი ხარჯებით ცოდნის გასაღრმავებლად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გააგზავნა. ოჯახური მდგომარეობის გამო იოანემ მცირე პერიოდი დაჰყო მოსკოვის აკადემიაში, რის შემდეგაც იძულებული გახდა მალ[illegible] სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1892 წელს იგი დაოჯახდა ქიონია ლუკიშკინაზე (დაბადებული 1872 წ.) და მასთან ხუთი შვილი შეეძინა: ნადეჟდა (დაბადებული 1893 წ.), შალვა (1895წ.), ნიკოლოზი (1896წ.), დავითი (1899წ.) და იოანე (1903 წ.).

იოანე სემინარიაში სწავლის პერიოდში

სამშობლოში დაბრუნებული იოანე 1891 წლის 1 იანვარს მარტვილის ორკლასიან სანიმუშო სკოლაში უფროს მასწავლებლად დაინიშნა, სადაც 1896 წლის 6 დეკემბრამდე მუშაობდა. 1896 წლის 6 დეკემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 8 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ზუგდიდის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. 1896 წლის 15 დეკემბერს გურია-სამეგრელოს სასწავლო საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით, მეუფე გრიგოლმა მამა იოანე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მმართველ საბჭოში დანიშნა, სადაც 1900 წლამდე იმუშავა. 1898 წლის 4 თებერვალს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა.

დეკანოზი იოანე ბევრს ზრუნავდა ახალგაზრდებში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. ცდილობდა ბავშვებში გაეღვიძებინა სწავლისადმი სიყვარული და ხშირად უქადაგებდა მათ მის დადებით მხარეებზე.

1898 წლის 20 მარტს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) დაინიშნა. ამავე წლის 6 ივნისს, თანმხლებ პირებთან ერთად, იგი ზუგდიდში ჩაბრძანდა. ქალაქის შესასვლელში მას მიეგებნენ მაზრის უფროსი, საპატიო მოქალაქენი, სამღვდელოება და დიდძალი მრევლი. მისმა მეუფებამ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და შემდეგ ზუგდიდის სულთმოფენობის სახელობის ეკლესიაში მიბრძანდა. მცირე პარაკლისის შემდეგ მეუფეს სიტყვით მიმართა ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა ანდრია ვახანიამ. იმავე დღეს მან დაათვალიერა ზუგდიდის ქვის ექვსკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. მეორე დღეს მეუფე მწირველი ბრძანდებოდა ზუგდიდის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიაში. წირვის წინ მეუფეს სიტყვით მიმართა ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა იოანე ბობოხიძემ, რომელმაც ისაუბრა მისი მეუფების ყოველი კეთილი საქმისა და ნაღვაწის შესახებ ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ, გამოთქვა იმედი, რომ ყოვლადუსამღვდელოესობა არ დაიშურებდა ენერგიას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა მრევლის რწმენისა და ზნეობის განმტკიცებას ამ მხარეში. ამავე საღამოს მეუფე მიბრძანდა სოფელ ჭკადუაში, პრინცესა სალომე დადიან-მიურატთთან და დალოცა იგი.

1898 წლის 26 დეკემბერს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მამა იოანე გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლო საბჭოს ზუგდიდის მაზრის განყოფილების თავჯდომარედ დანიშნა, სადაც მან 1905 წლის [illegible] ოქტომბრამდე იმსახურა. 1900 წლის 12 ია[illegible]ვარს ზუგდიდის ქალთა ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. ამავე წლის 27 აპრილს ზუგდიდის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა დაევალა. 1900 წლის 13 მარტს ცაიშის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაადგინეს.

მამა იოანეს გვერდით ედგა და რამდენჯერმე ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწია პრინცესა სალომე დადიანმა, რომელიც ასევე დაინტერესებული იყო სწავლა-განათლების გავრცელებით ამ მხარეში. 1901 წელს მამა იოანე გაზეთ „ივერიაში" წერდა: **„მისი უმაღლესობის, პრინცესა სალომე დავითის ასულის თაოსნობით და ხარჯით, ამა წლის 8 აპრილს, ღამით, დაბა ზუგდიდში, სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის სასახლეში ჩემდამი რწმუნებული ზუგდიდის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის უღარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ იქნა კონცერტი, რომლისაგან შემოსული 300 მანეთი მათმა უმაღლესობამ იმავე ღამეს გადმომცა დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. როგორც კონცერტი, ისე ბუფეტი იმ ღამეს გამართული იყო მისი უმაღლესობის სრული ხარჯით, რაც მას დაუჯდა არანაკლებ 300 მანეთისა.**

მღვდელი იოანე

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრინცესა სალომე მიურატისა მეტად მოწადინებულია ზუგდიდის მაზრაში დედათა სქესის სარწმუნოებრივს და ზნეობრივს განათლებას ხელი შეუწყოს, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერადაც. დაბა ზუგდიდში მეორეკლასიან დედათა სკოლის დასაარსებლად მან შემოსწირა ერთი ქცევა მიწა, ღირებული 2700 მანეთად და ეხლანდელს ორკლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლას დროებით თავის სახლში სამი ოთახი დაუთმო კლასებისათვის და კიდევ ცალკე სამთვალიანი სახლი ხელობის მასწავლებლის ბ. გეთიას სადგომად.

იმედია, მათის უმაღლესობის ასეთი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება დიდს ბეჭედს დაასვამს ზუგდიდის მაზრის წარმატებისა და წინმსვლელობის საქმეს. ღმერთმა ინებოს, მის უმაღლესობას დედათა სქესის განათლების საქმეში წამბაძველნი აღმოუჩნდნენ".

1902 წლის 29 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებამ იდღესასწაულა დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას დედაეკლესიაში მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ლიტურგიის დასასრულს, შეკრებილმა საზოგადოებამ მამა მიხეილს მთავარანგელოზ მიქაელის ვერცხლის ხატი მიართვა სამახსოვროდ, რის შემდეგაც მღვდელმა იოანემ მისალოცი სიტყვა წარმოთქვა:

„თქვენო მაღალღირსებავ, დიდად პატივცემულო დეკანოზო მიხეილ! ცაიშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოება განუსაზღვრელი აღტაცებით ეგებება დღეს თქვენი მაღალ-ღირსების 50 წლის იუბილის დღესასწაულს. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თქვენ შეგისრულებიათ მძიმე მოვალეობა მოძღვრისა და ჩვენის უფროსისა, ისეთის კრძალულებით, პატიოსნებით, მართლმსაჯულებით და კეთილსინდისიერად, რომ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს ყანაზე მუშაკთა შორის თქვენ დაიჭირეთ თვალსაჩინო და საპატიო ადგილი. უღრმესი სარწმუნოება, მოშიშებით ღვთისმსახურება, გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა შებრალება, ხოლო მჩაგვრელთა წინაშე შეუპოვრობა, სიმართლის პირდაპირ წარმოთქმა, პირმოუფერებლობა აგიღიათ თქვენ საგნად თქვენის მოქმედებისა და მიზნისა წარსულის საუკუნის მეორმოცდაათე წლებში და მას შემდეგ თუმცაღა გავიდა არა მცირე ხანი, თუმცაღა, ბევრნაირად შეტრიალდა ჩარხი ჩვენის საზოგადოებისა და სამღვდელოების სულიერის ცხოვრებისა და მმართველობისა, თუმცაღა, ბევრი გინახავს კარგიცა და ავიც, გარნა გამოტეხილად და გულწრფელად აღვიარებთ, რომ მთელ თქვენს მსახურებაში არ ყოფილა ისეთი თვალსაჩინო შემთხვევა, რომ თქვენ ოდესმე გეღალატოთ თქვენის მიმართულებისათვის, რომ თქვენ ოდესმე მოგედრიკოთ ქედი გარემოების წინაშე. მთელ თქვენს მსახურებაში არ ყოფილა ისეთი მოქმედება, რომელიც ჩირქს სცხებდეს თქვენს პატიოსნებას, ისეთი საქმე, რომელიც აშავებდეს თქვენს პირადობას. ეს არის ხვედრი მხოლოდ რჩეულთა ქრისტეს მეომართა. გიხაროდენ, მაღალღირსო დეკანოზო, რომ ასე გაუსვრელად, ასე შეუბღალავად, ასე უანგაროდ, ასე წმინდათ გიზიდავს თქვენი მძიმე ტვირთი მოძღვრისა და უფროსისა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ვსასოებთ, რომ ამგვარის თქვენი უმანკო სამსახურისათვის, როგორც მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან ხართ დაჯილდოებული ყოველგვარ ნიშნებით უღრმესი პატივისცემისა და სიყვარულისა, აგრეთვე ღვთისაგანაც მიიღებთ თქვენ უდიდეს ჯილდოს, როცა წარსდგებით მის წინაშე. წინდად ჩვენ შორის მტკიცე სულიერი კავშირისა და მამაშვილურის სიყვარულისა, ცაიშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებისაგან ამ ღირსშესანიშნავ დღეს მიიღე, ღრმად საყვარელო, მხცოვანო დეკანოზო, ჩვენო სულიერო მამაო და აღმზრდელო, ხატი ესე მთავარანგელოზ მიხეილისა. მთავარანგელოზი მიხეილი იყოს შემწე და მფარველი თქვენის მარჯვენისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა. ამინ".

1903 წლის 2 მარტს მამა იოანე რედუტ-კალეს ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1903 წლის 22 ივლისს ერთგული სამსახურისათვის სკუფია უბოძეს. 1903 წლის 29 ოქტომბერს ცაიშის ოლქის მთავარხუცესად გადაიყვანეს.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მამა იოანეს აქტიური მოღვაწეობა მიუღებელი იყო რუსული მმართველო-

სალომე დადიანი და მისი მეუღლე აშილ მიურატი

ზუგდიდის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეკრება 1904 წელი

ბისათვის, რომელიც აშკარად ცდილობდა ქართველი ერის გათიშვას, სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნას და იქ იმპერიული პოლიტიკის გატარებას, რომელიც დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ეს დაპირისპირება მამა იოანეს იმერეთის ეპარქიაში გადაყვანით დამთავრდა. მოძღვარი მოაცილეს ზუგდიდს და 1905 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადაიყვანეს, სადაც 1906 წლის 19 აპრილამდე მსახურობდა.

ქუთაისშიც აქტიური მუშაობა გააჩაღა მამა იოანემ სტუდენტებში ეროვნული იდეების გასაღვიძებლად. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მეფის მთავრობამ კიდევ უფრო გაამკაცრა კონტროლი ეროვნული და ავტოკეფალიის მომხრე სამღვდელოების მიმართ. განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაუწესეს მამა იოანეს, როგორც ერთ-ერთ მთავარ აქტივისტს. 1906 წელს გაზეთი „შრომა" წერდა: „საქართველოს ეგზარქოსის მოადგილემ, ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ელიაშვილი) საპოლიციო უფროსის გენერალ შირინკისაგან შემდეგი ცნობა მიიღო: **„იმ ცნობების ძალით, რომელიც მე ამჟამად ხელთა მაქვს, ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი მღვდელი იოანე ბობოხიძე არაერთხელ ყოფილა შენიშნული მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევაში. 15 ნოემბერს კი ამავე მღვდელმა ოდესაში მოკლული ლაბორანტის საბა კლდიაშვილის პანაშვიდის დროს წარმოსთქვა გულის აღმაშფოთებელი სიტყვა, დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „ძირს იუდავ, ძირს ტახტიდან, წყეულო მეფევ, ხალხის სისხლში მოცურავევ, ძირს ძმის მკვლელო კაენო მთავრობავ..." შემდეგ სიტყვაში მღვდელი ბობოხიძე ახასიათებდა რა მჭერმეტყველურად მთავრობის მოქმედებას, იწვევდა მსმენელთ, რომ ისინი წინააღმდგარიყვნენ ასეთ მტარვალურ და მხეცურ მთავრობის წინაშე, რომელმაც ესოდენი სისხლი დაღვარა ქრისტიან ხალხისაო, ხალხმა სისხლითვე უნდა იძიოს შური თავისუფლების მისაღწევადო და სხვ". დასასრულს გენერალი შირინკინი სთხოვს ეგზარქოსის მოადგილეს, შესაფერისი ზომები მიიღოს ურჩი სასულიერო პირის მიმართ".**

1906 წლის 1 ივლისს ეპისკოპოსმა ექვთიმემ მამა იოანე ისევ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანა და ფოთის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძრის მესამე მღვდლად დანიშნა. 1906 წლის 19 სექტემბერს ფოთის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაადგინეს. 1907 წლის 9 თებერვალს გურია-სამეგრელოს საეპარქიო ხაზინის სარევიზიო კომისიის თავჯდომარედ დაინიშნა, სადაც 1909 წლის იანვრამდე დაჰყო. 1907 წლის 12 თებერვალს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღარიბ სამღვდელოთა სამზრუნველო საბჭოს წევრად აირჩიეს. 1907 წლის 17 ნოემბერს მღვდელი იოანე საგამოცდო კომისიის წევრად დაინიშნა, რომელთაც სამღვდელო კანდიდატების შემოწმება ევალებოდათ. 1907 წლის 2 დეკემბრიდან გურია-სამეგრელოს საეპარქიო სასწავლო კომიტეტის უშტატო წევრია, სადაც 1909 წლის ივლისამდე იმუშავა. 1908 წლის 1 სექტემბერს ფოთის ქალთა წმინდა ოლღას სახელობის სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა.

1911 წლის 6 მაისს მამა იოანეს კამილავკა ეწყალობა, 1914 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო, ხოლო 1916 წლის აღდგომას დეკანოზის წოდება მიენიჭა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კვრესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ნიკეის წმინდა სოფიას ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს

6 ნოემბერს, მუსლიმანთა დღესასწაულის — ყურბან ბაირამის დროს, თურქეთის ქალაქ იზნიკში (ყოფილი ნიკეა) წმინდა სოფიას ტაძარი მეჩეთად გამოიყენეს. ეს ტაძარი, როგორც კოსნტანტინოპოლის აია სოფიას ტაძარი, VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანე I-მა ააგო. 787 წელს აქ გაიმართა მეშვიდე მსოფლიო კრება. 1065 წელს ძლიერი მიწისძვრისგან დაზიანებული ტაძარი შეკეთდა. 1331 წელს თურქეთის სულთანმა ნიკეა დაიპყრო და ტაძარი მეჩეთად აქცია. 1922 წელის ხანძრის შემდეგ შენობა უმოქმედოდ მიატოვეს. 2007 წლიდან კი მასში მუზეუმი განთავსდა. ამჟამად შენობაზე არსებული წარწერა „წმინდა სოფიას მუზეუმი" ახალი წარწერით ჩაანაცვლეს — „წმინდა სოფიას მეჩეთი".

ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უძველესი ტაძარი მეჩეთად გადაექცია, არა მარტო ქრისტანთა კრიტიკა მოჰყვა, არამედ საერთაშორისო ექსპერტთა უკმაყოფილებაც გამოიწვია. კულტურის ისტორიის მკვლევარები შიშობენ, რომ ქრისტიანობის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ტაძრის მეჩეთად გადაკეთება მღელვარების დიდ ტალღას გამოიწვევს მთელ მსოფლიოში.

თავის მხრივ, კრიტიკის სანაცვლოდ თურქეთის ხელისუფლება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ შენობაში მეჩეთის გახსნის შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 1975 წელს ათენში მიმდინარეობდა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ფოტომატიანე

დეკანოზი იოანე ბობოხიძე 1868-1937

II ნაწილი

1917 წლის 12 მარტს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, სხვა ქართველ ავტოკეფალისტებსა და სამღვდელოებასთან ერთად, დეკანოზი იოანეც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების შემუშავებაში და როგორც გურია-სამეგრელოს ეპარქიის დელეგატი, ქ. თბილისში გამართულ პირველ საეკლესიო კრებას ესწრებოდა. 1920 წელს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა გიორგიმ (ალადაშვილი) მამა იოანე ფოთის ოლქის ეკლესიების მთავარხუცესად დაადგინა.

1921 წელს საქართველო კვლავ დაიპყრო რუსეთის იმპერიამ, რომელსაც სათავეში ამჯერად კომუნისტები ედგნენ. ახალმა რეჟიმმა ეკლესია და სამღვდელოება კანონგარეშედ გამოაცხადა და მათ დევნას მიჰყო ხელი. ქვეყანაში დაიწყო საშინელი რეპრესიები, რომელთაც უამრავი სასულიერო და საერო პირი შეეწირა. 1923 წლის მარტისთვის ფოთის ოლქში დაიკეტა ყველა მოქმედი ეკლესია, მათ შორის, საკათედრო ტაძარიც. მრევლი დაიფანტა. იმდენად ძლიერი იყო შიშის სინდრომი, რომ მათ მოსაბრუნებლად აქტიურად უნდა ემუშავა და ექადაგა სამღვდელოებას, რომელიც თავადაც არანაკლებ იყო შეშინებული. 1923 წლის 24 ივლისს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობის მოწვევის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქალაქისა და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს საკულტო ნაგებობების გახსნის უფლება ეძლეოდა. 1923 წლის ოქტომბერში დაფუძნდა „მართლმადიდებელ ქრისტიანთა ქ. ფოთის სამრევლო საზოგადოება". მიუხედავად იმისა, რომ სამრევლო საზოგადოებამ გააფორმა სათანადო დოკუმენტები, ხელისუფლება ტაძრის გახსნას მაინც აჭინაურებდა. 1924 წელს, დიდმარხვის დასაწყისში, ფოთში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია გაიხსნა, სადაც პირველი მსახურება ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა სვიმონმა (ჭელიძე) ჩაატარა. 1925 წლის იანვარში გაიხსნა საკათედრო ტაძარიც. მამა იოანეც ძველებური ენერგიითა და მონდომებით შეუდგა ღვთისმსახურებას. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებას. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დევნიდნენ მოძღვარს, უგონებდნენ ათას სიბინძურესა და ჭორს, ცდილობდნენ მისი ავტორიტეტის შელახვას. გაზეთმა „კომუნისტმა" 1924 წელს ქ. ფოთში დატრიალებულ მოვლენებზე ცილისმწამებლური და მკრეხელური სტატია გამოაქვეყნა, სადაც გამასხარავებული იყო ეკლესია და სამღვდელოება. წერილის ავტორი ვინმე პრ. მეგრელიშვილია. აი, რას წერდა იგი: **„როგორც ლეშზე ყორნები მოიყრიან თავს, ისე, გაიხსნა თუ არა ფოთში ეკლესია, მოიყარეს თავი მღვდლებმა მეზობელ მაზრებიდან: სენაკიდან, ზუგდიდიდან და ოზურგეთიდან. მათი რიცხვი ათამდის არის და ეკლესია კი ერთი. რასაკვირველია, ისინი თავის ჯიბეზე ზრუნავენ და შეიქმნა უკმაყოფილება, თუ ვინ უნდა ბრძანებლობდეს ეკლესიაში. ზოგის „ჩინებმა" ვერ გასჭრა და საკითხი გადატანილ იქნა მორწმუნეთა კრებაზე, რომელიც დანიშნული იყო 28 მარტს ეკლესიის გალავანში.**

გაჩაღდა „საარჩევნო კამპანია". დადიან და ეუბნებიან ხალხს, ის არ ვარგა და მე ამირჩიეთო და

სხვა. იჭერენ ქუჩაში ხალხს, რომელსაც ეუბნებიან: წარწყდები, დაიღუპები, თუ არ მოხვალ ეკლესიაშიო.

მღვდელი ბობოხიძე მოსწავლე ბავშვებს იჭერს ქუჩაში და აიძულებს ხელზე კოცნას, როდესაც მურვანიშვილის ბავშვმა უარი განაცხადა ხელზე კოცნაზე, ის დაედევნა ბავშვს გასალახავად. საჭიროა აილაგმოს ეს ვაჟბატონი.

ამ დროს არ სძინავს კომკავშირს. ის აწარმოებს აგიტაცია-პროპაგანდას რელიგიის და მატყუარა მღვდლების წინააღმდეგ. მორწმუნეთა კრების დროს კლუბში კომკავშირმა დანიშნა ანტირელიგიური მიტინგი და უფასო წარმოდგენა. იმ დროს, როდესაც მღვდლები ხსნიდენ მორწმუნეთა საარჩევნო კრებას, კლუბში დაუკრა სამხედრო მუსიკამ. ხალხს აცნობეს, რომ კლუბში გაიმართება უფასო წარმოდგენა.

ფოთის საკათედრო ტაძარი

კლუბის ეზოში ხალხი გროვდება და მორწმუნეთა კრებაზე კი იკლებს. ასე რომ, ვინაიდან მორწმუნეებმა უფასო წარმოდგენა ამჯობინეს მღვდლების კრებას, მღვდლები იძულებული შეიქნენ გადაედვად კრება, „დამსწრეთა მცირე რიცხვის გამო".

კომკავშირის მდივანმა დღის პირველ საათზე გახსნა მიტინგი და მოკლედ დაახასიათა რელიგიის წარმოშობა და განვითარება. ილაპარაკა აგრეთვე ამხანაგმა ქანთარიამ, რომელიც შეეხო ამბროსის გასამართლებას (საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო სინოდის სასამართლოზე, რომელიც 1924 წლის მარტში გაიმართა) და სათანადო დასკვნა გამოიტანა აქედან.

სიტყვის შემდეგ დაიდგა ანტირელიგიური პიესა „სულიერი მამა", რომელშიაც მკაფიოდ არის დასახული მღვდლების და დიაკონების უზნეო ცხოვრება და ხალხის მოტყუილება.

მათ უვარდებათ უსწავლელი გლეხი ხელში, რომელსაც უკვე გადაუხდია „დრამის ფული", მაგრამ მღვდელი არწმუნებს მას, რომ ასეთი არ გადაგიხდიაო, გლეხი კი ამბობს გადავიხადეო. მაშინ მღვდელი დაწყევლით ემუქრება და გლეხიც ეთანხმება — არ გადამიხდიაო. მას ართმევენ ხელწერილს, რომელშიაც სწერენ, რომ გლეხს მართებს მღვდლის 20 ფუთი პური, მას კი უკითხავენ ორი ფუთიო და გლეხიც ასვამს ხელწერილზე ჯვრებს, ხელის მოწერის მაგივრად.

წარმოდგენამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რომელსაც წინ მიუძღოდენ მღვდლის ტანისამოსში გამოწყობილი კომკავშირის წევრები.

ამრიგად, 23 მარტს კომკავშირმა გაიმარჯვა სამღვდელოებაზე. უსურვოთ მას მომავალშიაც უფრო ენერგიული ბრძოლა რელიგიასთან".

ყოველმხრივ შევიწროებული დეკანოზი იოანე იძულებული გახდა დაეტოვებინა ფოთი და აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით, იგი დროებით თბილისის ერთ-ერთ ეკლესიაში დაინიშნა, ხოლო 1925 წლის ივლისში ალავერდელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) იგი სიღნაღის მაზრის მთავარხუცესად, კანცელარიის გამგედ და ნუკრიანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1925 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით ალავერდის ეპარქია ორად გაიყო — ბოდბისა და ალავერდისად. ბოდბელ ეპისკოპოსად სტეფანე (კარბელაშვილი) დაინიშნა, რომელმაც მკაცრად მოკიდა ხელი ეპარქიაში დისციპლინის დამყარებას. მალე მეუფესა და მამა იოანეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. 1926 წლის 18 იანვარს მღვდელი მელიტონ ბეგიაშვილი მამა იოანეს სწერდა: **„ბოდბის საეპარქიო კანცელარია პატივისცემით გაცნობებთ, რომ მათი მეუფების ბრძანებით, დღეიდან გეკრძალებათ ყოველივე მღვდელმოქმედების აღსრულება ნუკრიანში, ურჩობისა გამო მივლინებულის ადგილიდან (ველისციხიდან) უდროოდ დაბრუნებაზედ და იქ წესების შეუსრულებლობაზედ".**

სამწუხაროდ, დეკანოზი იოანე არ დაემორჩილა მეუფე სტეფანეს ბრძანებას და კვლავ განაგრძობდა მსახურებას. ამასთან დაკავშირებით, 1926 წლის 20 აპრილს მას უფრო მკაცრი სასჯელი გამოუტანეს, სადაც ვკითხულობთ: **„საეპარქიო კანცელარია გიგზავნით რა მთავარხუცესთა დადგენილებიდან ამონაწერს, საეპარქიო კრების დადგენილების ოქმიდან გატყობინებთ: რადგან თქვენ მღვდელმოქმედება აკრძალული გაქვთ, დათხოვნილი ბრძანდებით სამუდამოდ ბოდბის ეპარქიიდან, როგორც საეკლესიო კანონების დამრღვევი, საეპარქიო ცხოვრებაში არევ-დარევის შემტანი, კომიტეტის წევრების შეცდომაში შემყვანი — დაუყოვნებლივ თავი**

დაანებოთ ნუკრიანის მრევლში არევ-დარევის შეტანას და სხვ. გახვიდეთ ნუკრიანის მრევლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში საეპარქიო სამმართველო მოვალეობას იხდის თავიდან და თქვენ, თანახმად არსებული კანონისა, გეკარგებათ ზნეობრივი უფლება გამართლების შესახებ".

დეკანოზმა იოანემ გულნატკენმა დატოვა ბოდბის ეპარქია და 1926 წელს ისევ ქ. ფოთში დაბრუნდა, სადაც შედარებით დაწყნარებული ვითარება დახვდა. აქ მან კიდევ 11 წელი ღირსეულად იმსახურა დედაეკლესიის წიაღში და თავისი პატიოსანი და ნაყოფიერი მოღვაწეობით მრავალი ადამიანი აზიარა ქრისტეს სარწმუნოებას. უღმერთო ხელისუფლება კი განაგრძობდა მოძღვრის შევიწროებას. XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ეკლესიას დიდი გადასახადები დაეკისრა, რომლებიც ყოველწლიურად შეგნებულად იზრდებოდა. 1931 წელს სწორედ ამ გადასახადის გადაუხდელობის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეორედ დაკეტა ფოთის საკათედრო ტაძარი. 1932 წელს ქალაქის საბჭომ ამის შესახებ აცნობა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს, რომელმაც ურჩია გაეუქმებინათ გადაწყვეტილება ტაძრის დახურვის შესახებ და მიეღოთ სხვა ზომები გადასახადის ამოსაღებად. 1933 წლის 12 ივლისს ჭყონდიდის ეპარქიის სამღვდელოებამ ფოთის საკათედრო ტაძრის სამრევლოს თავმჯდომარედ ეპისკოპოსი იოანე (ფანცულაია) აირჩია, მის განკარგულებაში გადავიდა საკრებულო სახლი, ხოლო მედავითნის ადგილზე განამწესეს მღვდელ-მონაზონი ექვთიმე (ნანეიშვილი). მათთან ერთად მამა იოანეც კვლავინდებურად განაგრძობდა ღვთისმსახურებას. საბოლოოდ, 1934 წლის 23 აპრილს ქ. ფოთის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ტაძარი მაინც დაიხურა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ (ცინცაძე) მამა იოანე თბილისში გადაიყვანა და ერთ-ერთ ტაძარში განამწესა. 1937 წლის 25 მაისს შედგა სინოდის გაძლიერებული სხდომა, რომელზეც შემუშავდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესწორებული დებულება. სხდომას ესწრებოდნენ: კრების თავმჯდომარე, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე), ნინოწმინდელი ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი), პროტოპრესვიტერი

გურია-სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმსახურნი. დგას დეკანოზი იოანე

იოსებ მირიანაშვილი, დეკანოზი იოანე ბობოხიძე, დეკანოზი ბესარიონ ფურცელაძე, დეკანოზი მიხეილ მახათაძე, დეკანოზი ბენიამენ კანდელაკი, დეკანოზი იოანე ლუკაშვილი, დეკანოზი გიორგი ბიბილური, დეკანოზი კონსტანტინე შანიძე, მღვდელი გიორგი ტაბლიაშვილი, კლიმენტი ლორთქიფანიძე და ივანე კვეზერელი-კოპაძე.

ამ პერიოდში ქვეყანაში გაუგონარი რეპრესიები მიდიოდა, რასაც უკვე ველარ გადაურჩა მოხუცებული მოძღვარი. ხელისუფლებამ დრო იხელთა და იგი, როგორც მათთვის არასაიმედო პირი, დააპატიმრეს. სამეულმა მას, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დეკანოზმა იოანემ მოწამეობრივად დაასრულა თავისი სიცოცხლე. მასზე აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: **„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა".**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო

გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კვრესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

მღვდლები — მათე და იოანე მაღრაძეები

ჯავახეთში, ასპინძის რაიონის სოფელ ნიჯგორში XVI ს-ის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დგას. მწერალი გიორგი ზედგენიძე მას დედის ტაძრადაც მოიხსენიებს. ეს ტაძარი, დედის თხოვნით, გამაჰმადიანებულ ქართველს — იუსუფ ბეგ აბაშიძეს აუგია. ტაძარი პატარაა, რათა შეუმჩნეველი დარჩენილიყო თურქებისათვის, რომელთაც იმჟამად დაპყრობილი ჰქონდათ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია. ტაძრის ეზოში საფლავებია მიმოფანტული. ერთ საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია მღვდელ მათე მაღრაძის სახელი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა.

მარჯვნივ მოაჯირის უკან დგას მღვდელი მათე მაღრაძე (იმჟამად მედავითნე). საპარაუდოდ ზის მღვდელი სოლომონ უსტიაშვილი

მღვდელი მათე ვასილის ძე მაღრაძე 1877 წელს, ჯავახეთში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. მაღრაძეები წარმოშობით იმერეთიდან, ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანიდან იყვნენ. მამა მათეს წინაპარი — ბერო მაღრაძე, ჯავახეთში, სოფელ ხიზაბავრაში მამიდასთან ჩასულა. მას მოსწონებია იქაურობა და სამუდამოდ დარჩენა გადაუწყვეტია. იგი უშვილო ცოლ-ქმარს, მღვდელ ფირფილაშვილს და მეუღლეს შეუფარებიათ. ხიზაბავრა საბატონო სოფელი იყო და როცა ბატონმა ბეროს ცხენის წართმევა დაუპირა, იგი გამოქცევია მას და სოფელ საროში ნათელმირონებთან შეუფარებია თავი. აქ მას სამოსახლო მიუღია, ცოლი შეურთავს და გამრავლებულა. იმ უბანს დღესაც ბეროაანთს ეძახიან. სწორედ ბეროს შვილიშვილი იყო მედავითნე ვასილ მაღრაძე.

ვასილ მაღრაძემ სწავლა-განათლება სოფელში, ადგილობრივი მღვდლის დახმარებით შეისწავლა. დაქორწინდა და ეყოლა ორი შვილი: პავლე და სალომე. მსახურობდა მედავითნედ ჯავახეთის სოფლებში. სამწუხაროდ, იგი ადრეულ ასაკში დაქვრივდა და მეორე ცოლი შეირთო, რომელთანაც კიდევ ორი შვილი: იოანე და მათე შეეძინა. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იგი სოფელ საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1892 წელს ტოლოშის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს, საიდანაც 1899 წლის 29 აპრილს მოხუცებულობის გამო პენსიაზე გავიდა.

მამა ვასილის ორმა ვაჟმა სასულიერო გზა აირჩია. მამამ უმცროსი ვაჟი — **მათე** საროს ეკლესიის წინამძღვარს, მღვდელ სოლომონ უსტიაშვილს მიაბარა, რომელმაც მას საფუძვლიანად შეასწავლა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. 1900 წლის 16 მაისს გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მეორე მედავითნედ დანიშნა. ამავე წლის 31 ოქტომბერს პირველ მედავითნედ დაადგინეს. 1905 წლის 12 მარტს თავისი თხოვნის საფუძველზე გადადგა შტატიდან. ამ პერიოდში მათე დაოჯახდა. მისი მეუღლე — პელაგია ოქრომელიძე, სოფელ მუსხიდან იყო. მათ ექვსი შვილი, სამი ვაჟი და სამი ასული შეეძინათ: არჩილი, ვასილი, შაქრო, მარიამი, ლუბა და ირინე.

XX საუკუნის 10-იან წლებში დიაკვნად აკურთხეს. 1919 წლის 10 იანვარს ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მღვდლად დაასხა ხელი და საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

იმ პერიოდში მესხეთ-ჯავახეთში თურქთა შემოსევების გამო სასულიერო პირთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, ამიტომ მათე მღვდელი მეზობელ სოფლებშიც ასრულებდა საეკლესიო წესებს. იგი პატივისცემითა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იმ მხარეში. მამა მათეს შვილიშვილი, ქალბატონი ჯილდა გოგოლაძე იხსენებს: **„მრავალი წლის შემდეგ, რომელიმე სოფელში რომ მოვხვდებოდით მისი შთამომავლები, ასაკოვანი ხალხი ერთმანეთს გადაულაპარაკებდა, ესენი მათე მღვდლის შვილიშვილები არიანო, ფეხზე წამოდგომით მოგვესალმებოდნენ მათე პაპას პატივისცემის ნიშნად და ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვებოდნენ მასზე“.**

1919 წელს თურქეთის ჯარებმა გადალახეს საზღვარი და სამცხე-ჯავახეთს შემოესივნენ. ზოგიერთმა გამაჰმადიანებულმა ქართველმა მხარი აუბა მტერს და მათთან ერთად აწიოკებდნენ სოფლებს — იტაცებდნენ ცხვარ-ძროხას, სარჩო-საბადებელს, ხოცავდნენ ხალხს, აუპატიურებდნენ ქალებს. უიარაღო, გამწარებული მოსახლეობა იძულებული გახდა აყრილიყო და გახიზნულიყო, თავის გარიდება ბაკურიანისკენ მიმავალი გზით სცადეს. საროს ხალხთან ერთად მამა მათეს ოჯახმაც დატოვა სოფელი. გზაზე ფეხით მიმა-

ვალთ ძლიერმა სეტყვამ მოუსწრო. ერთმანეთში აიარა ქალი, კაცი, ბავშვი, საქონელი. თავი ვერაფერს შეაფარეს. ზოგმა ბაკურიანამდე ვერც ჩააღწია, გზაში დაიღუპა. ბაკურიანში ჩასულებმა სხვადასხვა მხარეში ჰპოვეს თავშესაფარი. მღვდელი მათე სოფელ ყვიბისში, ერთ ღვთისნიერ ოჯახს შეეხიზნა. მათე მღვდელმა ერთხანს ყვიბისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურა, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი (მათეს დედა, მეუღლე, სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი) დიდხანს ვერ დაანებოდა ტვირთად ღარიბ მასპინძელს, ამიტომ დროებით ახალციხეში, ალის დანატოვარ სახლში გადასახლდნენ. მაშინდელმა მენშევიკურმა მთავრობამ მესხეთში მოთარეშეთა ასალაგმავად ჯარი შეიყვანა. ქართული ჯარის აქტიური მოქმედებების შემდეგად ნელ-ნელა მშვიდდებოდა იქაურობა, მაგრამ საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა, ამიტომ ლტოლვილები მასიურად დაბრუნებას ვერ ბედავდნენ. ვინც ვერსად მოიკიდა ფეხი, შინ დაბრუნება არჩია და შიშით და მალვით მიაღწია მშობლიურ სახლ-კარამდე, ზოგმაც გაუძლო გასაჭირს, არ მიატოვა სოფელი და არ ჩააქრო მამაპაპისეული კერა. ასე თანდათან ივსებოდა დაცარიელებული სოფლები.

მღვდელი იოანე

ერთ დღეს ახალციხეში მამა მათეს თანასოფლელი ესტუმრა და უთხრა, რომ საროსა და სხვა სოფლებში ბევრი იყო მოუნათლავი, ჯვარდაუწერელი, ბევრიც წესის აუგებლად დაკრძალული და სთხოვა, ნაჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლოდ იყო (ციება ჰქონდა), თანაც იცოდა მღვდელი თუ მტერს გადაეყრებოდა, არ დაინდობდნენ, მაინც უარი არ თქვა და გაჰყვა მრევლს. ჩამოიარა სოფლები — ჯვარდასაწერს ჯვარი დაწერა, მოუნათლავები მონათლა, მიცვალებულები ქრისტიანული წესით დამარხა და რამდენიმე დღის შემდეგ ეტლით გაემგზავრა ახალციხისკენ.

მეეტლეს ნაამბობის მიხედვით, ოჯახის წევრები ასე იხსენებდნენ შემდეგ ამ ამბავს: „გზაზე, „ორმოცის ციხესთან" ეტლს წინ გადაუდგნენ თავზეხელაღებული გამაჰმადიანებული ძმები ორბელიანები — კასიმოღლები და მამა მათეს ჩასვლა უბრძანეს.

„რას სჩადით, ეს ხომ მათე მღვდელიაო", — იყვირა მეეტლემ.

„სწორედ მაგას ვეძებთო", — უპასუხეს.

„რას მერჩითო", — უკითხავს მათე პაპას. შენმა ბიძაშვილმა ურთიერთშეტაკების დროს ჩვენი ძმა მოკლა, ეგეც რომ არ იყოს, მღვდელი რად გვინდა, მოლა ხომ გვყავსო. გაისმა თოფის გასროლის ხმა, სასიკვდილოდ დაჭრილმა მოძღვარმა ერთი კი აჰხედა ცას და ჩაიკეცა. მეეტლემ მტკვრის პირას დაასვენა მიცვალებული და ზედ სილა მიაყარა. ამ ტრაგიკული დღიდან დაახლოებით 40 დღე გავიდა. საროელები დაკარგულ ახლობლებს ეძებდნენ (შინ მოუსვლელებს უკვე ცოცხლებში აღარ კითხულობდნენ) და მტკვრის ნაპირებს მიუყვებოდნენ, იქნებ სადმე წაწყდომოდნენ მიცვალებულებს, რომ მინისთვის მიებარებინათ. მათ ამაღლებული ადგილი შეამჩნიეს და მიხვდნენ, რომ იქ შეიძლება ვინმე ყოფილიყო, გათხარეს და მაშინვე იცნეს მათე მღვდლის გაუხრწნელი ცხედარი. ცოცხალივით გამოიყურებოდაო, უთქვამთ მამა მათეს დედისათვის. დამწუხრებულმა დედამ ახლობლების დახმარებით წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში გადაასვენა შვილი".

გავიდა დრო. სოფლებში სიმშვიდემ დაისადგურა. მათე მღვდლის განახევრებული ოჯახი საროში დაბრუნდა. მოძღვრის დედა შვილის სიკვდილის შემდეგ დარდისგან მალე გარდაიცვალა, სამივე ვაჟი კი ეპიდემიამ იმსხვერპლა. დარჩა მეუღლე ქვრივად, სამ ქალიშვილთან ერთად. მან, ღვთის შემწეობით, ღირსეულად აღზარდა სიკვდილს გადარჩენილი ქალიშვილები, ხოლო მოწამეობრივად აღსრულებული მამა მათეს ხსოვნა დიდხანს შემორჩა მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრთა მახსოვრობას.

სხვანაირად წარიმართა მისი ძმის, **მამა იოანეს** ბედი. იგი 1864 წელს დაიბადა. დაამთავრა ხერთვისის ერთკლასიანი სასწავლებელი. 1891 წლის 12 ოქტომბერს იგი ტოლოშის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1892 წლის დეკემბერში საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს. 1894-1898 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. სამშობლოში დაბრუნებული იოანე დაოჯახდა ეკატერინე ამირანიძეზე, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა: თამარი, მარგალიტა, მარიამი და ალექსი.

1898 წლის 3 ოქტომბერს იოანე კვლავ საროს სამრევლოში მეორე მედავითნედ დაინიშნა. 1900 წლის 21 თებერვალს ტოლოშის სამრევლოში გადაიყვანეს. 1902 წლის 16 თებერვალს ახალციხის წმინდა დიდმოწამე მარინეს სახელობის ეკლესიაში დაადგინეს. ამავე წლის 23 ნოემბერს გორის მაზრის სოფელ ახალციხის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1904 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) იოანე დიაკვნად აკურთხა. 1905 წლის 7 აპრილს საროს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში განამწესეს. 1906 წლის 14 აგვისტოს ქვემო ხვითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. ამავე წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა (სოფისკი) მღვდლად დაასხა ხელი და ალავერდის ეპარქიაში, სოფელ ბუშატის სვეტიცხოვლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1907 წლის 1 სექტემბერს მამა იოანემ, საკუთარი სახსრებით, სოფელში სამრევლო-საეკლესიო სკოლა დააარსა, სადაც თავადვე ასწავლიდა ბავშვებს უსასყიდლოდ. 1916 წლის 21 აპრილს იგი ქვემო ხოდაშენის ყოვლადწმინდა ღვთისმ-

შობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს, სადაც 1920 წლის ზაფხულამდე მსახურობდა.

1916 წელს მოძღვარი დაქვრივდა. რამდენიმე წლის შემდეგ მან მეორე ცოლი, ეკატერინე ფეიქრიშვილი შეირთო, რომელთანაც კიდევ სამი შვილი შეეძინა: გიორგი, ქეთევანი და ალექსანდრა.

შემდგომ წლებში მამა იოანე ახმეტისა და პანკისის რაიონის სხვადასხვა სოფლებში აღასრულებდა საეკლესიო წესებს.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, საშინელი დევნისა და შევიწროების მიუხედავად, მამა იოანეს ანაფორა არ გაუხდია და ღვთისმსახურება არ მიუტოვებია.

1928 წლის 26 დეკემბერს ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესი, დეკანოზი ეპიფანე ჯაოშვილი საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიას შემაშფოთებელ წერილს უგზავნის: **„უმდაბლესად მოგახსენებთ საკათალიკოსო სინოდს შემდეგს, ა. წ. აგვისტოში პანკისის მღვდელი სვიმონ დაქიშვილი, როდესაც ის ღამით ბრუნდებოდა სახლში მღვდელთმოქმედების შესრულების შემდეგ, გამთენიისას იპოვეს მდინარე ალაზანში დამხრჩვალი. მიმდინარე წლის 9 დეკემბერს კი სოფელ მატანის მღვდელი იასონ ასათაშვილი ღამე გაუწვევიათ ავადმყოფის საზიარებლად და როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ბოროტმოქმედებს გზაში მოუკლავთ. ამის გამო ალავერდის საეპარქიო საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში აღნიშნული შემთხვევები, მიმდინარე თვის 25-ში, სხდომაზე გამოიტანა შემდეგი განჩინება. აღძრულ იქნას შუამდგომლობა საკათალიკოსო სინოდის წინაშე, რათა სამღვდელოებას მიეცეს უფლება დაბინდებიდან გამთენიამდე არ შეასრულოს არავითარი მღვდელთმოქმედება. ძმაო მიხეილ (საუბარია დეკანოზ მიხეილ ნაცვლიშვილზე), სიჩქარით მაცნობე წმინდა სინოდის გადაწყვეტილება ამ საქმის შესახებ. სამღვდელო კანდიდატიც გვყავს პანკისში გასაგზავნი, თორემ მოლები აგვიკლებენ. მატანშიც მღვდელი აღარ არის, რადგან, როგორც წეღან ავღნიშნე, ორი კვირის წინ მოკლეს. გვინდა შობის დღესასწაულზე მღვდელი გვყავდეს, დროზე გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ“.**

საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით მატანის წმინდა ნიკოლოზის სამრევლოს მოვლა მამა იოანე მაღრაძეს დაევალა. 1929 წლის დასაწყისში იგი მიავლინეს კიდეც აღნიშნულ სამრევლოში.

მღვდელი იოანე და მისი მეუღლე ეკატერინე ამირანიძე შვილებთან ერთად: უკანა პლანზე — მარგალიტა და თამარი. შუაში: ალექსი და მარიამი.
1914 წლის 1 იანვარი

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ალავერდის ეპარქიაში დაიკეტა ყველა ტაძარი. მოქმედებდა მხოლოდ თელავის ღვთაების საკათედრო ეკლესია. მამა იოანე დროებით ჩამოშორდა ეკლესიას და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში აგრეთვე იგი მასწავლებლად მუშაობდა და ფოტოგრაფიასაც მისდევდა.

1944 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მღვდელი იოანე სასულიერო ხარისხში აღადგინდა და სოფელ ქვემო ხოდაშენში საეკლესიო წესების შესრულება დაავალა. ორი წელი ერთგულად ემსახურა მოძღვარი დედაეკლესიას და 1946 წლის 2 სექტემბერს მშვიდობით შეავედრა სული უფალს. მამა იოანე დასაფლავებულია თელავის ძველ სასაფლაოზე.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი“ (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი №1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, ფამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაერცელება: ცარო ჯარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტომატიანე

მღვდელი ალექსანდრე წიკლაური 1882-1957

„ადამიანს შეიძლება სხვა შეცოდებანი ეპატიოს, მაგრამ სარწმუნოებისა და სამშობლოს ღალატი არ ეპატიება“

მღვდელი ალექსანდრე სვიმონის ძე წიკლაური 1882 წელს თიანეთის მაზრის სოფელ მელიასხევში, გლეხის ოჯახში დაიბადა. მოძღვრის მამა, სვიმონ წიკლაური მთელ სოფელში თავისი წესიერებითა და ღვთივსათნო ცხოვრებით გამოირჩეოდა. მან თავისი შვილებიც პატიოსნებითა და ღვთისმოშიშებით აღზარდა. უფროსი ვაჟის — გიორგის გარდა, სამივე შვილი მღვდელმსახური გახდა. მათე (ბერობაში მალაქია, წლების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობდა, იგი 1937 წლის რეპრესიების დროს, ილუმენის ხარისხში მყოფი, დახვრიტეს. მის შესახებ ჩვენ შემდგომ ნომრებში გიამბობთ), ალექსანდრე და ბესარიონი (ფშავ-ხევსურეთის ოლქის მთავარხუცესი, 1918 წლის სექტემბერში ზემო თაინეთში მხეცურად მოკლეს).

ამჯერად სვიმონის მესამე ვაჟზე, მღვდელ ალექსანდრე წიკლაურზე მოგითხრობთ, რომელმაც ცხოვრების მეტად რთული და მოწამეობრივი გზა განვლო. ალექსანდრემ ბავშვობა მშობლიურ სოფელში, მამის გვერდით, მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა და სხვადასხვა სამეურნეო საქმეში ეხმარებოდა მას. მალე უფროსმა ძმამ, მალაქიამ, რომელიც იმჟამად უკვე მონასტერში მოღვაწეობდა, ალექსანდრე თბილისში ჩამოიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, სადაც მან ოთხი წელი ისწავლა. შემდგომშიც არ მოუკლია მალაქიას ყურადღება და მფარველობა თავისი უმცროსი ძმისთვის, ხშირად ეხმიანებოდა მას წერილებითა და დამრიგებლური მოძღვრებებით. მამა ალექსანდრეს ოჯახში ახლაც არის შემონახული ძმების მიმოწერა. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: **„სანდრო, მშვიდობა შენთანა! ლოცვა-კურთხევას წარმოგივლენ და მოგიკითხავთ. როგორ მშვიდობითა ხარ, რასა იქ, როგორ ცხოვრობ. იქნება კიდევ ჩხუბი მოგდით შენ და შენ მღუდელსა? მშვიდობიანათ იცხოვრე, ყველაში მოთმინება იქონიე, მღუდელსაც მოუთმინე და ერსაცა და მაშინ შენთან იქმნება ღმერთი და შემწე შენი“.**

სასწავლებლის დასრულების შემდეგ ალექსანდრემ თბილისის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერს მიაშურა, სადაც იქ მოღვაწე გამოცდილი ბერების დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი. მონასტერში მან რამდენიმე წელი გაატარა. დამოუკიდებლად მსახურებისთვის როცა მოემზადა, თავისმა მოძღვარმა, ალავერდელმა ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ელიაშვილი) 1904 წლის 21 იანვარს ალექსანდრე თუშეთში, ნაციხვარის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მედავითნედ დანიშნა. პარალელურად იგი სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1916 წელს ალექსანდრე დაოჯახდა. მან და თავისმა მეუღლემ 6 შვილი აღუზარდეს სამშობლოს: ვარლაამი, ნოე, ელპიდე, რუსუდანი, ანა და ენუქი.

1916 წლის დეკემბერში ალექანდრე დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1917 წლის 16 იანვარს მღვდლად დაასხეს

საყდრიონის წმინდა გიორგის ეკლესია

ხელი და ნაციხვარის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1918-1919 წლებში მამა ალექსანდრე ერწო-თიანეთში, სოფელ საყდრიონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს.

1921 წლის თებერვლიდან საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, რასაც ეკლესიების ნგრევა და სამღვდელოების განუკითხავი დევნა და ტერორი მოჰყვა. ამ პერიოდში მამა ალექსანდრესაც სასტიკად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობის გამო, მოძღვარი დააპატიმრეს და თელავის ციხეში მოათავსეს. მიზეზი გახლდათ მამა ალექსანდრეს ცხენი, რომელიც მან მეზობელს ათხოვა, მან კი, თავის მხრივ, ქაქუცას რაზმის ერთ-ერთი წევრი თელავში ამ ცხენით წაიყვანა.

მამა ალექსანდრე სასწაულებრივად გადაურჩა დახვრეტას, რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ იგი ციხიდან გაათავისუფლეს და კვლავ თავის სამრევლოს დაუბრუნდა. შემდგომ წლებში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კვლავ გრძელდება მისი შევიწროება. მოძღვრის ოჯახი გააკულაკეს, ჩამოართვეს მიწები, შეაწერეს გადასახადები და სხვ. პერიოდულად იბარებდნენ რაიონის შინაგან საქმეთა კომისარიატში, სადაც ემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით, თუკი არ უარყოფდა რწმენას, მაგრამ მისი მტკიცე ნებისყოფა ვერ შეარყიეს. თანამშრომლობის სანაცვლოდ თავისი საქმიანობის შეთავსებაც კი შესთავაზეს; კერძოდ, ხალხში თუ ვინმე მთავრობის საწინააღმდეგოდ რაიმეს იტყოდა, მოძღვარს ბოლშევიკებისთვის უნდა ეცნობებინა. ამასთან დაკავშირებით მამა ალექსანდრე ხშირად იტყოდა ხოლმე: „ასეთი აზროვნების ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა უბედურებაზე ფიქრობენ, როგორ ააშენებ ქვეყანას?“. ამ მხრივაც რომ არაფერი გამოუვი-

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე)

დათ მთავრობის მოხელეებს, ბოლოს, სოციალური წარმოშობის მოტივით, მოძღვრის შვილებს სწავლის გაგრძელებაზე უარი უთხრეს, რამაც უფროსი ვაჟი ვარლაამი (VII კლასის მოსწავლე) აიძულა, მშობლების უკითხავად დასდგომოდა თბილისის გზას სწავლის გასაგრძელებლად. შემდგომში ამ ამბავს ასე იხსენებდა მამა ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი ენუქი: „თბილისისკენ მიმავალ ჩემს ძმას გზაში წამოეწია ურმით მიმავალი თოლენჯელი (სოფელია თიანეთის რაიონში) კაცი. მეურმის მასპინძლის ეზოში უცხოვრია ვინმე ღვთისნიერ მასწავლებელ ქალს და სკოლაში მიულებინებია, როგორც ნათესავი. სწავლის პერიოდში თავისთან სასწავლებლად მიჰყავს მომდევნო ძმა ნოე, რომელმაც 1941 წელს დაამთავრა 32-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, ხოლო უფროსი ვარლაამი — 1939 წელს (ერთხანს არ მიჰყავდათ, როგორც მღვდლის შვილი, რადგან არ ენდობოდნენ). დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. წაიყვანეს ოჯახის ერთადერთი ცხენიც და მიუხედავად ომში ჩვენი ოჯახის აქტიური მონაწილეობისა, მთავრობის მოხელეთა მიერ ჩვენდამი დამოკიდებულება კვლავ ტენდენციურია. საქმე იმაშია, რომ სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის მესვეურები რამდენჯერმე შეეცადნენ 200 კვ.მ. მიწის (გვეკავა 0, 17 ჰა, ნაცვალად 0, 15 ჰა-სა) ჩამორთმევას. აღნიშნულთან დაკავშირებით უფროსი ძმა იწერებოდა: **„ჩვენ ორი ძმა ცეცხლის ალში ვართ გახვეულები, რათა დავიცვათ მამული გერმანელთა ხელყოფისგან და როგორ, ისინი უკვე მანდ არიანო, თუ კიდევ მოვიდნენ ეს წერილი გაიტანეთ და თვალებზე ააფარეთო“.** წერილის მოსვლის შემდეგ რატომღაც აღარ მოსულან. 1942 წლის აგვისტოს ერთ დღეს, ერთად მოვიდა შეტყობინება მათი გმირულად დაღუპვის შესახებ. მწუხარებას ისიც დაემატა, რომ



193 წლისაგან

3

მოწმობა

ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დასტურდება, რომ ამის წარმომდგენელი მოვგელია ა.ა

უფლებამოსილია შეასრულოს ყოველგვარი ქრისტიანული ღვთისმსახურება და წესები ეკლესიის მრევლსა და გარეშეთაც, როდესაც ისინი მიმართავენ მას ამგვარ თხოვნით.

თუ უკანასკნელნი ამეთ ადგილიდან არიან, სადაც მრევლი არ არის და მაგ. ა.ა. იქ მიწევენ, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელისუფლების აღგილობრივ წარმომადგენელს.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

მამა ალექსანდრეს სამღვდელო მანდატი

დააპატიმრეს ოჯახის მარჩენალი მამა, როგორც ურჩი გადამხდელი. საბედნიეროდ, არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო. ამდენად მამა გაანთავისუფლეს პატიმრობიდან“.

ეკლესიის ასეთი მძიმე მდგომარეობა 1943 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს სახელმწიფომ ეკლესიას მისცა უფლება, გაეხსნათ დაკეტილი ტაძრები და ღვთისმსახურებს ოფიციალურად დართეს ნება, აღესრულებინათ წირვა-ლოცვა და საეკლესიო წესები მორწმუნეთათვის. იმჟამად მოქმედი ყველა ეპარქიის ეპისკოპოსს დაევალა შეედგინათ სიები იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთაც გამოთქვეს მღვდელმოქმედების გაგრძელებისა და ეკლესიაში სამსახური სურვილი გამოთქვეს. ამასთან დაკავშირებით 1944 წლის 30 აგვისტოს წილკნელი ეპისკოპოსი ტარასი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წერდა:

„მღვდლები, რომლებიც თქვენდამო გამოგზავნილ სიაში არ იყვნენ და ნამდვილად კი მსახურობენ, არიან შემდეგნი: მღვდელი ალექსანდრე წიკლაური, რომელიც მსახურობს და არ შეუწყვეტია მას სამსახური, არის ერწოში, თავის სოფელში — მელიასხევში და ეკლესია ჰქონდა სოფელ საყდრიონში. ეხლა აქვს თუ არა წირვა-ლოცვა, არ ვიცი ზუსტად. სადაც კი მისწვდება ერწოში, ყველგან ის ასრულებს წესებს. რადგან თქვენ არ გცოდნიათ ამ მღვდლის ყოფნა იქ, მაშასადამე, არც მირონი ექნება თქვენგან წაღებული. მე რაც მცხეთაში ვმსახურობ, 7 წელია და მათ შორის ექვსი წელია წილკნის ეპისკოპოსად და არც ჩემთან გამოცხადებულა, არც მირონისათვის და არც არაფრისათვის. საინტერესოა, რით ნათლავს ბავშვებს? ასევე მსახურობს მღვდელ-მონაზონი დანიელი, ესეც ერწოში, ოღონდ არ ვიცი, რომელ სოფელში. მღვდელმა წიკლაურმა იცის მისი მისამართი. შარშან იყო ჩემთან, მანდატს თუ ადგილს თხოულობდა, მე თქვენთან გამოვგზავნე და რა ვიცი, იყო თუ არა“.

აღნიშნულის შემდეგ მამა ალექსანდრე წიკლაური — სამთითა მღვდელი (დაბადებიდან მარჯვენა ხელზე მხოლოს ის თითები ჰქონია, რომლებითაც პირჯვარს ისახავენ მართლმადიდებლები) — იწყებს ყოველი წლის შემოდგომაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატეს მონახულებას და მისგან ლოცვა-კურთხევასა და დარიგებას იღებს. შემდგომში უმცროსი ვაჟი ენუქი იხსენებდა ერთ ასეთ დარიგებას: **„შენი, როგორც მრევლის მოძღვრისა, ხშირად შეეცდებიან სუფრის თამადად დასახელებას, რაზედაც უარი უნდა განაცხადო. საქმე იმაშია, რომ ჩემი მღვდლობის პერიოდში, როდესაც მთავარხუცესის თანამდებობა მეკავა, შემოვიდა მრევლის მიერ საჩივარი, რომ ჩვენი მოძღვარი ითვრება და ქრისტიანულ**

მღვდელი ალექსანდრე ოჯახთან ერთად

წესს ვეღარ გვისრულებსო. გავემგზავრე საჩივრის შესამოწმებლად, აღმოჩნდა, რომ მრევლი თამადად ირჩევდა მოძღვარს, რომელიც მრევლს ათრობდა და თავადაც ითვრებოდა. მრევლის წინაშე მღვდელი არ გავამტყუნე, ხოლო დავადანაშაულე თვითონ ხალხი. თქვენ ირჩევთ, თქვენვე ათრობთ და რაღას უჩივითო". იყო შემთხვევები, როცა მამაჩემსაც სთავაზობდნენ თამადობას, მაგრამ არ ღებულობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნათლობაში ნათელღებულის, მშობლებისა და ნათლიების სადღეგრძელოებს".

1949 წლის აღდგომას კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მამა ალექსანდრე ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის კამილავკით დააჯილდოვა.

1950 წლის შემოდგომაზე მამა ალექსანდრე კათოლიკოს-პატრიარქის სანახავად თბილისში ჩამობრძანდა, რათა მოეხსენებინა ერწო-თიანეთსა და გუდამაყარში არსებული მძიმე ვითარების შესახებ და ლოცვა-კურთხევა აეღო, როგორ ემოქმედა გარკვეულ შემთხვევებში. მას თან ახლდა უმცროსი ვაჟი ენუქიც, რომელიც ასე იხსენებს ამ შეხვედრას: **„უწმინდესმა კალისტრატემ თავის სამუშაო ოთახში მიგვიღო. გაგვიმასპინძლდა, როცა მორიდება შემატყო, პურს კარაქი და ხიზილალა წაუსვა, მომაწოდა და ასე მითხრა:**

„მამაშენი წუნკი ყოფილაო".

მან მამას სიონის ტაძარში გადმოსვლა და მსახურება შესთავაზა, ბინითაც აქვე უზრუნველგყოფო. მამამ ნდობისათვის მადლობა მოახსენა და უთხრა:

„მოგეხსენებათ, თქვენო უწმინდესობავ, რომ რაიონში მხოლოდ მე ვარ მოძღვარი და მეც რომ წამოვიდე, ხალხი გაურწმუნოვდებაო".

მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, გუდამაყარში ნათესავებთან ურთიერთობისას მთავრობის ზოგიერთი მოხელენი მღვდლობის მანდატს მთხოვენ, ჯვარს კი საბუთად არ თვლიანო. ამასთან დაკავშირებით უწმინდესმა კალისტრატემ მამა ალექსანდრეს ასეთი მოწმობა მისცა:

„ამ მოწმობის წარმომდგენი, ალექსანდრე სიმონის ძე წიკლაური არის თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის სამრევლოს მოძღვარი. მას უფლება აქვს სხვა რაიონის სოფლებშიც შეასრულოს ქრისტიანული წესები, როცა ამის შესახებ მიმართავენ მას მორწმუნენი".

მღვდელი ალექსანდრე ბევრს ზრუნავდა მიტოვებული ეკლესიებისა და იქ არსებული სიწმინდების შენარჩუნებისათვის. იმ ავბედით წლებში, როდესაც აღარ არსებობდა ღვთის შიში და მორიდება, პატივისცემა სარწმუნოებისადმი, უზნეო ადამიანები დადიოდნენ და ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს, ისე რომ, მომკითხავიც არავინ ჰყავდათ. მოძღვარმა რამდენჯერმე გააგზავნა განცხადება საყდრიონის საბჭოს თავჯდომარესთან და სთხოვა, ეზრუნა სოფელში არსებული ძველი ტაძრის ბედ-იღბალზე: **„მოგმართავთ მე, ზემოხსენებული პირი, მასზედ, რომ საყდრიონის ეკლესია ორჯერ იქნა გატეხილი და მესამედ დაკეტილი, მაგრამ ბოროტგანმზრახველნი მაინც არ ისვენებენ და ეხლაც კლიტე არ ადევს ეკლესიის კარებს. ასეთ მდგომარეობაში ეკლესიის სახალხო ქონებას მოელის განიავება და დაღუპვა".**

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე მამა ალექსანდრე დაუძლურდა და ლოგინად ჩავარდა, თუმცა, როგორც მისი შვილები იხსენებენ, არც მაშინ შეუწყვეტია საღვთო სამსახური. მოსახლეობას სახლში მიჰყავდათ ბავშვები მოსანათლად და ისიც დაუზარელად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. „დაგვიძახებდა და გვეტყოდა: **„ადამიანს შეიძლება სხვა შეცოდებანი ეპატიოს, შეუნდოს ღმერთმა, მაგრამ სარწმუნოებისა და სამშობლოს ღალატი არ ეპატიებაო",** — ამ სიტყვებს ხშირად გვიმეორებდა ოჯახის წევრებს".

მღვდელი ალექსანდრე 1957 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა. ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა მისი ცხედარი მელიასხევში, სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: **patriarchatepress@yahoo.de** მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრეცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ასე უნდა მოგველოცნა შენთვის და ასე გიპირებდით ცხოვრების გზაზე გასტუმრებას? აი, მწარე და გულის მომკვლელი საკითხები... მაგრამ გამოუცნობელ არიან გზანი უფლისანი!..

შენ გვშორდები უსიტყვოდ, მაგრამ შენი დუმილით, — გვტოვებ რა გამოუთქმელ სევდასა და მწუხარებაში, ბევრს რამეს გვასწავლი ჩვენ, შენ სულიერ მამასა და მასწავლებელთ: უფრო მეტი ზრუნვა გვჭირვებია, უფრო ღრმად გვდომებია ყრმათა გულში ჩახედვა!

რამდენადაც გულნაკლულათა და მწუხარეთ გვტოვებ ჩვენ, შვილო ჩემო, იმდენათ სუბუქი იყოს შენთვის შავი და გულგრილი მიწა შენი ქვეყნისა.

მშვიდობით!"

მამა მიხეილი მეუღლესთან ერთად

1917 წლის 8-17 სექტემბერს ჩატარებული პირველი საეკლესიო კრების შემდეგ მღვდელი მიხეილი თბილისში გადმოიყვანეს მსახურების გასაგრძელებლად. 1918 წელს მას დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1919-1921 წლებში, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მმართველობის პერიოდში, იგი საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიას ხელმძღვანელობს. 1921 წლის თებერვალში, საქართველოს დაპყრობის დროს, თბილისი დატოვა და იმერეთში გადავიდა კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. აი, რას წერს თავის მოგონებებში „რაც გამახსენდა" კალისტრატე ცინცაძე ამის შესახებ: **„სააღდგომოდ, როცა ქუთაისიდან დაბრუნდა, ხალხი ძალიან გულგრილად შეხვდა, აგრძნობინეს, რომ არ უნდა გასულიყო ქალაქიდან... ჩემზე განრისხებულმა, ჯავრი საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის თანამშრომლებზე იყარა: აიძულა დეკანოზი მიხეილ ნაცვლიშვილი და არქიმანდრიტი ნაზარი ლეჟავა გასულიყვნენ კანცელარიიდან".**

ამ ამბების შემდეგ დეკანოზი მიხეილი ალავერდის ეპარქიაში დაბრუნდა და თავის მშობლიურ სოფელში, ბოდბისხევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. 1922 წლის 24 იანვარს ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე) მღვდელმსახურება შეუჩერა ბოდბისხევის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, მღვდელ ანთიმოზ ზურაბიშვილს. ამასთან დაკავშირებით, 1922 წლის 11 მარტს, მეუფე პიროსის ლოცვა-კურთხევით, ბოდბისხევის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მრევლი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი — დეკანოზ მიხეილ

ბოდბის მონასტრის ქალთა სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები.
შუა რიგში მარცხნიდან სხედან: მღვდელი მიხეილ ნაცვლიშვილი, მღვდელი იოსებ მირიანაშვილი, მონაზონი თამარი (მარჯანიშვილი), ილუმენია იუბენალია I (ლოვონეცკაია). XX საუკუნის დასაწყისი

ფოტომატიანე

პროტოპრესვიტერი მიხეილ ნაცვლიშვილი 1873-1937

პროტოპრესვიტერი მიხეილ ნაცვლიშვილი 1873 წელს სიღნაღის მაზრაში, სოფელ ბოდბისხევში, ადგილობრივი დიაკვნის ოჯახში დაიბადა. პატარა მიხეილი მამამ თავდაპირველად სიღნაღის სასწავლებელში მიაბარა ცოდნის მისაღებად. შემდეგ მან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1897 წელს მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. ამავე წელს მიხეილი დაქორწინდა მღვდელ იოსებ მირიანაშვილის უმცროს დაზე. 1898 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) იგი დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირის შემდეგ კი მღვდლად დაასხა ხელი და ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მღვდელმსახურად განამწესა.

ცნობილი ქართველი პოეტის იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილი) უმცროსი და — ბაბილინა ხოსიტაშვილი თავის მემუარულ თხზულებაში „მშობლიური სოფლიდან დედაქალაქში" აღწერს ბოდბის მონასტრის პანსიონში სწავლის პერიოდში გატარებულ წლებს, სადაც მოხსენიებული ჰყავს მამა მიხეილი ნაცვლიშვილიც. აი, რას წერს იგი მის შესახებ: **„სასწავლებლის მეორე მღვდელი, მასწავლებელი მიხეილ ნაცვლიშვილი ჩვენი სოფლიდან იყო, სემინარია ახალი დამთავრებული ჰქონდა; დიაკვნის შვილი იყო; მღვდელ იოსებ მირიანაშვილის დაი შეირთო ცოლად და მისივე რეკომენდაციით მონყობილიყო მეორე მღვდლად მონასტერში. უკანასკნელ კლასში გვასწავლიდა მეტად რთულ მათემატიკურ ამოცანებს".**

1899 წლის 9 მაისს მამა მიხეილი საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1901 წლის 9 ნოემბერს სკუფია უბოძეს. 1905 წელს რუსეთის წმინდა სინოდისაგან მადლობის ფურცელი მიიღო. 1907 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა, ხოლო 1911 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1911 წლის სექტემბერში ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან გაიხსნა საეკლესიო-სამოსწავლებლო სკოლა. სასწავლებლის უფროსად დაინიშნა ბოდბის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ნინო, ხოლო ინსპექტორად — მღვდელი მიხეილი. სკოლის შენობა 8 სექტემბერს საზეიმოდ აკურთხეს. მამა მიხეილი აღნიშნულ სასწავლებელში 1912 წლის 10 აგვისტომდე ასწავლიდა.

1914 წლიდან მღვდელი მიხეილი იმერეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლად და სულიერ მოძღვრად დაინიშნა. 1915 წლის 6 მაისს წმინდა ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ქუთაისის სასწავლებელში მოღვაწეობიდან შემორჩენილია ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელიც გაზეთ „სამშობლოში" გამოქვეყნდა. 1915 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა სასწავლებლის მერვე კლასის საუკეთესო მოწაფე შუშანიკ იმნაიშვილი. 12 აპრილს მას პანაშვიდი გადაუხადეს და წესი აუგეს სასწავლებლის დეკანოზმა ვასილ დოლაბერიძემ და მღვდელმა მიხეილ ნაცვლიშვილმა. სახლიდან გამოსვენებისას ქუჩაზე მცირე პანაშვიდი გადაიხადა მამა მიხეილმა და მოკლე სიტყვით მიმართა იქ შეკრებილებს:

„ძვირფასო სულიერო შვილო და მოწაფე ჩემო, შუშანიკა!

შენის გაცივებული ნეშტის გარშემო შემოკრბენ შენგან გულდამწვარი და უნუგეშობაში მიტოვებული მშობელი, შენი დაობლებული და-ძმანი, შენი ყმაწვილ ქალობის ამხანაგები და შენი აღმზრდელ-მასწავლებელნი.

შენმა უბედურებამ უზომო მწუხარება მოგვაყენა ყველას, საწყალი დედა შენი! ამაზე ფიქრობდა, განა, ორის დღის წინათ? არა! გუშინ და გუშინწინ ის უზომო მხიარულებას გრძნობდა, რომ ქვრივ-ოხერმა, ხელმოკლე ადამიანმა სძლია ყოველგვარ გაჭირვებას და შენა და შენი და მოგიყვანათ უკანასკნელ კლასამდე. ასეთი ხვედრი ბევრს, ქონებრივად უზრუნველ-ყოფილსაც, არ ხვდება, ხოლმე.

რამდენ ბედნიერებას მოელოდა მოხუცი დედა შენი! შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა კი ყველაფერი მტვრათ აქცია!

საბრალო შენი და — ამხანაგი! ჩაუშხამდა საუკეთესო წამები სწავლის დამთავრებისა და აღფრთოვანება მომავლისა.

საყვარელო, შვილო შუშანიკა! განა ამ დღისათვის ეწვალე ათი-თორმეტი წელიწადი, განა ასე გეხატებოდა, თუნდა რამდენიმე დღის წინათ, შენი მომავალი, განა ამისთვის გამზადებდით და გზრდიდით?

საბრალო შენი ამხანაგები და მასწავლებელნი! განა გუშინდელ, უკანასკნელ გამოცდის შემდეგ,

ნაცვლიშვილს, ხოლო მეორე — დეკანოზ ილია კობაიძეს ჩაბარდა.

1925 წლის დასაწყისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ (ხელაია) მამა მიხეილი კვლავ თბილისში გადმოიყვანა და საკათოლიკოსო საბჭოს საქმეთა მმართველად და სიონის საპატრიარქო ტაძრის კანდელაკად დაადგინა. შემდგომში მან მდივნის მოვალეობაც შეითავსა.

წმინდა სინოდის სხდომა, 1934 წელი. ცენტრში: კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). სხედან მარცხნიდან პირველი: ალექსანდრე ბერელაშვილი, ივანე კვეზერელი-კოპაძე, ნილკნელი ეპისკოპოსი ალექსი (გერსამია), ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე). მარჯვნიდან: კლიმენტი ლორთქიფანიძე, დეკანოზი ბენიამენ კანდელაკი, დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე), ნინოწმინდელი ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი სვიმეონი (ჟელიძე). დგას - დეკანოზი მიხეილ ნაცვლიშვილი.

უღმერთო ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა შუღლი ჩამოეგდო ეკლესიაში და „გათიშე და იბატონეს" პრინციპით მოეხდინა მასზე თავისი კონტროლის დამყარება. 1926 წლის 21 დეკემბერს ქ. ქუთაისში კომუნისტების წაქეზებით მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების ნაწილმა ჩატაარა უკანონო საეკლესიო კრება, სადაც კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭო გადაყენებულად გამოცხადდა და შეიქმნა დროებითი საეკლესიო მმართველობა. ამ კრებიდან რამდენიმე დღეში მათ მოსთხოვეს, დეკანოზ მიხეილ ნაცვლიშვილს კანცელარიისა და იქ დაცული საქმეების ჩაბარება. მამა მიხეილმა ამ მეტად რთულ და გადამწყვეტ მომენტში გამოიჩინა მტკიცე ნებისყოფა და სიმშვიდე, იგი არ შეუშინდა არც მთავრობის წარმომადგენლებს, არც მათ მუქარას და უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე. მან აღნიშნულ კრებას 30 დეკემბერს მისწერა შემდეგი რეზოლუცია: **„მისი უწმინდესობის, ამბროსის ბრძანებისა და განკარგულების გარეშე ვერ ვცნობ ჩემთვის შესაძლებლად ამ წინადადების შესრულებასო".**

შემდგომ წლებში დეკანოზი მიხეილი კვლავაც ერთგულებით ემსახურებოდა დედაეკლესიას. იგი გვერდში ედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს კალისტრატეს (ცინცაძე), რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა და მსახურება აკავშირებდა. 1936 წელს უწმინდესმა კალისტრატემ მამა მიხეილს პატიოსანი და თავდადებული სამსახურისათვის პროტოპრესვიტერის მაღალი წოდება მიანიჭა და სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად დანიშნა.

პროტოპრესვიტერი მიხეილი XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს დაწყებული რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მისი აქტიური საეკლესიო მოღვაწეობა დიდად არ მოსწონდათ ურწმუნო ხელისფლების წარმომადგენლებს. მათ მოახერხეს მიეღოთ ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. ამის შემდეგ კი მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ეს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ხდებოდა. 1937 წელს ჩეკისტებმა მოძღვარი სიონის ტაძართან დააპატიმრეს და ამის შემდეგ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სავარაუდოდ, იგი დახვრიტეს სამეულის გადაწყვეტილებით, ან გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, საიდანაც დაბრუნება მხოლოდ ერთეულებს არგუნა უფალმა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთანმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), შარიამ გავუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე

ფოტოალბომი

ღვაწლი კეთილი

მღვდელი მიხეილ მთიბელაშვილი 1883-1964

მღვდელი მიხეილ ღვთისავარის ძე მთიბელაშვილი 1883 წელს თიანეთის მაზრის სოფელ ჩარგალში, გლეხის ოჯახში დაიბადა. სიჭაბუკის წლები პატარა მიხეილმა სოფელში, მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა. იგი მამას ეხმარებოდა სამეურნეო საქმიანობაში. პარალელურად სოფელ ჩარგალში არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში დადიოდა, სადაც წერა-კითხვა ისწავლა და პირველდაწყებითი განათლება მიიღო. წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი კი შუამთის მამათა მონასტერში შეისწავლა.

საეკლესიო სამსახური მიხეილმა 1905 წელს დაიწყო. გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ელიაშვილი) იგი ალავერდის ეპარქიაში, ფშავ-ხევსურეთის ოლქში, სოფელ ხახმატის წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესა. 1907 წელს უკანა ფშავის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში გადაიყვანეს. ამავე პერიოდში მან ცოლად ითხოვა მარიამ ხარლამპის ასული (დაბადებული 1887 წელს). 1913 წლის 26 აპრილს, ოჯახური მდგომარეობის გამო, მიხეილი თავისი თხოვნის საფუძველზე გათავისუფლდა მედავითნის თანამდებობიდან და დროებით მშობლიურ სოფელში მეურნეობით ირჩენდა თავს. 1916 წლის 19 მარტს იგი საინგილოში, ზაქათალის ოლქში, სოფელ კეტუკლინის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაინიშნა. 1918 წლიდან იგი ალავერდის ეპარქიაში გადაიყვანეს და სიღნაღის მაზრაში, სოფელ მაღაროს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის მედავითნედ დაადგინეს.

XX საუკუნის 20-იან წლებში მასობრივად დაიწყო სასულიერო პირების დევნა-შევიწროება, ამიტომ მიხეილი დროებით ისევ სოფელ ჩარგალში დაბრუნდა. 1925 წლის დასაწყისში მან თხოვნით მიმართა ალავერდის ეპარქიასთან არსებულ სამღვდელო კომისიას სასულიერო ხარისხის მისაღებად. შესაბამისი მომზადებისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ კომისიამ იგი ღირსად ცნო მღვდლის ხარისხის მისაღებად. 1925 წლის გაზაფხულზე ალავერდელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ფხალაძე, შემდგომში — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) მიხეილი დიაკვნად აკურთხა, ერთ კვირაში კი მღვდლად დაასხა ხელი და შუა ფხოვის წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. ურთულეს პერიოდში მოუხდა მამა მიხეილს სასულიერო მოღვაწეობის დაწყება. ადგილზე ჩასულ მოძღვარს ღამის გასათევი ადგილიც კი არ ჰქონდა. ადგილობრივმა უმერთო ხელისუფლებამ ტაძარს საეკლესიო სახლები ჩამოართვა. ერთ მათგანში სკოლა გახსნეს, ხოლო მეორეში — აღმასკომი. ამის გამო, მამა მიხეილი მეზობელ სოფელ ხომში დასახლდა, სადაც მას ერთ-ერთმა კეთილმორწმუნე ოჯახმა დაუთმო საცხოვრებელი ბინა. სოფელში მოშლილი იყო სასულიერო ცხოვრება, მრევლი შიშის გამო ტაძარში აღარ დადიოდა და მოძღვარს ხშირად უხდებოდა ქადაგება და მათი რწმენაში განმტკიცება, რასაც ხელისუფლება ტერორითა და დაშინებით პასუხობდა. მუდმივ ზეწოლასა და მუქარას ვეღარ გაუძლო მუქოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა მიხეილ ოჩიაურმა და 1926 წლის დასაწყისში საეკლესიო სამსახური მიატოვა. მუქოს მრევლი მოძღვრის გარეშე დარჩა. სოფელი მუქო შუა ფხოვიდან 5 კილომეტრით არის დაშორებული და ამიტომ მამა მიხეილს დაეკისრა მისი მოვლაც, მაგრამ სოფელ ხომიდან სიშორისა და ცუდი ადგილმდებარეობის გამო ძნელი იყო აღნიშნულ სამრევლოთა მოვლა. ამასთან დაკავშირებით, თიანეთის ოლქის მთავარხუცესის, დეკანოზ გრიგოლ ჯინჭველაძის ლოცვა-კურთხევით, მამა მიხეილი ოჯახითა და თავისი მედავითნით (მედავითნეობას იმჟამად მისი ვაჟი იოსები ასრულებდა) მუქოს ეკლესიის საკრებულო სახლში გადავიდა საცხოვრებლად.

ჩარგლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

1926 წლის 17 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით ალავერდის ეპარქიას ჩამოერთვა ფშავ-ხევსურეთის სამთავარხუცესო ოლქი და წილკნის ეპარქიის მმართველობაში გადავიდა. ამავე წლის დეკემბერში თიანეთის ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი გრიგოლ ჯინჭველაძე წერდა მამა მიხეილს: **„მამაო მიხეილ! მე ჯერჯერობით ისევ ვრჩები თიანეთში. მღვდელი იოანე გოგნიაშვილი გადაყენებულ იქნება ამ ორ**

კვირაში, აღარ შეუძლია სამსახური. მის ადგილზე დაინიშნა მღვდელი იროდიონ სისაური, ხოლო არტაან-ახალსოფლის შეერთებულ სამრევლოს ჯერ-ჯეროობით მღვდელი არ ჰყავს. როგორც ამას წინათ ამიწერეთ, შუა ფხოვის, მუქოსა და უკანა ფშავის სამრევლოთა კომლთა რიცხვი არ ყოფილა მეტი არტაანის სამრევლოზე, რომელსაც ახლა ბაჩლელ ხევსურთა მიმატებით 220 კომლამდე ჰყავს, ხოლო თუ ახალსოფლის სამრევლოს მივამატებთ, სულ ირიცხება 482 კომლი. ოდესმე თუ ახალსოფელი ისევ ამოეყო ცალკე, მაინც აჯობებს არტაანის სამრევლო მანდაურ თქვენს დაფანტულ და დატანჯულ სამრევლოს. მე გირჩევთ, ითხოვოთ აქეთ გადმოსვლა. ვიცი, რომ მანდ არ იქნებით დამშვიდებული, თითქმის ყოველ ზაფხულს მანდ თარეშობენ ყაჩაღები. იცხოვრებთ სოფელ ლიშოში, საიდანაც მისწვდებით ახალსოფელსაც. თუ ახალსოფელში მოგცეს ბინა, შეგიძლია იქაც იცხოვროთ, მაგრამ ლიშოში გირჩევნიათ, იქ საქონელსაც შეინახავთ. მოწერილობა ჩამოსვლისას გამოუცხადეთ მღვდელ თეოდორე ჟამიაშვილსა და მღვდელ მიხეილ ქისტაურს, მაგათ დამაბერეს მე, მადლობა ღმერთსა, რომ მომეცა საშვალება გათავისუფლებისა. რადგან ვიტანჯებოდი მიწერ-მოწერის გამოგზავნაზე, ძალიან უხერხული იყო ალავერდის ეპარქიისათვის ფშავ-ხევსურეთი, მცხეთიდან უფრო ადვილად მოგვივლიან. მადლობა ღმერთსა, რომ საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო მხედველობაში ჩვენი მოსაზრება ამ საგანზე. მოსთხოვეთ მეტრიკის ფული ქისტაურს და თან წამოიღეთ. იყავით მშვიდობით".

წილკნელი ეპისკოპოსი პავლე (ჯაფარიძე)

მამა მიხეილის უფროსი ვაჟი იოსები

1927 წლის 10 აპრილს წილკნელმა ეპისკოპოსმა პავლემ (ჯაფარიძე) ფშავ-ხევსურეთის ოლქის მთავარხუცესად მღვდელი მიხეილი დაადგინა და დაავალა, მიეწოდებინა ინფორმაცია, თუ რა მდგომარეობა იყო იმჟამად აღნიშნულ მხარეში. 1927 წლის 20 მაისს მამა მიხეილმა მოამზადა შესაბამისი წერილი, სადაც მეტად საინტერესო ინფორმაციას ვკითხულობთ:

„ძველი რეჟიმის დროს ფშავ-ხევსურეთი შეადგენდა ერთ საბლაღოჩინოს და იყოფოდა 11 სამრევლოდ: გომეწრის, ჩარგლის, შუა ფხოვის, მუქოსა და უკანა ფშავის (ფშავი) — ბარისახო, როშკი, ბაცალიგო, ახიელი, ხახმატი და შატილი (ხევსურეთი). იმავე დროს დაიხურა უკანა ფშავის ეკლესია და მიეწერა მუქოს. ასე რომ, დარჩა 10 სამრევლო. უკანასკნელ დრომდის საბლაღოჩინო ეკლესია არსებობდა ბარისახოში.

შემდეგ, როდესაც მოხდა ცვლილება ქვეყნისა, ფშავ-ხევსურეთის სამრევლოები თვალსაჩინოდ შემცირდა. ძველი დროის გადატრიალებისთანავე, როგორც ძალაუნებურად ქრისტიანობის მიმდევარმა ერმა — ხევსურებმა, იერიში მიიტანეს თავიანთ ეკლესიებზე, გაძარცვეს ისინი და დაანგრიეს. აღნიშნული ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდა ხევსურეთის შემდეგი ეკლესიები: ბარისახოს ეკლესია, რომლის დანგრევასთან ერთად მოკლეს იმავე ეკლესიის მღვდელი ბესარიონ წიკლაური. როშკის, ბაცალიგოსი და ხახმატისა. ამ ეკლესიათა შორის, როგორც პირადი გადმოცემით ვიცით, ხევსურეთში კიდევ არსებობს 2 ეკლესია — ახიელისა და შატილისა. ეს მოხსენიებული სამრევლოები ე. ი. ახიელისა და შატილისა ძევს იქით ხევსურეთში, რომელსაც აქეთი ხევსურეთიდან ჰყოფს მაღალი ხევსურეთის მთა. ეს არ იკმარეს ხევსურებმა და ფშავის ეკლესიებიც შეარყიეს. ორჯერ გაძარცვეს ჩარგლის ეკლესია, სამგზის შუაფხოს ეკლესია და ერთხელ მუქოსი. სამგზის გაიძარცვა თამარისის მონასტერი უკანა ფშავში. შეურყეველი დარჩა მხოლოდ გომეწრის სამრევლო. სხვა საშინელი შემთხვევები კიდევ მოახდინეს ხევსურებმა. მუქოს ეკლესიის მღვდელი ლავრენტი შიოშვილი, ახალგაზრდა, სულ ოთხი თვის გადმოყვანილი მოკლეს მეუღლესთან ერთად საკრებულო სახლში 1919 წელს. ამჟამათ სიტუაცია ასეთია: გომეწრის მრევლს ჰყავს მღვდელი მიხეილ ქისტაური, მედავითნე არ ჰყავს და არც ეკლესიური ღვთისმსახურება ტარდება. ჩარგლის სამრევლოს ჰყავს მღვდელი თეოდორე ჟამიაშვილი, მედავითნე არც იქ არის, ამიტომ იქაც არ სრულდება წირვა-ლოცვა. ახიელის სამრევლოში არის მღვდელი გიორგი ჯაბუშანაური (ხევსური) და როგორც პირადად გადმომცეს, წირვა-ლოცვა ჰქონია. უკანასკნელ შატილის სამრევლოს მართავს მღვდელი იოსებ ოჩიაური, მაგრამ ეკლესიური ღვთისმსახურება არც იქ ტარდება.

მუქო-შუაფხოს მრევლი, სადაც მე ვმსახურობ

მღვდლის თანამდებობაზედ, ჩემ წინა მოადგილედ იყვნენ ხევსური მღვდლები: პირველი ალექსი ოჩიაური და მეორე: მისი ძმა — მიხა ოჩიაური, პირველი იყო შუაფხოს ეკლესიის მღვდელი, მეორე მუქოსი. ალექსი ოჩიაურმა კაბა-ანაფორის გახდით მიატოვა შუაფხოს მრევლი, ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ მისმა ძმამ მიხეილმაც მიჰბაძა მას და ამანაც მიატოვა მღვდლის თანამდებობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გომეწრის და ჩარგლის სამრევლოს მორწმუნე პირნი განიცდიან სულიერ საზრდოს მოკლებას და მწუხარებას, მით უმეტეს, რომ მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვას, წმინდა საიდუმლოს მიღებას და ზოგიერთ სხვა ქრისტიანულ წესებსაც. მთების სიმაღლის გამო ახიელში და შატილში მიმავალი გზა ივნისამდე გახსნილი არ იქნება და შემდეგ კი იმ მღვდელთა შესახებ ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ".

1927 წლის 22 ივნისს, მამა მიხეილის თხოვნით, შუა ფხოვის სამრევლო ოფიციალურად გაერთიანდა მუქოს ეკლესიასთან. მეუფე პავლესადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა: **„ჩემი შეხედულობა მუქო-შუაფხოს მრევლთა შესახებ ასეთი გახლავთ. უკეთუ თქვენი მეუფებაც ინებებს გამოცხადებულ იქნეს ერთ სამრევლოდ, ე. ი. შუაფხოს ეკლესია და მრევლი მიეწეროს მუქოს ეკლესიას. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ შუაფხოში ცხოვრების შეუძლებლობა უბინაობის გამო. მუქო-შუაფხოს სამრევლოს მცხოვრებთა რიცხვი ხევსურთა გადასახლების გამო ფრიად შემცირებულია, სადაც ოდესმე 400 კომლი ცხოვრობდა, ახლა ითვლება 232 კომლიღა. ამიტომ მოვმართავ თქვენ მეუფებას და ვთხოვ: რათა კეთილი ინებოთ დააკმაყოფილოთ ჩემი მოხსენება და თქვენი მეუფების რეზოლუციით მიწერილ იქნეს შუაფხოს ეკლესია და მრევლი მუქოს ეკლესიაზედ, და ამასთან ერთად მე ვითვლებოდე მუქოს მღვდლად და არა შუაფხოსი".**

XX საუკუნის 30-იანი წლებში ფშავ-ხევსურეთის ოლქში ყველა მოქმედი ეკლესია დაიკეტა. მღვდელი მიხეილი იძულებული გახდა კვლავ ჩარგალში დაბრუნებულიყო და ოჯახი საკუთარი შრომით შეენახა. თუმცა, შეძლებისდაგვარად, იგი პერიოდულად მაინც აღასრულებდა მღვდელმსახურებას, ნათლავდა ბავშვებს, ქრისტიანული წესით მარხავდა მიცვალებულებს და განამტკიცებდა მორალურად გატეხილ მრევლს. მიუხედავად უმძიმესი წლებისა, XX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგამდე მას არ შეუწყვეტია ღვთისმსახურება და ქადაგება. 1942 წელს სრულიად

მღვდელი მიხეილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსადმი, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატესადმი (ცინცაძე) გაგზავნილ წერილში, ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესი, დეკანოზი მათე ალბუთაშვილი სწერდა: **„წლევანდელ წლამდე ეპარქიაში სხვა სასულიერო პირებთან ერთად ითვლებოდა კიდევ ერთი მღვდელი მიხეილ მთიბელაშვილი. თუმცა, როგორც იმაზე ამბობენ, გაიხადა ანაფორაო".**

1955 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა (ფხალაძე) მღვდელი მიხეილი სასულიერო ხარისხში აღადგინა. აი, რას წერდა იგი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის განყოფილების რწმუნებულს, ბატონ მ. მექვაბიშვილს: **„უადგილო მღვდელი მიხეილ ღვთისავარის ძე მთიბელაშვილი ამა წლის 26 ოქტომბერს დანიშნულია დუშეთის რაიონში, სოფელ ჩარგალში მოსიარულე მღვდლად".**

ცხრა წელინადი კვლავ ერთგულად იმსახურა დედაეკლესიის წიაღში მღვდელმა მიხეილმა და, მოხუცებულობის მიუხედავად, მრავალი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო. 1964 წლის გაზაფხულზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაიცვალა. მოძღვრის ცხედარი ოჯახის წევრებმა და მრევლმა სოფელ ჩარგლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 8(99) 54 82 29; 8(93) 19 36 04.

რუბრიკას უძღვებიან ლუარსაბ ტოგონიძე და გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
გთხოვთ, დავალიანება გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:
სს „ლიბერთი ბანკი" (მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი 200 101 406).
ბანკის კოდი: LBRTGE22. მიმღები: წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ეკლესია ანგარიში № GE74LB0122124214261000
ელ.ფოსტა: patriarchatepress@yahoo.de მის: ერეკლე II-ს მოედანი
№1 საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: დეკანოზი დავით შარაშენიძე
რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა T. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი, ოპერატორი, ზოია კობახიძე